კვირის პალიტრა

N49(182) 4/XII -10/XII 2003

ფასი 60 თ.

1168
2003

რატომ გაბატონდა ფუჭილი

"ძირიზმა, ეშმაკობა და ძალი..."

ახალი ქართული მაფრსიუქეტიანი რომანი – თავისუფალი თემა

სასიკო – „საჰედლაინო" კითხვები დავით გოგიჩაიშვილს

რატომ ჩამოფრინდა ბერეზოვსკი პატარკაციშვილთან – ძირითადი ვერსია?



უკვე გამოვიდა „კვირის პალიტრის“ კედლის მოსაკვები კალენდარი



ცოლ მეოლე იბეოლოვეთ ქალოთა,
ბავშვთა ლა ცვმეოლიცანი ყალოენლიბს

კვირის პალიტრა
№48 (181)
4 - 10
დეკემბერი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
პრეზიდენტის ვაკანსია ანუ იმ სკამს, ეტყობა, მაინც სულ სხვა ზემო აქვს... 3
ერთი კითხვა 4,6
აფერა
რედაქტორომანიით შეპყრობილი ბიჭი თუ გაქნილი თაღლითი? 5
პერსონა
მიხეილ ქვლივიძე – „კეთილი განზრახვის ავანტიურისტი“ 7
აინოონა-დაინოონა
ერთ დღეს შეიძლება, ედუარდ შევარდნაძე რუსთაველზე მოსეირნე ვიხილოთ 9
სასიძო
● „ლექსო, დამელოდე, მალე გავიზრდები...“ 11
● დათო ბოგიჩაიშვილი: „სწორედ რომ საუკეთესო სასიძო ვარ!..“ 12
კრიმინალი
● „...მანქანის საბარგულში მოვათავსე და ნიჩბისისკენ წავედი“ 14
● ყოფილ პოლიციელს სამუდამო პატიმრობა ემუქრება 15
● ყაჩაღებმა დაგვარალებული ოxახის დიასახლისი ქმარ-შვილის თვალწინ მოკლეს 17
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18
მარჩიელი
კინოსა და ესტრადის ვარსკვლავებს პოლიტიკოსებზე სუფთა აურა აქვთ! 18
თემა
უწყინარი ტყუილი თუ მიუტევებელი შეცდომა? 20
საზღვრებს მიღმა
ბრანდიოზული მშენებლობა, მკერდშიშველი აფრიკელი ქალები და ბუზი ცეცეს მომაკვდინებელი ნაკბენი 23
გზავნილები
„დამეკარგა ავი დედამთილი, მპოვნელს...“ 26
ცხოვრება
„როდესაც უფლის სამსxავროზე წარვდგები, მაშინ გაირკვევა, ვარ თუ არა დამნაშავე“ 28
ისტორიული პარალელები
რა მოუტანა კაცობრიობას ტრიუმვირატებმა და რას წარმოადგენს „სამეული“ ქართულ პოლიტიკაში? 29

რა მოუტანა კაცობრიობას ტრიუმვირატებმა



სამეულის შექმნით დაიწყო ძალაუფლებისათვის ბრძოლა მიხეილ სააკაშვილმაც, რომელიც იმავე რიცხვსა და თვეშია დაბადებული, რომელშიც სტალინი. თუმცა, სანამ თანამედროვე ტრიუმვირატზე ვისაუბრებთ, სხვა ცნობილი სამეულებიც გავიხსენოთ.

29

კინოსა და ესტრადის ვარსკვლავებს პოლიტიკოსებზე სუფთა აურა აქვთ!

„...ის ყოველთვის ძალზე პოპულარული იქნება, თუმცა, ბევრი ჩავარდნა და იმედგაცრუება აქვს წინ. ცხოვრება უამრავ განსაცდელს უმზადებს, მიუხედავად იმისა, რომ ბედნიერი იქნება. მას ძალიან დიდი სიყვარული ელის...“

18

„სწორედ რომ საუკეთესო სასიძო ვარ!..“

„პროტესტის გრძნობა მიჩნდება: არ მომწონს, როდესაც სასიდედროები ფიქრობენ ხოლმე, რომ საუკეთესო სასიძო ვარ. xობს, გოგონებმა იფიქრონ ასე და მათ მოვეწონო...“

12

ბრანდიოზული მშენებლობა და მკერდშიშველი აფრიკელი ქალები

„ბვინეაში ფრანგული ყველამ იცოდა. მათთან ურთიერთობა არ გამჭირვებია. ღამე სანადიროდ რომ წაკსულვარ, მათთან ხშირად მოვხვედრილვარ. ტომის ბელად მუსასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. ჩამომატარებდა ხოლმე თავისი ცოლების წინ. შემეძლო, ნებისმიერი ამერჩია ერთი ღამით...“

23

სახელოსნო

„ჩვენი ეზო“ განახლებული ვერსიით ახალი წლიდან გავა ეთერში 32

ტაძარი

რას გვიპრძალავს მეექვსე მცნება 34

დღესასწაული

ტაძრად მიყვანება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა 35

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

„არგენტინელ-ესპანელი“

„ელ-ალემანი“ 36

საფეხბურთო მინდვრებზე 37

შთამომავლობა

სამეფო სისხლი ძარღვებში, სტალინური რეპრესიები და თავისუფლებისადმი მიძღვნილი ფილმები 39

რომანი

რუსულად ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ლიდერები

ტონი ბლერი – დიდი ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი 47

ვარსკვლავი

ბრიტანი მერფი – პოპულარობაზე მეოცნებე, ამბიციური მსახიობი 50

ავტო 52

პრეზენტაცია

ახალი წიგნი და მწერლის გაცნობის ახდენილი ნატვრა 53

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 53

ბომონდი 54

საკითხავი ქალებისათვის 55

იუმორი 56

ჯანმრთელობა

- ტაბილი ალტერნატივა 57
- ვარჯიში ზარმაცებისთვის 58
- გულის „აქილევსის ქუსლი“ 58
- დნმ გაყალბებისგან დაგვიცავს 58
- შეაშინეთ გრიპი 59
- სხვადასხვა 59

ჰოროსკოპი

კვირის (8-14 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

შოუბიზნესი 62

ტესტი

- ვინ ხართ – მეოცნებე თუ რეალისტი? 63
- გჯერათ თუ არა საკუთარი შესაძლებლობების? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ახალი წიგნი და მწერლის გაცნობის ახდენილი ნატვრა



„ასეთი ტიპის, სულიერებით საკვსე წიგნებს ღირსი მამები, ნეტარნი და წმინდანები წერდნენ“; „ის იდეალები, რომელზეც ერლომი წერს, რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავრცელდეს“; – ასეთი ფრაზები ისმოდა ერლომ ახვლედიანის წიგნის პრეზენტაციაზე.

53

„...მანქანის საბარგულში მოვათავსე და ნიჩბისისკენ წავედი“

საპირისპიროს ამტკიცებს პროკურატურა. ბრალდების თანახმად, მიხეილ კერესელიძემ ლევან ტაბაღუა, რომელთანაც მეგობრობა აკავშირებდა, სამსახურიდან გაიხმო და საქმის გასარჩევად საბურთალოზე, ძმათა სასაფლაოზე წაიყვანა...

14

პოპულარობაზე მეოცნებე, ამბიციური ბრიტანი

ჰოლივუდის ცნობილ ლამაზმანებს შორის ახალი სახელი გამოჩნდა. ამიერიდან, გვინეტ პელტროუს, რენე ზელვეგერსა და კამერონ დიასს მისთვის ანგარიშის გაწევა მოუწევთ, რამეთუ პრესისა და პროდიუსერების ყურადღება 25 წლის მის მერფისკენაა მიმართული...

50

თავისუფალი თემა

– მობრძანდა ქალბატონი! – მაშინვე დოინჯი შემოიყარა ლამარამ. – ახლავე ვაჩვენებ სეირს!

– ლამარა! – შეაჩერა ცოლი ამირანმა. – ახლა არც იფიქრო!..

ამასობაში, სასტუმრო ოთახის კარში აქოშინებული გვანცა გამოჩნდა...

42

პრეზიდენტის ვაკანსია ანუ იმ სკამს, ეტყობა, მაინც სულ სხვა გემო აქვს...

სანამ ვარდის სურნელით გაბრუებული და „გადადექ-გადადექის“ ძახილით დაღლილი ქვეყანა ახალი ხელისუფლების მოსვლას ზეიმობს, ხოლო ძველი ხელისუფალი მემუარებს წერს სათაურით – „გადავდექი, გადავდექი!“ – საქართველოში საახალწლო საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა და რატომაც არა?! – თუ სახელმწიფო ვართ, ქვეყანაში ერთი პრეზიდენტიც გვჭირდება და ერთი მარკშაიდერიც (აი, მაგალითად, ისეთი – „ბატონებო! ბატონებო!“-ს რომ გაიძახოდა და ახლა, „მეგობებო, მეგობებოს“ რომ გაიძახის)...

ამასობაში კი, სახელმწიფო კანცელარიის შენობას ის რკინის გისოსები შემოხსნეს, ხალხსა და მთავრობას შორის „ერთადერთ“ ჩატეხილ ხიდად რომ იყო ქცეული (ახლა ნახეთ ხალხისა და ხელისუფლების დაახლოება-ჩახუტება!..). ამით განაწყენებული ყოფილი ჩინოვნიკები ახალმა შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამშვიდა – ნუ დარდობთ, ისევ თქვენ დაგიყენებთ, ოღონდ სხვაგანო...

ასე რომ, სკამებისათვის ბრძოლის პოლიგონად ქცეულ ქვეყანაში „ოპტომ“ „დაიყარა“ ვაკანტური თანამდებობები, მაგრამ ეტყობა, იმ სკამს მაინც სულ სხვა გემო აქვს და წამოვიდა და წამოვიდა ახლა უკვე დემოკრატიულ და თავისუფალ საქართველოში განცხადებები...

მეც მივეცი ჩემს თავს „წაპროვოკატორების“ უფლება და უფრო დემოკრატიულად რომ წარიმართოს პროცესები, ერთი ჭეშმარიტად სახალხო განცხადებით ავაჭრელე მთელი ქალაქი, ძალზე ხელმისაწვდომი პირობებით.

განცხადება:

„ცხადდება ვაკანსია პრეზიდენტის თანამდებობაზე. შერჩევა ჩატარდება საკონკურსო წესით, მომავალი წლის 4 იანვარს. განაცხადის შემომტანმა უნდა წარმოადგინოს მხარდამჭერთა ორმოცდაათიათასკაციანი სია... მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს „ნებისმიერ“ მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომი, აქვს იუსტიციის მინისტრის, პარლამენტარისა და საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მუშაობის გამოცდილება, შეუძლია, ინტერვიუების მიცემა რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე (სასურველია ქართულზეც), ჰყავს უცხოელი ცოლი და ქართველი შვილი...“

გაჭრა ჩემმა ხერხმა: ამ პირობებს თურმე ცამეტი კაცი და ორი ქალიც კი აკმაყოფილებს. მათ შორის ზოგიერთს, პირადადაც ვიცნობ და უნდა ვაღიარო, რომ ყოველთვის ვხედავდი თითოეულ მათგანში არშემდგარ პრეზიდენტს.

ბევრმა კი გული დამწყვიტა, მათ შორის – ერთმა „კოლმეურნეობის თავმჯდომარემაც“ (გვარს არ დავასახელებ), რომელიც მშვენივრად აკმაყოფილებდა ჩემი განცხადების პირობებს და სურვილიც ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ რატომღაც – ალბათ, მაინც უკეთესი მომავლის იმედით – თავი შეიკავა...

გული ძალიან დამწყვიტა ჩემმა მეზობელმაც, გაურკვეველი გვარისა და ეროვნების კაცმა (თუ ქალმა – ეგეც ვერ გავარკვიე), მაგრამ ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, რომელმაც განცხადების შეტანა ვერ მოასწრო (3 იანვრამდე რომ გადაგვეწია განცხადების შეტანის ვადა, ნამდვილად მოასწრებდა).

ასეთ კანდიდატებში ნამდვილად საცოდაობაა მხოლოდ ერთის გამარჯვება, ამიტომ იქნებ, ორს მაინც გავამარჯვებინოთ (სასურველია, ქალსა და კაცს) და პარლამენტი თუ არა, პრეზიდენტის პოსტი მაინც იყოს „ორპალატიანი“?!. თუმცა, ზოგი მეუბნება – სამიანიც შეიძლებაო...

P.S. საპრეზიდენტო არჩევნებზე:

– მირჩიე, რომელი შემოვხაზო ბიულეტენზე ამ თხუთმეტიდან?

– თავში დაყნოსე და მიხვდები...

პროვოკატორი

რაზე ისაუბრეს ბერეზოვსკიმ და პატარკაციშვილმა?

— როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, თბილისში ლონდონიდან რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი, სხვა გვარით და სახელით, ბადრი პატარკაციშვილის თვითმფრინავით ჩამოვიდა, სულ 6 საათი დაყო აქ და გამთენიისას, იმავე თვითმფრინავით კვლავ ლონდონში გაემგზავრა. რა შეგიძლათ დამატებით გვითხრათ ამ საკითხთან დაკავშირებით?

***გიორგი არველაძე**, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პრესმდივანი:*

— გავრცელებული ინფორმაციით, ბორის ბერეზოვსკიმ საქართველო დაახლოებით ექვსის ნახევარზე დატოვა. არც ამ პიროვნებას და არც მის ვიზიტს საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებასთან არანაირი კავშირი არა აქვს. ჩვენთვის ცნობილია, რომ ის შეხვდა ბადრი პატარკაციშვილს, მაგრამ უცნობია, თუ რა საკითხს შეეხებოდა მათი საუბარი. დაირღვა თუ არა ბერეზოვსკის ჩამოსვლით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასაზღვრო რეჟიმი — ამის შესახებ მოკვლევას აწარმოებენ შესაბამისი უწყებები და უმოკლეს ვადაში გააკეთებენ დასკვნებს. თუკი აღმოჩნდება, რომ კანონის დარღვევას ჰქონდა ადგილი, უშიშროების საბჭოს მდივანს, ჯემალ გახოკიძეს დავალებული აქვს, 2

დღეში გამოავლინოს დამნაშავეები. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება არ აპირებს, გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც დაძაბავს და გაართულებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს.

***ჯემალ გახოკიძე**, უშიშროების საბჭოს მდივანი:*

— მივიღე დავალება, რომლის თანახმად, 2 დღეში უნდა შევისწავლოთ საქართველოში ბერეზოვსკის ჩამოსვლასთან დაკავშირებული საკითხი. ამჟამად, ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ იმას, მართლა იმყოფებოდა თუ არა ის საქართველოში. ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანაა, კომპეტენტურად შევისწავლოთ მესაზღვრეების ეჭვი ამასთან დაკავშირებით და შემდეგ, გავერკვეთ ბერეზოვსკის აქ ჩამოსვლის კანონიერებასა და იმაში, ხომ არ ჰქონდა ჩვენი მხრიდან კანონის დარღვევას ადგილი. საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილია ჩვენს ქვეყანაში უცხო ქვეყნის მოქალაქის ჩამოსვლისა და ვიზის მიღების წესი. საქართველოში ჩამოსულ პირთა შემოწმებისას, ყურადღება ექცევა იმას, ხომ არ იძებნება ესა თუ ის პირი ინტერპოლის მიერ? თუ პიროვნება ოფიციალურად იძებნება, ჩვენ, როგორც ინტერპოლის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, უნდა შევასრულოთ ამ ორგანიზაციის მოთხოვნები. თუ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული პირის გვარი და სახელი ძებნილთა შორის არ არის და მისი საბუთები სრულ წესრიგშია, ჩვენ პიროვნების დაკავების უფლება არა გვაქვს.

P.S. რადგან ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს, უკვე ჩნდება მოარული ვერსიები. ერთ-ერთის თანახმად, ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილის საუბარი შეეხო იმას, თუ რა იურიდიული მექანიზმებით შეიძლება განხორციელდეს ბერეზოვსკის მეგობრის — ბადრი პატარკაციშვილის ინგლისში გადაბარგება იმ შემთხვევაში, თუ მის ხელშეუხებლობას აქ საფრთხე დაემუქრება და საქართველოს ახალი ხელისუფლება რუსეთისთვის ბიზნესმენის გადაცემას გადაწყვეტს. ეს ვერსია ლოგიკას მოკლებული არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ნაბიჯით „სამეულმა“ შესაძლებელია, ასლან აბაშიძის გული მოიგოს და აჭარასთან (ამ შემთხვევაში, რუსეთთანაც) ურთიერთობა გააუმჯობესოს... ■

„თანამდებობის საკითხი ძალიან ბევრ ადამიანს აღელვებს“

— ბატონო რომან, მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ეკონომიკის მინისტრი მალე, ლადო პაპავა გახდება, თქვენ კი, ახალი ხელისუფლება კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობას გთავაზობთ. რამდენად შეესაბამება რეალობას ეს ხმები?

***რომან გოცირიძე**, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:*

— სანამ საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდება, პირადად მე, არც ერთ სახელისუფლებო პოსტზე წასვლას არ ვაპირებ. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი, გამოჩნდება, სად შეიძლება ვაკეთო საქმე, რომელიც ქვეყანას გამოადგება. როგორც ირკვევა, თანამდებობის საკითხი ძალიან ბევრ ადამიანს აღელვებს. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მისაღებში დიდი რიგი დგას. იქ ვხედავ ძალიან ბევრ უპრინციპო ადამიანს. ზოგი, მმართველი პარტიის საარჩევნო სიაში ვერ მოხვდა, ამიტომ მას ზურგი აქცია და უკვე დღევანდელი ხელისუფლების თავგამოდებული მხარდამჭერი გახდა, ზოგი — „აღორძინების“ სიაში ვერ მოხვდა და ამის გამო შეიცვალა აზრი. მეცინება იმ ადამიანებზე, რომლებიც გუშინ, ასლან აბაშიძეს აქებდნენ, პარლამენტის ტრიბუნიდან ლექსებს უძღვნიდნენ და დღეს, ლამის მის ოპონენტებად მოგვაჩვენონ თავი. გარდა ამისა, ისევ წამოყვეს თავი სხვადასხვა ჯურის ხელისუფლების მაძიებლებმა... ამას სერიოზული წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ, რათა ასპარეზზე არაკომპეტენტური და მედროვე ადამიანების გამოსვლის შედეგად, მოსახლეობას იმედები არ გაუცრუვდეს. ■

ფრაზა

დემოკრატია ის „მოწყობილობაა“, რომელიც გვაძლევს გარანტიას — ჩვენი მართვა ზუსტად იმგვარად განხორციელდება, როგორც ჩვენ ამას ვიმსახურებთ.

ბერნარდ შოუ

გენიალური

„კვირის პალიტრის“ რედაქტორს „ორეული“ გამოუჩნდა(?!)

ნანა ქიბიშაური

გაზეთ „კვირის პალიტრის“ რედაქციამ უკვე მეორედ გააფრთხილა მოსახლეობა, რომ თუკი გამოჩნდება ცოტა ჩასკვნილი, სათვალიანი კაცი, რომელიც თავს „კვირის პალიტრის“ რედაქტორად წარუდგენს, აუცილებლად მოსთხოვონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ამის შესახებ აცნობონ რედაქციას, რათა მან საკადრისი პასუხი გასცეს სხვის სახელსა და გვარს ამოფარებულ თაღლითს.

— სწრაფად მოეგოს გონს, თორემ მკაცრად მოუწევს პასუხისგება!... აცხადებს „კვირის პალიტრის“ ნამდვილი რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი — კარგად დააკვირდით ამ ფოტოს და ნუ ენდობით სხვა პიროვნებას

რედაქტორომანიით შეპყრობილი გიჟი თუ გაქნილი თაღლითი?

უკვე ორ კვირაზე მეტია, საქართველოს სხვადასხვა რაიონში დაძრწის რედაქტორომანიით შეპყრობილი ადამიანი და ყოველდღიურად იზრდება მისგან „გაცურებულ“ ადამიანთა რიცხვი. ვის ლექსების გამოქვეყნებას ჰპირდება, ვის — საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას და ვის — „საჭირო ხალხთან“ სიტყვის შეშველებას. „პალიტრელებმა“ აფერისტის გამოჩენის ამბავი თავიდან, ვიღაცის უკბილო ხუმრობად ჩათვალეს, მაგრამ ახლა, როცა რედაქციაში სატელეფონო ზარები გახშირდა და ნამდვილ გიორგი თევდორაშვილს ლაგოდეხში, ნეკრესსა თუ თიანეთში დანაპირების ასრულებას სთხოვენ, თანაშრომლები ძალიან შეწუხდნენ. ჩვენც ვუერთდებით მათ გულისწყრომას და „ვითომ გიორგის“ უკვე კარგად ნაცნობი მოწოდებით მივმართავთ: „აზრზე მოდი, ბიჭო!“ „ვადადექი, რა!“ ერთი გიორგი თევდორაშვილი „კვირის პალიტრისთვის“ სრულიად საკმარისია. და კიდევ ერთი: „კვირის პალიტრამ“ დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიპოვა ცრურედაქტორის ფოტოსურათი (რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო, ჯერჯერობით არ ვაქვეყნებთ) და მასზე აღბეჭდილ კაცს უკვე სამართალდამცავებიც ეძებენ. თაღლითის გარშემო წრე ვიწროვდება, ასე რომ, მას ძალიან მალე მოუწევს არჩევანის გაკეთება, თუ ვის ჩაჰბარდეს: სამართალდამცავებს, ფსიქიატრებს თუ ნამდვილ **გიორგი თევდორაშვილს**... *იმას კი, თუ რას ფიქრობს „მოგვარე-მოსახელის“ შესახებ „კვირის პალიტრის“ ნამდვილი რედაქტორი, ინტერვიუდან შეიტყობთ.*

— ბატონო გიორგი, როდის გამოჩნდა ასპარეზზე თაღლითი და დღეისათვის რა მონაცემები გაქვთ მის შესახებ?

— რედაქტორომანიით შეპყრობილი ამ ადამიანის შესახებ პირველი ინფორმაცია ორიოდე კვირის წინ მივიღეთ. სიმართლე გითხრათ, თავიდან, არასერიოზულად მივუდექით ამ ამბავს, მაგრამ მერე როგორც აღმოჩნდა, თაღლითს მადა გაეხსნა, ვეღარ ელევა „თანამდებობას“ და ძალიან ვწუხვარ, რომ მისგან მოტყუებული და შეურაცხყოფილი ადამიანების რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. ის კვლავ ცდილობს, „კვირის პალიტრის“ პოპულარობა თავისი ბოროტი ზრახვებისთვის გამოიყენოს.

— მერე რა გაარკვიეთ? რა ზრახვები აქვს ძალად რედაქტორს?

— კაცმა არ იცის, რა აქვს გულში. გასარკვევია ისიც, თუ რა უდევს ამ რედაქტორომანიას საფუძვლად — ავადმყოფობა თუ თაღლითობა. ჩვენ ხელთ გვაქვს მისი ფოტოსურათი, რომელსაც აუცილებლად შევთავაზებთ მომავალში ჩვენს მკითხველს. გარეგნულად მას ავადმყოფობის არაფერი ეტყობა, მაგრამ ფოტოსურათის მიხედვით ძნელია ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე მსჯელობა. ფოტო, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, თაღლითის ერთ-ერთი „ვოიაჟის“ დროს სამახსოვროდ გადაუღია(?!). მისგან მოტყუებულ და დაზარალებულ, საკმაოდ პატივსაცემ ადამიანებს, მართალია, ეუხერხულებოდათ, ამ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდნენ, მაგრამ მაინც გვიამბეს თავიანთი თავგადასავლის შესახებ და თაღლითის ფოტოც გადმოგვცეს.

— რას ამბობენ მისგან „გაცურებული“ ადამიანები — კარგად იფერებს რედაქტორობას?

— თავი საქმიანი ადამიანივით უჭირავს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დროდადრო, სრულიად უადგილოდ გადაიხარხარებს ხოლმე (?!). შეიძლება, ამ დროს იმ ადამიანებსაც დასცინის, ვინც მას მთელი სულითა და გულით მასპინძლობს. ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა მისი ქცევა ასე აგვიხსნა: მას უნდა, იყოს ის ადამიანი, რომელსაც პატივს სცემენ (რაც მისი არასრულფასოვნების კომპლექსით აიხსნება), ტკბება იმ მდგომარეობით, რომელშიც აღმოჩნდება ხოლმე მას შემდეგ, რაც განაცხადებს, რომ „კვირის პალიტრის“ რედაქტორია; ისე შედის როლში, რომ თვითონაც ოჯერებს იმას, რასაც ამბობს, მაგრამ როლიდან როცა გამოდის, მას უცებ ახსენდება, თუ რა ხდება სინამდვილეში და ამით აიხსნება ის მოულოდნელი გადახარხარება, რომელიც მას ახასიათებს: ის ამ დროს, ერთდროულად, როგორც საკუთარ თავზე, ასევე მისგან მოტყუებულ ადამიანებზე იცინის... საკუთარ თავზე, რამდენიც უნდა, იმდენი იცინოს, მაგრამ არ დავუშვებ, რომ „კვირის პალიტრის“ მკითხველი ვიღაცამ გააბრიყვოს და მით უმეტეს — დასცინოს. რედაქციაში ჩემთან მოვიდა ვაჟა-ფშაველას შვილიშვილი; 70 წლის კაცი თავისი „სტუმრის“ ამბავს გვიამბობდა და თან აღშფოთებისგან ხელები უკანკალებდა: მე მიყვარს თქვენი გაზეთი და ის კაციც, ვინც მითხრა, რომ ამ გაზეთის რედაქტორია, შვილად მივიღე; სამი დღე ჩემთან დავტოვე; მისთვის ნანადირევის ხორცი და ცხელი ხინკალი არ მომიკლია; როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი სიალალით ისარგებლებდა და ამხნის კაცს ასე გამაბრიყვებდაო?! — პირადობის დამადასტურებელი საბუთი რატომ არ მოსთხოვეთ-მეთქი? — რომ ვკითხე, შეიცხადა: ამხელა გაზეთს ამას როგორ ვკადრებდიო?! — აი, ასეთი ხალხი შეურაცხყო!.. ოქტომბერში, ნეკრესის გათხრებს სწვევია

ყვარელში. ექსპედიციის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი ამბობს — როგორც პოპულარული გაზეთის ხელმძღვანელს, მთელი კვირა, ლამის „ხელისგულზე“ ვატარებდითო. რაიონის გამგებლებს ხვდება, მინირევიზიებს ატარებს(!), სკოლებში მიდის და გაკვეთილებს ესწრება. ახლა ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიიდანაც დამირეკეს... უკვე პოლიტიკურ ორბიტაზეც „გავიდა“!.. გაზეთში უკვე რამდენჯერმე დაიწერა, რომ მისი თაღლითობა გამოაშკარავებულია, მაგრამ როგორც ჩანს, მაინც ვერ ელევა „რედაქტორობას“ და იძულებული ვარ, მის მოძებნასა და გაუვნებელყოფაში დახმარება სამართალდამცავებს ვთხოვო. იმედი მაქვს, შსს-ს ახალი ხელმძღვანელობა ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებს.

— მსგავსი შემთხვევა წინათაც თუ ყოფილა?

— არა. ეს პირველია და სიმართლე გითხრათ, ძალიან მაინტერესებს მასთან შეხვედრა. მას თუ რამე ეშველება და მისი ამბიცია დაკმაყოფილდება, პირობას ვაძლევ — დავსვამ ჩემს მაგიდასთან და სამახსოვრო ფოტოსაც გადავუღებ, იქნებ, ეს საკმარისი აღმოჩნდეს, რომ „რედაქტორობისადმი“ ლტოლვა გაუნელდეს. ამის შემდეგაც თუ არ მოეგება გონს, მაშინ ძალიან მკაცრად მოუწევს პასუხისგება ყველა მოტყუებული და შეურაცხყოფილი ადამიანის წინაშე. პირადად მე და ჩვენი გაზეთი ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თაღლითმა ჩვენი სახელით არ ითარეშოს და, რაც მთავარია, არ მოატყუოს ადამიანები, რომლებიც ქართული მენტალიტეტის და გაზეთის პატივისცემის გამო, სტუმარს არ ჰკადრებენ — პირადობის მოწმობა გვიჩვენეო...

P.S. როგორც ფსიქოლოგმა გაგა ნიჟარაძემ გვითხრა, ფსიქოლოგები ადამიანის ყველა მსგავსი, უცნაური ქმედების საფუძველს ბავშვობაში ეძებენ. აქედან გამომდინარე, ამ კაცს, რომელიც თავს „კვირის პალიტრის“ რედაქტორად ასაღებს, შეიძლება, ბავშვობაში ვიღაცამ ოთხად მოკეცილი გაზეთი ჩაარტყა თავში და ამის შედეგად ზოგი, იულიუს კეისარი ხდება, ზოგი — ნაპოლეონი და ზოგიც — „კვირის პალიტრის“ „რედაქტორი“. უფრო დიდი შანსია, რომ ეს კაცი უბრალოდ, თაღლითი იყოს და არა ავადმყოფი. თაღლითს კი, „ბეღურების გადაფრენის“ არ იყოს, ვიღაც აუცილებლად თავზე გადაამტვრევს ჩემოდანს და მერე თანგრძნობით ჰკითხავს: „მალიარი“ ხარ, ბიჭო?“

■

„2 ნოემბერს ცესკომ უნიკალური შანსი გაუშვა ხელიდან!“

— იღებთ თუ არა პასუხისმგებლობას იმაზე, რომ არჩევნები ამჯერად მაინც გაყალბების გარეშე ჩატარდება და თქვენი აზრით, რა იყო ცესკოს ძირითადი შეცდომა, რომელმაც 2 ნოემბრის არჩევნების შემდგომ მასობრივი მღელვარება გამოიწვია?

ზურაბ ჭიაბერაშვილი, *ცესკოს თავმჯდომარე:*

— გაუყალბებელი არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებლობას 100%-ით ვერ ავიღებ, რადგან ჩვენი მონდომების მიუხედავად, მაინც ვერ მივიღებთ იმ იდეალურ მდგომარეობას, რომელიც მე, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს, მინდა, რომ იყოს. საზოგადოებაში ჩემ მიმართ დადებით განწყობას ვგრძნობ და ეს ძალას მმატებს. თუ დავინახე, რომ არც ჩემი და არც სახელმწიფო სტრუქტურების მცდელობიდან არაფერი გამოვიდა, ვერ უზრუნველვყავი არჩევნების სამართლიანად ჩატარება, ამის შესახებ საქართველოს მოსახლეობას დროულად ვაცნობებ. საზოგადოებას მაქსიმალურად მივაწვდი თუნდაც, ყოველდღიურ ინფორმაციას იმის შესახებ, რაც არჩევნებთან დაკავშირებით ხდება. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს — უკვე გაუქმებულ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ცესკოს ძირითადი შეცდომა იყო თუნდაც ის, რომ მიიღო გადაწყვეტილება, ამომრჩეველთა სიაში არარსებული ადამიანები ჩაესვა. 2 ნოემბერს ცესკომ უნიკალური შანსი გაუშვა ხელიდან. ამომრჩეველთა ისეთი აქტიურობის ფონზე, როგორიც არჩევნების დღეს იყო, მან ვერ შეძლო ისე ჩაეტარებინა არჩევნები, რომ ხალხი პროტესტის ნიშნად, ქუჩაში არ გამოსულიყო. ჩვენი მხრიდან ყველაფერი იქნება გაკეთებული იმისათვის, რომ 4 იანვარს ადგილი არ ჰქონდეს არაორგანიზებულობასა და ქაოსს. საერთაშორისო ორგანიზაციებს უკვე ვაცნობე, რომ აუცილებელია, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ფუნქციონირებდეს ცხელი ხაზი, სადაც დარეკავს ნებისმიერი ამომრჩეველი და მოგვაწვდის ინფორმაციას საუბნო კომისიებში არჩევნების დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ. შეიძლება, დამკვირვებლები კარგად ასრულებდნენ თავის მოვალეობას, მაგრამ თუ სამართლიანი არჩევნების ჩატარება გვინდა, ვფიქრობ, თითოეული მოქალაქე 4 იანვარს არჩევნების სადარაჯოზე ჯარისკაცივით უნდა იდგეს.

■

„რამდენს დავხარჯავ ამ არჩევნებში, ხალხი დაინახავს“

— ბატონო თემურ, მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ბევრი ფული დაიხარჯება იმისათვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მან არ გაიმარჯვოს. საარჩევნო კამპანიის დროს, თქვენ რამდენის დახარჯვას აპირებთ?

თემურ შაშიაშვილი, *პრეზიდენტობის კანდიდატი:*

— სააკაშვილმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც იმ კანდიდატთა შორის, ვინც ბევრ ფულს დახარჯავს იმისათვის, რომ ის პრეზიდენტი არ გახდეს, ჩემი გვარიც დაასახელა. მე არასოდეს მის გვარს არ დავასახელებ. მეც შემეძლო, მეთქვა — სააკაშვილმა ფული იშოვა, რომ არჩევნებში გაიმარჯვოს-მეთქი, — მაგრამ ამას ნამდვილად არ ვიკადრებ. ღმერთმა ხელი მოუმართოს!.. ძალიან მინდა, საარჩევნო კამპანია დაპირისპირებასა და აგრესიაზე არ იყოს აგებული. მაგრამ იმ ხალხისგან, ვინც სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად და პრეზიდენტის ჩამოსაგდებად დაფინანსება გარედან მიიღო, კარგს რას უნდა ველოდოთ? ადამიანები, რომლებიც რევოლუციის მოსაწყობად იმდენ ფულს დახარჯავენ, რამდენიც ახლა ხელისუფლებაში მყოფმა სამეულმა დახარჯა და მერე სხვის ფულზე დაიწყებენ საუბარს, ზნეობისგან ძალიან შორს დგანან. მე არ მექნება ხმაურიანი საარჩევნო კამპანია. უბრალოდ, ხალხს მოვუწოდებ, რომ არ მისცენ ხმა იმას, ვინც მათ ფულს დაურიგებს... რასაც ამ არჩევნებში დავხარჯავ, ხალხი მშვენივრად დაინახავს. ნახავენ, რომ სხვებისგან განსხვავებით, არ ვივლი ძვირად ღირებული მანქანებით, არ მექნება უზარმაზარი პლაკატები, არც კარდაკარ ვივლი და არც მილიონებს დავხარჯავ.

■

მიხეილ ქვლივიძე – „კეთილი განზრახვის ავანჭიურისჭი“

„ნუ გადაჰყვები საკუთარ თავს! ყოველთვის ეცადე, სხვა გააბედნიერო და ბედნიერი იქნები თვითონ!“ — ეს შეგონება „ყველა უჯრედით“ პოეტს, მიხეილ ქვლივიძეს ეკუთვნის. ბატონი მიშა ამაყობს იმით, რომ არასდროს ყოფილა „ნომენკლატურული კლასის“ პოეტი. ნამდვილი პოეზიის შესახებ მას საკუთარი თეორია აქვს: „მას შემდეგ, რაც პოეტები პრეზიდიუმში დასხდნენ, „მერსედესებში“ ჩასხდნენ და ქუჩაში ფეხით აღარ დადიან — მოსწყდნენ საკუთარ ხალხს. არის ასეთი მისტიკური რეალობა — როცა ქუჩასა და ბაზარში ფეხით დადიხარ, ხალხის ლაპარაკს ისმენ, ჯდები საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ა.შ., შენდა შეუმჩნევლად იტვირთები ხალხის საზრუნავით და ტკივილით. სწორედ ეს გკარნახობს ლექსს. მაშინ უყვარს ხალხს შენი ნათქვამი, როცა მის სათქმელს ამბობ. კარგი ლექსი, მოხდენილად თქმა კი არა, ტკივილისა თუ სხვა გრძნობის განცდაა“, — ამბობს პოეტი და წერს:

„და რა ძნელია ლექსის დაწერა,
რა ძვირფასია შენი ნაწერი,
როცა ცრემლივით ყელში გაწვება
სხვისი ტკივილი და განსაცდელი!“

ნათია თენიეშვილი

ბატონი მიხეილი 50-იანი წლების დასაწყისში წავიდა საქართველოდან და 25 წელი რუსეთში იცხოვრა. საბოლოოდ კი, სამშობლოში 1982 წელს დაბრუნდა. ჰყავს ორი ქალიშვილი – თამარი და ნატო და 20 წლის ბიჭი – გოგია, როგორც მას ბატონი მიშა ეძახის.

ინტერვიუსთვის პოეტს შინ ვეწვიე. მისი სამუშაო, პატარა ოთახი სავსეა წიგნებით, უამრავი ფურცლითა და საკუთარი ნახატებით. ბატონი მიშა პროფესიონალი მხატვარია, თუმცა, ბოლო დროს აღარ ხატავს, როგორც თვითონ ამბობს – ეს სიბერის ბრალია. ამჟამად მუშაობს მემუარებზე, რომლის სათაურიც იქნება – „ვაპირებ ცხოვრებას!“ ჩვენი შეხვედრა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შედგა და ბუნებრივია, საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ.

– ერთი-ორჯერ ვიყავი მიტინგზე, მაგრამ ფეხები მტკივა და დიდხანს დგომა არ შემიძლია. ტელევიზორს, რა თქმა უნდა, ვუყურებდი და აღტაცებული ვარ იმით, თუ როგორ ჩატარდა ყველაფერი. ახლა ძალიან მიშლის ნერვებს კონტრრევოლუციასა და მსგავს რამეებზე ლაპარაკი. ეს ყველაფერი სისულელეა. ხალხი დაიღალა და გამოვიდა ქუჩაში. ადამიანებს არც არავინ უცემიათ და არც იარაღი უსვრიათ. ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ამბობდნენ – აღარ გვინდა ეს მაიმუნობა და ტყუილიო! ძალიან ჭკვიანურად მოიქცა ჩვენი მოხუცი პრეზიდენტი, რომ გადადგა. როცა ნინო ბურჯანაძემ ფილარმონიაში ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეხვედრა მოგვიწყო, მაშინ ვთქვი, რომ ორ ნოემბერს ველოდი, როგორც ჩემი შვილის, გოგიას დაბადებას და „გამიჩინა“ ვიღაც „კრეტინი“, „მონსტრი“. მე არ ველოდი ასეთ „ბავშვს“. თავის დროზე, ზურაბ ჟვანიას მივეცი ხმა. ნინოც ძალიან გაწონასწორებული პოლიტიკოსია, ის არასდროს დაუშვებს სერიოზულ შეცდომას. ჩემი წიგნიც – „სხვა საქართველო სად არის?“ – „გაერთიანებული დემოკრატების“ პარტიას მივუძღვენი, მაგრამ ამ შემთხვევაში მიშა საკაშვილი გახდა ლიდერი, მისი დამსახურებაა ამდენი ხალხის გამოყვანა. ხალხი მას ენდო და ამის დაკარგვა არ შეიძლება. სამთავრობო ბლოკის ერთ-ერთმა წევრმა, თამაზ გიორგაძემ ერთხელ სიკეთე გამიკეთა – მიშოვა წამალი, რომლის გარეშეც მოვკვდებოდი, მაგრამ ის ისე ცუდად ელაპარაკებოდა ახალგაზრდობას, ჩემი შვილის ტოლა ხალხს, რომ ლამის კუჭიდან ამოვიღო და უკან დავუბრუნო ეს წამალი... მე უკვე დავბერდი, სადაცაა 80 წლის გავხდები. პენსია 14 ლარი მაქვს და ისიც, აგვისტოდან არ ამიღია. სირცხვილია, 14 ლარს რომ მამადლი მე, – კაცს, რომელსაც 14 და მეტი ორდენი მაქვს, მათ შორის, „ხალხთა მეგობრობის ორდენიც“, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს მივიღე...

— ღირსების ორდენი თუ გაქვთ?

– კი, ორი ცალი!.. ერთი, რომ მომცეს, მეორე გამომიგზავნეს ცოტა ხანში. ვუთხარი – უკვე მაქვს-მეთქი. ჩაბარება მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე – არ მიყვარს ჩემი მოქმედებების აფიშირება. მე არა ვარ ლოზუნგების კაცი.

— პრეზიდენტ შევარდნაძეს თუ იცნობთ პირადად?

– რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ვიცნობ. ერთხელ კანცელარიაში დიდი თათბირი იყო. ედუარდი თავის მიღწევებს აჯამებდა. საქართველოს ყველა რაიონიდან იყვნენ ჩამოსულები წარმომადგენლები. მოხსენებებს არ აკეთებდნენ, ალბათ დრო ენანებოდათ და აჩვენებდნენ ფილმებს. როცა გაუშვეს ფილმი, სადაც ნაჩვენები იყო, სამეგრელოში ბავშვებმა როგორ დაკლეს და შეჭამეს ძაღლი, ადგა ავღანეთის ომის მონაწილე მეომარი და თქვა – ამ სურათის მერე მე სათქმელი არაფერი მაქვსო. ბოლოს, მე მომცეს სიტყვა. ბატონი ედუარდი ჩემ უკან იჯდა, მე მის გასაგონად ვლაპარაკობდი. ვთქვი – არ მინდა, თქვენი მოწყალება – 14 ლარი; ორი ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, იკითხეთ რჩევა – იქნებ, მე უკეთ გირჩიოთ, ვიდრე თქვენმა კონსულტანტებმა, რაღაცაში გამომიყენეთ, ბოლოს და ბოლოს, ქუჩა დამაგვევინეთ, რომ პურის ფული მქონდეს-მეთქი!.. მერე წავედი და დავჯექი. შევარდნაძემ თქვა – ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ქვლივიძის სიტყვებს, ის ჭკვიანი კაცია და მე რომ „სიკეთის ორდენი“ მქონდეს, მას მივცემდიო. საინტერესოა ერთი დეტალიც: რომ მივედი, ათასი ნაცნობი შემხვდა და არავინ მომესალმა; ალბათ იმიტომ, რომ ძველი პიჯაკი მეცვა. ედუარდის სიტყვების შემდეგ, რიგი დადგა ჩემთვის ხელის ჩამოსართმევად. ეგონათ, რომ მეორე დღეს, მინისტრი გავხდებოდი. იდიოტები, საბჭოთა აღზრდის ხალხი!.. მე არც მანქანა მქონია ოდესმე და არც თანამდებობები. ვწერდი და მგონი, ცუდად არა. ერთხელ კობა იმედაშვილთან მივედი და ვუთხარი: ფული არა მაქვს, წიგნი რომ გამოვცე და იქნებ, უთხრა პრეზიდენტს-მეთქი. – შენ ხომ იცნობ, თვითონ მისწერეო, – და იქვე, ნაცრისფერ ქაღალდზე დავწერე: ბატონო ედუარდ, დავბერდი და მინდა, გამოვცე წიგნი ისე, როგორც ეს მე მინდა; ამისთვის 1.000 დოლარი მომთხოვეს; თქვენ იცით, რომ პენსია 14 ლარი მაქვს, 1.000 დოლა-

რის შესაგროვებლად 250 წელი უნდა ვიცხოვრო; მართალია, პრეზიდენტი ბრძანდებით, მაგრამ ამის გარანტიას ვერ მომცემთ; თუ შეგიძლიათ დამეხმარეთ-მეთქი... ორი კვირის შემდეგ უთხრა კობას – მიშას დაურეკე და გამომცემლობაში კარგად დაითვალონ, იქნებ ნაკლები დასჭირდესო. წავედი გამომცემლობაში და იგივე „დამითვალეს". მერე თანხა გადარიცხა თავისი ფონდიდან ქვლივიძის წიგნის გამოსაცემად. ძალიან გამიხარდა, ალბათ ეს ჩემი ბოლო წიგნია. ძალიან ლამაზი გამოვიდა. ერთი ცალი გავუგზავნე და წავაწერე: „დიდი მადლობა ჩემი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის". თუმცა, ვერც ამ ფაქტით და ვერც იმ წამლებით ვერ გადამიბირეს. მე ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩვენი ქვეყანა არეული იყო, უზნეო მთავრობა გვყავდა და უზნეო ნომენკლატურა. ჩემთვის ედუარდი ცეკას მდივანი იყო და დარჩა. დრო იყო უკვე ყველაფრის შეცვლისა.

— ბატონო მიხეილ, როგორც ვიცი, თქვენ მწერალთა კავშირის წევრი არა ხართ.

– 1946 წლიდან ვიყავი მწერალთა კავშირის წევრი. რამდენიმე ხნის წინ, მე და ვახუშტი კოტეტიშვილმა დავწერეთ განცხადება და წამოვედით იქიდან. აღარ იყო ეს მწერალთა კავშირი. ნორმალური აღარავინ დარჩა იქ. თავმჯდომარე დარბაზს აქირავებს ხოლმე და საშინელი რამეები ხდება. გოგი თოფაძე მიიღო წივწივაძემ მწერალთა კავშირში: თურმე, რაღაც ბროშურა ჰქონია დაწერილი – „როგორ უნდა იარო თხილამურებზე".

— მთელი წლის განმავლობაში კლუბ „სარდაფში" ლიტერატურული საღამოები მიგყავდათ და ბევრ ახალგაზრდა პოეტსა და მწერალს ხვდებოდით. როგორ შეაფასებდით მათ?

– გადასარევი თაობაა. მე, როგორც ბებერმა და ბუზღუნა კაცმა, შეიძლება, ერთადერთი რამ ვუსაყვედურო: ჩემს დროს, თქვენს ასაკში მებრძოლები ვიყავით და დისიდენტურ ლექსებს ვწერდით, რისთვისაც შეიძლება, დავეჭირეთ. ახალი თაობა უფრო პრაგმატულია. შემოქმედებაში უნდა აისახებოდეს ის, რაც ქვეყნაში ხდება! ერთხელ რაიონში ვიყავი და ერთმა ქალმა მითხრა – რასაც მე ვფიქრობდი, ზუსტად ის დაწერეთო. რასაკვირველია, იწერება იმისთვის, რომ გულში მოგხვდეს, იწერება იმისთვის, რომ ან აგატიროს, ან გაგაცინოს, ან გაგაბრაზოს და ა.შ. ბედნიერებაა, რომ თქვენს თაობას ტვინი არა აქვს გამოლაყებული მარქსიზმ-ლენინიზმით, სტალინიზმით და ა.შ. თქვენს თაობას უკვე ის აქვს კარგი, რომ ყველაფერს ისე არ იღებს, როგორც აწვდიან. პავლიკ მაროზოვებს თქვენ არასდროს არ შობთ. კომუნისტებს ძალიან უყვარდათ მკვდარი გმირები, ცოცხლები – არა. ჩკალოვი მათ მოკლეს, გაგარინიც მათ „გაასაღეს". სტალინმა გორკიზე თქვა – Надоел мне этот старик-ო! – და მოწამლეს. ყოველთვის ვიხვეწებოდი – მომეცით იმის საშუალება, რომ სკოლაში, თუნდაც თვეში ერთხელ, ადამიანობის გაკვეთილები ჩავატარო-მეთქი... ჩემი შვილი პირველ სკოლაში სწავლობდა. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა შეხვედრა მომიწყვეს. კარგი საღამო იყო, ბავშვებმა ჩემი ლექსები წაიკითხეს. მერე ვითხოვე – გაკვეთილს ჩაგიტარებთ-მეთქი. ერთი გაკვეთილი დამთავრდა, ზარი დაირეკა, მეორე დაიწყო და ეს მოსწავლეებს არ გაუგიათ. რომ გამოვედით, დამრიგებელმა მკითხა – რა უთხარით ასეთი ამ მხეცებს, ასე წყნარად რომ იყვნენ?.. ვესაუბრე ყველაფერზე – ფილმებზე, ქალებზე, მუსიკაზე და ა.შ. ჩვენი უბედურება ის არის, რომ სამაგალითო ადამიანია ცოტა. თემიკო ჩირგაძე იყო სამაგალითო ადამიანი, ის რომ გაკვეთილზე შეგეშვა, დახოცავდა ბავშვებს სიცილით.

— ბატონო მიშა, თქვენი შვილი, გიორგი, საკმაოდ ახალგაზრდა — 20 წლის არის. თუ ხედავ მასში რაიმე ისეთ თვისებას, რომელიც არ მოგწონთ?

– სასაცილოა, მაგრამ მე არ მომწონს მისი კარგი თვისებები. მე მის ასაკში სასწაული „ბაბნიკი" ვიყავი, ეგ ძალიან წესიერი ბიჭია. ორი ენა იცის, კომპიუტერი იცის კარგად, სწავლობს არქიტექტურულზე და მუშაობს. მეორე კურსზეა და უკვე ფული შემოაქვს ოჯახში. ცოტას კითხულობს, მაგრამ დრო არა აქვს – ინსტიტუტი, სამსახური დ ა.შ.

— თქვენი ქალიშვილები — თამარი და ნატო სად ცხოვრობენ?

– ერთი რუსეთშია, მეორე კი ქმარმა ამერიკაში წაიყვანა. კვირაში ერთხელ მაინც მირეკავენ. ძალიან უნდათ, რომ დიდხანს ვიცოცხლო. არ ვიცი, როგორ იქნება... მე თბილისში მას შემდეგ დავბრუნდი, რაც პირველი მეუღლე, ჩემი შვილების დედა გარდაიცვალა. მაშინ ბევრი სევდიანი ლექსი დავწერე. მათ შორის არის „წლისთავი". აღწერილი მაქვს საავადმყოფოს დერეფანი იმ ოპერაციის წინ, რომელიც მან ვერ გადაიტანა. შევატყვე – ეშინოდა, მაგრამ მე რომ დავეწყნარებინე, იცინოდა... ლექსში ვწერ – გავიდა წელი. ახლა შენ, სავსებით გამოჯანმრთელებული, მარტო ჩემს ხსოვნაში ცხოვრობ და ისეთი შიშით, როგორითაც ოპერაციას ელოდი, ჩემი მეხსიერებიდან „გაწერას" ელოდები-მეთქი. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. სხვა ცოლი მყავს, შვილი და ა.შ. მაგრამ ჩემი მეხსიერებიდან ის არ „გამიწერია". პოეტმა ის უნდა თქვას, რასაც განიცდის – სხვანაირად არ შეიძლება.

— ლექსში — „ავტოპორტრეტი" — საკუთარ თავს „კეთილი განზრახვის ავანტიურისტს" უწოდებთ. რას ნიშნავს ეს?

– მოსკოვში მწერალთა კავშირში „კა-გე-ბედან" გამოგზავნილი გენერალი გვყავდა, რომელიც ბერიამ თავის დროზე ჩასვა. ის კაცი ამბობდა – ბევრი ქართველი მეგობარი მყავდაო, – და უყვარდა საქართველო. რატომღაც მეც ვუყვარდი. ჩვენს სათვალთვალოდ იყო გამოგზავნილი, მაგრამ კარგი ურთიერთობა მქონდა. საზღვარგარეთ მიშვებდა ხოლმე. ერთხელ უნგრეთში წავედი და ყირაზე გადავდივარ, ისე ვატარებ დროს, როგორც მინდა. ღამის ორ საათზე დავბრუნდი სასტუმროში და ეს კაცი დავინახე. შემეშინდა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ არ მომეწონა ეს ამბავი. დილით მეუბნება – ერთად ვისადილოთ, წამოდი საელჩოში, ბორშჩი ვჭამოთო. – ხომ არ გაგიჟდი? უნგრეთში ხარ, რა დროს ბორშჩია-მეთქი?! – და რესტორანში წავიყვანე. თევზის ძალიან ცხარე კერძი შევუკვეთე. ეს კაცი პენსნეს ატარებდა ბერიასავით. კოვზი რომ აიღო, გამომხედა და მითხრა – Ты знаешь, кто ты такой? – Кто? – ვკითხე მე. – Ты бытовой авантюрист! – მიპასუხა და მომეწონა ეს გამოთქმა. მაშინ ვიფიქრე: ამდენ დაპირებას იძლევა პოეტი – ამას გავაკეთებ, იმას გავაკეთებ... ავანტიურისტი ხარ, აბა, რა?!. არ გეყოფა არც სიცოცხლე და არც ძალა ამის გასაკეთებლად – ამიტომ ხარ ავანტიურისტი...

მიხეილ ქვლივიძის იმ კრებულს, რომელიც ედუარდ შევარდნაძის შეშწეობით გამოიცა, გარეკანზე, სათაურის მაგივრად, ბატონი მიშას ლექსი აწერია:

„მსურს, დასასრული ჩემი ცხოვრების
შევიტკბო, როგორც უფლის წყალობა
და მეც ვიცოდე (დაახლოებით!)
„რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა"!

■

ლელა ჭანკოტაძე

ერთ დღეს შეიძლება ედუარდ შევარდნაძე რუსთაველზე მოსეირნეც ვიხილოთ...

„ხავერდოვანმა რევოლუციამ“ ვადამდე ერთი წლით ადრე აქცია აქტუალურად ექსპრეზიდენტის ბედ-იღბლისა და, აქედან გამომდინარე, მისი უსაფრთხოების გარანტიების თემა. რას ფიქრობენ პოლიტიკოსები, ცნობილი ადამიანები და რიგითი მოქალაქეები ამ პრობლემაზე? როგორი წარმოუდგენათ პენსიონერი ედუარდ შევარდნაძე?

შალვა ნათელაშვილი:

— პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ალბათ, უნდა აკეთოს ის, რასაც უკვე აკეთებს: კარგ ხასიათზეა, ხუმრობს და აძლევს ინტერვიუებს. მე არა ვარ არც შევარდნაძის ბიოგრაფი და არც ფსიქოლოგი და ვერ ვიტყვი, რას განიცდის ის. მაგრამ დარწმუნებული ვარ — მისი მომავალი მოღვაწეობის ერთ-ერთი სფერო მემუარების წერა იქნება. ადამიანი სანამ ცოცხალია, რაღაცნაირად ერევა პოლიტიკაში, თუნდაც, სოფლის არჩევნების დონეზე. ცხადია, ედუარდ შევარდნაძეც შეეცდება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევას.

— თქვენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა, რომ ის რომელიმე პოლიტიკური პარტიის სახე გახდეს ან თავად შექმნას პარტია?

— თუ მიხაილ გორბაჩოვის მაგალითს გაითვალისწინებს, რომელმაც ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი თავმჯდომარეც გახდა, გასაკვირი არ იქნება. მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ჩვენში ამ პარტიას ჯერჯერობით, წარმატება არ ჰქონია. საერთოდ, უნდა დამკვიდრდეს ტრადიცია, რომ პრეზიდენტმა ღირსეულად შეძლოს გადადგომა და დამსახურებულ პენსიაზე გასვლა. ეს განსაკუთრებით იოლად უნდა მოახერხოს ედუარდ შევარდნაძემ, რადგან საქართველოში ადგილი ჰქონდა „მემკვიდრეობით გადატრიალებას“: შევარდნაძის ნაცვლად, ხელისუფლებაში მისი მემკვიდრეები მოვიდნენ. გავიხსენოთ, როგორ დაახრჩვეს პავლე I თავისი კარის გენერლებმა, შემდეგ კი, ტახტზე მისი შვილი ალექსანდრე I ავიდა. იგივე განმეორდა საქართველოშიც: ერთი ედუარდ შევარდნაძის მაგივრად მივიღეთ სამი მზაკვარი შევარდნაძე: ჟვანია-ბურჯანაძე-საკაშვილი. ამის შემდეგ, განა რამე მნიშვნელობა აქვს იმას, პრეზიდენტი ჩაერევა თუ არა მათ საქმიანობაში?!

ზურაბ ტყემალაძე:

— წინა საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე, გოგი თოფაძემ ასეთი განცხადება გააკეთა: დროა, ედუარდ შევარდნაძე პენსიაზე გავიდეს და მემუარების წერა დაიწყოსო. როგორც იქნა, დადგა დრო, როცა ის მემუარების წერით უნდა დაკავდეს, თუმცა მგონია, რომ ცოტა დაუგვიანდა კიდეც. მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს და ვფიქრობ, ახალგაზრდა პოლიტიკოსებს მისი გამოცდილების გაზიარება არ აწყენდათ. იმავეს ვერ ვიტყვი ჩვენზე, „მრეწველებზე“.

— რატომ? ბიზნესში პრეზიდენტი ვერ ერკვეოდა?

— ერთადერთი სფერო, რაშიც მას თავისი შესაძლებლობები არ მოუსინჯავს, სწორედ ბიზნესი იყო. ჩვენ არ ვაპირებთ პრეზიდენტთან კონსულტაციებზე მისვლას, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ — ვინც არ უნდა მივიდეს კონსულტაციებისთვის, შევარდნაძე უარს არავის ეტყვის. რაც შეეხება საქართველოში მის დარჩენას — მიმაჩნია, რომ გამართლებული ნაბიჯია. ქართველი კაცი საქართველოში დარჩა — ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს?! ალბათ, ეს იმისთვის არ გაუკეთებია, რომ პოლიტიკაში ჩაერიოს. მომხდარმა აჩვენა, რომ ბოლო პერიოდში, შევარდნაძეს თავისი გარემოცვა პოლიტიკაში საერთოდ არ რევდა. იმედია, არც ახლა ჩაერევა.

ვახტანგ ხმალაძე:

— ვფიქრობ, რომ ექსპრეზიდენტი პოლიტიკაში უნდა ჩაერიოს მხოლოდ კონსულტანტის სტატუსით. მე ეს კონსულტაციები არ დამჭირდება, რადგან იმ სფეროში, რომელშიც მე თავს კომპეტენტურად ვთვლი, პრეზიდენტი მოიკოჭლებს, ხოლო რაშიც ედუარდ შევარდნაძე ძლიერია (ვგულისხმობ დიდ პოლიტიკას), ჩემთვის მიუწვდომელია. საერთოდ, ექსპრეზიდენტთან თუ ითანამშრომლებენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავენ, არაფერს წააგებენ.

— რა უნდა გააკეთოს ექსპრეზიდენტისთვის ქვეყანამ, რომელსაც ის მართავდა?

— აუცილებელია, ექსპრეზიდენტს დაენიშნოს სპეციალური, სახელმწიფო პენსია და მოხდეს მისი დაცვით უზრუნველყოფა. ცხადია, დაცვის მასშტაბი უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე მოქმედი პრეზიდენტისა, მაგრამ დაცვა მაინც აუცილებელია. პენსიაც იმაზე ნაკლები დაენიშნება, რა ხელფასიც ჰქონდა და დამერწმუნეთ, ეს არ იქნება 14 ლარი, რაც არათუ ექსპრეზიდენტს, არამედ იმ ადამიანსაც არ უნდა ჰქონდეს, ვისაც არასდროს უმუშავია, არც წერა-კითხვა იცის და არც მეტყველების ან გადაადგილების უნარი აქვს... იმედი მაქვს, პენსიონერი პრეზიდენტი უკეთ გაუგებს ჩვენს პენსიონერებს.

ირაკლი მინდელი:

— ჩვენ არანაირი კონსულტაცია არ გვექნება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან. თუნდაც იმიტომ, რომ მას ამის სურვილი არ გამოუთქვამს. ჩვენს ამოცანას ვხედავთ სოციალისტური პარტიის ფეხზე დაყენებაში. გვინდა, მომავალზე ვიფიქროთ და ვიბრძოლოთ. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პოლიტიკაში აღარ ჩაერევა, აქტიურ მონაწილეობას აღარ მიიღებს. ვერ გეტყვით, რომ ამ პირობას შეასრულებს. მას ჩემზე უკეთესად იცნობენ ის პირები, ვინც დღეს

ხელისუფლებაში არიან. მე ერთი-ერთზე პრეზიდენტს არც შევხვედრივარ.

ვასილ მაღლაფერიძე:

— ედუარდ შევარდნაძე ჩვეულებრივი მოქალაქეა და მას აქვს ყველაფრის გაკეთების უფლება, რასაც მოინდომებს. ასე რომ, შეუძლია, რაღაც ფორმით პოლიტიკაშიც დაბრუნდეს. არა მგონია, რომ მან ჩამოაყალიბოს პოლიტიკური პარტია, მიუხედავად იმისა, რომ ამის უფლება, ცხადია, აქვს. რაც შეეხება მისი ოჯახის დაცვით უზრუნველყოფას — პარლამენტმა წლების წინ დაამტკიცა კანონი, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ როგორი გარანტიები უნდა ჰქონოდა ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოჯახს. ასე რომ, ედუარდ შევარდნაძემ, კანონით მინიჭებული გარანტიები რომ ექნებოდა, პრეზიდენტობის პერიოდშივე იცოდა. მისთვის გარანტიები არავის უწყალობებია, გარანტიები კანონიერად მიიღო. სხვა საკითხია, თუ რამდენად აღელვებდა პენსიის ოდენობა, რადგან როგორც თავადაც აცხადებს, ის საკმაოდ შეძლებული ადამიანია.

დავით უსუფაშვილი:

— მე ვისურვებდი, რომ ჩვენმა ახალმა ხელისუფლებამ მოახერხოს ქვეყანაში წესრიგის დამყარება; მოხდეს ქვეყნის წინსვლა ეკონომიკური თვალსაზრისით და დამკვიდრდეს დემოკრატიული პრინციპები. მხოლოდ ამგვარი სტაბილურობა უეჭველად მოიტანს იმას, რომ ერთ დღეს შეიძლება, ედუარდ შევარდნაძე რუსთაველზე მოსეირნეც კი ვიხილოთ...

ჯანსუღ ჩარკვიანი:

— მე კარგად ვიცნობ პრეზიდენტს. თუ რომელიმე პოლიტიკური მოღვაწე, მინისტრი ან გუბერნატორი მივა მასთან და აზრს ჰკითხავს, ცხადია, დაეხმარება, მაგრამ თავისი ინიციატივით რომ ჩაერიოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამას არაფერით გააკეთებს. ჩვენ ევროკავშირში შესასვლელები ვართ, ნატოსკენ გზა უკვე გაკვალული გვაქვს, წინ ბევრი სირთულე გველოდება; მე მგონია, რომ მისი გამოცდილება გამოგვადგება.

— თქვენი აზრით, რა საქმიანობას უნდა მოჰკიდოს ხელი ექსპრეზიდენტმა?

— პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყველა წიგნი მაქვს წაკითხული. ის საინტერესოდ წერს, შეეძლო, ბრწყინვალე ჟურნალისტი ყოფილიყო. მას ბევრი რამე დარჩა მოსაგონარი და დასაწერი. მაგალითად, როგორ დაანგრია საბჭოთა კავშირი, როგორ დაშალა ბერლინის კედელი, როგორ დაუდგა ძეგლი ქართულ დედაენას. მე რომ „დათა თუთაშხიას“ ვბეჭდავდი „ცისკარში“, რუსული ცენზურა მძვინვარებდა, ედუარდ შევარდნაძე კი, ქართველ მწერლებს გვერდში გვედგა. ეს უნდა გაიხსენოს, ამისთვის უნდა მოიცალოს.

— როგორ აფასებთ მის გადაწყვეტილებას — დარჩეს საქართველოში და არ წავიდეს ემიგრაციაში?

— საქართველოდან რომ წასულიყო, უსაყვედურებდნენ: სამშობლო მიატოვა და გაიქცაო, ამიტომ, ძალიან გამართლებულია მისი გადაწყვეტილება. არ მქონია მასთან პირადი საუბარი. როცა ურეკავენ და ეკითხებიან — რას აპირებთო, პასუხობს: დამანებეთ თავიო... კარგი იქნება, თუ აცლიან დასვენებას. საბჭოთა კავშირის დანგრევისთვის რუსმა ერმა მიხაილ გორბაჩოვს „ნობელის პრემია“ მისცა. ჩვენ შევარდნაძეს მივეცით დედის გინება და „კმარა“. „საქართველო შევარდნაძის გარეშე!“ — არ არის მართებული ლოზუნგი, ისევე, როგორც არ იქნება მართებული, მე რომ ვთქვა — „საქართველო საკაშვილის გარეშე!“. არც ვიტყვი ამას. დარწმუნებული ვარ — მთელი მსოფლიოს პოლიტიკოსები მომავალში ჭკუას დაეკითხებიან ედუარდ შევარდნაძეს. ქართველმა პოლიტიკოსებმა კი შეიძლება, ჭკუა არ ჰკითხონ. მე გამიხარდებოდა, თუ ჰკითხავენ.

— თქვენ როგორ ფიქრობთ — შეიძლება, პრეზიდენტმა საკუთარ მხარდამჭერებთან ერთად ახალი პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბოს?

— პრეზიდენტი არანაირ პარტიას არ შექმნის. სხვა საქმეა, თუ ამას დააბრალებენ. უკვე თქვეს: ჯანსუღ ჩარკვიანი პარტიას ქმნისო. ისეთ პოეტს რა ვუთხარი, პარტიას რომ ჩამოაყალიბებს!..

გიორგი ზედგენიძე, *იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:*

— ცივილიზებულ სამყაროში მიღებულია, რომ პრეზიდენტი კარიერის დასრულების შემდეგაც პრეზიდენტად მოიხსენიონ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეფასდა მისი საპრეზიდენტო მოღვაწეობის პერიოდი. ექსპრეზიდენტისთვის გარანტიების მიცემა და მისი ღირსების დაცვა დემოკრატიულ ქვეყნებში, სახელმწიფოს ღირსების დაცვასაც ნიშნავს. მაგალითად, აშშ-ს დღემდე, 42 პრეზიდენტი ჰყავდა. თითოეული მათგანის ოჯახის მატერიალურად და დაცვით უზრუნველსაყოფად, ფინანსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა. გათვალისწინებულია ყველა წვრილმანი — საფოსტო ხარჯებიც კი. ცნობილია, რომ იქ ექსპრეზიდენტს პენსია თვეში 9.500 დოლარი აქვს. ცხადია, საქართველოში ასეთი დიდი პენსია ედუარდ შევარდნაძეს ვერ დაენიშნება, მაგრამ მას აუცილებლად უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ უზრუნველი სიბერე ჰქონდეს. თუ პრეზიდენტს სათანადოდ მოვეპყრობით, ამით საკუთარ ღირსებასაც შევინარჩუნებთ მთელი მსოფლიოს თვალში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში, საქართველო საერთაშორისო საზოგადოების თვალში მაინცდამაინც ღირსეულად ვერ გამოიყურებოდა.

თამარ სოფრომაძე, *დიასახლისი:*

— მე მომიტინგეთა შორის ვიდექი და გაოგნებული დავრჩი, როცა მიხეილ საკაშვილმა გამოაცხადა: კიდევ ერთი საათი მივცეთ პრეზიდენტს მოსაფიქრებლადო! ჩემ ირგვლივმყოფი ადამიანებიც აღშფოთდნენ: ვის უნდა შევუნარჩუნოთ ღირსება? იმას, ვინც ღირსება წაგვართვაო?!. მაშინ ისეთი აღტკინებულები ვიყავით, რომ ალბათ, ჩვენს ისტორიაში სამარცხვინო ლაქად დარჩებოდა ის, რასაც ჩავიდენდით. ჩვენ პრეზიდენტის ჩამოგდება გვსურდა. სამოცდაათი წლის პენსიონერი ქეთო სიხარულიძე, რომელიც ითხოვდა, აეყვანათ „იკარუსზე“, რათა დაენახა, როგორ გარბოდნენ პრეზიდენტის მხარდამჭერები, ჰყვებოდა: უფულობის გამო, ჩემი ერთადერთი შვილი საოპერაციო მაგიდაზე დაიღუპა — ოპერაციის გაკეთება დაგვიანდა; აქ იმიტომ ვდგავარ, რომ პირველი ქვა მე ვესროლო შევარდნაძეს, ჩემი შვილის სიკვდილი ხომ, მის სინდისზეაო... ახლა კმაყოფილი ვარ, მშვიდობიანად რომ გადადგა შევარდნაძე, მაშინ კი, მხოლოდ მისი ჩაქოლვა მინდოდა.

ხათუნა გედევანიშვილი, *ექიმი:*

— მეშინოდა, ხალხს პრეზიდენტი არ ჩაექოლა. მომიტინგეები ისეთ ეიფორიაში იყვნენ, ტანკებსაც კი გადაუვლიდნენ. მე არ მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად გადადგა — ის წავიდა იმიტომ, რომ სხვა გზა აღარ ჰქონდა. ძალოვნებმა ღირსეულად ვერ დაიცვეს. კახა თარგამაძე ერთ-ერთ ინტერვიუში წერს: ჩემი მინისტრობის დროს პრეზიდენტი ასე სამარცხვინოდ რომ გადაეყენებინათ, ტყვიას დავიხლიდი შუბლშიო... ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ჩემს საწინააღმდეგოდ, მშიერ-მწყურვალ ხალხს, წვიმასა და სიცივეში უდვრტვინველად რომ დაეწყო ცეკვა-თამაში და სიმღერა, თავს არ ვიცოცხლებდი... ჩვენ, მომიტინგებმა, პრეზიდენტი მოვიკვეთეთ. რაღა აზრი აქვს სამშობლოში მის დარჩენას?! დამიჯერეთ — ვერასდროს ვერ შეძლებს ქუჩაში გამოსვლას, როგორც ამას მიხაილ საკაშვილი აკეთებს. ის თავის სამშობლოში პატიმარია. მან ეს განაჩენი საკუთარ თავს საკუთარი ნებით გამოუტანა.

■

მარი ჯაფარიძე

„გზის“ წინა ნომრის „სასიძო“, ლექს-სენი გახლდათ. მის სახელზე მოსულმა გამოხმაურებებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ყველა რეკორდი მოხსნა: ათას სამასზე მეტი „მესიჯი“ მივიღეთ. რა თქმა უნდა, ყველას ვერ გამოვაქვეყნებთ, მაგრამ ლექსომდე უკლებლივ ყველა გზავნილი მივა. მოკლედ, რადგან ამ კვირაში მე და ჩემი ტელეფონი ლექს-სენის ფანების შემოტევას გადავურჩით, ახლა გამოხმაურებებს გაგაცნობთ, ბოლოს კი, ლექსოსა და შორენა ჯაფარიძის შეხვედრაზეც გიამბობთ.

ლექსო ქავთარაძე ერთ-ერთი გზავნილის ავტორს, შორენა ჯაფარიძეს შეხვდა. ახალგაზრდები მალე გაუშინაურდნენ ერთმანეთს...

„ლექსო, დამღალე, მალე გავიზრდები...“

„ლექსო, მე უშენოდ ვიტანჯები. როგორ მინდა, ახლა ჩემთან იყო და მათბობდე. ღამე ისე არ გავა, რომ შენს სურათს არ დავხედო. „მაგნიფიკა მუჩაჩა“.

„ლექსო, გამოჩნდი და მივხვდი, რომ გული მქონია. მე ხომ არ მეძებენ შენი სევდიანი თვალები? თეონა“.

„ეჰ, ლექსო, ლექსო, მინდა, რომ მარტო ჩემთვის მღეროდე. რა ვქნა, სხვები დავაყრუო თუ შენ აგაფარო პირზე ხელი?“

„ვაიმე, დავიღუპე! ლექსო, მგონი, მართლა მიყვარხარ“.

„ლექსო, არც იფიქრო ცოლის მოყვანაზე. დამელოდე, მალე გავიზრდები. თეო“.

„მე ვარ უბრალო, უამრავში მოკვდავი ერთი, რომელიც არის შეპყრობილი იმავე სენით. ნათია“.

„ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემი საყვარელი რეპერი ჩემი გარე ბიძაშვილი აღმოჩნდებოდა. ჩვენი მშობლები ერთმანეთს იცნობენ, ჩვენ — არა. ლექსო, გთხოვ, გამომეხმაურე. ნინო, 13 წლის“.

„ლექსო, დიდი ბოდიში უხერხული შეკითხვისთვის. ჩემს 8 თვის დისშვილს ძალიან უყვარს შენი სიმღერა — „ხელები მაღლა“. რა არის საჭირო, რომ ცოცხლად უმღერო? გთხოვს სალის დეიდა, ანკა“.

„ლექსო, დედაშენი მაგარი „ჯიგარი“ ქალია. ეს რა კარგი რამე მოგიფიქრა. თეონა“.

„მარი, გეფიცებით, რაც ლექსომ თავისი ალბომი გამოუშვა, იმის მერე ვუსმენ. მანქანაში, დილიდან რომ ჩავრთავ, სახლში შემოსვლამდე მის სიმღერებს ვატრიალებ. ჩემს შვილსაც კი შევაყვარე. მე უკვე აღარ ვარ იმ ასაკში, რომ ვინმეს ფანი ვიყო, მაგრამ მაინც მიყვარს. თუ ლექსო შეძლებს და ჩემს 8 წლის გოგონას თავის ფოტოს ავტოგრაფით უსახსოვრებს, ძალიან კარგი იქნება. თუ ეს არ მოხერხდება, არც ეგ არის პრობლემა, ჩვენ მაინც მოვუსმენთ ლექს-სენს. ირინა“.

„ლექსო, რომ მღერი — დამღალეს ჩემმა ქალებმაო, — მეც დამღალეს ჩემმა კაცებმა. მოდი, ერთმანეთი ჩვენ დავღალოთ და... იქნებ, ვერც დავღალოთ? ვინ იცის... თამუნა“.

„ლექს-სენ, სანამ შენ ხალხი გაგიცნობდა, მე უკვე მიყვარდი და მაგარ კაცად წარმომედგინე. ალბათ მიხვდი, რა აფერისტიც ვარ. ემინემს გეფიცები, შენ უფრო მიყვარხარ. შენი 19 წლის ფანი“.

„ლექსო, ჩამოდი ერთი, ქუთაისში და კარგი პურმარილი ჩემზე იყოს. შაკი“.

„როდესაც სინათლეს ვაქრობ, შენი ანგელოზი ფანჯარასთან მოდის და დილამდე ჩემთან რჩება. მესაუბრება და იმედს მაძლევს. ამას წინათ მითხრა — იქნებ, შეგიყვაროსო, — და მეც მას შუბლზე ვაკოცე. რომ გამოვფხიზლდი, ფანჯარას ვკოცნიდი. ლექს-სენ, მიყვარხარ. თათია“.

„ჩემო გიჟო, ღმერთმა ისე გაგაგიჟოს, რომ ჩემს მეტმა ვეღარავინ დაგამშვიდოს. რუსკა“.

„და ვინჩის შედევრი, ფელინის მუზა, აივაზოვსკის აბობოქრებული ტალღა და ვერიკოს სუნთქვა — აი, ვინ არის ლექს-სენი. ვერიკო, 20 წლის“.

ახლა კი, შორენასა და ლექს-სენის შეხვედრაზე გიამბობთ. მართალია, შორენა ჩემი მოგვარეა, მაგრამ ჩაწყობილი საქმე არ გეგონოთ. ღმერთმა ხომ იცის, რომ ეს მშვენიერი გოგონა პირველად ვნახე?!.

ახალგაზრდები ერთმანეთს მალე გაუშინაურდნენ და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ლექსო, შენი ახალი სიმღერა ძალიან მომეწონა. კიდევ ხომ არ აპირებ სიახლის შემოთავაზებას?

— კი, ახლა ვიწყებ მუშაობას ახალ სიმღერაზე და ალბათ, უმოკლეს ხანში, ისიც აჟღერდება.

— მომავალში, პოლიტიკაში წასვლას ხომ არ აპირებ?

— არა, ჯერ არა და ვფიქრობ, ასეთ ნაბიჯს არც მომავალში გადავდგამ. შენ რატომ მოგწონს რეპი?

— მე შენ უფრო მომწონხარ და შენს შემოქმედებასაც სწორედ ამიტომ ვუსმენ... შენ რომ ასეთი პოპულარული ხარ, როგორ უძლებ თაყვანისმცემლების შემოტევას?

— გასაძლები რა არის? უბრალოდ, ყოველთვის მიკვირს, რატომ არის, რომ ორი წლის წინ ზედაც არავინ მიყურებდა, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვიყავი, დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად არ შევცვლილვარ, ამდენი თაყვანისმცემელი მყავს. გამოდის, რომ ჩემი სიმღერები მოსწონთ. თუ ასეთი არ არის, ალბათ ოდესმე მაინც ამოვხსნი ამ ამოცანას...

შორენას თან მეგობარი გოგონა ახლდა და მან გაამხილა, რომ თურმე, შორენას სანაძლეო ჰქონია დადებული მეგობარ გოგონებთან: „გზა“ რომ წაუკითხავთ მაშინ უთქვამს — მე ლექს-სენს აუცილებლად შევხვდებიო... ლექსო დაინტერესდა, ნაძლევის პირობით და აღმოჩნდა, რომ ახალი წლის შემდეგ, გოგონას ერთი კარგი პურმარილი ელოდება. ლექს-სენმა აღუთქვა — თუ იქ მოსვლას ვერ მოვახერხებ, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას მოვიშველიებ და დაგირეკავ მაინცო. ბოლოს, ლექსომ შორენას თავისი ავტოგრაფი აჩუქა, გამომშვიდობებისას, თბილად გადაკოცნა და თავისი მობილურის ნომერიც მისცა, იმ პირობით, რომ სხვას არავის გაუმხელს.

ამჯერად სულ ეს გახლდათ, რისი მოყოლაც მსურდა თქვენთვის. შეხვედრა შედგა. დანარჩენს ბედი გადაწყვეტს. ■

მარი ჯაფარიძე

"სწორედ რომ საუკეთესო სასიძო ვარ!.."

ამას წინათ, ლევან ღვინჯილიას დავურეკე და ვკითხე: სიტყვა „ბლანჟე“ ქართულია-მეთქი? იცით, რა მიპასუხა? – დაანებე მაგ ბიჭს თავი, მაგას ისიც ეყოფა, ვიტალი ხაზარაძეზე რომ ხუმრობს და მთელი ღამე „უჟასები“ ესიზმრებაო... მაგრამ როგორ გინდა, თავი დაანებო, როცა ამისთანა „სასიძო“ კაცი უცოლოდ დადის, შენ კი ამ დროს, ხანუმად ითვლები და მის დაქორწინებაზე ზრუნვა შენი პირდაპირი მოვალეობაა?!. ეს საკუთარ თავზე ვიხუმრე, რადგან რუბრიკის დღევანდელ სტუმარს, „ღამის შოუს“ წამყვანს, **დათო გოგიჩაიშვილს** *მიაჩნია, რომ როდესაც საკუთარ თავზე ხუმრობ, მერე უფლება გაქვს, სხვაზეც იხუმრო.*

ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ სურვილი გამიჩნდა, ჩემი დღევანდელი ინტერვიუ „არასტანდარტული“ სახით მომეწოდებინა თქვენთვის. სწორედ ამიტომ, გთავაზობთ „გზის“ შოუს მარი ჯაფარიძესთან ერთად!“ დღეს ჩვენ ერთადერთი სტუმარი, დათო გოგიჩაიშვილი იქნება... კარგი შოუ რომ გააკეთო, საჭიროა, ათი კაცის მიერ დაწერილი სცენარი ზეპირად ისწავლო, შემდეგ კი, ეკრანზე გამოაჩინო შენი ღიმილი, მაგრამ ამჯერად, მკითხველის ღიმილით დავკმაყოფილდეთ... მაშ ასე, „ღამის შოუს“ წესისამებრ, მეც მონოლოგით დავიწყებ: ერთ-ერთმა ტელეარხმა ჩაატარა სარეიტინგო გამოკითხვა თემაზე – ვის აქვს ყველაზე კარგი იუმორის გრძნობა? პასუხი მოცემული სამიდან უნდა ამოერჩიათ:

1. ედურად შევარდნაძეს;

2. თემურ მღებრიშვილს;

3. დათო გოგიჩაიშვილს.

რეიტინგის შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ყველაზე კარგი იუმორის გრძნობა აქვს... გია ჭანტურიას.

როგორც ჩვენი საიდუმლო წყაროებიდან შევიტყვეთ, ამ ბოლო დროს, თურმე თეატრალურ ინსტიტუტში ძალზე ბევრი ახალგაზრდა მიდის და კითხულობს: „ღამის შოუს“ წამყვანობაზე მინდა ჩაბარება და ამისთვის როგორ უნდა მოვიქცეო? – როგორ და... უნდა დაიყენო ბლანჟე და პოლიტიკოსებსა და შოუბიზნესის ვარსკვლავებზე ათი სცენარისტის მიერ დაწერილი ხუმრობები ეფექტურად მიაწოდო მაყურებელსო...

ნუ გეშინიათ მტრების – უარეს შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, მოგკლან;

ნუ გეშინიათ მეგობრების – უარეს შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, გაგცენ;

გეშინოდეთ დათო გოგიჩაიშვილის – უკეთეს შემთხვევაში, მან შეიძლება... გაგიღიმოთ.

ახლა კი, ჩვენი „შოუს“ მომდევნო ნაწილი – ანუ ინტერვიუ ტელეწამყვანთან, პირად და „არაპირად“ საკითხებზე.

— დათო, როგორ დაიბადა „ღამის შოუს“ იდეა?

– ნუ... მე ერთი წელი ამერიკაში ვცხოვრობდი. ეს იდეაც სწორედ იქ დაიბადა და პირველი, სასწავლო ეტაპიც იქ გავიარე იმისათვის, რომ მომზადებული დავბრუნებულიყავი. შემდეგ გავაკეთე პროექტი და შევთავაზე რამდენიმე ტელეარხს. „რუსთავი 2“ ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ჩემს იდეას და განვახორციელე კიდეც...

— გადაცემაში მოწვეული რესპონდენტების პასუხები სცენარით არის გათვალისწინებული თუ მთლიანად იმპროვიზაციაა?

– ნუ, ეს პასუხები წინასწარ არის შეთანხმებული. ისე, იმპროვიზაციაც „მოსულა“. სცენარისტები აკეთებენ კითხვებისა და პასუხების რამდენიმე ვარიანტს. პირველი შეხვედრის დროს, რესპონდენტები ეცნობიან ყველა ვარიანტს და სურვილისამებრ, ირჩევენ ერთ-ერთს.

— გადაცემის მსვლელობისას მაყურებელს რჩება შთაბეჭდილება, რომ შენ მხიარული, კარგი იუმორის პატრონი და არტისტული მონაცემების მქონე ადამიანი ხარ...

– ნუ, არც ერთი არ არის ჭეშმარიტება. ის, რასაც მე ვლაპარაკობ, დაწერილია სცენარისტების მიერ. მე ამ პროცესში არ ვმონაწილეობ, ვარ მხოლოდ კოორდინატორი. რაც შეეხება მსახიობურ ნიჭს – მე პროფესიით მსახიობი არა ვარ და არაპროფესიონალებს შორისაც ბევრია ჩემზე ნიჭიერი.

— რომელიმე იმ ადამიანს თუ გამოუთქვამს საყვედური, ვისაც გადაცემაში ახსენებთ ხოლმე?

– ნუ, ყოფილა ერთი-ორი შემთხვევა, რომ დაურეკავთ და უთქვამთ – ჩემზე რომ იხუმრეთ, ზედმეტი ხომ არ მოგივიდათო?!. მერე ერთად დავმსხდარვართ, განგვიხილავს და მიმხვდარა, რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყო და მეტი არაფერი. ბევრ ადამიანს კი სჯერა, რომ რაც უფრო მეტჯერ ვიხუმრებ მასზე, მით მეტ რეკლამას ვუწევ და უთქვამს კიდეც – რა კარგი იყო, ჩემზე რომ იხუმრეთო...

— შენზე რომ იხუმრონ, როგორი რეაქცია გექნება?

– გამეცინება. ეს არის იუმორი, რომელიც ყველას გვაერთიანებს და ყველანი ვიცინით...

— დათო ილურიძესა და მის ბენდზე რომ ხუმრობ ხოლმე, ესეც სცენარით არის გათვალისწინებული?

– ნუ, როცა საკუთარ თავზე ხუმრობ, მერე უკვე უფლება გაქვს, სხვაზეც იხუმრო – უკვე ისე მწვავედ არ ჟღერს. ამიტომ ვხუმრობ ხოლმე სცენარისტებზე, ოპერატორებზე, საკუთარ თავზე... დათო ილურიძე და მისი ბენდიც გადაცემის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ, მათაც ვეხუმრები...

აქ დამთავრდა ჩვენი „შოუს“ მეორე ნაწილი...

„ჰედლაინების“ დროც მოვიდა. „ღამის შოუს“ სცენარისტებმა ბევრი რომ არ იწვალონ, გამზადებულს „მივართმევ“.

— დათო, ინტუიცია გაქვს?

– ცუდი: მღალატობს ხოლმე.

— ეი. საკუთარ ინტუიციას არ ენდობი?

– ნუ, სამწუხაროდ, ვენდობი. ყველა ენდობა... აი, ხომ ხვდები, ქალებს აქვთ ძალიან კარგი ინტუიცია და გადაწყვეტილების მიღების წინ, მაინტერესებს ძალიან ბევრი ინფორმაცია, მეგობარი მა-

მაკაცებისგან...

— როგორია შეყვარებული დათო გოგიჩაიშვილი?

— არ არსებობს...

— რა არ არსებობს?

— ნუ... არა, მინდა ვთქვა, სხვა რაღაცას არქმევენ ხოლმე... შემიძლია გითხრა, როგორია საქმეზე შეყვარებული დათო გოგიჩაიშვილი.

— დათო, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?

— თხის რქას. წლის მიხედვით, არ ვიცი.

— რამდენი წლის ხარ?

— 27-ის.

— შენი თვისებებიდან რომელი მოგწონს?

— ასეთი რამე არ არსებობს. არ ვიცი, ჩემს თავს გარედან ვერ ვუყურებ და ამიტომ ვერ გეტყვით, როგორი შეიძლება ვიყო კარგი.

— ვერც ცუდ თვისებებს ჩამოთვლი?

— კი, როგორ არა?! ვარ აუტანელი, მომთხოვნი თანამშრომლებისა და მეგობრების მიმართ. ჯიუტიც ვარ...

— იქნებ, უფრო — პრინციპული?

— არ ვიცი, არ ვიცი, სიჯიუტესა და პრინციპულობას შორის ზღვარს ვერ ვხედავ.

— პატიება ადვილად შეგიძლია თუ ბოღმიანი ხარ?

— კი...

— რა — კი? ბოღმიანი ხარ?

— კი...

— ოჯახში ვისთან ერთად ცხოვრობ?

— ნუ, წესით, მშობლებთან ერთად უნდა ვცხოვრობდე, მაგრამ სულ აქ ვარ, სამსახურში და საქმეზე ვარ გადაგებული...

— შინ როგორი ხარ?

— მძინავს. როცა შინ ვარ, სულ მძინავს. ამ დროს კი, ძირითადად, არ ვლაპარაკობ ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, არ ვიცი, ვლაპარაკობ თუ არა...

— სააბაზანოში ღიღინი თუ გჩვევია?

— კარგი კითხვაა... კი, სასიამოვნოა, სააბაზანოში ღიღინი...

— იქნებ, რეპერტუარიც გაგვიმხილო?

— რა ვიცი... რომელი მელოდიაც ამეკვიატება ხოლმე, იმას ვღიღინებ.

— საკუთარი სააბაზანოს აკუსტიკა მოგწონს?

— არა, რაღაცები მაკლია (დაფიქრდა)... ა-ა, აკუსტიკა? ნორმალურია. შესაძლებელია, რომ გავაუმჯობესო, მაგრამ არა უშავს...

— ოჯახში ხომ არ გსაყვედურობენ ხოლმე, ცოლი რომ არ მოგყავს?

— კი, მსაყვედურობენ ხოლმე, მაგრამ ვეუბნები — ვინ უნდა მოვიყვანო? მე ვინ გამომყვება-მეთქი?!.

— რატომ? დაგიწუნებენ?

— სამწუხარო სწორედ ის არის, რომ პირიქითაა. სწორედ რომ იდეალური სასიძო ვარ!..

— გამოდის, უცოლოდ იმიტომ ხარ, რომ შენი შესაფერისი გოგონა ვერ იპოვე?

— არა, რაღაც პროტესტის გრძნობა მიჩნდება: არ მომწონს, როდესაც სასიდედროები ფიქრობენ ხოლმე, რომ საუკეთესო სასიძო ვარ. ჯობს, გოგონებმა იფიქრონ ასე და მათ მოვეწონო...

— თავად როგორი ქალბატონები მოგწონს?

— ნუ, პირველ რიგში, ყურადღებას ვაქცევ „ჭკვიანობას", მერე — „ვიზუალურობას", რადგან მიმაჩნია, რომ მთავარია, ჯერ ინტელექტუალური სიახლოვე და მერე — ვიზუალური...

— ახლა კითხვა, რომლის პასუხსაც შენს „ჰედლაინებში" ხშირად იყენებ ხოლმე — ეროტიკულ სიზმრებს თუ ხედავ?

— არა, ეროტიკულს არა, უფრო — „უჟასებს" და „ჟიზნენის" ვხედავ ან კიდევ, კარატეზე...

— ყველაზე მეტად, შინ რის გამო გსაყვედურობენ ხოლმე?

— იმისთვის, რომ იშვიათად ვარ შინ. მოუცლელი ვარ და რა ვქნა?!.

— რაიმე მავნე ჩვევა ხომ არ გაქვს?

— კი, მაქვს: ფრჩხილებს ვიჭამ ხოლმე. ამ ბოლო დროს, კი გამოვასწორე, მაგრამ რამდენჯერმე კბილი მაინც წამცდა...

— წინასწარმეტყველების თუ გჯერა და თუ მკითხაობ ხოლმე?

— გართობის მიზნით — კი. აქ, სამსახურში, გვყავს ერთი საერთო მეგობარი, რომელიც მკითხაობს ხოლმე...

— ყავის ნალექზე მკითხაობს?

— არა მარტო ყავის ნალექზე, სხვა მეთოდებიც აქვს. მაგრამ ამით მხოლოდ ვერთობით...

— შენ შესახებ სხვების აზრი თუ გაინტერესებს?

— კი. ყველაზე მეტად ეგ მაინტერესებს. შენ შესახებ უნდა არსებობდეს როგორც კარგი, ასევე ცუდი აზრი... საერთოდ, „გლობალურად", ისეთი ხარ, როგორიც გარედან ჩანხარ და არა ისეთი, როგორიც შენი თავი გგონია. იმისათვის, რომ ჩემს თავზე წარმოდგენა შემექმნას, ვიშველიებ ხოლმე იმ მეგობრებს, რომლებთანაც დისტანციას არ ვიცავ: ისინი სამართლიანად მეტყვიან აზრს ჩემ შესახებ...

როდესაც ინტერვიუ დავასრულეთ, — დიდი მადლობა, ჩემთვის დრო რომ გამონახეთ-მეთქი, — უნდა მეთქვა, მაგრამ დათო ადგილს ისე სწრაფად მოსწყდა, რომ მარტო სიტყვა „მადლობა" მოვასწარი — დანარჩენი მას დერეფნის ბოლოს „დაეწია", საიდანაც „მზრუნველად" მეძახდა — ლიფტი მანდვეა და ლიფტით ჩაბრძანდიო... ბოლოს შეგახსენებთ, რომ „სასიძოს" თაყვანისმცემლებს შეგიძლიათ, დამირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61.

კარგი კითხვაა... კი, სასიამოვნოა, სააბაზანოში ღიღინი...

ნდობის ტელეფონი
ჯონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„ბავშვი", „ჯეოსელი",
„მეგაკომი" — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.

„...მანქანის საბარგულში მოვათავსე და ნიჩბისისკენ წავედი“

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ ლევან ტაბაღუას განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ, ასევე სამხედრო პირს — მიხეილ კერესელიძეს სასამართლოსთვის ჯერ ჩვენება არ მიუცია. ცნობილია, რომ მიყენებული მუხლების შესაბამისად წარდგენილ ბრალდებაში იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს. კერესელიძის თქმით, ტაბაღუამ თავად სცადა მისი მოკვლა, 50.000 დოლარის გამო, რომელიც ასესხა მას შემთხვევამდე ერთი წლით ადრე. თუმცა გამოძიების დასკვნით, მკვლელობის მიზეზი 5 ათასი დოლარი გახდა. (აღნიშნული საქმის შესახებ მოკლედ „გზის“ ფურცლებზე უკვე ვწერდით).

ბრალდების თანახმად, 2003 წლის 10 იანვარს, მიხეილ კერესელიძემ ლევან ტაბაღუა, რომელთანაც მეგობრობა აკავშირებდა, სამსახურიდან გაიხმო და საქმის გასარჩევად საბურთალოზე, ძმათა სასაფლაოზე წაიყვანა. კერესელიძეს ტაბაღუასგან 5.000 დოლარი ჰქონდა სესხად აღებული, ვალის დაბრუნება არ უნდოდა და ამიტომაც მისი მოკვლა განიზრახა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მკვლელობა მან „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით ჩაიდინა, გარდაცვლილის გვამი კი სოფელ ნიჩბისში წაიღო და იქ მდებარე ტყეში დამარხა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის თანახმად, ტაბაღუას სიკვდილის უშუალო მიზეზია თავის მიდამოში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა, ქალის ძვლებისა და თავის ტვინის ნივთიერების დაზიანებით. ექსპერტების თქმით, სიკვდილის მომენტიდან გვამის გამოკვლევამდე, სულ ცოტა, 7-8 დღე იქნება გასული. ცეცხლსასროლი იარაღიდან მიღებული ჭრილობების გარდა, გარდაცვლილის სხეულზე სისხლჩაქცევებიც დაფიქსირდა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ეს ჩაქცევები სიცოცხლის პერიოდშია განვითარებული, მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად. მოკლულის სისხლში ალკოჰოლი არ აღმოჩნდა, რაც იმას მოწმობს, რომ სიკვდილის წინ, იგი ფხიზელი იყო.

ექსპერტიზა, კერძოდ — ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური — მიხეილ კერესელიძესაც ჩაუტარდა. დასკვნის თანახმად, დანაშაულის ჩადენის დროს, იგი აფექტურ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. საწინააღმდეგოს ამტკიცებენ კერესელიძის ადვოკატები. წინასწარი გამოძიების პერიოდში, სწორედ მათი მოთხოვნით, ალტერნატიული წესით სასამართლო-ფსიქოლოგიური კომისიური ექსპერტიზა ჩატარდა. დასკვნაში მითითებულია, რომ მკვლელობა აფექტის პირობებშია ჩადენილი. *„ტაბაღუას გვამის სოფელ ნიჩბისში დამარხვის შემდეგ, კერესელიძე დაბრუნდა თბილისში. ნელ-ნელა გონს მოდიოდა, გრძნობდა საშინელ მოთენთილობას და აპათიას. მკვლელობის შემდეგ, ერთი კვირა დასჭირდა იმისთვის, რომ რეაბილიტაცია გაევლო. იყო მოდუნებული, უგუნებოდ. იწვა და არავის ელაპარაკებოდა. გრძნობდა სისუსტეს და სასოწარკვეთას მომხდარის გამო“*, — აღნიშნულია დასკვნაში.

ამ შემთხვევაში, გამოძიებამ ექსპერტების ნათქვამი არ გაიზიარა. პროკურატურის მტკიცებით, დასკვნაში მითითებული გარემოებები საქმის ფაქტობრივი მასალებიდან არ გამომდინარეობს. ამის დასადასტურებლად, გამომძიებელს მოჰყავს მოწმედ დაკითხული, ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის — ლევან გამყრელიძის ჩვენება. გამყრელიძის თქმით, მან კერესელიძე 2003 წლის 10 იანვარს, საღამოს ნახა ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის შენობაში, მოიკითხა კიდეც და მისთვის ნერვიულობა ან აღელვება არ შეუნიშნავს.

საბოლოოდ, კერესელიძეს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-შენახვასა და ანგარებით ჩადენილ განზრახ მკვლეობაში დასდეს ბრალი. ბრალდების შემამსუბუქებელ გარემოებად გამოძიებამ კერესელიძის წარსული მიიჩნია, კერძოდ ის, რომ იგი წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ და აფხაზეთის ომში მონაწილეობდა.

პროკურატურის ინფორმაციით, კერესელიძემ, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ასევე დაუდგენელი პირისგან შეიძინა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი და საბრძოლო ვაზნები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მკვლელობა ამ იარაღით არ მომხდარა. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ტაბაღუას სხეულიდან ამოღებული ტყვია და შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი 3 მასრა არ არის გასროლილი კერესელიძის კუთვნილი, უკანონოდ შენახული, „მაკაროვის“ პისტოლეტიდან. გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობის იარაღი კერესელიძემ მტკვარში გადააგდო.

მიხეილ კერესელიძე (ეჭვმიტანილად დაკითხვისას მიცემული ჩვენებიდან):

„ლევან ტაბაღუა 1998 წელს, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, ვალერი ჩხეიძის მეშვეობით გავიცანი. დროთა განმავლობაში, ტაბაღუასთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. 2002 წლის ოქტომბერში, ლევანი დამიკავშირდა და მასთან ერთად კომერციული საქმიანობის წამოწყება შემომთავაზა. თუმცა, ამ საქმის საწარმოებლად 50 ათასი დოლარი მომთხოვა. შევთანხმდით, რომ აღნიშნულ თანხას ის ერთი თვის შემდეგ, მოგების პროცენტთან ერთად დამიბრუნებდა. ტაბაღუამ ვერ შეძლო დათქმულ ვადაში ფულის დაბრუნება და ამის გამო, ჩვენ შორის ურთიერთობა დაიძაბა. 2003 წლის 10 იანვარს, დაახლოებით 12 საათისთვის, ტაბაღუას დავურეკე და შეხვედრაზე შევთანხმდი. როგორც მოვილაპარაკეთ, სამსახურში მივაკითხე მას. ლევანის ინიციატივით, ჩემი „მერსედესით“ წყნეთში წავედით. ტაბაღუამ იქ მიწის ნაკვეთი დამათვალიერებინა. თბილისში რომ ვბრუნდებოდით, გზაში 50 ათასი დოლარის დაბ-

რუნების თაობაზე შევკამათდით და საქმის გასარჩევად, საბურთალოზე, ძმათა სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ავედით, მანქანიდან გადავედით და კამათი დავიწყეთ. ჩხუბის დროს, ტაბაღუამ „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო და მესროლა. ის ხელი დავუჭირე, რომელშიც იარაღი ეჭირა და ჯაჯგური დავუწყე. შედეგად, ორივენი წავიქეცით და სწორედ მაშინ შევძელი მისთვის პისტოლეტის წართმევა. დაუფიქრებლად ვესროლე და მოვკალი. ამის შემდეგ, გვამი ავტომანქანის საბარგულში მოვათავსე და მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისისკენ გავემართე. გადავწყვიტე, გვამი ტყეში დამემარხა, რადგან მინდოდა, ტაბაღუას ახლობლებთან დაპირისპირება თავიდან ამეცილებინა. ამ მიზნით, ჩემი სიმამრის აგარაკის ეზოდან ბარი და წერაქვი ავიღე და ტაბაღუას გვამი სოფელთან ახლოს მდებარე ტყეში დავმარხე. ყოველივე ამის შემდეგ, მცხეთისა და არმაზის გზების გასაყარზე, მდინარე მტკვარში გადავყარე ავტომანქანის საბარგულისა და სალონის შალითები, ასევე „მაკაროვის“ პისტოლეტიც“.

კერესელიძის ჩვენებას იმ ნაწილში, რომ მასა და ტაბაღუას შორის საქმიანი ურთიერთობა იყო და აწ გარდაცვლილს 50 ათასი დოლარი ასესხა, დაზარალებულის მხარე კატეგორიულად უარყოფს.

ვახტანგ მელიქიძე, *ლევან ტაბაღუას ქვისლი:*

„ლევანთან ნათესაური კავშირის გარდა, ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ჩემთვის ცნობილია, რომ ლევანს არავის ვალი არ ჰქონდა, მით უმეტეს იმ პერიოდში და თანაც, 50 ათასი დოლარის ოდენობით. ამის შესახებ აუცილებლად მეცოდინებოდა. 2002 წლის ნოემბერში, ლევანი დამიკავშირდა და მითხრა – ნაცნობისთვის მისაცემად 5.000 დოლარი მჭირდებაო. 3.000 დოლარი თავად ჰქონდა და ჩემგან 2.000-ის დამატებას ითხოვდა. მითხრა, რომ თანხას 2003 წელს, ახალი წლის შემდეგ დააბრუნებდა. შევეკითხე – რისთვის გინდა ფული-მეთქი? მიპასუხა – კერესელიძე მთხოვს, ადრეც ვასესხე რამდენჯერმე, მაგრამ ჯერაც არ დაუბრუნებიაო. მაშინ ვურჩიე, არ მიეცა მისთვის ამდენი ფული. არ არის გამორიცხული, ეს თანხაც არ დაგიბრუნოს-მეთქი, – ვუთხარი. თავისი მაინც არ დაიშალა: მაგის გადაკიდებას, ნამდვილად მირჩევნია, ფული მივცეო“.

■

ყოფილ პოლიციელს სამუდამო პატიმრობა ემუქრება

ბრალდების თანახმად, ავტომატიდან გასროლილ ტყვიებს მცირეწლოვანი ბავშვები შემთხვევით გადაურჩნენ

ყოფილ პოლიციელს, 26 წლის ზუგდიდელ დათო კუხალეიშვილს სიძის განზრახ მკვლელობისთვის ასამართლებენ. დანაშაული, რომელიც 2003 წლის 28 ივნისს დილით მოხდა, ზუგდიდის შს სამმართველოზე რიცხული, „ა-კა-ემ-ის“ სისტემის ტაბელური ავტომატითაა ჩადენილი. როგორც გაირკვა, პოლიციელმა ქვეგანყოფილების პასუხისმგებელი მორიგე მოატყუა; ისიც თანამშრომლის სიტყვას ენდო და მას ავტომატი, 1 მჭიდი და 30 საბრძოლო ვაზნა გადასცა. შეიარაღებული კუხალეიშვილი იქიდან პირდაპირ სიძის საცხოვრებელი სახლისკენ გაემართა და ჭიშკართან მისულმა, ცეცხლი გახსნა. პროკურატურის ინფორმაციით, კუხალეიშვილმა დის ქმარი სასადილო ოთახში ჩაცხრილა, მაშინ, როცა იქვე მისი მცირეწლოვანი დისშვილებიც იმყოფებოდნენ. ავტომატიდან გასროლილ ტყვიებს წლინახევრის მარიამი და ექვსი თვის გიორგი სასწაულებრივად გადაურჩნენ.

თავისი დის მეუღლის – რობერტ ხასაიას განზრახ მკვლელობას დათო კუხალეიშვილი უარყოფს, ისევე, როგორც დისშვილებისა და სიძის დედის – ლიანა ხასაიას სიცოცხლისთვის განზრახ საფრთხის შექმნას. ბრალდებულის თქმით, სიძე მან გაუფრთხილებლობით მოკლა. კუხალეიშვილმა პროკურატურას ჩვენება მისცა, თუმცა, გამოძიებამ მისი სიტყვები არ გაიზიარა. საბოლოოდ, 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) აღძრული საქმე, უფრო მძიმე მუხლით – 109-ით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) შეიცვალა, ეს კი სასჯელის ზომად, 10-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ან სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, დათო კუხალეიშვილი ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეშია დაბადებული. უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი, საქართველოს შს სამინისტროს ატესტირებული თანამშრომელი გახლდათ და 2002 წლიდან, ზუგდიდის შს სამმართველოს ზედა ეწერის ქვეგანყოფილების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და პროფილაქტიკის ჯგუფის უბნის უფროს ინსპექტორად მუშაობდა. უცოლშვილოა და არც წარსულშია ნასამართლევი.

ბრალდების თანახმად, 2003 წლის 27 ივნისის 10 საათიდან, 28 ივნისის დილამდე კუხალეიშვილი სამსახურში იმყოფებოდა და მორიგეობდა. მორიგეობის დასრულებამდე ორი საათით ადრე, დაახლოებით დილის 8 საათისთვის, მან თვითნებურად მიატოვა სამსახური და შინ წავიდა. შინ დახვდნენ მშობლები – არველოდი და მზია კუხალეიშვილები და და – თეაც. დამ უთხრა, რომ წინადღეს, შელაპარაკება მოუხდა მეუღლესთან; ჩხუბის დროს, ქმარმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და სასტიკად სცემა. თეას ცემის ნაკვალევი კისრის არეში აშკარად ეტყობოდა. ამის გამო, მიატოვა ქმარი და ორი მცირეწლოვანი შვილი და მშობლების სახლში წავიდა. მან ძმას ისიც უთხრა, რომ მეუღლესთან – რობერტ ხასაიასთან შერიგებასა და მის ოჯახში დაბრუნებას არ აპირებდა.

ყოველივე ეს მოისმინა თუ არა, დათო კუხალეიშვილმა სიძესთან ანგარიშსწორება გადაწყვიტა. განაწყენებულმა, შურისძიების მოტივით (როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული) რობერტ ხასაიას მოკვლა განიზრახა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ოჯახის წევრებისთვის შეუმჩნევლად გავიდა სახლიდან და სამსახურში მივიდა; შეცდომაში შეიყვანა ქვეგანყოფილების პასუხისმგებელი მორიგე, რომელსაც უთხრა, რომ ქვეგანყო-

ფილების უფროსის განკარგულებით, სამ-ორიგეო ნაწილიდან ტაბელური ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი უნდა აეღო, რათა ოდიშში პენსიონერთათვის პენსიების გაცემისას, წესრიგი და მოლარის უსაფრთხოება დაეცვა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, პენსიების გაცემა იმ დროისთვის გათვალისწინებული სულაც არ იყო.

შედეგად, კუხალეიშვილმა „ა-კა-ემ-ის“ სისტემის ავტომატი, 1 მჭიდითა და 30 საბრძოლო ვაზნით მიიღო და სიძის საცხოვრებელი სახლისკენ გაემართა. როცა იგი რობერტ ხასაიას სახლის ჭიშკარს მიუახლოვდა, დაახლოებით 09.15 სთ იქნებოდა. იმ მომენტისთვის, სიძე დედასთან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად პირველ სართულზე, სასადილო ოთახში იმყოფებოდა. უფროსი – მარიამი მამას ეჭირა ხელში, ხოლო გიორგი – ბებიას. იგი შვილიშვილს აჭმევდა. გამოძიების დასკვნით, კუხალეიშვილმა იცოდა, რომ რობერტ ხასაია იმ დროს სწორედ სასადილო ოთახში იქნებოდა და აქედან გამომდინარე, ეზოში მყოფიც, გარედან გასროლით თავისუფლად შეძლებდა მის განადგურებას. ეზოში შესასვლელი ჭიშკრიდან, დაახლოებით 26 მეტრის მანძილიდან ავტომატიდან, ერთჯერად რეჟიმში, 13-ჯერ გაისროლა...

ლიანა ხასაიას ჩვენებიდან:

„ჩემი რძლის ძმა რამდენჯერმე იყო ნამყოფი ჩვენს ოჯახში. ძალიან კარგად იცოდა ოთახების განლაგება და ისიც, რომ დილაობით ოჯახის წევრები ძირითადად, სასადილო ოთახში ვიმყოფებოდით. ტყვიები პირველი სართულის ოთახების ფანჯრებისა და კარის მიმართულებით იყო ნასროლი. ნატყვიარები ყველგან დაფიქსირებულია. ერთ-ერთი ტყვია იმ სავარძელსაც მოხვდა, რომელშიც მე და ჩემი შვილიშვილი ვისხედით... ჩემმა შვილმა ხელში აყვანილი მარიამი სროლის ხმის გაგონებაზე, იატაკზე დასვა, თავად კი, წელში გაიმართა, რათა ფანჯრიდან დაენახა, თუ რა ხდებდა და ვინ ისროდა. სწორედ ამ მომენტში წაიქცა. დავინახე, რომ მუცლიდან სისხლი მოსდიოდა...“

ლიანა ხასაიამ წაქცეული შვილის დანახვისთანავე კივილი მორთო. ყვიროდა – შვილი მომიკლესო! *„ქალის სიტყვები კუხალეიშვილმაც გაიგონა, დარწმუნდა, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა და შემთხვევის ადგილი მიატოვა“*, – აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში. კუხალეიშვილი იქიდან პირდაპირ ზუგდიდის შს სამმართველოში გამოცხადდა. დაჭრილი რობერტ ხასაია საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის უშუალო მიზეზი, გულმკერდისა და მუცლის არეში მიღებული დაზიანებების შედეგად გამოწვეული სისხლდენა გახდა.

შს სამმართველოში გამოცხადებულმა კუხალეიშვილმა მომხდარის შესახებ ყველაფერი თქვა და იარაღიც ჩააბარა. თუმცა, მიუხედავად დანაშაულის აღიარებისა, განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მუხლით წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო.

„2002 წლის 28 ივნისს, დილით შინ რომ მივედი, სახლში ჩემი და დამხვდა. კისრის არეში ნაკაწრი ეტყობოდა, ნაცემი იყო. მითხრა, რომ ქმარს ეჩხუბა, მიატოვა მეუღლე და ბავშვები და იქიდან წამოვიდა. ისიც თქვა – საერთოდ არ ვაპირებ ქმრის ოჯახში დაბრუნებასო. სიძის მოქმედებამ ძალიან გამაბრაზა. განაწყენებულმა, სამსახურში მორიგეს ავტომატი გამოვართვი... ჭიშკარს რომ მივუახლოვდი, ჰაერში შესაშინებლად დავიწყე სროლა, მაგრამ სწორედ იმ დროს წავბორძიკდი და გასროლილი ტყვია შემთხვევით მოხვდა სახლის პირველ სართულს. რამდენიმე გასროლის შემდეგ, იქაურობა მივატოვე და სამმართველოში გამოვცხადდი. იქ შევიტყვე სიძის გარდაცვალების შესახებ“, – აღნიშნა ჩვენებისას დათო კუხალეიშვილმა.

ლიანა ხასაია:

„...თეა საერთოდ პრეტენზიული ქალი იყო. ხშირად გვსაყვედურობდა – ჩემთვის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს არ ყიდულობთო. თუმცა, ყოველივე ეს, მას ნამდვილად არ აკლდა, რადგან მატერიალურად ნორმალური მდგომარეობა გვაქვს ოჯახში. მიუხედავად ამისა, ცოლ-ქმარი ხშირად ჩხუბობდა. იყო შემთხვევები, როცა თეა ოჯახიდან მშობლების სახლში მიდიოდა, მაგრამ ჩვეულებრივ, ყველაფერი შერიგებით მთავრდებოდა და მერე ისევ ქმართან ბრუნდებოდა. 2003 წლის 27 ივნისს, როცა შინ არ ვიყავი, მაშინ უჩხუბიათ რობერტსა და თეას. განაწყენებულ რძალს, ქმარი და ბავშვები მიუტოვებია და მშობლებთან წასულა. მეორე დილით შვილიშვილებს ტანსაცმელი ჩავაცვი, ისის იყო, ვაპირებდი მათთვის საჭმელი მეჭმია, როცა სროლის ხმა გაისმა...“

თეა კუხალეიშვილის ჩვენებიდან:

„მშობლებთან რომ მივედი, ჩემი ძმა შინ არ იყო. მეორე დილით მოვიდა. შემხვედა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და უკან გაბრუნდა. დაიბარა, რომ სამსახურში მიდიოდა. თუმცა, ისიც თქვა – რობერტს ვნახავ და გავარკვევ, რისთვის გამოგიშვა ოჯახიდანო. ამის შემდეგ დათო არ მინახავს. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ავტომატიდან გასროლით მას ჩემი მეუღლე მოუკლავს“.

აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით საქმის განხილვა სასამართლომ პირველ დეკემბერს დაიწყო. მხარეები თავიანთ პოზიციას სხდომაზე მოწმეთა დაკითხვისა და მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ დააფიქსირებენ. ■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

ყაჩაღებმა დაზარალებული ოჯახის დიასახლისი ქმარ-შვილის თვალწინ მოკლეს

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გენპროკურატურიდან 7 ბრალდებულის საქმე მიიღო განსახილველად. ვარდუაშვილს, გაგნიძეს, აბრამოვებს, ოქრუაშვილს, ბექაურს და კოშუაშვილს 5 სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებში ედებათ ბრალი: განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განხრაზ მკვლელობაში, ორი ადამიანის მკვლელობის მცდელობაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარება-გადაზიდვასა და შეიარაღებული ბანდის შექმნაში. პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნული ბანდის მიერ 2001 წლის ივნისიდან 2003 წლის თებერვლამდე არაერთი შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა.

2003 წლის 25 თებერვალს, საღამოს 9სთ-სა და 40 წთ-ზე, ბექაური, ვარდუაშვილი და აბრამოვი, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები, ბახტრიონის ქუჩის მე-20 კორპუსში მცხოვრები დარჩიაშვილების ოჯახს ბინის კართან ჩუსაფრდნენ. მაშინ, როცა ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა – ზურაბ დარჩიაშვილმა შინიდან გასვლა დააპირა და სადარბაზოში გასასვლელი კარი გააღო, ბოროტმოქმედებმა ამით ისარგებლეს და ბინაში შეიჭრნენ. შინ ზურაბ დარჩიაშვილის გარდა, მისი მეუღლე, მცირეწლოვანი შვილი, მამა და დედა იმყოფებოდნენ.

ზურაბ დარჩიაშვილმა ბოროტმოქმედებს წინააღმდეგობა გაუწია და ამ დროს თავად მიიღო სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები. შეძლო თუ არა თავდამსხმელთაგან თავის დაღწევა, თაროდან საკუთარი იარაღი აიღო და მათი მიმართულებით გაისროლა. ამის შედეგად, ბანდის ერთ-ერთი წევრი – ბექაური დაიჭრა.

ბოროტმოქმედებმა დარჩიაშვილი წააქციეს, ჯერ ფეხებით სცემეს, შემდეგ მკვრივი, ბლაგვი საგანი ურტყეს სხეულის სხვადასხვა ადგილას. ამასაც არ დასჯერდნენ და დანით ყელისა და სახის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. ამის შემხედვარე, დარჩიაშვილის დედამ – ანა შალამბერიძემ ბოროტმოქმედებს სთხოვა, წაელოთ ყველაფერი, რასაც კი ნახავდნენ, ოღონდ არ ამოეხოცათ მისი ქმარ-შვილი. თავდამსხმელებმა ძალადობა მაინც განაგრძეს. ერთ-ერთმა მათგანმა დაზარალებულების მიმართ ავტომატიდან რამდენჯერმე გაისროლა კიდეც. ანა შალამბერიძე თავის არეში დაიჭრა და ადგილზე, მეუღლისა და შვილის თვალწინ გარდაიცვალა. შექმნილი სიტუაციის გამო, ბანდიტებმა დარჩიაშვილების ქონების დაუფლება ვეღარ შეძლეს, მოსალოდნელი მხილების შეეშინდათ და შემთხვევის ადგილი მაშინვე მიატოვეს. აღნიშნული საქმის განხილვას უზენაესი სასამართლო სავარაუდოდ დეკემბერში დაიწყებს. ■

თავდასხმა ვალუტის გადამცვლელ ჯიხურზე

11 ნოემბერს, საჩხერის რაიონში მკვლელობა მოხდა. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, დანაშაული ორ მამაკაცს შორის მომხდარმა ურთიერთშელაპარაკებამ გამოიწვია. საჩხერელმა პაატა იაკობაშვილმა ვალუტის გადამცვლელი ჯიხურის თანამშრომელი – ლერი შაორშაძე დანით დაჭრა. მიღებული დაზიანებებისგან, ის რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

ეჭვმიტანილი იაკობაშვილი დაკავებულია; ამბობენ, რომ მან დანაშაულიც აღიარა. შაორშაძეს იაკობაშვილმა დანით ოთხი ჭრილობა მიაყენა. ■

იდუმალებით მოცული დანაშაული

13 ნოემბერს, ტყიბულის რაიონის სოფელ სამტრედიაში, სარკინიგზო ხიდის ქვეშ გამავალი გზის ნაპირზე ახალგაზრდა ქალის გვამი იპოვეს. გარდაცვლილი, ტყიბულის მკვიდრი, 22 წლის თამარ ამირანის ასული არსენიძე აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ გვამს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა ჰქონდა. ტყიბულის პოლიციის თანამშრომელთა განმარტებით, რამდენიმე დღეში, ექსპერტიზის სრული დასკვნაც გახდება ცნობილი. მომხდარ ფაქტზე გამოძიებას ადგილობრივი პროკურატურა აწარმოებს. ■

პოლიციელების და ბოროტმოქმედების შეცაკება

24 ნოემბერს საღამოს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროს ტერიტორიაზე სამართალდამცავები ორი ბოროტმოქმედის დაკავებას შეეცადნენ; ამ დროს მათ სანადირო თოფებიდან ცეცხლი გახსნეს და პოლიციის სამმართველოს ავტომანქანა „უაზი“ დაცხრილეს. პოლიციელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს და ორივე ბოროტმოქმედი – 21 წლის მიხეილ მიქელაშვილი და 30 წლის ხვიჩა მამადაშვილი მოკლეს. მიქელაშვილი ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში ცხოვრობდა, ხოლო მამადაშვილი დაბა თიანეთის მკვიდრი გახლდათ. ორივე მათგანი მძიმე დანაშაულებისთვის, კერძოდ, სოფელ საბუესა და სოფელ შილდაში 3 ადამიანის მკვლელობისათვის, ასევე ორი მოქალაქის დაჭრისთვის, ყაჩაღური თავდასხმისა და საქონლის ქურდობისთვის იძებნებოდა.

როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ყველა ზემოთ ხსენებული დანაშაული მათ სანადირო თოფების გამოყენებით აქვთ ჩადენილი. მკვლელობის ფაქტებზე გამოძიებას ყვარლის რაიონის პროკურატურა აწარმოებდა. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ილია ჭავჭავაძეს 5 ტყვია ესროლეს.

2. ანსამბლ „ივერიაში“ ყოველთვის ცამეტი კაცი იყო.

3. „ავანგარდი“ ფრანგული სიტყვაა და „წინიდან დაცვას“ ნიშნავს.

4. ჯავშნის ქვეშ ჩასაცმელ დაბამბულ ქურთუკს ხიფთანი ჰქვია.

5. ზრდასრულ ნიანგს შეუძლია, ორ წელიწადს გაძლოს უჭმელად.

6. სიტყვა „ტუნელი“ ინგლისურ ენაში საკვამლე მილს ან ძაბრს ნიშნავს.

7. ყველა დამპყრობელს საქართველოდან პირველ რიგში, მჭედელი მიჰყავდა.

8. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი უდაბნო – ტაკლა-მაკანი ჩინეთში მდებარეობს.

9. გაზეთი „ლელო“ გარდა ორშაბათისა და პარასკევისა, ყოველდღე გამოდიოდა.

10. აზერბაიჯანელები ექსპრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს „ბაბას“ ეძახდნენ, რაც ქართულად „პაპას“ ნიშნავს.

11. კრეტინიზმით დაავადებული ადამიანის გონებრივი ჩამორჩენა იდიოტიიდან კრეტინოიდულ გონებაჩლუნგობამდე მერყეობს.

12. ალყა პირველად, ჰანიბალმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 261 წელს, კანის ბრძოლაში გამოიყენა.

13. ამერიკაში ძალზე პოპულარულია დოკუმენტური ფილმები, რომელსაც ენტონი ჰოპკინსი ახმოვანებს.

14. ჩვენ ერთი და იგივე კერძი გვაქვს საუზმედ, სადილად და ვახშმად: ეს არის მიწისძვრა, – ხუმრობენ იაპონელები.

15. შავ ცხენს არაბები ან კლავდნენ, ან უცხოელს მიჰყიდდნენ, რადგანაც ამ ფერის ცხენი უბედურების მომტანად მიაჩნდათ.

16. მდინარე კონგოს ზემო დინებას სათავიდან სტენლის ჩანჩქერამდე ლუალაბა ჰქვია. ლუაპულა ლუალაბის მარჯვენა შენაკადია.

17. ერთ-ერთ ნაცნობს კოტე ყუბანეიშვილმა ავტომობილ „რენოს“ შეძენა ასეთი სიტყვებით „მიულოცა“: „ასეთი თაზა „რენო“, სად შეიძინე, ...?!“ („მი-

ნატაშა სკოროხოდოვა პოლიტიკოსების აწმყოსა და მომავლის განჭვრეტის შემდეგ, დასვენებად და გართობადაც კი მიიჩნევს პოპულარული ქართველების ფოტოებზე მუშაობას. კინოსა და ესტრადის ცნობილ სახეებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებთან შედარებით, საოცრად სუფთა აურა აქვთ და მათი სურათებიდან გადმოსული ენერგიაც ჩემზე უარყოფითად არ მოქმედებსო, — გამიმხილა.

ვნახოთ, რა ელის ვანიკო თარხნიშვილს, ნუკრი კაპანაძეს, კოკა ყანდიაშვილსა და მარიანა ნინიაშვილს.

კინოსა და ესტრადის ვარსკვლავებს პოლიტიკოსებზე სუფთა აურა აქვთ!

ლელა ჭანკოტაძე

„ვანიკო თარხნიშვილი ქალთან ყოველთვის დისტანციას იცავს...“

— როგორი თვალები აქვს ვანიკო თარხნიშვილს?

– მის თვალებში ჩახედვა და იქ სიმართლის დანახვა იოლი არ არის: თვალები ლაბირინთივით აქვს, რომელშიც უნდა იარო და სიმართლის მარცვლები ეძებო. ამას ერთადერთი ახსნა აქვს: კონცენტრაციას ვერ ახდენს – ქაოსური ცხოვრებით ცხოვრობს. მისთვის უცხო არ არის თამაში, ნამდვილი სახის შენიღბვა. დიდი გულის პატრონია, მაგრამ მის გულში ბევრი დაფარული ტკივილია, იმედგაცრუებაც არ არის მისთვის უცხო. ცდილობს, ყველაფერში კარგი და სასიამოვნო დაინახოს, რაც განაპირობებს მის საოცარ უნარს, ყველაზე გამოუვალი მდგომარეობიდანაც კი დააღწიოს თავი. მისი თვალები სუფთაა. გულით ბოღმას არ ატარებს. გარეგნულად გახსნილი და კონტაქტური ჩანს, სინამდვილეში კი ძალიან ჩაკეტილი და გულდახურულია, ბოლომდე სიმართლეს არავის უმჟღავნებს. მის ცხოვრებაში ისეთს ვერავის ვხედავ, ვისთანაც 100%-ით გახსნილია.

— საპირისპირო სქესთან დამოკიდებულებაში როგორია?

– მშიშარაა, ამის გამო ნებისმიერ ქალთან ყოველთვის დისტანციას იცავს. ცდილობს, ზღვარი შეინარჩუნოს. გაურბის და თავს არიდებს ფლირტს. მასთან სასიყვარულო ურთიერთობის დამყარება წარმოუდგენელიც კია, რადგან აუცილებლად თავს შეიკავებს და უკან დაიხევს.

— საყვარელი ქალი არ ჰყავს?

– მას მთელი ცხოვრება წინა აქვს. ბევრი იმედგაცრუება ელოდება. საყვარელი ქალი გულს საშინლად სტკენს. ვხედავ, რომ დიდი სიყვარული გვიან ელოდება, ჯერ მხოლოდ გატაცებულია.

— მას რომ ცოლი ჰყავს?

– დიახ, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ შესაშური ურთიერთობა აქვთ. უფრო სწორად, ისინი სხვადასხვა ცხოვრებით ცხოვრობენ. უსაზღვრო ენერგიას ვანიკო ახლა სამსახურში ხარჯავს, მაგრამ მოვა დრო, როცა მის ცხოვრებაში მთავარი, პირადი, ინტიმური სამყარო გახდება. მაშინ კი სულ სხვა ვანიკოს იხილავთ.

— რა ელოდება?

– უიღბლო ქორწინება, ორი შვილი და წარმატებული კარიერა. მისი მომავალი უზრუნველყოფილი იქნება. ის ბევრს მიაღწევს. მაგრამ ნებისმიერი მისი წარმატება დიდი შრომისა და ნერვიულობის ფასად იქნება მიღწეული.

— რას მალავს?

– იმას, რომ ცხოვრებით საშინლად უკმაყოფილოა. უკეთესის სურვილი აქვს და სურვილების შესასრულებლად თავგანწირული ბრძოლა უხდება.

„ნუკრი კაპანაძე უყარება და წუნიაა“

— როგორი გული აქვს ნუკრი კაპანაძეს?

– ის კარგი ადამიანია. თამამად შეიძლება გითხრათ, რომ მის გულში მისხალი ბოროტება არ არის. ცდილობს, ყველასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს, შეცდომები არ დაუშვას და სხვებს გული არ ატკინოს. გაწონასწორებულია, სუფთაა, კარგი მეოჯახე, ჭკვიანია და ყოველთვის იცის, მისთვის რა ჯობია. თუმცა, ძალიან მშიშარაცაა და ეს მას ხელს უშლის მიზნების მიღწევაში – სულ ეშინია, ისიც არ დაკარგოს, რასაც უკვე მიაღწია. კმაყოფილია იმით, რაც აქვს.

— რა ელის მომავალში?

– მე მხოლოდ წარმატებულ კარიერას ვხედავ. ჩრდილში არასდროს მოექცევა. მისი პოპულარობა დიდი ხნის მანძილზე, ერთ დონეზე იქნება.

— როგორია მისი ინტიმური სამ-

ყარო?

— არ ღირს იმაზე საუბარი, რაც წარსულში დარჩა. ახლა გაურკვევლობაშია. აქტიური ქალი არ არის. თუ კაცმა არ შეამჩნია, თავისით ინიციატივას ვერ გამოიჩენს. უკარება და წუნიაა.

— **მის წარსულში რა დაინახეთ?**

— ერთადერთი, ის შემიძლია გითხრათ, რომ საშინლად იმედგაცრუებული დარჩა, რაც მის გულში ყოველთვის მოუშუშებელ იარად დარჩება.

— **მომავალში თუ შეხვდება ოცნების მამაკაცს?**

— ნუკრის სულ მალე ლამაზი სახლი და ავტომანქანა ელის. რამდენიმე წელიწადში გათხოვდება და შვილს გააჩენს. არ ვიცი, თვითონ როგორ ფიქრობს, მაგრამ ვხედავ, რომ საუცხოო ცოლი იქნება და ყველა მამაკაცს ვურჩევ, ცხოვრების თანამგზავრად მასავით კეთილი და სათნო გოგონა აირჩიოს.

„ჯოჯა ყანდიაშვილი სიზარმაცესა და გულგრილობას ვერ იტანს"

— შრომისმოყვარე, ენერგიული, დაუღალავი ადამიანია, სიახლეების მოყვარულია და ხშირად ექსპერიმენტებსაც ატარებს.

— **იქნებ, მისი წარმატების მიზეზი ის არის, რომ იღბლიანია?**

— არა. მიზეზი მისი საოცარი ნიჭი და შრომისმოყვარეობის უნარია. ვერ გეტყვით, რომ იღბლიანია, რადგან ყოველთვის იმაზე ნაკლებს იღებს, ვიდრე იმსახურებს. ერთადერთი, რაც არასდროს აკლია, ხალხის სიყვარულია; შეიძლება ითქვას, რომ სიყვარულით განებივრებულიც კია. ადამიანები მასში განათლებულ და რაფინირებულ ინტელიგენტს ხედავენ, ამიტომ ყოველთვის მოწიწებით ეპყრობიან.

— **როგორია მისი ინტიმური სამყარო?**

— რომანტიკული ბუნების ადამიანია. ბევრი ქალისთვის ის სათაყვანებელი მამაკაცია. ქალებში ყველაზე სათუთ გრძნობებს აღვიძებს.

— **ახალი ქორწინება თუ ელის?**

— არა. მე მის თავზე მეორე გვირგვინს ვერ ვხედავ. პირველი უიღბლო ქორწინების შემდეგ, ცოლის შერთვას აღარ მოისურვებს.

— **მასზე ბევრს ჭორაობენ?**

— ძალიან ბევრს. ის პოპულარულია. ამიტომ სიმართლესთან ერთად, მასზე უმრავ ტყუილსაც ამბობენ.

— **რას მალავს?**

— ძალიან ფიცხია. ცდილობს, თავისი ხასიათის ეს მხარე შენიღბოს.

— **უარყოფითი თვისებები?**

— მისი თანამშრომლები მიჩნევენ, რომ ძალიან მკაცრი და საქმეში ზედმეტად მომთხოვნია. ალბათ, მის დანახვაზე თანამშრომლებს შიშიც ეუფლებათ. სიზარმაცეს და გულგრილობას ვერ იტანს. საკუთარი თავის მიმართ თვითონაც მომთხოვნია. ნამდვილი პროფესიონალია.

— **აღმასვლა ელის?**

— დიახ. ის მინიმუმ, ტელევიზიის ხელმძღვანელი გახდება. თავმჯდომარის პოსტს ნამდვილად დაიკავებს, შემდეგ კი კულტურის მინისტრი გახდება. ეს ორი თანამდებობა მას საშუალებას მისცემს, საკუთარი შესაძლებლობები უკეთესად გამოავლინოს.

„მარიანა ნინიაშვილი ტელეშოუს წამყვანი გახდება"

— **რა ელის მარიანას?**

— თუ სერიალს გადაიღებენ, მას აუცილებლად მიიწვევენ. ის ყოველთვის ძალზე პოპულარული იქნება, თუმცა, ბევრი ჩავარდნა და იმედგაცრუება აქვს წინ. ცხოვრება უამრავ განსაცდელს უმზადებს, მიუხედავად იმისა, რომ ბედნიერი იქნება. მას ძალიან დიდი სიყვარული ელის. ის სიყვარულისთვისაა დაბადებული. იმ კაცს შეუყვარდება, რომელსაც თავად ისურვებს ცხოვრების თანამგზავრად. ბედნიერების ხუთი წელიწადი ელოდება...

— **რა მოხდება შემდეგ?**

— მარიანა იმ კაცს თავად მიატოვებს. მიუხედავად ამისა, რომ ამის გამო ბევრ ცრემლს დაღვრის. სიყვარული დამთავრდება, მაგრამ მარიანა ამ სიყვარულის წყალობით სიცოცხლის ბოლომდე, მადლიერი დარჩება.

— **როგორი ხასიათი აქვს მარიანას?**

— მშვიდი, გაწონასწორებული და უზომოდ კეთილია. კარგი მეგობარია. მისი ნდობა შეიძლება. იღბლიანია. ეს მისი ყველა წარმატების მიზეზი იქნება. სულ მალე, მარიანას ახალ როლს შესთავაზებენ. შესაძლებელია, ის ტელეწამყვანი გახდეს, მე მგონია — რომელიმე შოუს წამყვანი. ეს შოუ კი დიდი ხნის მანძილზე მის პოპულარობას განუსაზღვრელს გახდის.

— **მისი ხასიათის უარყოფითი მხარეებიც დაგვისახელეთ.**

— ზედმეტად მგრძნობიარეა, არ შეუძლია, ბოლომდე თქვას ის, რასაც ფიქრობს, ყოველთვის ერიდება საყვედურის თქმას, ურჩევნია, წყენა არ შეიმჩნიოს.

— **ვინ არის ის, ვისაც ამწუთას მარიანა უყვარს?**

— ბედნაცვალი მამაკაცია, რომელიც საკუთარ თავსაც არ უმეღავნებს, რომ უსაზღვროდაა შეყვარებული ამ ქალზე.

■

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეროვნული ფილოსოფიის

ეროვნული ფილოსოფიის

ლოცვის" ტექსტის დასრულება თავად მოგიწევთ.)

18. რაფაელი, ვატო, ბაირონი, პუშკინი, ტულუზ-ლოტრეკი, ფედოტოვი, რემბო, ვანგოგი, ჟერარ ფილიპი და ვლადიმირ მაიაკოვსკი 37 წლის ასაკში დაიღუპნენ.

19. ფილმ „სუპერმენის" ერთ-ერთ პერსონაჟს ასეთი რეპლიკა აქვს: „თუ ვინმე მოახერხებს სუპერმენისგან ინტერვიუს აღებას, ეს იქნება მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერვიუ იმ დროიდან მოყოლებული, რაც მოსემ სინას მთაზე აიღო".

20. მწერალი სერგეი დოვლატოვი თავის უბის წიგნაკში წერდა: „უკვე იმ ასაკში ვარ, რომ როდესაც ფეხსაცმელს ვყიდულობ, მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებს თავში — ამ ფეხსაცმლით ხომ არ დამმარხავენ?"

21. გალაკტიონ ტაბიძე სოფლის მასწავლებლის ოჯახში დაიბადა, ტიციან ტაბიძე — მღვდლის ოჯახში.

22. საბჭოთა პერიოდში არსებობდა ერთი დაუწერელი კანონი: ნებისმიერ ენციკლოპედიასა თუ ლექსიკონში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ბიოგრაფიის შესახებ სტატია, ლენინის ბიოგრაფიის შემდეგ, მოცულობით მეორე უნდა ყოფილიყო.

23. ვიკინგები მრისხანე მეკობრეები იყვნენ, მაგრამ რუსეთში ჩასვლისას, ძარცვას — ვაჭრობას ამჯობინებდნენ. მიზეზი მარტივი იყო: ნაძარცვით დატვირთული გემებით გაქცევა მათ სამდინარო გზით უხდებოდათ და არა ზღვით, რაც ძალზე სახიფათო იყო.

24. ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი საფრანგეთის გზების ავიაგადაღებებს ასრულებდა, როდესაც თავისი თვითმფრინავიანად უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

25. მკრეხელობისთვის ჰადესმა თეზევსი დასაჯა და რამდენიმე წლით, საკუთარ ტახტზე მიაკრა. მშველელად თეზევსს ჰერაკლე მოევლინა: მან იგი ტახტიდან ააგლიჯა, რის შედეგადაც თეზევსს უკანალი დაუზიანდა. შემდგომში, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ თეზევსის შთამომავლებს პატარა საჯდომები ჰქონდათ.

■

ტყუილი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ტყუილს ვამბობთ ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებრივ ასპარეზზე; ტყუილია გაბატონებული პოლიტიკაში... რატომ ამბობენ ადამიანები ტყუილს? რატომ არის საზოგადოება მიმტევებელი ტყუილის მიმართ? როდის იქცევა, ერთი შეხედვით უწყინარი ტყუილი, მიუტევებელ შეცდომად?.. დავიწყოთ ბავშვობიდან: როდის და სად ეჩვევა ადამიანი ტყუილის თქმას? რომელ ასაკში ამბობს პირველ ტყუილს? რა მიზეზით ავადდება ბავშვი ამ სენით?

უწყინარი ტყუილი თუ მიუტევებელი შეცდომა?

ლელა ჭანკოტაძე

ია პირმისაშვილი, *ფსიქოლოგი:*

— ბავშვი ტყუილის თქმას მშობლისგან სწავლობს. ე.ი. პირველი ტყუილი ბავშვობას უკავშირდება. ბავშვის ბიოგრაფია ძალზე ხანმოკლეა, მაგრამ მისი სულის ისტორია განცდებითაა დატვირთული. აღზრდის დეფექტები პატარა არსების სულში აისახება და მისი ხასიათის დეფორმაციას იწვევს. მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე, ადამიანი შორეულ ბავშვობაში მომხდარ მოვლენათა შთაბეჭდილებების ქვეშ რჩება. ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში არსებობს ტერმინი — „იდენტიფიკაცია“, რაც საკუთარი თავის სხვა ადამიანთან მიმსგავსებას ნიშნავს. ბავშვი ყოველთვის ცდილობს, დაემსგავსოს, მიჰბაძოს დედას ან მამას. ე.ი. ბავშვებში ცრუპენტელობა ხშირად, მშობელთან იდენტიფიკაციის მექანიზმითაა გამოწვეული. „მე მიყვარს ჩემი დედიკო და ამიტომ მისნაირად ვაკეთებ ყველაფერს“, — თქვა რვა წლის გოგონამ, რომელიც ფსიქოლოგიურ კონსულტაციაზე მოჭარბებული ტყუილების გამო მომიყვანეს... განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იქცევიან მშობლები მაშინ, როცა ოჯახი ინგრევა და ბავშვი ამ პროცესის თვითმხილველი ხდება. ხუთი წლის მამუკამ მითხრა: დედას ბებიის მოკვლა უნდა; როცა დაიძინებს, ბალიშით უნდა გაგუდოსო. მისმა ნათქვამმა ოჯახში საშინელი ქაოსი გამოიწვია.

— **რატომ მოიქცა მამუკა ასე?**

— მშობლები იყრებოდნენ, მას მამასთან დარჩენა უნდოდა, რადგან ბებია იმდენად უყვარდა, რომ ერჩივნა, დედაზე უარი ეთქვა; მან ტელესერიალში ნახა, როგორ გაგუდეს ქალი ბალიშით და ეს გამოიყენა, იფიქრა — დედას სახლიდან აუცილებლად გააგდებენ, მე კი მას აღარ გამყოლებენო... მისმა ტყუილმა განქორწინება დააჩქარა, მაგრამ სასამართლომ ბავშვი მაინც დედას მიაკუთვნა. მამუკა ყვიროდა: დედაჩემი მკვლელია, მას არ გამაყოლოთო!.. დედამისმა დახმარების თხოვნით მომმართა. სამი თვის შემდეგ, ბავშვმა სიმართლე აღიარა... ხუთი წლის მამუკამ გამოუსწორებელი ტყუილი თქვა. ის ოჯახში მიჩვია ტყუილის თქმას... უთანხმოების დროს, მშობლები ყოველთვის ცდილობენ, ბავშვი გადაიბირონ. ასეთი ბავშვებისგან ხშირად გაიგონებთ: მამაჩემი ცუდი კაციაო, — ან პირიქით — დედა ცუდიაო... ბავშვი ტყუილის თქმას სკოლაშიც ეჩვევა. ოჯახში დაწყებული ცრუპენტელობა სკოლაში „იფურჩქნება“. თუ დედას დილით ადრე გაღვიძება დაეზარა, ბავშვი სკოლაში არ წაიყვანა, შემდეგ კი მისი თანდასწრებით მასწავლებელი მოატყუა — სიცხე ჰქონდა, ამიტომ ვერ მოვიყვანეო, — ბავშვი ხვდება, რომ ტყუილი აიოლებს ცხოვრებას. შემდეგ, თუ მასწავლებელმა იცრუა, მაგალითად — ბავშვისთვის ყური არ ამიწევია, ხელით როგორ შევეხებოდიო?! — რწმუნდება, რომ ტყუილის თქმა საკუთარი თავის დაცვისა და გადარჩენის ეფექტური საშუალებაა. ასე ყალიბებს ოჯახი და სკოლა ცრუპენტელას. ასე რომ, ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბება მოზრდილების ხელთაა. კარგი იქნება, რომ ეს ხელები მგრძნობიარე, გონიერი და სამართლიანი იყოს.

ცხოვრების ასპარეზზე გასულ ახალგაზრდას უამრავი სირთულე აბნევს, სკოლიდან ინსტიტუტში ანდა რომელიმე ორგანიზაციაში მოხვედრილი, თავს დაუცველად გრძნობს. იწყება საზოგადოებაში დამკვიდრების რთული პროცესი. ნუთუ, დამხმარე იარაღად ისევ ტყუილი გვეხმარება? ნუთუ, ტყუილის თქმის გარეშე არ შეიძლება თავის გატანა?

მაკა ცხადაძე, *ფსიქოლოგი:*

— „ზოგჯერ ტყუილი გამოსავალია, — წერს ჩემი პაციენტი ვანო ტოგონიძე. — მე ვთქვი, რომ კარატისტი ვიყავი და ჩხუბი აკრძალული მქონდა, რადგან ორთაბრძოლის დროს, ჩემზე უმცროსი ყმაწვილი შემომაკვდა. ეს ჭორი გავავრცელე თუ არა,

ჩემ მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა: ის ბიჭებიც კი, რომლებიც ალმაცერად მიყურებდნენ, შეეცადნენ, ჩემთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ...“ ვანო ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. ის რაიონიდან ჩამოვიდა, სტუდენტებს შორის საკუთარი ადგილი ვერ იპოვა. უფულო ყმაწვილმა იფიქრა, იფიქრა და ასეთი გამოსავალი მონახა... ოთხი წლის მანძილზე უბატონოდ დალაპარაკებას ვერავინ უბედავდა. მაგრამ ვანომ იცოდა — ეს ტყუილი ბოლოს, მწარედ შემოუბრუნდებოდა, ამიტომ ყოველდღე მიდიოდა სპორტულ დარბაზში და სხვისი დახმარებით ვარჯიშობდა... ეს ის უნიკალური შემთხვევაა, როცა კაცი შეეცადა, ტყუილი რეალობად ექცია. სტუდენტების დასანახად, ხელით ტეხდა აგურებს, ფიცრებს... მაგრამ ნებისმიერი ტყუილი ბოლოს მეღავნდება. ვანომ ეს კარგად იცოდა. იმის შიშმა, რომ ოდესმე, სიმართლე გაირკვეოდა და ისიც ავტორიტეტს დაკარგავდა, ვანო საშინელ დეპრესიაში ჩაადგო და ჩემს პაციენტად აქცია... სამწუხაროდ, ტყუილი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და ზოგჯერ ძალიან ძნელია ტყუილ-მართლის გარჩევა.

— თქვენ პაციენტები ხშირად ამბობენ ტყუილს? ხშირად გიყვებიან იმის შესახებ, რომ ცხოვრებაში ბევრი გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს, როცა ტყუილი თქვეს?

— მყავდა პაციენტი, რომელიც თავის ჯგუფელ გოგონაზე იყო შეყვარებული. გიას არაფერი გამოუვიდა — იმ გოგომ არ თანაუგრძნო. მას სხვა ყმაწვილი უყვარდა და მასზე გათხოვებას აპირებდა. ჩემმა პაციენტმა კი ხმა გაავრცელა: მე და მაგ გოგოს გაუკუღმართებული სექსუალური კავშირი გვქონდა, ქალწულია, მაგრამ ჩემს ლოგინში ათასჯერ მაინც წოლილაო... მთელი სასწავლებელი ამაზე ალაპარაკდა. რატომღაც ყველამ დაიჯერა, ამბობდნენ — მთლად უსაფუძვლო ჭორი არ არსებობსო. მაგრამ ის გოგონა მაინც გათხოვდა. თანაც ასეთ ხერხს მიმართა — თქვა: გია იმპოტენტი იყო, სრულფასოვან სქესობრივ კონტაქტს ვერ ამყარებდაო. ინსტიტუტმა ეს ტყუილიც დაიჯერა. იმ გოგონების დაქალებიც ამბობდნენ: ანუკი სიმართლეს ამბობსო... ერთი სიტყვით, გია საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. მას იმდენად სერიოზული პრობლემები შეექმნა, რომ ორი წლის მანძილზე ვცდილობდი, დეპრესიიდან გამომეყვანა. აი, რა შედეგი მოჰყვა ტყუილს.

ტყუილი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილიცაა. ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაში ტყუილს შეჩვეული ადამიანები, პოლიტიკაში მოსვლის შემდეგაც არ ღალატობენ ძველ ჩვეულებებს. ადამიანებიც იოლად იღებენ ტყუილს პოლიტიკოსებისგან. ტყუილზე დამყარებული პოლიტიკური ურთიერთობები, პოლიტიკური გარიგებები და დაპირებები ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა...

სოსო ცინცაძე, *პოლიტოლოგი:*

— პოლიტიკაში მიღებულია სიმართლის დამალვა, რაც არ აღიქმება ტყუილის თქმად. როცა პოლიტიკურ მიმომხილველად ვმუშაობდი, ტყუილი არ მითქვამს, მაგრამ სიმართლეს ვმალავდი ხოლმე. მაგალითად, თუ ვაშუქებდით ჩეხოსლოვაკიის მოვლენებს, არ ვამბობდით იმას, რომ საბჭოთა კავშირმა ჩეხოსლოვაკიას ტანკებით გადაუარა. დიდი პოლიტიკოსებიც იშვიათად მიმართავენ ტყუილს, რადგან პოლიტიკაში ტყუილი უპერსპექტივოა — კონკურენტი ამას არ გაპატიებს. იმავეს ვერ ვიტყვი დიქტატორებზე. მაგალითად, სადამ ჰუსეინი თავს უფლებას აძლევდა, ხშირად ეთქვა ტყუილი — მას ხომ ოპონენტი არ ჰყავდა.

— გამოდის, რომ ტყუილი პოლიტიკაში ნორმადაა ქცეული?

— უფრო მიღებული ფორმაა სიმართლის დამალვა. ყველაზე დემოკრატი ლიდერებიც კი, მიმართავდნენ და მიმართავენ ამ მეთოდს. პოლიტიკაში ყველაფერი არ ითქმება. საუბარი არა მაქვს მხოლოდ დიდ პოლიტიკოსებზე. საქართველოშიც კი, ჩვენი პოლიტიკოსები პოლიტიკურ ცხოვრებაში ხშირად სჩადიან იმას, რისი გაკეთების უფლებასაც პირად ცხოვრებაში საკუთარ თავს არ მისცემდნენ. მაგალითად, ვახტანგ ხმალაძეს წესიერი, პატიოსანი კაცის სახელი აქვს, მაგრამ პოლიტიკაში აბსოლუტურად უპრინციპოა,ხშირად ტყუის კიდეც, რვა პოლიტიკური პარტია გამოიცვალა. იგივე გააკეთა კაკო ასათიანმაც, მაგრამ მან თავისი ,,ფუნდამენტური“ გარეგნობის შესაფერისი სოლიდურობა შეინარჩუნა. ჩემი აზრით, ვახტანგ ხმალაძე, როგორც პოლიტიკოსი, მეტ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე ვახტანგ ხმალაძე, რადგან რჩეულიშვილი პრინციპულად,ბულდოზერივით იცავს იმას, რაც მას ჰგონია, რომ სიმართლეა. ვახტანგ ხმალაძეც კი, არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე გამოდიოდა ლოზუნგით — არჩევნების შედეგების გაუქმებისთვის კანონი არ არსებობსო, — მაგრამ ახლა პოზიცია შეიცვალა. რა არის ეს — სიმართლის დამალვა, ნახევარსიმართლე თუ ტყუილი? ასეთ სიტუაციაში სოლიდურობა რომ შეინარჩუნო, უნდა გამოხვიდე და თქვა: ვცდებოდიო, — ან — სასამართლომ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილებაო... იმავე სასამართლომ სიმართლე დააკანონა იმიტომ, რომ ზემოდან მოსთხოვეს. ეს სიმართლე ორი კვირის წინ სასამართლომ არ დააკანონა. ამას ჰქვია პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ზოგჯერ, შეიძლება, სიმართლედ მოგვევლინოს... ამრიგად, სიმართლე პოლიტიკაში ცოტა გულუბრყვილო თემად მეჩვენება. ვისაც კრისტალური სიმართლით ცხოვრება სურს, მონასტერში უნდა წავიდეს და არა პოლიტიკაში. პოლიტიკას ძალზე მკაცრი კანონები აქვს. ამიტომაც გამოიგონეს პოლიტიკოსებმა ყველაფრის გასამართლებელი ტერმინი — ,,მიზანშეწონილი“. მაგალითად, კომუნისტებმა დააწესეს ,,რევოლუციური მიზანშეწონილობა“. პეტრე პირველმა ძვლებზე ააშენა პეტერბურგი, ის ველური იყო, ნამდვილი ველური, მაგრამ დღეს ეს აღარავის ახსოვს — დღეს პეტერბურგი მისი ძეგლებით არის სავსე... პოლიტიკოსმა შეიძლება დამალოს ფაქტი. მას ამისთვის არავინ უსაყვედურებს — მატყუარა ხარო...

— მოდით, ახლა დღევანდელ საქართველოში გადმოვინაცვლოთ. მიხეილ სააკაშვილი მიტინგებზე ხშირად ამბობდა — პრეზიდენტი ჩაუშესკუაო! — მაგრამ ბოლოს, ხაზგასმით აღნიშნა: შევარდნაძეს ღირსება უნდა შევუნარჩუნოთო. ტყუოდა თუ არა ამ დროს სააკაშვილი?

— ვერ გეტყვით, ეს ტყუილია მისი მხრიდან თუ არა, მაგრამ სააკაშვილმა იცოდა, რომ შევარდნაძე მშვიდად უნდა წასულიყო პოლიტიკიდან, რათა ჩვენშიც დამკვიდრებულიყო ის ტრადიცია, რომელიც ამერიკაში არსებობს და ძალიან მისაღებია: იქ კარტერს ისევ პრეზიდენტს უწოდებენ. მიხეილ სააკაშვილმა ეს ყველაფერი შესანიშნავად იცის, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ის ტყუილს ამბობდა, როცა პრეზიდენტისთვის ღირსების შენარჩუნებაზე ლაპარ-

აკობდა. მაგრამ სიყალბეა ის, რომ შევარდნაძის გუნდის წევრები მასთან მიდიან და ერთგულებას ეფიცებიან. საშინელი ტყუილია, როცა პრეზიდენტის „უერთგულესი“ ადამიანები ირწმუნებიან — ბოლო ოცი დღე არ მელაპარაკებოდა, არ მინახავს, რჩევებს ვერ ვაძლევდიო... ერთადერთი, ვინც მისგან მართლა იზოლირებული იყო, თედო ჯაფარიძე გახლდათ. პრეზიდენტი მას აღარ უსმენდა.

— როცა პრეზიდენტი ამბობდა ტყუილს, ვიცოდით, რომ ის ტყუოდა, მაგრამ მაინც ვუსმენდით. რატომ ხდება ხოლმე ასე?

— იმიტომ, რომ პრეზიდენტმა ამას მიგვაჩვია. საზოგადოებრივი აზრი ასეთია: აბა, რისი პოლიტიკოსია, თუ არ მოიტყუაო?! — და აქცენტი იუმორზე გადაგვაქვს; „დარდუბალას“ ვუყურებთ, საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამებით „ვიფხანთ“ გულს. ჯერჯერობით, ტყუილის თქმა არ სჭირდებათ ჟვანია-ბურჯანაძე-სააკაშვილს. თუ მათ შორის ბზარი გაჩნდა, ტყუილის გარდა, სხვა გზა არ დარჩებათ. ზურაბ ჟვანიას უკვე აღარ მოსწონს სახელმწიფო მოწყობის ფრანგული მოდელი, რადგან ის ვერ ხედავს მასში თავისი თანამდებობის სიძლიერეს. იმას ხომ ვერ იტყვის — ძალაუფლება გამიზარდეთო?! ამიტომ უნდა თქვას ტყუილი, კერძოდ — რომ სახელმწიფო მინისტრის უფლებების გაზრდა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს...

— ხალხმა იცის, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გამოთქმული დაპირებები არ შესრულდება, მაგრამ ხმას მაინც აძლევს ამა თუ იმ პარტიას. პოლიტიკურმა ლიდერებმაც კარგად იციან, რომ ვერ შეასრულებენ ან არ შეასრულებენ იმ დაპირებებს, რომელიც მათ საარჩევნო პროგრამაში წერია. გამოდის, რომ ისინი პოლიტიკაში ტყუილით მოდიან?



სოსო ცინცაძე

— მე არ მეგულება ადამიანი, რომელსაც პროგრამის გამო მიუცია ვინმესთვის ხმა. ჩვენ რომ იმ დონემდე ვიყოთ ასულები, რომ პარტიებს მათი პროგრამებით ვაძლევდეთ ხმას, არ დაიწერებოდა ისეთი სისულელე, თითქოს 900 დღეში ლამისაა, კომუნიზმი აშენდება. პარტიებიც აღარ აპატიებდნენ ერთმანეთს პროგრამებში ტყუილის ჩაწერას, მაგრამ მათ იციან, რომ პროგრამის წამკითხავი და გამკრიტიკებელი მხოლოდ ორისამი ადამიანია. მემარჯვენეა მიხეილ საკაშვილი, მაგრამ დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევას მოითხოვს, მემარცხენეა შალვა ნათელაშვილი, მაგრამ ამას არ მოითხოვს. ეს ხომ ამომრჩევლების მოტყუებაა. მაგრამ ამომრჩეველი ალბათ ფიქრობს, რომ ჯობია, იყოს მოტყუებული...

— ამერიკელმა ხალხმა პრეზიდენტ კლინტონს არ აპატია ტყუილი. ჩვენ რატომ ვაპატიებთ? მხოლოდ დაბალი პოლიტიკური კულტურის გამო?

— აქ მთავარია ყოფითი პრობლემები: მშიერი ადამიანი არ არის მოაზროვნე პიროვნებაო, — ამას აფრიკელები ამბობდნენ!.. თანაც, ძნელია ტყუილ-მართლის გარჩევა. დავით გამყრელიძემ პროტესტი გამოუცხადა ახალ პარლამენტს, მაგრამ სხდომაზე მივიდა. ეს ტყუილად არ ითვლება. გამყრელიძემ ყოველთვის შეიძლება თქვას: შეიცვალა სიტუაცია, რაღაც მოხდაო... ტყუილს მიჩვეული საზოგადოება პოლიტიკოსებისგანაც იოლად იღებს ტყუილს. ამერიკელი დედა არასდროს ეტყვის შვილს — ტკბილი წამალი უნდა დაგალევინოო, — მაშინ, როცა მწარე წამალს ასმევს; ქართველი დედა კი, აუცილებლად ეტყვის: იცი, ეს წამალი რა ტკბილიაო?! — სინამდვილეში კი, მწარე წამალს დაალევინებს... ასე რომ, ელექტორატი ისეთი ადამიანებით ივსება, რომლებიც ოჯახიდანვე მიაჩვიეს ტყუილს. ამიტომაც ელექტორატის ნაწილს გულუბრყვილოდ სჯერა, რომ მოვა ვიღაც, ვინც მოუმატებს ხელფასებს, გააუმჯობესებს კრიმინალურ მდგომარეობას, შექმნის ცხოვრების კარგ პირობებს. ეს „მამალი“ ტყუილია, მაგრამ ადამიანებს ამისი სჯერათ.

XVIII საუკუნის იტალიელი, ყველა დროის უნიჭიერესი თაღლითი, გრაფი კალიოსტრო წერდა: „ადამიანებს უყვართ, იყვნენ მოტყუებულნი“. როგორია რეალობა? რატომ ტყუვდებიან ადამიანები? რატომ იტყუებენ თავს? მართლა მოსწონთ მოტყუებულის როლში ყოფნა?

ქეთინო თავართქილაძე, *ფსიქოლოგი:*

— დაახლოებით ორი ასეული წლის წინ, რუსეთში გამოჩნდა კვაჭი კვაჭანტირაძის სლავი „მეგობარი“, ობივატელთა ჯიბეების დამცარიელებელი, ნიჭიერი გაიძვერა — ვინმე გრიგორიევი. აი, მისი ერთერთი ოინი: გრიგორიევმა საჯინიბოს კარზე გააკრა აბრა — „აქ ნახავთ ცხენს, რომელსაც კუდი იქა აქვს, სადაც სხვა ცხენებს თავი აბიათ“. ამ უჩვეულო სიმახინჯის ნახვის სურვილი ბევრს გაუჩნდა და ფულიც გადაიხადა. მათ თავლაში ხვდებოდათ ჩვეულებრივი ცხენი, რომელიც შებრუნებით იდგა — თავით კედლისკენ, კუდით — კარისკენ; აღვირიც კუდზე ჰქონდა მიბმული... ამგვარი ყალთაბანდობა შეუძლებელია, განხორციელდეს დოყლაპიათა ხელშეწყობის გარეშე. ხომ ყველასთვის ნათელია — რამდენიც არ უნდა ითევზაო ტყეში, თევზს ვერ დაიჭერ, რადგან უბრალოდ, ის იქ არ არის?! თუკი ადამიანი ანკესზე წამოეგება, ე.ი. მან თვითონვე შეუწყო ამას ხელი და ამიტომ, მომხდარის გამო პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილონ, როგორც დაზარალებულმა დოყლაპიამ, ისე იმან, ვინც ტყუილი საკუთარ პროფესიად და სხვათა გასულელება — ცხოვრების წესად აქცია... თაღლითობა იგივე ტყუილია, მაგრამ გონებამახვილურ თაღლითობას თავისი ხიბლიც აქვს. ის იმგვარად ხორციელდება, რომ მოტყუებული დამცირებულად არ გრძნობს თავს და ხშირად, იმასაც ფიქრობს, რომ საკუთარი ნებით გაება ავანტიურისტის ბადეში. მაგალითად, 60-იანი წლების მიწურულს, საქართველოში ყველა ალაპარაკდა გიორგი რატიანის შესახებ. მან კახეთის რამდენიმე სოფლის მცხოვრებთ იქ არსებული ყველა ელექტრობოძი „მიჰყიდა“ — ვითომდა, ხის ბოძები მოძველდა და ისინი ბეტონის ბოძებით უნდა შეეცვალათ. რატიანმა ყველაფერი „ოფიციალურად გააფორმა“: გლეხებს ქვითრები დაურიგა, ფული ჯიბეში ჩაიდო და გაქრა. როცა დაიჭირეს, ასე იმართლა თავი: თუ ჩემს ოთახში ჩიტი შემოფრინდა, მე კი ის გალიაში ჩავსვი, განა ამ ჩიტს ვიჭერდი?! მის მოსატაცებლად ხომ სპეციალური ზომები არ მიხმარია?! არც კაკანათი დამიდგამს და არც ბადე გამიშლიაო... ისინი, ვინც ამ კაცმა მოატყუა, შეურაცხყოფილად არ გრძნობდნენ თავს, პირიქით — სიმპათიაც კი გაუჩნდათ მის მიმართ, ვინც ასე გონებამახვილურად მოიქცა... იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს თანამემამულეზე, რომელიც ფრანგულ ენად ციმბირში მეგრულს ასაღებდა...

P.S. „მე მატყუარა ვარ,— უყვარდა თქმა გრაფ კალიოსტროს, — მაგრამ ჩემი დამსახურება იმაშია, რომ მე ვიცი, ვისი მოტყუება შეიძლება და ვისი — არა...“

■

გრანდიოზული მშენებლობა, მკერდშიშველი აფრიკელი ქალები და ბუზი ცეცეს მომაკვდინებელი ნაკბენი

გიგლა არაგული იმ ბედნიერთა შორისაა, ვინც თავის დროზე, საბჭოთა კავშირიდან დროებით წასვლა და საზღვარგარეთ მუშაობა მოახერხა. მას აფრიკის ჯუნგლებში ანტილოპებსა და მარტორქებზე ნადირობისას, უამრავი ხიფათი შეხვედრია. მისი საცხოვრებელი ხშირად „მოუნახულებიათ“ მახრჩობელა თუ შხამიან გველებს, მაგრამ ბატონ გიგლას ყოველთვის უმართლებდა. აფრიკაში ყოფნისას, ის შამანებსაც შეხვედრია და თურმე საშინლად შეძრწუნებულა იმ რიტუალებით, რომელსაც ეს უცნაური ადამიანები ატარებდნენ. ერთხელ, ალბათ მათი გავლენით, ბატონ გიგლასაც უწინასწარმეტყველებია მომავალი: უთქვამს — სანამ კაშხლის ამ ნაწილზე მუშაობას არ დავასრულებთ, წვიმა არ მოვაო. მართლაც, მხოლოდ მშენებლობის დამთავრების შემდეგ წამოსულა წვიმა. მერე უფროსობასთან დიდხანს უმართლებია თავი: არ გეგონოთ, წინასწარმეტყველების უნარი შევიძინე, შემთხვევით ასრულდა ჩემი ნათქვამიო...

მერი კობიაშვილი

ბატონმა გიგლამ ყაზბეგის რაიონის სოფელ ჯუთაში მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ კი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. იმ დროს, საბჭოთა კავშირი ყოველნაირად ცდილობდა, განემტკიცებინა პროკომუნისტური სახელმწიფოების მისდამი კეთილგანწყობა, ამიტომ დიდ დახმარებას უწევდა — საკუთარი ხარჯებით აწარმოებდა მათთვის გრანდიოზულ მშენებლობას. ჩვენს რესპონდენტთან საუბარი სწორედ იმ პერიოდიდან — წინა საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან დავიწყეთ, როცა ზემოთ ხსენებული გრანდიოზული მშენებლობები მსოფლიოს სხვადასხვა ჩამორჩენილ სახელმწიფოში ფართო მასშტაბებითა და ინტენსივობით მიმდინარეობდა.

— იმ დროს, ინდოეთის ქალაქ ფილაიში უზარმაზარი მეტალურგიული კომბინატი აშენდა, რუსთავის პირველი სამშენებლო ტრესტის ძალისხმევით. ამ ტრესტში სამუშაოდ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მივედი. სწორედ მაშინ, ინდოეთში ბოკაროს მეტალურგიული კომბინატი უნდა აშენებულიყო. ბედის წყალობით, ამ მშენებლობაზე წამსვლელთა სიაში მოვხვდი. მაგრამ ბოკაროში, სამწუხაროდ, ვერ წავედი: ჩემ მაგივრად იქ სხვა გააგზავნეს — ალბათ, უფრო ფულიანი იყო... თუმცა, ჩემი საბუთები უკვე მოსკოვში იყო გაგზავნილი, საიდანაც სულ ცოტა ხანში მაცნობეს, რომ ბოკაროს ნაცვლად, შემეძლო, იემენში, ცემენტის ქარხნის მშენებლობაზე წავსულიყავი. იქ ორწელიწად-ნახევარი დავყავი. ამ მშენებლობაზე ერთადერთი ქართველი ვიყავი და ამის გამო, მარტოსულად ვგრძნობდი თავს. თუმცა, იემენი საინტერესო ქვეყანაა და იქ ადამიანი ვერ მოიწყენს. არც მე მომიწყენია... აი, ასე დაიწყო ჩემი მოღვაწეობა საზღვარგარეთ.

ჩამომატარებდა ხოლმე თავისი ცოლების წინ; შემეძლო, ნებისმიერი ამერჩია ერთი ღამით

— **აფრიკის კონტინენტზე როგორღა მოხვდით?**

— იემენიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, როცა მოულოდნელად გვინეის რესპუბლიკაში, უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე მუშაობა შემომთავაზეს. მეც მაშინვე დავთანხმდი და გვინეაში ხუთი წელი (1972-დან 1977-მდე) გავატარე.

— **არ გაგიჭირდათ იქაურ ცხოვრებასთან შეგუება?**

— რა თქმა უნდა, გამიჭირდა. გვინეაში სულ სხვაგვარი ცხოვრება დამხვდა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ იქ გამგზავრება გმირობის ტოლფასი იყო, თუნდაც კლიმატის გამო: იმ რაიონში, სადაც ჩვენ ვმუშაობდით, ჩრდილში 40 გრადუსი ტემპერატურა იყო ცელსიუსით. თუმცა, სიცხე ჩემზე არ მოქმედებდა. ახლაც შემიძლია ასეთ სიცხეში თავშიშველი გასვლა. ევროპელი ადამიანისთვის უკონდიციონერიროდ იქ ცხოვრება წარმოუდგენელი იყო. თუმცა, ჩვენ, საბჭოთა კავშირიდან ჩასულები, ამ აუცილებელი ატრიბუტის გარეშე ვცხოვრობდით.

— **ჯუნგლებში თუ გინადირათ?**

— როგორ არა?! ტროპიკულ შლემსა და ჩექმებში გამოწყობილი — ისეთში, რომელშიც გველის ნაკბენი არ ატანს, — დავდიოდი ჯუნგლებში. ნადირობა ჩემი სტიქია იყო. რომ გითხრათ — ჯუნგლებში სანადიროდ რომ მივდიოდი, არაფრის მეშინოდამეთქი, — ტრაბახი გამომივა. გვინეაში, ჩვენ მახლობლად კაციჭამიათა ტომი ცხოვრობდა, რომელსაც მანო ერქვა. ჩემი თვალითაც კი მინახავს, როგორ მიირთმევდნენ ამ ტომის წარმომადგენლები ადამიანის ხორცს... ყველა მეუბნებოდა — ფრთხილად იყავი, ჯუნგლებში ნუ დადიხარ, კაციჭამიებს არ გადაეყაროო. მაგრამ მე ამ ხიფათს არ ვეპუებოდი. ვიჭერდი პეპლებსა და მორიელებს, მათგან ფიტულებს ვაკეთებდი. სამწუხაროდ, დღეს არც ერთი აღარ შემომრჩა — მეგობარ-ნათესავებმა „დაატაცეს“. მორიელების დაჭერის ჩემეული მეთოდი მქონდა. ჩვენთან რომაა, იქ იმხელა მორიელები

...ამის გამო იყო, რომ როცა ცეკას პირველ მდივანს ფოტოს უღებდნენ, მეც (მარცხნივ) ხშირად ვხვდებოდი ობიექტივში

კი არაა – გვინეაში მათი სიგრძე 25 სანტიმეტრს აღემატება. როცა მორიელი კუდს აბზეკდა, მე თოკით მარყუჟს ვუკეთებდი და შემდეგ, ბენზინიან ჯაჭში ვათავსებდი: ისინი ბენზინის სუნს ვერ იტანენ და მაშინვე იგუდებიან. პეპლებისა და მორიელების ფიტულებს წითელ აფრიკულ ხეზე, მაჰაგონზე ვამაგრებდი და ძალიან ლამაზი გამოდიოდა, ყველას მოსწონდა. უცხოეთიდან ჩამოსულები ყიდულობდნენ კიდეც.

— კაციჭამიათა ტომის — მანოს წარმომადგენლებს თუ შეხვედრიხართ?

– მათთან ხშირად მივსულვარ. გვინეაში სახელმწიფო ენად ფრანგულია გამოცხადებული. მართალია, იქაურებს თავიანთი სალაპარაკო ენა ჰქონდათ, მაგრამ ფრანგული ყველამ იცოდა. მათთან ურთიერთობა არ გამჭირვებია. ღამე სანადიროდ რომ წავსულვარ, მათთან ხშირად მოვხვედრილვარ. ტომის ბელად მუსასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. ჩამომატარებდა ხოლმე თავისი ცოლების წინ (ათი ცოლი ჰყავდა); შემეძლო, ნებისმიერი ამერჩია ერთი ღამით, მაგრამ მე დელიკატურად ამ შემოთავაზებას თავს ვარიდებდი: ვიცოდი, ნებისმიერი ბუჩქის ძირას შეიძლებოდა, ჯაშუში („კაგებეშნიკი“) ყოფილიყო ჩასაფრებული: ჩვენ ხომ იქაურ ქალებთან ასეთი ურთიერთობა აკრძალული გვქონდა... შეიძლება, მუსას ასეთი კეთილი დამოკიდებულება იმანაც განაპირობა, რომ კაშხალს ვაშენებდით, მათთვის წყლის პრობლემა უნდა გადაგვეჭრა. ალბათ, სწყინდა კიდეც, მის ცოლებზე უარს რომ ვამბობდი, მაგრამ... სამაგიეროდ, მათთან საჩუქრად ვისკი მიმქონდა ხოლმე, რომელიც ძალიან უყვარდათ და მუსასაც მალე ავიწყდებოდა გულისტკენა.

— მკერდმოშიშვლებული გვინეელი ქალები მოგწონდათ?

– როგორ არ მომწონდა?! მართალია, ხანში შესული ქალები შეუხედავები იყვნენ, მაგრამ ნორჩი გვინეელი გოგონების ყურებას არაფერი სჯობდა. მართლაც, საოცარი ქალები იყვნენ *(იცინის)*. თან ფრანგებმა მიაჩვიეს – თუ თეთრ მამაკაცს მოუნდებოდა მათთან სექსუალური კავშირის დამყარება, უარს არ ამბობდნენ. ეს ეამაყებოდათ კიდეც, ამიტომ უბრალოდ, ხილიც რომ შეგეთავაზებინა, მზად იყვნენ, შენთან ღამე გაეტარებინათ... ამბობენ, აფრიკელი ქალები მსოფლიოში ყველაზე სექსუალურები არიანო, მაგრამ როგორც გითხარით, ჩვენთვის ასეთი საქციელი მაშინ აკრძალული იყო.

— გვინეაში იქაურ ალიზით ნაშენ სახლში ცხოვრობდით თუ მშენებლებისთვის საგანგებოდ ააშენეს კომფორტული სახლი?

– ჩვენ, კომუნისტური ქვეყნიდან ჩასულებს „გვინდოდა გვეთქვა“, რომ კაპიტალისტებს არ ვგავდით და თითქმის იმავე პირობებში ვცხოვრობდით, როგორშიც ადგილობრივი მოსახლეობა. ამიტომ სიმპათიით განეწყვნენ ჩვენ მიმართ იქაური კანიბალებიც კი. ჩვენ გვერდით ფრანგები და იტალიელები (ისინი დროებით იყვნენ იქ ჩასულები) ფეშენებელურ ბინებში ცხოვრობდნენ და მოსამსახურეებიც ჰყავდათ. ჩვენ კი, ყველას ერთად, ერთი ადამიანი გვემსახურებოდა, ისიც – მხოლოდ უმნიშვნელო საქმეების კეთებაში გვეხმარებოდა. მაგალითად, მან იცოდა, რომ მე დღეში თოთხმეტ ჭიქა ჩაის ვსვამდი და ყოველდღე, თოთხმეტჯერ მოჰქონდა ხოლმე ჩემთვის ჩაი.

— გვინეურ სამზარეულოსთან შეგუება მოგიწიათ თუ თქვენთვის საგანგებოდ ქართული სამზარეულოს კერძებს ამზადებდნენ?

– სპეციალისტების ცოლები რომ დაეს აქმებინათ, რუსებმა იქ რუსული სამზარეულო გახსნეს და უმეტესად, რუსული კერძებით ვიკვებებოდით. ანკეტებს ვავსებდით ხოლმე, თუ ვის რა საჭმელი გვინდოდა და საბჭოთა კავშირიდან მოგვდიოდა დაკონსერვებული საუკეთესო საჭმელი. მე ხშირად ვუკვეთდი ქართულ შავ ღვინოს. გვინეაში ისეთი „ქინძმარაული“ ჩამოჰქონდათ, რომ მსგავსს ახლა კი არა, მაშინაც ვერ ნახავდით საქართველოში. სიმართლე გითხრათ, ჩემს ნაცნობებს გვინეაში ღვინო არ მოსწონდათ და მეუბნებოდნენ – მჟავეაო, – მე კი ვუხსნიდი, რომ მჟავე კი არა, ეს სასმელი განთქმული ქართული ღვინო იყო, მაგრამ ისინი მაინც არაყს ამჯობინებდნენ, მე კი ქართულ ღვინოს არ ვღალატობდი და უპირატესობას მუდამ მას ვანიჭებდი ხოლმე.

— თქვენ თქვით — გვინეელებს ძალიან ვუყვარდიო. მათთან სტუმრად რომ მიდიოდით, როგორ გიმასპინძლდებოდნენ?

– ამ მხრივ, ისინი ძალიან გულკეთილები იყვნენ. მართალია, თვითონ ბევრი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ სტუმრად რომ მივდიოდით, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ საუკეთესოდ გაგვმასპინძლებოდნენ. მათ ენაზე ერთიორი გამონათქვამი ვისწავლე და როცა ჩემს ამ ცოდნას ვამჟღავნებდი, უფრო თბილად მეპყრობოდნენ... მათი კერძები განუმეორებელი გემოთი გამოირჩევა. ისინი სიტკბოსა და სიმწარეს უხამებენ ერთმანეთს, თან თაფლს ურევენ კერძებს. ჩვენთვის ეს წარმოუდგენელია, მაგრამ თუ გასინჯავთ, აუცილებლად მოგეწონებათ. ასეთი რეცეპტით ისინი თევზსა და ხორცსაც კი ამზადებენ. თევზის მომზადება ჩვენგან სრულიად განსხვავებულად იციან. თევზს პირდაპირ გაზის ალზე დებენ და ცოტა ხანში, კანს მთლიანად აცლიან ისე, რომ თევზის მხოლოდ რბილი ნაწილი რჩება. ამას როგორ აკეთებენ, არ ვიცი. ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ვერაფრით მოვახერხე თევზისთვის კანი ასე მომეცილებინა.

— თქვენს სახლში კედელზე გველის ტყავი შევნიშნე. აფრიკაში ეს გველი თქვენ „მოინადირეთ“?

– მართალია, გველი მეც მომიკლავს (ოღონდ თოფით), მაგრამ ეს გველი ჩემმა გვინეელმა კანიბალმა მეგობარმა მოკლა და ტყავი მაჩუქა. ის მგუდავი, ხის გველი იყო, 12 მეტრი სიგრძის. გველისთვის ეს არცთუ ისე დიდი სიგრძეა, მაგრამ ტყავი ჩემს სახლში კედელზე არ დაეტია და

ნაწილი მოვაჭერით.

— ბევრი აფრიკული ნიღაბი გაქვთ. ამბობენ, ყველა მათგანს საკუთარი აურა აქვსო. თქვენ როგორი ნიშნით ირჩევდით მათ?

— არის ისეთი ნიღბები, რომელსაც ძალიან ცუდი აურა აქვს. მე რომ ვყიდულობდი, ყოველთვის ვკითხულობდი — რომელი რიტუალისთვის იყო განსაზღვრული და რომელ ტომს ეკუთვნოდა? საქართველოში მხოლოდ დადებითი აურის მქონე ნიღბები ჩამოვიტანე. მაქვს მანოს ტომის ქალისა და მამაკაცის ნიღბები, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალზე დადებითი ენერგიის მატარებელია.

ყველაზე ხშირად ზანგი ქალები მახსენდებიან, დიდი გოდორივით მკერდი რომ ჰქონდათ...

— თქვენ თუ დასწრებიხართ რომელიმე ტომის რიტუალს?

— ერთხელ იმ რიტუალს დავესწარი, რომლის დროსაც, გვინეელი ქალები მთლიანად შიშვლდებიან და როკავენ. სიმართლე გითხრათ, ამ რიტუალურ სცენას მალულად ვადევნებდი თვალს იმის გამო, რომ მამაკაცების მასზე დასწრება სასტიკად აკრძალული იყო. რომ შეეტყოთ, მათ რიტუალს თვალს ვადევნებდი, ვფიქრობ, ცოცხალი ვერ გადავურჩებოდი იმ ქალებს. მაგრამ გამიმართლა, თანაც, იმდენად, რომ კინოფირზეც კი აღვბეჭდე მათი რიტუალური ცეკვები.

— ასეთი დაძაბული ცხოვრება გქონდათ, თან აფრიკაში მოღვაწეობდით; ოჯახის შექმნა როდისღა მოახერხეთ?

— პირველი მეუღლე უკრაინელი მყავდა, რომელიც იემენშიც თან მახლდა და გვინეაშიც. მისგან ორი შვილი მყავს — ბიჭი და გოგო. საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ სამუშაოდ არ გაგიშვებდნენ, თუ მეუღლე არ წამოგყვებოდა... მეორედ, უკვე საქართველოში დაბრუნებულმა მოვიყვანე ცოლი. მასთანაც ორი შვილი შემეძინა. ჩემს ოთხივე შვილს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვს.

— თქვენს ყოფილ მძახალთან — ვახუშტი კოტეტიშვილთან ერთად თუ ყოფილხართ რომელიმე ეგზოტიკურ ქვეყანაში სამოგზაუროდ?

— მე და ვახუშტი სულ ვმოგზაურობთ. მთელი საქართველო გვაქვს შემოვლილი. აფრიკაში მასთან ერთად არ წავსულვარ. ვახუშტი ის კაცი არ არის, რომელიც აფრიკაში იცხოვრებდა, მას იქ ცოტა ხნით დარჩენაც კი ძალიან გაუჭირდება.

— ახლა თუ გაქვთ აფრიკელებთან რაიმე ურთიერთობა?

— ერთ დროს, მიმოწერა მქონდა იქაურებთან, მაგრამ ახლა ამას ვეღარ ვახერხებ. დრო აირია და აფრიკელ ნაცნობებთან ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

— თქვენს საოჯახო ალბომში ედუარდ შევარდნაძესა და ჯუმბერ პატიაშვილთან ერთად გადაღებული ფოტოებიცაა. მათთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ეს ფოტო 80-იანი წლების დასაწყისშია გადაღებული. ბატონი ედუარდი მიცნობდა, როგორც მშენებელს. სამშენებლო ობიექტების ტრესტის მმართველი ვიყავი და წლის ბოლოს, შენობების დათვალიერება ეწყობოდა ხოლმე; ამის გამო იყო, რომ როცა ცეკას პირველ მდივანს ფოტოს უღებდნენ, მეც ხშირად ვხვდებოდი ობიექტივში.

— ახლაც თუ ფუნქციონირებს ის საწარმოები, რომლის მშენებლობაშიც თქვენ მონაწილეობდით?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იემენი იმ ცემენტის ქარხნით ცხოვრობს, რომელიც საბჭოთა მშენებლებმა 60-იანი წლების ბოლოს ავუშენეთ. გვინეაში კი, წყალმომარაგების სისტემა, თავისი წყალსაცავით, ახლაც კარგად ფუნქციონირებს. გვინეის მოსახლეობის უმეტესობა ახლაც იმ წყლით მარაგდება.

— ყველაზე ხშირად რა გახსენდებათ, რაზე გწყდებათ გული?

— ყველაზე ხშირად ზანგი ქალები მახსენდებიან, დიდი გოდორივით მკერდი რომ ჰქონდათ, რომელიც ხელშეუხებელი იყო (გაუთხოვარი ქალების მკერდს ვგულისხმობ)...

— აფრიკაში ყოფნისას, ყველაზე ხიფათიან თავგადასავალს ხომ ვერ გაიხსენებდით?

— იქ არის ბუზის განსაკუთრებული ნაირსახეობა — ცეცე; მის ნაკბენს შეუძლია, საღათას ძილი გამოიწვიოს, რომელიც სიკვდილით მთავრდება. ერთ მშვენიერ დღეს, იმ ბუზმა მეც მიკბინა. ამბობენ, ასეთ შემთხვევაში 10000-დან ერთი ადამიანი შეიძლება გადარჩესო. რატომღაც მე იმ ერთეულთა შორის აღმოვჩნდი...

— აფრიკაში ახლა თუ წახვიდოდით?

— ამის დიდი სურვილი მაქვს. მე და ჩემს გოგონას (რომელიც მეორე ქორწინებიდან შემეძინა), გვინდა აფრიკაში სამოგზაუროდ წასვლა, თან, ჩემი შვილი ფოტოხელოვნებითაა გატაცებული და იმედი აქვს, რომ იქ ბევრ საინტერესო კადრს გადაიღებს. აფრიკა იმდენად მიმზიდველია, არ შეიძლება, არ მოგეწონოს და თუ ერთხელ გაგიღიმა ბედმა და იქ მოხვდი, აფრიკაში კვლავ წასვლის სურვილი აუცილებლად გაგიჩნდება.

P.S. საუბრის ბოლოს, კვლავ ქალებზე ჩამოვაგდე სიტყვა. გამოტყდით, რომელიმე გვინეელ ქალიშვილს არ გამიჯნურებიხართ-მეთქი? — ვკითხე. ცხოვრება გაჩვევს და აღარ გრძნობ რაიმე უხერხულობას, როცა შენ გვერდით მკერდშიშველი ქალები მიდი-მოდიან და აზრადაც არ მოსდით, სხეულის ამ ნაწილის დაფარვაო, — მიპასუხა. ბატონ გიგლას გვინეურ ამბებზე დღიურებიც დაუწერია, თუმცა მის წიგნად გამოცემას ჯერჯერობით ვერ ახერხებს. ის გვინეის პრეზიდენტ სეკუტურესაც დიდი პატივისცემით იხსენებს, რომელსაც საბჭოთა მშენებლებისთვის უფლება მიუცია, ნებისმიერ ხილის პლანტაციაში დაუბრკოლებლად შესულიყვნენ და უსასყიდლოდ ეჭამათ ბანანი, პაპაია თუ ანანასი. ამიტომ, ალბათ, არცაა გასაკვირი, რომ ბატონ გიგლას დღესაც დიდი სურვილი აქვს აფრიკაში ჩასვლის და იქაური მეგობრების მონახულების... ■

ბატონ გიგლას დღესაც დიდი სურვილი აქვს აფრიკაში ჩასვლის და იქაური მეგობრების მონახულების



„ღვთისაგან ავი დედამთილი, ვეფხვნელს...“

მარი ჯაფარიძე

მახსოვს, სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ ყველა ზეცნების სახელი, სიტყვა „დედით“ იწყება: დედამიწა, დედაბოძი, დედაენა... დედამთილი? დიახ, „გზის“ მკითხველი რძლების დიდი ნაწილი სწორედ ასე ფიქრობს. თუმცა, მრავალფეროვნებისთვის „გზავნილებში“ სხვადასხვა შინაარსის „მესიჯები“ შევარჩიე. აღმოჩნდა, რომ ქუთაისელი დედამთილები მსოფლიოში ყველაზე კარგი დედამთილები ყოფილან; რატომ? ამის თქმის საფუძველს ისევ და ისევ მკითხველთა გზავნილები მაძლევს... ჩემდა გასაკვირად, მამაკაცებიც საკმაოდ აქტიურად შემეხმიანნენ და თავიანთი ცოლებისა და დედების ურთიერთობების შესახებ დაუფარავად მიამბეს:

„...აი, ეს ულვაში მომპარსეთ, თუ გავაშველო!...“

„ჩვენ, მამაკაცები უპირატესობას ვგრძნობთ იმის გამო, რომ არც სიდედრები ვიქნებით ვინმესთვის და არც დედამთილები. ეს უკვე ბედნიერებაა. მე კი მინდა, ჩემი ცოლისა და დედაჩემის შესახებ მოგიყვეთ. ცოლი რომ მოვიყვანე, ცოტა მოშინაურდა თუ არა, მაშინვე თავისი კანონების შემოტანა სცადა ოჯახში. ამას კი დედაჩემი მეტად მტკივნეულად განიცდის. ნინომ (მეუღლემ) სცადა, ბინაში ავეჯისთვის ადგილი მოენაცვლებინა. სახლი თავისი გემოვნებით მოაწყო. რამდენიმე საათით შინიდან გავიდა, დაბრუნებულს კი ყველაფერი ისევ ისე დახვდა, როგორც თავიდან ეწყო. პირველი ბომბი სწორედ მაშინ გასკდა. ისევ დაიკაპიწა სახელოები და ხვნეშა-ხვნეშით დაიწყო ავეჯის გადაადგილება. დასახმარებლად მეც დამიძახა, მაგრამ შინიდან საერთოდ წავედი. რომ მივხმარებოდი, დედას ეწყინებოდა, არ მივხმარებოდი და – ნინოს. დასაძინებლად გვიან დავწექით. სულ ბუზღუნით ამიკლო. მე უხმოდ გადავბრუნდი მეორე გვერდზე და დავიძინე. დილით საძინებლიდან პირველი მე გამოვედი და ელდა მეცა. როგორც ჩანს, დედაჩემს მთელი ღამე არ უძინია და ყველა ნივთი ისევ ძველ ადგილას დაუბრუნებია. მოკლედ, მთელი წლის განმავლობაში, რძალ-დედამთილი ხვნეშა-ხვნეშით დაათრევდა ავეჯს. ბოლოს, მომწყინდა ეს ყველაფერი, შინ მარტო მყოფმა ჩემი გემოვნების მიხედვით დავდგი ავეჯი, დაბრუნებულ ოჯახის წევრებს კი კატეგორიულად გამოვუცხადე – ხელი არაფერს ახლოთ, მე ასე მომწონს და ასე დატოვეთ ყველაფერი-მეთქი, მაგრამ ამასობაში, მეორე სადავო საკითხი წამოჭრილა. ბავშვი შეგვეძინა და დედაჩემს სურდა, აკვანში გაგვეზარდა, ნინოს – არა. ჰოდა, ახლა ამ საკითხზე დაიწყეს დავა. ნინო მუშაობდა. ბავშვს დედაჩემს უტოვებდა ხოლმე. ისიც, მაშინვე აკვანში ჩააწვენდა პატარას. ნინო დაბრუნდებოდა, „ამოგლეჯდა“ აკვნიდან და საწოლში გადაჰყავდა... გავიდა წლები, ბავშვი გაიზარდა, მაგრამ ასეთ წვრილმანს ოჯახში რა გამოლევს? ჰოდა, შინ მისვლა არ მინდა ხოლმე – ვიცი, იქ ორი მობუზღუნე ადამიანი უნდა დამხვდეს...

ამ დღეებში ახალი ტელევიზორი ვიყიდე. ძველი? ძველი კი, დღეში რამდენჯერმე იცვლის ადგილს და ხან სამზარეულოში დგას (დედაჩემის სურვილით), ხან ლოჯიაში (ნინოს სურვილით). მე ხმას აღარ ვიღებ და ველოდები – იქნებ, ამის გამო მაინც სწვდნენ ერთმანეთს თმაში და 6 წლის ნაგროვები ბოღმა გადმოანთხიონ. უნამუსო კაცი ვიყო და აი, ეს ულვაში მომპარსეთ, თუ გავაშველო!.. გიო, 36 წლის“.

თქვენს ოჯახში მართლაც მთლად სახარბიელო სიტუაცია არ ყოფილა, მაგრამ იქნებ, რაიმე მოგეფიქრებინათ? ორ საყვარელ ქალს შორის ურთიერთობის მოგვარებას მარტო ულვაშის მოპარსვით ხომ ვერ შეძლებთ?! ნახეთ, რა კარგი შედეგი მოჰყვა ჩვენი მომდევნო რესპონდენტის მოხერხებულობას.

„ხან ჯაბა დაუჭრა, ხან შარვალი დაუწვა...“

„ვიცი, დედამთილზე განაწყენებული იმდენი რძალი მოგწერთ, ჩემი „მესიჯისთვის“ ადგილი აღარ დაგრჩებათ, მაგრამ მაინც მოგიყვებით, როგორ მოვაგვარე ჩემს ცოლსა და დედას შორის ურთიერთობა. კარგი გარეგნობის მეუღლე მყავს. სწორედ ამიტომ, არასოდეს ამიკრძალავს მისთვის, შარვლის ან მინიქვედაკაბის ჩაცმა. მე თვითონ მსიამოვნებს, როდესაც ჩემი მეუღლის ლამაზ ფეხებს ვუყურებ და რატომ დავუშლიდი?! დედაჩემი კი, სულ საყვედურებით ავსებდა ხოლმე – კაბა დააგრძელე, დეკოლტეს ნუ იცვამ, მოტკეცილი შარვლით ნუ დადიხარო!.. ხან კაბა დაუჭრა, ხან უთოთი დაუწვა შარვალი და იყო ერთი ალიაქოთი ამის გამო... დედაჩემი 46 წლის ქალია, ქვრივია, მუდამ კოჭამდე კაბითა და განიერი ბლუზით დადიოდა. ერთ დღეს, კარგად შევათვალიერე და აღმოვაჩინე, რომ მშვენიერი აღნაგობა აქვს. დილით, უთენია გავაღვიძე და ვთხოვე: ერთ საქმეზე შენი გაყოლა მჭირდება, მაგრამ ასეთ ფორმაში ვერ წაგიყვან, ამიტომ ჯერ სალონში წავიდეთ-მეთქი. თმა შევაკრეჭინე, ქერად შევაღებინე, მანიკიური გავაკეთებინე და უცებ, 10 წელი მოაკლდა! შემდეგ ტანსაცმელიც ჩემი გემოვნებით შევურჩიე – ვუყიდე შარვალი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და ტანზე მომდგარი სვიტერი. ჩემს ცოლს ვთხოვე, სახეზე მაკიაჟი გაუკეთე-მეთქი. თავდაპირველად დედაჩემი პროტესტს აცხადებდა – ასე გარეთ ვერ გავალო – გაიძახოდა. შემდეგ შევნიშნე, რომ სარკის წინ მალულად კუკლუცობდა, სახეზე კი კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა. ისეთი „ნაშა“ დავაყენე, კაცები მის დანახვაზე თვალებს პრაწავენ... შემდეგ კაბაც დავამოკლებინე და შევნიშნე, რომ რამდენიმე დღეში, კაბის სიგრძე კიდევ უფრო შემცირდა... იმ დროიდან მოყოლებული, ხმასაც აღარ სცემს ჩემს ცოლს და ისეთ სიამტკბილობაში ვცხოვრობთ, საკუთარი თავისაც კი მშურს. თუმცა, ჩემი ცოლი რომ გაეხუმრება ხოლმე – ისეთი ქალი დადექი, ახლა გაგათხოვებთ კიდეცო, – და დედაჩემის სახეზე კმაყოფილ ღიმილს ვხედავ, გულში უსიამოვნოდ გამკრავს ხოლმე... ნიკა, 28 წლის“.

აი, ასე ადვილად შეიძლება გადაიჭრას

ნებისმიერი სადავო საკითხი. ახლა კი, დროა, რძლებს მოვუსმინოთ:

„ჩემ გამო შვილთან ურთიერთობა გაწყვიტა"...

„ბავშვთა სახლში გავიზარდე. არც დედის სითბო მახსოვს და არც მამის. არც ჩემი წარმომავლობა ვიცი. 22 წლის ასაკში გავთხოვდი. დედის სითბო დედამილმა მაგრძნობინა. მას სცოდნია, რომ გელას (შვილს) შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ ჩემი ვინაობის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა. გელამ შინ მიმიყვანა და დედამისს უთხრა – დღეიდან ეს გოგო შენი რძალი იქნებაო. ნატომ გულში ჩამიხუტა და შვილს უთხრა: კი, მაგრამ ასე წიწილივით რომ მოიტაცე, მივსულიყავით მის ოჯახში და მშობლებისთვის გვეკითხა, გვატანენ გოგოს თუ არაო. ტირილი დავიწყე. ჩემი ამბავი დაწვრილებით ვუამბე. – არა უშავს, დედა გენაცვალოს, მე არ გაგრძნობინებ ობლობას, დღეიდან ჩემი შვილი იქნებიო. იმ დღიდან „დედას" ვეახი და ვფიქრობ, დედაშვილური სიყვარული სწორედ ისეთია, როგორიც ჩვენ შორისაა... სულ ახლახან გავიგე, რომ ჩემს ქმარს საყვარელი ჰყოლია, ნატოს კი უკვე სამი წელია, იმ ქალთან ბრძოლა ჰქონია გაჩაღებული. გელას კუდში დასდევდა, ის კახპა კი თმითაც უთრევია, მაგრამ მე არაფერს მეუბნებოდა, რომ გული არ მტკენოდა. ამის შესახებ მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა გელამ მიგვატოვა და საცხოვრებლად საყვარელთან გადაბარგდა. დედამილი მხარში ამომიდგა, არაფერს გაგიჭირვებო, – მითხრა და შვილთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა. არ ვიცი, დამიბრუნდება ქმარი თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ მე და ნატოს ვერაფერი დაგვაშორებს. ნატო, მიყვარხარ უზომოდ! მაპატიე, შენს კალთაში თავჩადებული რომ ვტირი ხოლმე, მაგრამ ასე იმიტომ ვიქცევი, რომ ნუგეშს ვეძებ და ვიცი, თავზე ხელს რომ გადამისვამ, მალამოსავით მომედება გულზე. ირმა, ქუთაისი".

„ამ ძიას არ უნდოდა მუსიკაზე სიარული..."

„მარი, ახლა ჩემს დედამილთან უბრალ ვარ, სულ უბრალო მიზეზის გამო: ქუჩაში მივდიოდით მე, ჩემი 7 წლის გოგონა და ჩემი დედამილი. ბავშვი ჯუჯღუნებდა – ცეკვაზე სიარული არ მინდაო. სწორედ ამ დროს, ჩემმა დედამილმა თვალი მოჰკრა, ტროტუარზე დაწოლილ, ჭუჭყიან, ძონძებში გახვეულ, თმაგაბურძგნილ ლოთს. მიიყვანა ბავშვი ახლოს და ეუბნება – ხედავ, ამ ძიას? – კი, – თავს უქნევს ნიკო. – იცი, რატომ სძინავს აქ? – არა, – გააქნია თავი უარის ნიშნად ბავშვმა. – იმიტომ, რომ ამ ძიას არ უნდოდა მუსიკაზე სიარული, ცეკვის სწავლა, ინგლისურის გაკვეთილების მოსმენაო... მე ხმამაღლა გადავიხარხარე, მას კი ეწყინა: ბავშვს ჭკუას ვარიგებ, შენ კი არასერიოზულად იქცევიო. მას მერე ვეღარ შევირიგე. გამებუტა და გამებუტა... აი, ასეთი ბუტია დედამილი მყავს. მაკა".

რა მოხდა, რომ ბუტია დედამილი გყავთ? გადაუვლის და თქვენი ნორმალური ურთიერთობა ისევ აღდგება. ზოგს ისეთი „მტარვალი" დედამილი ჰყავს, რომ ასეთი „მესიჯის" გამოგზავნასაც არ ერიდება: „დამეკარგა ავი დედამილი. მპოვნელს თანავუგრძნობ". ხედავთ, ზოგიერთის შემხედვარე, თქვენი ბუტია დედამილი ანგელოზად მოგეჩვენებათ...

ახლა კი „მესიჯი", რომელიც დედამილის არჩეულმა რძალმა გამოგვიგზავნა.

„გძინავს და პასუხის გაცემა გეზარება..."

„მინდა, უცნაური ამბავი მოგიყვეთ, იმის შესახებ, როგორ გავთხოვდი. ეს ჩემი დედამილს ინიციატივით მოხდა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ჩხუბით დაიწყო. გვიან ღამით, ასე, 2 საათზე, ტელეფონმა დარეკა. ქალმა მკითხა: „რკინიგზის სადგურის ცნობათა ბიუროა? მაინტერესებს, ბაქოში მიმავალი მატარებელი რომელ საათზე გადის?" – არა, ქალბატონო, ბინა გახლავთ-მეთქი, – ვუპასუხე და ყურმილი დავუკიდე. ცოტა ხანში, ისევ დარეკა და იგივე მკითხა. მეც ვუპასუხე – სხვაგან მოხვდით-მეთქი. ასე განმეორდა უამრავჯერ. ძილი დამიფრთხო, ნერვებიც მომიშალა, ავდექი და სადგურის ცნობათა ბიუროს ნომერი მოვძებნე, დავრეკე და სრულად გამოვიკითხე ის ინფორმაცია, რომელიც ამ ქალბატონს აინტერესებდა; კიდევ ერთხელ რომ დარეკა, დაწვრილებით ჩავუკაკლე ყველაფერი. მეგონა, მადლობას მეტყოდა, მან კი გამლანძღა: უსაქმური ხარ, იმის მაგივრად, რომ მოქალაქეებს პირნათლად ემსახურო, გძინავს და პასუხის გაცემა გეზარებაო! ათასჯერ უნდა დავრეკო, რომ სრული პასუხი მივიღო? ხვალვე მივალ შენს უფროსთან და მოვახსენებ, როგორი ზარმაცი თანამშრომელიც ჰყავხარო... მე ყურადღება არ მიმიქცევია, ცოტათი გავღიზიანდი, ეგ იყო და ეგ. სამი დღის შემდეგ, ამ ქალბატონმა ისევ დარეკა, ახლა უკვე დღისით. ბოდიში მომიხადა და მითხრა: თურმე ცნობათა ბიუროს მაგივრად, შეცდომით თქვენი ნომერი მქონია ჩაწერილიო. გულწრფელად ნანობდა, მაშინ რომ მეჩხუბა. შემდეგ მითხრა: ძალიან გემრიელ ნამცხვარს ვაცხობ და მეწვიე, გამიხარდებაო. ისე მთხოვდა, უარი ვერ ვუთხარი და ვესტუმრე. აღმოჩნდა, რომ ჩემი ტოლი შვილი ჰყოლია და სარძლოდ მოვეწონე... ახლა მშვენიერი, მშვიდი ოჯახი გვაქვს და არასოდეს არაფერზე ვკამათობთ. მაშინდელ ამბავს კი, სიცილით ვიხსენებთ ხოლმე..."

ახლა, ავადმყოფი დედამილის მომვლელი რძლის „ამორალური" საქციელის შესახებ მოგითხრობთ.

დედამილების მოძულე შეფი ქალი

„გამარჯობათ, მე მერი გახლავართ. წინათ ერთ-ერთ ორგანიზაციაში ვმუშაობდი. განყოფილების უფროსი ახალგაზრდა ქალი გვყავდა, რომელსაც მეტისმეტად ავი დედამილი ჰყავდა და ჭირის დღესავით ეჯავრებოდა სიტყვა „დედამილიც" და ყველა ის ქალიც, ვისაც კი ეს „ტიტული" ჰქონდა... მოხდა ისე, რომ ჩემი დედამილი ავად გახდა. ოთხი დღე სამსახური იმის გამო გავაცდინე, რომ მას ვუვლიდი. განყოფილების უფროსმა ახსნა-განმარტებითი ბარათის დაწერა მომთხოვა. მეც დავიწყე: „ვინაიდან დედამილი ავად გამიხდა, იძულებული გახლდით, 22, 23, 24 და 25 მარტს სამსახურში არ გამოვცხადებულიყავი (ამ დროს გამახსენდა, რომ უფროსი დედამილს ვერ იტანდა). გთხოვთ, მაპატიოთ ეს ამორალური საქციელი, გაცდენილი დღეები საპატიოდ ჩამითვალოთ და ხელფასიდან თანხა არ დამიქვითოთ"... ეს განცხადება კარგა ხანს იყო გამოკრული დაფაზე ჩვენს სამსახურში და ყველა გულიანად ხალისობდა"...

„მხოლოდ ობოლ ბიჭებზე ვიფიქრებ"...

დაბოლოს, მოკლე „მესიჯები" დედამილებზე.

„მარი, მე ჯერ არც რძალი ვარ და არც დედამილი მყავს, მაგრამ იმდენ ცუდს წერენ სიდედრებსა და დედამილებზე, რომ გათხოვების მეშინია და სერიოზულად ღამის მხოლოდ ობოლ ბიჭებზე ვიფიქრო"...

„უკვე ოთხი წელია, ჩემი ქმარი ამერიკაშია. მე და დედამილი კი ერთად ვართ. მაგული, მიყვარხარ!.."

„მარი, დედამილი ისეთი მყავს, რომ გადაირევი. იცი, რა ქალია? ქალი – „დაცემა". ძალიან მიყვარს. ლია. ქუთაისი".

„გათხოვებას ახლა ვაპირებ. დედამილს „დედას" თუ არა, „დეიდას" მაინც დავუძახებ. თუმცა, დამსახურების მიხედვით... მ."

„საუკეთესო დედამილი მყავს. არავინ გაბედოს და ამ „პროფესიის" ქალებზე ცუდი არაფერი თქვას. ლაურა. ქუთაისი".

„მე რომ დედამილი არ მყავდეს, არც კი ვიცი, რა მეშველებოდა. დედასავით მიდგას მხარში. ნინო, ქუთაისი".

აკი გითხარით, ქუთაისელი დედამილები ყველაზე კარგები არიან-მეთქი! ახლა კი, ვინაიდან უკვე სიძეებსა და რძლებს, სიდედრებსა და დედამილებზე აზრის გამოთქმის საშუალება მივეცით, მოდით, ისიც გავარკვიოთ, თუ რას ფიქრობენ ერთმანეთზე ძვირფასი მეუღლეები. მაშ ასე, მომავალი „გზავნილების" თემაა „ჩემი მეუღლე". გამოგზავნეთ „მესიჯები" ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61 მომავალ ხუთშაბათამდე. ■

„როდესაც უფლის სამსჯავროზე წარვდგები, მაშინ გაირკვევა, ვარ თუ არა დამნაშავე“

ორიოდე კვირის წინ, „გზავნილების“ თემა „საიდუმლო“ გახლდათ. ცოტა მოგვიანებით, ერთი ქალბატონი დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა; ისეთი საიდუმლო უნდა გაგანდოთ, რომელსაც „მესიჯით“ ვერ მოგაწვდითო, — მითხრა. შევხვდით. საკმაოდ გულდამძიმებული დავბრუნდი შინ და ის ემოცია, რომელიც მასთან საუბრის შემდეგ დამეუფლა, ჯერაც არ გამნელებია. ქალბატონი სალომე 48 წლისაა და მარცხენა ხელის მტევანი არა აქვს. როგორც თავად ამბობს, ასე დასაჯა საკუთარი თავი. საიდუმლო კი, რომელიც მან გამიმხილა, აქამდე არავისთვის იყო ცნობილი...

მარი ჯაფარიძე

— 1975 წელს გავთხოვდი. მაშინ ოცი წლის ვიყავი. მეუღლე უზომოდ მიყვარდა და მთელი ქვეყანა ლამაზი მეჩვენებოდა. ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ სწორედ იმ ადამიანის გვერდით ვცხოვრობდი, ვინც სიცოცხლეს მერჩივნა. თბილისში გავიზარდე. ჩემი მეუღლე კი, კახეთის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა და მეც საცხოვრებლად იქ გადავედი. ოჯახში მე, დედამთილი და ჩემი მეუღლე ვიყავით. ორი წელი შვილი არ მყავდა, შემდეგ კი, ნანატრ პატარასაც ველირსე. სიხარულით ცას ვეწიეთ, როდესაც შევიტყვე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. თუმცა, ორსულობის პირველსავე თვეში საშინელი სიზმარი ვნახე — თითქოს ტალახში ვეფლობოდი, ხელში კი ჩვილი მეჭირა და მის გადარჩენას ვლამობდი. ტალახი მნთქავდა, უკვე მკერდამდე ვიყავი ჩაფლული, ზევით აწეულ ხელებში კი, ჩემი ჩვილი განწირული ხმით ტიროდა. ბოლოს, ბავშვი ხელიდან გამივარდა, ტალახში ჩაიხრჩო, მე კი, მთლად მოსვრილი, მშრალზე დავრჩი... ძალზე ვინერვიულე. ვფიქრობდი, ბავშვს დავკარგავ-მეთქი. თავს ვუფრთხილდებოდი, ქმარი და დედამთილიც ცივ ნიავს არ მაკარებდნენ... ბავშვი ჯანმრთელი და უვნებელი დაიბადა. მათე დავარქვით. მთელი ოჯახი შევხარეოდით და მხოლოდ მისით ვსუნთქავდით. ერთ დღეს, ჩემი დედამთილი ავად გახდა. გადავწყვიტეთ, თბილისში წაგვყვანა და იქაური ექიმისთვის გვეჩვენებინა. ვინაიდან მათე მხოლოდ 8 თვის იყო, დედამთილს მისი შვილი გაჰყვა, მე და პატარა კი შინ დავრჩით. ბავშვისთვის საჭმლის მომზადება დამიგვიანდა, ატირდა, ამიტომ ხელში ავიყვანე და ფაფის მოდულება ისე დავიწყე. მარცხენა ხელით ბავშვი მეჭირა, მკერდზე მივიკარი, მარჯვენათი კი ფაფას ვურევდი. ამ დროს მათემ ტირილს უმატა. ვიფიქრე, დავაშოშმინებ-მეთქი, ცოტა გავანანავე, შემდეგ დავიხარე, რომ თავზე მეკოცნა და ამ დროს, ხელიდან გამივარდა. გაზქურა ეზოში გვედგა და მათე პირდაპირ ბეტონზე დაეცა. მაშინვე ხელი წამოვავლე და ოთახში, საწოლზე დავაწვინე. ცოტა ხანში საჭმელიც ჭამა და ჩაეძინა. ვიფიქრე, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა-მეთქი. იმ საღამოს დაბრუნებულმა დედამთილმა მათეს ცოტა უგუნებობა შეამჩნია. დილით ბავშვს ვეღარ ვაჩუმებდით — გაუთავებლად ტიროდა, აღარც საკვებს იკარებდა. ექიმთან წავიყვანეთ, მაგრამ ვერაფერი გაუგო. მე შეშინებული ვიყავი, ვერ ვამხელდი, ბავშვი რომ ხელიდან გამივარდა. ჩათვალეს, რომ მუცელი სტკიოდა და გაუვლიდა. საღამოს მათეს ჩაეძინა, შემდეგ კი თვალი აღარ გაუხელია, მხოლოდ მძიმედ სუნთქავდა. შუაღამისას, მანქანით თბილისში გამოვქანდით, მაგრამ გზაშივე შეწყვიტა სუნთქვა და ვეღარაფერი ვუშველეთ...

— ბოლოს და ბოლოს, რა აღმოჩნდა მისი დაღუპვის მიზეზი?

— ტვინის შეშუპება და სისხლჩაქცევები. როგორც ექიმებმა თქვეს, პატარას სასწაულიც კი ვეღარ გადაარჩენდა... ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავვარდებოდი?! გარდაცვლილი ბავშვის სხეული ოთხი დღე ხელიდან არ გამიშვია. გამოსვენების წინ მაიძულეს, მისთვის გამზადებულ პაწაწინა კუბოში ჩამესვენებინა.

— პაწიას სიკვდილის მიზეზი ბოლომდე არ გაგიმხელიათ?

— ახლა ვამხელ პირველად. ჩემი მათე ახლა 25 წლის იქნებოდა...

— რა მოხდა შემდეგ?

— შემდგომი მოვლენები იმ რაიონში დღესაც ლეგენდად დადის. სამი თვის განმავლობაში, ჩემი პატარას ცხედარი ორჯერ ამოვთხარე. რომ მომენატრებოდა, შინიდან ვიპარებოდი, სასაფლაოზე მივდიოდი და ხელებით ვთხრიდი მიწას. პირველად, მოვასწარი და კუბო უკვე ზევით რომ ამოვიტანე, მაშინ გამაჩერეს, მეორედ კი სწორედ მაშინ მომისწრეს, როცა ფრჩხილებით მიწას ვთხრიდი... სოფელში ალაპარაკდნენ — სალომე გაგიჟდაო. არც იყო გასაკვირი. ამხელა დარდი მქონდა გულში დამარხული, ამხელა ტკივილს ვუძლებდი და ადვილი შესაძლებელი იყო, გავგიჟებულიყავი კიდეც. შეიძლებოდა, ვინმეს ეს გაჰკვირვებოდა?! შემდეგი ორი წელი ისე გავიდა, ერთხელაც არ გამიღიმია...

— მეტი შვილი არ შეგძენიათ?

— ქმრის გვერდით არ ვწვებოდი — მეშინოდა, რომ ღმერთი დამსჯიდა და ამ ცოდვისთვის, ჯანმრთელ შვილს აღარ მაღირსებდა... ზამთრის ერთ დილას, თავის მოკვლა გადავწყვიტე. მერე ვიფიქრე, რომ ეს ჩემთვის შვება იქნებოდა და უმჯობესი იყო, საკუთარი თავისთვის აუტანელი ტკივილი მიმეყენებინა, თავი დამესაჯა. გამოვედი ეზოში და შეშის ჩეხა დავიწყე. მერე კი, ვითომ შემთხვევით, ნაჯახი დავირტყი სწორედ იმ ხელზე, რომლიდანაც ბავშვი გამივარდა და მარცხენა ხელის მტევანი მოვიკვეთე. სისხლი მდიოდა, მე კი ტკივილს ვეღარ ვგრძნობდი... ამის შემდეგ უკვე მთელი სოფელი ალაპარაკდა ჩემს სიგიჟეზე. ქმარიც ისე მექცეოდა, როგორც არანორმალურს. იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ავდექი და თბილისში, დედაჩემთან დავბრუნდი.

— თქვენი საიდუმლო დედისთვისაც არ გაგიმხელიათ?

— არა, არავისთვის მითქვამს. დღეს დედაჩემი უკვე მოხუცია, კორპუსთან ზის და მზესუმზირას ყიდის. მეც ვაჭრობ და ასე ვირჩენთ თავს. ვინც მიცნობს, მათთვის იოლი მისახვედრი იქნება, რომ ეს ჩემი თავგადასავალია: ცალხელა სალომეს მეძახიან.

— თქვენი მეუღლის ცხოვრება როგორ წარიმართა?

— არ ვიცი, იმის შემდეგ არც მინახავს, არც რაიმე გამიგონია მის შესახებ. შესაძლოა, დაოჯახდა კიდეც. ახლა მაინც მიხვდებიან, რომ გიჟი კი არა, უზომოდ დამწუხრებული ადამიანი ვიყავი, რომელმაც საკუთარი შვილი მოკლა.

— ასე ნუ იტყვით, სალომე. ეს ხომ თქვენდა უნებურად მოხდა?

— ამას მაშინ გავიგებ, იმ ქვეყნად რომ წავალ. როდესაც უფლის სამსჯავროზე წარვდგები, მაშინ გაირკვევა, ვარ თუ არა დამნაშავე. ■

რა მოუტანა კაცობრიობას ტრიუმვირატებმა

ნანა ქიბიშური

და რას წარმოადგენს „სამეულიᲗ ქართულ პოლიტიკაში?

ძველ რომში სამი კაცისგან შემდგარ კოლეგიას (ტრიუმვირატს) სახალხო კრება ან სენატი საგანგებო დავალების შესრულების მიზნით ნიშნავდა. ჩვ.წ.აღ-მდე I საუკუნეში სამი გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწისა თუ მხედართმთავრის კავშირი, სახელმწიფო ძალაუფლების მიტაცების მიზნით იქმნებოდა. პირველი ტრიუმვირატი, კლასიკური ფორმით, იულიუს კეისრის, პომპეუსისა და კრასუსის შემადგენლობით შეიქმნა. კეისარი ყველაზე ჭკვიანი მმართველი იყო, პომპეუსი — ყველაზე ძლევამოსილი სარდალი, კრასუსი კი — იმ დროს, ყველაზე მდიდარი ადამიანი. ჭკუის, ძალისა და ფულის კავშირი კეისრის დიქტატურით დამთავრდა, ისტორიაში კი, „სამთავიანი ურჩხულის“ სახელით შევიდა...

„ვარდების რევოლუციის“ პირველივე დღეებიდან, ჩვენს საზოგადოებაში „სამეულისგან“ მომდინარე საშიშროებაზე ალაპარაკდნენ; გაიხსენეს 11 წლის წინანდელი „სამეულიც“ (სიგუა-იოსელიანი-კიტოვანი)... როგორი სახელით შევა საქართველოს ისტორიაში საკაშვილი–ბურჯანაძე–ჟვანიას „ტრიუმვირატი“? შესაძლებელია თუ არა, ამის პროგნოზირება იმის გაანალიზებაზე დაყრდნობით, თუ რა მოუტანია კაცობრიობისთვის სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში ტრიუმვირატების მიერ განხორციელებულ რევოლუციებსა თუ გადატრიალებებს? ამ საკითხების გარშემო სასაუბროდ, ისტორიკოსი **სიმონ მასხარაშვილი** და პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** მოვიწვიეთ.

ქარიზმა, ეშმაკობა და ქალი — აი, ის, რისგანაც „ვარდების რევოლუცია“ მივიღეთ

— ბატონო სიმონ, როგორც ისტორიიდან ირკვევა, ტრიუმვირატები სხვადასხვა მიზნით იქმნებოდა, მაგრამ ბოლოს, ძალაუფლების სადავეებს ერთი ადამიანი იგდებდა ხოლმე ხელში...

— სამიდან ძალაუფლება რჩებოდა მას, ვინც დანარჩენ ორ მოკავშირეზე უფრო ჭკვიანი და ეშმაკი იყო. ასე იყო ბონაპარტეს, ლენინის, სტალინის, შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევებში. რომში, კლასიკური ტიპის ორი ტრიუმვირატიდან, ორივე კონტრრევოლუციური იყო... საერთოდ, ისტორიას კონტრრევოლუციონერები უფრო უყვარს, ვიდრე რევოლუციონერები. უფრო მეტად კი, იმ ისტორიულ პირებს აღიარებს, რომლებიც ტრიუმვირატის მიერ განხორციელებული გარდაქმნების შემდეგ მოდიოდნენ ხელისუფლებაში... ჩვენში ძალზე ცუდ ასოციაციას იწვევს მარქსი-ენგელსი-ლენინის სამეულის ფოტო, რომელიც „სამება ერთპირის“ სრული ანტიპოდია. მათი სიმბოლო — ჩაქუჩი და ურო კი ამოტრიალებული ჯვრის ასოციაციას იწვევს. კონტრრევოლუციური სამეული იყო ზინოვიევი-კამენევი-სტალინი. მათ მოსპეს ტროცკიზმი ანუ დასრულეს რევოლუცია და ძალაუფლება აიღეს ხელში. ამ სამეულის შექმნისას, სტალინი ყველაზე არაპოპულარული გახლდათ. მას თითქმის არავინ იცნობდა, მაგრამ რეალური ძალაუფლება ბოლოს, მის ხელში აღმოჩნდა, რადგან მოკავშირეებზე ჭკვიანი იყო. საფრანგეთშიც, რომელსაც სამი კონსული მართავდა, თავიდან ყველაზე მოკრძალებულად ბონაპარტე გამოიყურებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მან ყველას ავჯობა ეშმაკობით. საფრანგეთმა სწორედ ბონაპარტეს მეთაურობით დაასრულა რევოლუცია. სხვათა შორის, სტალინს და ბონაპარტეს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო: ორივემ ძალაუფლების ხელში ჩაგდება სამეულის შექმნით დაიწყო; ორივემ მსოფლიო მნიშვნელობის ომები აწარმოა და ორივემ ახალ კანონმდებლობას დაუდო სათავე. სამეულის შექმნით დაიწყო ძალაუფლებისათვის ბრძოლა მიხეილ საკაშვილმაც, რომელიც იმავე რიცხვსა და თვეშია დაბადებული, რომელშიც სტალინი.



თუმცა, სანამ თანამედროვე ტრიუმვირატზე ვისაუბრებთ, გამსახურდია-კოსტავა-ჭანტურიასა და კიტოვანი-იოსელიანი-სიგუას სამეულებიც გავიხსენოთ. პირველი სამეულის მონაპოვარი, კომუნისტური სისტემის დემონტაჟის მიზნით განხორციელებული გარდაქმნის პროცესის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. ეს არ იყო რევოლუცია, თუმცა, ამ ადამიანებმაც ისევე დაას-

რულეს თავიანთი პოლიტიკური კარიერა თუ სიცოცხლე, როგორც რევოლუციის ბელადებმა: ისტორიას არ ახსოვს არც ერთი რევოლუციის ბელადი, რომელიც რევოლუციის 10 წლის თავზე, ცოცხალი იყო: მათ ან კლავდნენ, ან სამშობლოდან აძევებდნენ. იოსელიანი-კიტოვანი-სიგუას ამბოხი უფრო კიტოვანის შეიარაღებული აჯანყება იყო, ვიდრე კონტრრევოლუცია. ქუჩური ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ის კაცი, რომელიც მათ საქართველოში ჩამოიყვანეს და უკვე მოპოვებული ხელისუფლება გადააბარეს, მათ უმადურად მოექცა... მოგვიანებით, ასევე უმადურად მოექცნენ თვითონ შევარდნაძეს ის ადამიანები, რომლებიც მისი ხელშეწყობით მოვიდნენ ხელისუფლებაში. თუმცა, არც პოლიტიკაა ქუჩა და არც პოლიტიკოსები არიან „ძველი ბიჭები". ბოლო მოვლენებმაც ცხადყო, რომ ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ოდესღაც გაწეული სიკეთე, ძმაკაცობა და მამაშვილური დამოკიდებულება დიდხანს არ ახსოვთ ხოლმე. შევარდნაძეს ყოველთვის ეშინოდა „მხედრის ტიპაჟის". მის მიერ შექმნილ ტრიუმვირატში, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად იცვლებოდნენ პერსონები, კახა თარგამაძის გარდა, არც ერთს არ ჰქონია პრეტენზია ძალასა და რკინისკაცობაზე... პრეზიდენტის მთავარი შეცდომა ის კი არ იყო, რომ რუსეთისგან განსხვავებით, მან უარი თქვა საშინაო პოლიტიკაში ძალის დემონსტრირებაზე, არამედ ის, რომ ჩამორჩა ახალ ტექნოლოგიებს, რომელსაც კარგად აუღო ალღო ზურაბ ჟვანიამ. ეს ტექნოლოგია იყო თავისუფალი მასმედიის როლი პოლიტიკაში. სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის სამეული სწორედ ამ ახალი ტექნოლოგიით დაუპირისპირდა მის მმართველობას. სააკაშვილისთვის დამახასიათებელმა, გამსახურდიას მსგავსმა ქარიზმამ, ჟვანიას ეშმაკობამ და ქალის ფაქტორმა — ამ ყველაფერმა ერთად დაამარცხა შევარდნაძე. ბოლო დროს, პრეზიდენტი პარლამენტში „მცხოვრებ" მრავალთავიან ჰიდრას ეყრდნობოდა, რომელსაც ჯორბენაძე „მწყემსავდა". ჰიდრას მამალაძის, შარაძის, ხაზარაძის, სარიშვილის თავები ჰქონდა და ამ თავებს პრეზიდენტის სადისკრედიტაციოდ მშვენივრად იყენებდა ოპოზიცია. ქარიზმა, ეშმაკობა და ქალი — აი, ის, რისგანაც მივიღეთ „ვარდების რევოლუცია".

არსებობს კანონზომიერება, რომელსაც ვერ ავცდებით: ისტორიაში დიდი ასოებით ჩაიწერება იმ პიროვნების სახელი, რომელიც ხელისუფლებაში ამჟამად მყოფი სამეულის შემდეგ მოვა. ეს ისტორიული კანონზომიერება კარგად იცის ისტორიკოსმა აკაკი ასათიანმა. ჩვენი აზრით, მისი ბოლო გადაწყვეტილება სწორედ ამ ცოდნას ეფუძნება...

დღეს ხელისუფლებაში მყოფი სამეულიდან კი, ჯერჯერობით, ისევ ჭკუა ლიდერობს. ჟვანიამ ყველაფერი ხელში ჩაიგდო — მისი გუნდი მართავს პროცესებს: თანამდებობებს მისი გუნდის წევრები იკავებენ... რაც შეეხება რევანშისტულ მოძრაობაში შევარდნაძის მონაწილეობას — არა მგონია, ის ამაზე დათანხმდეს, რადგან უფრთხილდება საკუთარ ავტორიტეტს. 1991 წლის მოსკოვის პუტჩის შემდეგ, მისი ავტორიტეტი ისეთი მაღალი არ ყოფილა, როგორიც დღეს არის. თუმცა, ამის გასაანალიზებლად ჯერ არავის სცალია. ჯერ საზოგადოების ცნობისმოყვარეობა ვარდისა და ჯვრიანი დროშისკენაა მიმართული. ვიღაც დაჯდება, გადაშლის დიდ საბჭოთა ენციკლოპედიას, 22-ე ტომს 176-ე გვერდზე და ამოიკითხავს, რომ ვარდი და ჯვარი უმაღლესი მასონური ლოჟის როზენკრეიცერების სიმბოლოა (ეს ფარული ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციებსა თუ მსოფლიო ომების პროვოცირებაში); მერე გაიხსენებს, რომ სწორედ ვარდითა და ჯვრით დაემხო 23 ნოემბერს — გიორგობას, გიორგის მმართველობა და კიდევ დიდხანს იქნება პოლემიკა იმაზე, რაც უკვე მოხდა და მოხდა ღვთის ნებით: სწორედ ასე ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა; და თუ ღვთის ნებით მოხდა, მე, როგორც ისტორიკოსი, ამ სამეულს საქართველოს ისტორიაში ღირსეული სახელით დარჩენას ვუსურვებ.

ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის ტრიუმვირატი ერთმანეთისგან პოლიტიკური ტემპერამენტით განსხვავდება

— ბატონო რამაზ, უახლეს ისტორიას რომ გადავხედოთ, როდის ირღვევა სამთა კავშირი და რა შედეგები მოჰყვება მას?

— კიტოვანი-სიგუა-იოსელიანის ტრიუმვირატი დაირღვა მაშინ, როდესაც გამოჩნდა მეოთხე, რომლის გამოჩენაც აუცილებელი იყო — კიტოვანმა და იოსელიანმა გაინაწილეს თოფები, სიგუამ ჩაიბარა მეურნეობა, მაგრამ მათ აკლდათ საგარეო კავშირები, რაც ჰქონდა შევარდნაძეს. იმ პოლიტიკურ არენაზე, სადაც სამი ადამიანი დგას და ასე თუ ისე, წონასწორობას ინარჩუნებს, მეოთხის გამოჩენას ყოველთვის დიდი დავიდარაბა მოჰყვება ხოლმე. ასე მოხდა ამჯერადაც. შევარდნაძემ მაშინ, როდესაც მისი ძალაუფლება არცთუ ისე მყარი იყო, სამივე „ამოიღო" პოლიტიკიდან; მაგრამ როდესაც მას ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძე დაუპირისპირდა და ეს მოხდა ჯერ კიდევ 2 წლის წინ, მას არანაირი მცდელობა არ ჰქონია პოლიტიკიდან მათი გაყვანის. სხვათა შორის, ვრცელდება ასეთი ვერსიაც, რომ ჟვანია და სააკაშვილი პრეზიდენტთან ბოლო ვიზიტის დროს, მასთან გადადგომის კატეგორიული მოთხოვნით არც შესულან. როგორც ამბობენ, გადადგომა კატეგორიულად თვით შევარდნაძემ გადაწყვიტა. რამდენად სწორია ეს ვერსია, არ ვიცი, მაგრამ მის ფონზე, უფრო ადვილად იხსნება ის ფაქტი, რომ პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსულ ჟვანიასა და სააკაშ-

სიმონ მასხარაშვილი



რამაზ საყვარელიძე

ვილს სახეზე ეწერათ, რომ დახურულ კარს მიღმა მოვლენები მათთვის მოულოდნელად განვითარდა. ეს ბუნებრივია – სავარაუდოა, რომ როგორც შევარდნაძე არ იყო დაუნდობელი თავისი აღზრდილების მიმართ, ვერც აღზრდილები იქნებოდნენ მისადმი ბოლომდე დაუნდობლები. ეს ბევრ რამეში ჩანს – გადადგომის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერა არ მოხდა, არც ის იცოდნენ, თუ ვინ იქნებოდა პრეზიდენტობის კანდიდატი, არ ჰქონდათ მომზადებული საკადრო დანიშვნები – ანუ არ იყვნენ მზად ხელისუფლების ხელში ასაღებად. შევარდნაძე ამ სამეულისთვისაც ზედმეტი აღმოჩნდა, მაგრამ წინა სამეულისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, თავად გადაწყვიტა პოლიტიკიდან წასვლა.

— რით იზიდავენ ერთმანეთს ჟვანია-ბურჯანაძე-სააკაშვილი და რა შეიძლება იქცეს მათ შორის განხეთქილების ვაშლად?

– საერთო აქვთ ჯერ ის, რომ სამივე ახალგაზრდაა და მეორე – პოლიტიკოსებად სამივე, შევარდნაძემ „გააჩინა“. ჟვანია, სააკაშვილი, ბურჯანაძე ერთმანეთისგან პოლიტიკური ტემპერამენტით განსხვავდებიან: სააკაშვილი ადვილად ფეთქებადი ადამიანია, თუმცა, ამავე დროს, რაციონალურიცაა, ყველაზე ემოციურ მდგომარეობაშიც კი ახერხებს სწორი, კარგად გათვლილი სვლის გაკეთებას. ჟვანია და ბურჯანაძე უფრო მშვიდი პოლიტიკოსები არიან. როგორც წესი, სხვადასხვა ტიპის ადამიანებს უჭირთ თანამშრომლობა, მით უმეტეს იმ „სართულზე“, სადაც მარტო ერთი გადაწყვეტილება მიიღება ხოლმე. განსხვავდებიან მუშაობის სტილითაც: ჟვანია ისეთ მდგომარეობას ანიჭებს უპირატესობას, როდესაც მას პოლიტიკური ჭადრაკის თამაშის შესაძლებლობა აქვს. ამიტომ იბრძვის ის მთელი კარიერის განმავლობაში პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებისათვის. საპარლამენტო მმართველობის დროს, თუკი ის პრემიერი გახდება, მისი შანსები ერთიორად გაიზრდება. ჭადრაკს ცუდად თამაშობს სააკაშვილი, მისთვის უფრო იოლია ძალისმიერი პოლიტიკა, ხალხის მასების გულის მოგება, ვიდრე პარლამენტთან მუშაობა. ის, თავისი ბუნებით, გამოკვეთილი ტრიბუნია; მოკლედ, სააკაშვილს ხელს აძლევს საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ჟვანიას კი – საპარლამენტო მმართველობა. და კიდევ ერთი – ისინი სხვადასხვა წრეს ანიჭებენ უპირატესობას: სააკაშვილი – „კმარას“ ტიპის რადიკალებს, ნაკლებად გამოცდილ ახალგაზრდებს ეყრდნობა, ჟვანია – თავისი თაობის თანაპარტიელებში ეძებს კადრებს, ბურჯანაძე კი, კადრებში ოჯახს ეყრდნობა. ასე რომ, საკადრო პოლიტიკა, რომელზეც სააკაშვილმა უკვე განაცხადა, რომ ამ საკითხში ის არ ერევა, ამ ტრიუმვირატის განხეთქილების ვაშლად შეიძლება იქცეს. სააკაშვილის მხრიდან საკადრო პოლიტიკაში ამჟამინდელი ჩაურევლობა, შეიძლება, მომავალი განხეთქილების უვერტიურა გახდეს.

— იქნებ, სწორედ იმიტომ გაეცალა ასე მალე ასათიანი ამ სამეულს, რომ მიხვდა — იქ უკვე დაწყებული იყო ქვების შეგროვების კამპანია?..

– როდესაც კაკო ასათიანი გვერდზე გადგა, ყველა მიხვდა, რომ სამეულის ურთიერთობაში რაღაც გართულდებოდა. ასათიანი ყოველთვის გრძნობს, სად დაეცემა მეხი და ის ყოველთვის მოხერხებულად იცვლის ადგილს.

— თარგამაძე-პატარკაციშვილი-ჩხარტიშვილის სამეულზე რას გვეტყვით?

– მათ აქვთ ფული, პლუს თარგამაძეს – ზღვა ინფორმაცია და კონტაქტები, პატარკაციშვილი და ჩხარტიშვილი კი, მასმედიის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ. სტაბილური ქვეყანა მათთვის სტაბილური ბაზარი და სტაბილური ფულია. ამიტომ, თუ მათ ინტერესებს უხეშად არ შეეხნენ, ისინი არ „აფეთქდებიან“. არ ვიცი, მასმედიას ან ახალგაზრდებს ეყოფათ თუ არა სიფრთხილე, რომ ის, ვინც მტერი არ არის, მტრად არ აქციონ.

— ძალოვნების სამეულიდან ალბათ ყველაზე საინტერესო ფიგურა ხაბურძანიაა.

– როდესაც ხელისუფლება იცვლება, ძალოვნებთან მიმართებაში ნდობის საკითხი ყოველთვის დგება. სავარაუდოა, რომ ხაბურძანიამ გაამართლა მათი ნდობა, ვინც ამ რევოლუციის უკან მოიაზრება. ამ უწყებისთვის პოლიტიკურ ნდობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— შეიძლება, მოიაზრებოდეს როგორც რუსეთი, ასევე ამერიკა?

– გამორიცხული არ არის, რომ რუსეთ-ამერიკის ერთობლივ მოქმედებასთან გვქონდეს საქმე. ის ფაქტი, რომ განვითარებული პროცესები არ იყო მხოლოდ ადგილობრივი წიაღიდან აღმოცენებული, უდავოა.

— აჭარა-აფხაზეთი-სამხრეთ ოსეთი — როგორი იქნება ამ „სამეულის“ როლი და ადგილი ახალი ხელისუფლების მმართველობის პირობებში?

– ვრცელდება ხმები, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში შეიძლება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიებმაც მიიღონ მონაწილეობა. ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებენ როგორც ერთმანეთთან, ასევე რუსეთთან და, ერთ-ერთი ვერსიით, არ არის გამორიცხული, რომ ამ „სამეულის“ ხმები ერთი ადამიანის ყულაბაში წავიდეს; ამ ადამიანის ვინაობას კი, რუსეთი გადაწყვეტს. ის პიროვნება, ვისზეც ამ არჩევნებში რუსეთი იმუშავებს, მე მგონი, ჯერ არ ჩანს. ვფიქრობ, ეს არ იქნება იგორ გიორგაძე, რომელიც ამ შემთხვევაში, ისეთივე საფრთხობელას როლს შეასრულებს, როგორადაც წინა არჩევნების დროს, ჟვანიამ და შევარდნაძემ ასლან აბაშიძე გამოიყენეს. თუ სამივე ავტონომიური რესპუბლიკის ხმებმა დანარჩენი საქართველოს ხმები გადასძალა, ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთის დახმარებით ხელისუფლების სათავეში მოსული ადამიანი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველო ისევ რუსეთის ორბიტაზე დამკვიდრდეს.

— იქნებ, საქართველო-რუსეთ-ამერიკის „სამეულზეც“ ვთქვათ ორიოდე სიტყვა? „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ, რა შეიცვლება ამ ქვეყნების ურთიერთობაში?

– ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ: თუ საქართველო რუსეთის ორბიტაზე დაბრუნდება, ეს პროცესი ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე იქნება. პოზიტიური დასასრული მას შეიძლება, მხოლოდ მაშინ ჰქონდეს, თუ რუსეთი დემოკრატიული და მდიდარი გახდება, ან – თუ ამერიკაში ისევ რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ. თუ ისინი კვლავ დაინტერესებულები იქნებიან ნავთობით და მასზე მონოპოლიას ჩაიგდებენ ხელში, რუსეთი დასუსტდება. თუმცა, ესეც იქნება იმის წინაპირობა, რომ ჩვენ რუსეთს დავუსხლტეთ ხელიდან, ჩვენს აფხაზეთთან, ჩვენს სამხრეთ ოსეთთან, ჩვენს აჭარასთან და ერთიან საქართველოსთან ერთად...

■



„ჩვენი ეზო“ ვანგარეული ვერსიით ახალი წლიდან ვავა ეთერში

ხათუნა ჯავახიშვილი

საქართველოში განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებში აქტიურად არის ჩაბმული გია ჭანტურია, რომელიც „დაუმორჩილებლობის კომიტეტის“ ერთ-ერთი წევრიც იყო, მაგრამ საზოგადოების წინაშე ამ ამპლუაში გამოსვლამდე, გიას ტელეპროექტის — „ჩვენი ეზოს“ ავტორად ვიცნობდით. საინტერესოა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რამდენად სახეშეცვლილი მოგვევლინება ეს ანიმაციური სერიალი. ისევ ვიხილავთ თუ არა ედუარდ შევარდნაძეს, როგორც თოჯინურ პერსონაჟს და საერთოდ, რა ბედი ეწევა „ჩვენს ეზოს“?

— ვფიქრობდით, რომ 2005 წლამდე, „ჩვენი ეზო“ იმავე სახით გავიდოდა ეთერში, როგორიც ის თავიდან იყო. ახლა, ცოტა ხნის წინ მომხდარის შემდეგ, უამრავ ახალ პროექტზე ვიფიქრეთ, მაგრამ ხალხსაც და ჩვენც გვენანება, რომ „ჩვენი ეზოს“ პერსონაჟები, „იმ ერთის“ გარდა, უბრალოდ გაქრნენ. ძირითადი პერსონაჟები ალბათ დარჩებიან, მაგრამ ფიზიკურად უკეთესობისკენ შეიცვლებიან. შემცირდება პოლიტიკოსთა როლი. ვფიქრობთ, იმაზეც, რომ ყველა სერიაში ცოცხალი ადამიანები შევიყვანოთ და მათაც მიიღონ მონაწილეობა მოქმედებაში, ჩვენს პერსონაჟებთან ერთად. ახლა ვერსიების არჩევის პროცესში ვიმყოფებით. ერთი რამ ფაქტია — გადაცემა ახალი ფორმატით გავა ეთერში. შეიცვლება გამოსახულება და ხარისხი უფრო მაღალი იქნება.

— გია, თქვი, რომ ძირითადი პერსონაჟები დარჩებიან, რადგან მათი გაქრობა, „იმ ერთის“ გარდა, დასაანია. ეი. მხოლოდ შევარდნაძის პერსონაჟი გაქრება „ჩვენი ეზოდან“?

— „დარდუბალიდან“ „ჩვენს ეზომდე“ ის ნაბიჯი გადავდგით, რომ შევარდნაძე პრეზიდენტი აღარ იყო. ყოველ შემთხვევაში, ეს სიმბოლური იყო და თუნდაც რამდენიმე ადამიანის ცნობიერებაზე, გარკვეული გავლენა ამანაც მოახდინა — ე.ი. დაგვანახვა, რომ შესაძლებელია, ამ კაცს პრეზიდენტი არ ერქვას... დღესდღეობით, შევარდნაძე ნაკლებად აქტუალურად მიმაჩნია, რადგან ის უკვე წარსულია. აქედან გამომდინარე, „ჩვენი ეზოს“ პერსონაჟიც აღარ იქნება. პენსიონერებზე მულტფილმების გაკეთებას ნამდვილად აღარ ვაპირებთ. ფანტაზიას უფრო მეტ გასაქანს მივცემთ.

— უკვე რამდენი წელია, შევარდნაძის პერსონაჟს ახმოვანებ. გული არ გწყდება, ამ ხმას რომ კარგავ?

— არა, არანაირად. პირიქით, როცა წარმოვიდგენ, რომ ამ ხმით აღარაფერი მაქვს სათქმელი, ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. არანაირი ხინჯი ამ პერსონაჟის წასვლის გამო, ნაღდად არ მრჩება. შეიძლება, მქონოდა სხვა პერსონაჟების გამო, რომლებიც არიან და რჩებიან. არა მგონია, რომ შევარდნაძისნაირები კიდევ უნდა მართავდნენ ქვეყანას და აქტუალურები იყვნენ. უნდა იყვნენ თავისთვის წყნარად, ოღონდ — სადმე და არა კრწანისის რეზიდენციაში, რომელიც შეისყიდა. მე ძალიან არ მომწონს ეს ყველაფერი... დღეს გავიგე, რომ თურმე ძალიან უკმაყოფილო ყოფილა შევარდნაძე რაღაც-რაღაცებით და ჩივილს აპირებს. ძალიან უმადური ყოფილა. ქართველები ლმობიერი ხალხი ვართ, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ვიღაც-ვიღაცებმა რომ ამით ისარგებლონ, ნამდვილად არ მინდა.

— ახალი პოლიტიკური ლიდერები თუ მოგვევლინებიან „ჩვენი ეზოს“ პერსონაჟებად?

— არჩევნებამდე ჯერ კიდევ ერთი თვეა დარჩენილი. მერე რა მოხდება, როგორ მოქცევიან, არ ვიცი. თუ ისინი მოვლენ ხელისუფლებაში და ცუდი გზით ივლიან, რა თქმა უნდა, მათაც მივუჩენთ ადგილს. ახლა თავისუფალი თემის პრინციპით ვიმოქმედებთ, იმის მიხედვით, თუ რა ხდება და მოხდება ჩვენ გარშემო. ადრე თუ შევარდნაძეზე ვიყავით ძირითადად კონცენტრირებულნი, ახლა უფრო ფართო სპექტრს მოვიცავთ. ვისაც რაიმე შეეშლება და ვინც არასწორ ნაბიჯს გადადგამს, მის მოქმედებას გავაშუქებთ.

— ეი. არა მხოლოდ პოლიტიკოსებს, არამედ შეიძლება, შოუბიზნესისა და სხვა სფეროებში მოღვაწე ადამიანებსაც შევხვდეთ?

— იმისდა მიხედვით, თუ ვინ იქნება აქტუალური. შეიძლება იყოს პოლიტი-

| ეზოს დამსუფთავებელი | | | საუკეთესო მაჩვენებელი სპორტში | | |

კოსი, შოუბიზნესის წარმომადგენელი და სხვა ცნობილი სახეები. ნამდვილი, ჩვეულებრივი ეზო გახდება. მოხდება ის, რაც ხდება ქალაქის ეზოებში — ანუ ქვეყანაში არსებული სიტუაციების განხილვა, არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით. უფრო დიდ აქცენტს გავაკეთებთ იუმორზე. ბოლო სერიებში იუმორი უკანა პლანზე გადავიდა და სერიალმა თითქოს უფრო საინფორმაციო ხასიათი მიიღო. ახლა, იქნება ცეკვა, სიმღერა, როგორც ნორმალურ ქვეყანას შეეფერება, ისეთ სერიალს გავაკეთებთ. თუმცა, ისევ პოლიტიკურ ყაიდაზე გადაწყობა საკმაოდ იოლია. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ შევეშვით პოლიტიკოსების კრიტიკას.

— „ვარდების რევოლუცია“ თუ აისახება რომელიმე სერიაში?

— ალბათ აისახება. რადგან იქ მართლა საოცრება ხდებოდა. მე მეამყება ის კი არა, რომ მეც ვიყავი იქ (ახლა ყველა იბრალებს — მეც ვიყავიო, — მაგრამ ასე არ არის...), არამედ ის, რომ ხალხი იყო და მათ ეს გააკეთეს. ვიღაც-ვიღაცები ამბობენ — ნასვამი ხალხი იყო მიტინგებზე და ვიტრინები ჩაამტვრიესო. ეს აბსოლუტური სისულელეა. მიმაჩნია, რომ ეს იყო რევოლუცია, რომელიც სამაგალითოა მთელი მსოფლიოსთვის. უბრალოდ, ზოგიერთებმა ვერ შეიშნოვეს ეს. ჰგონიათ, რომ ისევ ის დროა და ძველ ყაიდაზე ლაპარაკობენ. მათ ადგილას რომ ვიყო, შემრცხვებოდა საერთოდ ტელეეკრანზე გამოჩენა იმ ყველაფრის მერე, რაც მათ ჩაიდინეს საქართველოს წინაშე. დღეს რომელიღაც გაზეთში დაიბეჭდა, რომ შევარდნაძე თურმე უჩივის „კმარას“, ეგზიტპოლებს, რადგან, ამაზე უამრავი უცხოური ფინანსები დაიხარჯა. ვიღაცის მოცემული ფინანსები რომ იხარჯება, ეს თურმე, ძალიან ცუდია და ჩემი, შენი და თითოეული ჩვენგანის ჯიბიდან მოპარული თანხებით რაღაც-რაღაცების დაფინანსება — ნორმალურია.

— ეს ჩვეულებრივი ამბავია...

— მე ვფიქრობ, რომ შევარდნაძე ნამდვილად უნდა წავიდეს საქართველოდან. სანამ ის აქ არის, ბევრს ექნება რევანშის იმედი. შევარდნაძემ დაიწყო თავისი ძალების მოსინჯვა. ისევ დეზინფორმაციის ქვეშ არის და ჰგონია, რომ მიტინგებზე ნასვამი ხალხი იყო, რომელიც ყველაფერს ამტვრევდა...

— ფიქრობ — საქართველოდან რომ წავიდეს, რევანშის სურვილი ყველას გაუქრება?

— ყოველ შემთხვევაში, შორს იქნება. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ იგი მოსკოვიდანაც კარგად ახერხებდა თავის დროზე, ყველაფერს... ხალხმა ბევრ რამეზე დახუჭა თვალი იმისათვის, რომ ის ჩუმად, წყნარად მჯდარიყო თავისთვის და შერჩენოდა ბევრი რამ, რაც დაშავა, მაგრამ არ შეირგო. ყველაფერთან ერთად, ძალიან უმადური კაცი ყოფილა... მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ხალხმა ამ მოვლენების მერე ბევრი რამ დაინახა, ყოველ შემთხვევაში, ვინ ვინ არის — ნამდვილად გაიგო და ამიტომ, არა მგონია, არსებობდეს რაიმე ნიადაგი, რომლის მოსინჯვასაც ისინი კვლავ ცდილობენ...

— „დაუმორჩილებლობის კომიტეტი“ თუ აპირებს ახლა რაიმე ნაბიჯების გადადგმას?

— ჩვენ ჩვენი ფუნქცია გვქონდა. ჩვენს თავზე ავიღეთ ის, რომ ხალხისთვის რაღაც ინფორმაცია მიგვეწოდებინა. არც ერთ ჩვენგანს არანაირი სიმპათია რომელიმე პარტიის მიმართ არ გაგვაჩნია, გარდა იმისა, რომ მივალთ არჩევნებზე და ვინმეს მივცემთ ხმას. პირადად მე დავინახე, რომ საზოგადოებაში არის ხალხის ნაწილი, რომელიც ჩვენ გვისმენდა ანუ საზოგადოებრივი აზრის შექმნაში გარკვეული როლი ვითამაშეთ. მე ნამდვილად ვერ მივიღებ მონაწილეობას მინისტრთა კაბინეტის შექმნაში და პარლამენტის ჩამოყალიბებაში — ეს პოლიტიკოსების საქმეა. თუ გაჩნდა რაიმე მსგავსი პრობლემა, ჩვენ ალბათ ისევ შევიკრიბებით. კონკრეტულად ვის წინააღმდეგ, არ ვიცი, მაგრამ ვის წინააღმდეგაც იქნება საჭირო შეკრება, იმის წინააღმდეგ რომ შევიკრიბებით, ეს ნამდვილად ვიცი... ხშირად მესმის — მოვიდნენ და დაიწყეს თავიანთი ხალხის დანიშვნაო. პირდაპირ ვიტყვი, ეს რაღაც გოიმური განცხადებებია. აბა, ვინ უნდა დანიშნონ, არ მესმის. თუ არ დავნიშნე ის, ვინც მე მინდა, ვერ მოგცემ იმის გარანტიას, რომ გავაკეთებ იმას, რაც შენ გინდა, რაც შენ მთხოვე. იმ დღეს SMS-ი წავიკითხე ტელეეკრანზე — „სად არის დაპირებული 115 ლარი?“ ჯერ გამეცინა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ვიღაცები ქმნიან იმ ატმოსფეროს, რომ აი, მოვიდნენ ხელისუფლებაში და რა შეიცვალაო?! 12 წელი ველოდით და სულ უარესობა იყო. არჩევნები მაინც ჩავატაროთ, 4-5 თვე მოვიცადოთ და მერე, უკვე ყველამ გამოვთქვათ ჩვენ-ჩვენი აზრი.

— ახლა სტუდენტთა გამოსვლებზე გვითხარი — როგორ აფასებ?

— ბევრმა რიგითმა სტუდენტმა შეიძლება არც იცის, იქ რა ხდება, მაგრამ ნაწილი იმიტომ აკეთებს ამას, რომ დიდ თანხებზეა საუბარი. სტუდკავშირი და გარკვეული სტრუქტურები საკმაოდ დიდ თანხებს იღებენ უნივერსიტეტის სახსრებიდან, ვითომ რაღაც აქციებისა და კონცერტების ჩასატარებლად, მაგრამ ამ თანხის უდიდესი ნაწილი მათ ჯიბეებში მიდის. ამის დაკარგვა მათთვის, რასაკვირველია, ძალიან ცუდია. როინ მეტრეველმა ჩემზე კარგად იცის, რა კორუფციაა უნივერსიტეტში. მათ, ვინც ფულით არიან მოწყობილნი, არანაირად არ აძლევთ ხელს რაიმის შეცვლა იქ, რადგან, მათ სწავლა კი არა, მხოლოდ დიპლომი აინტერესებთ. დარწმუნებული ვარ, ვინც მართლა სწავლობს, იქ არ დგას. ქვეყანაში მამათა და შვილთა ბრძოლის დროს, შვილების გამარჯვება პროგრესს ნიშნავს და როდესაც შვილები მამების თაობის გამარჯვებაზე ოცნებობენ, ეს სერიოზული რეგრესი და სირცხვილია ერისთვის.

— დაბოლოს, როდის უნდა ველოდოთ „ჩვენი ეზოს“ გამოჩენას?

— ალბათ ახალი წლიდან.

— არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ?..

— ახალ წლამდე მოსამზადებელი პერიოდი გვექნება. მერე არ ვიცი — შეიძლება, დავუცადოთ არჩევნებს, შეიძლება — არა. ეს ხელმძღვანელობის გადასაწყვეტი იქნება. ■

...ადის	...ოსტაპ ბენდერის ავტომობილი „... გნუ“	...ნაბიჯი ბალეტში	პარტიზანთა მობილური რადიოსადგური	ქალის სახელი	უალკოჰოლო გაზიანი სასმელი	...ური ხალხური ცეკვა	კარგი ამინდი

ათი მცნებიდან, რომელიც ღმერთმა ქვის ორ ფილაზე დაწერილი დაუტოვა მოსე წინასწარმეტყველს სინას მთაზე, მეექვსე მცნებაა — „არა კაც-ჰკლა...“ გვესაუბრება ქვაშვეთის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი გიორგი სხირტლაძე.

შორენა მერკვილაძე

რას გვიკრძალავს მეექვსე მცნება

— კაცის კვლა რომ უმძიმესი ცოდვაა, ბუნებრივია, ამას დიდი განმარტება არ ესაჭიროება. ადამიანის მოკვლა ნიშნავს იმას, რომ საკუთარი თავიც მოკალი. მკვლელობის ცოდვის ჩამდენი მიწიერ ცხოვრებაშივე ცოცხლად იმარხავს თავს. მკვლელს მოყვასის დაღვრილი სისხლი თრგუნავს და მოსვენებას უკარგავს.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის — ღვთის ხატების სიცოცხლის ხელყოფა, რომელიც ღმერთისგან აქვს ბოძებული, უმძიმესი ცოდვაა, როგორი სახითაც არ უნდა მოხდეს იგი: ტყვიით, დანით, საწამლავით თუ სხვა რაიმე იარაღით. მეექვსე მცნება ირღვევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადამიანს ვკლავთ არა ერთბაშად, არამედ ნელ-ნელა, თანდათანობით, მაგალითად: როდესაც ადამიანს ვამუშავებთ იმაზე მეტს, ვიდრე მას შეუძლია; როდესაც ადამიანს ვუსპობთ ელემენტარულ საარსებო პირობებს, რაც მის დასნეულებას და ნაადრევ სიკვდილს იწვევს. მეექვსე მცნების დარღვევად ითვლება აგრეთვე გაფიქრებაც იმისა, რომ ადამიანი მოკლა, თუნდაც სისრულეში არ მოვიყვანოთ იგი. ამ მცნებას არღვევენ მოსამართლეებიც, რომლებმაც იციან, რომ ეს ადამიანი უდანაშაულოა და მაინც სჯიან, ან პირიქით — ათავისუფლებენ დამნაშავეს, როცა დარწმუნებულნი არიან მის ბრალეულობაში; ასეთ დროს მოსამართლე ხდება დამნაშავის თანამცოდველი... მკვლელობის ცოდვას უტოლდება სიძულვილი, შური, მრისხანება. ის ადამიანი, რომელმაც მოყვასი შეიძულა, უკვე მკვლელია, რადგან მან საკუთარ გულში უკვე გაწირა და მოკლა იგი. ასეთ ადამიანს, როგორც კი შესაფერისი შემთხვევა მიეცემა, ადვილად აღმართავს ხელს სხვისი სიცოცხლის მოსასპობად.

— ირღვევა თუ არა მეექვსე მცნება აბორტის და თვითმკვლელობის შემთხვევაში?

— თვითმკვლელობა ეწინააღმდეგება მეექვსე მცნებას. როგორც ვიცით, ადამიანი ღმერთის ქმნილებაა, რომელმაც მთელი სასოება ღმერთზე უნდა დაამყაროს. თვითმკვლელობის შემთხვევაში კი ადამიანი კარგავს სასოებას და ვარდება სასოწარკვეთილებაში, რადგან ივიწყებს ღმერთის არსებობას და საშველს ვერსაიდან ხედავს — ე.ი. თვითმკვლელი საკუთარი ნებით ისპობს ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეს, რომელზეც ხელი მხოლოდ ღმერთს აქვს. თვითმკვლელობის გამართლება და თვითმკვლელზე ქრისტიანული წესის აგება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავს იკლავს შეურაცხადი ადამიანი, რომელიც ვერ აცნობიერებს, თუ რას სჩადის. რაც შეეხება აბორტს — ის მკვლელობის ცოდვაში გადის და პასუხისმგებლობა ეკისრება დედას, როგორც არაშობილი, მუცლადღებული და მოუნათლავი ჩვილის მკვლელს.

— მეექვსე მცნება კრძალავს სულიერ მკვლელობასაც. რა იგულისხმება სულიერ მკვლელობაში?

— ადამიანის სულიერ მკვლელობად ითვლება ცდუნება და გარყვნა უზნეო მაგალითებით, ცუდი ყოფაქცევით, ღვთის სჯულის საწინააღმდეგო სწავლებებით, რომელსაც მიმართავენ არამართლმადიდებლობის მქადაგებლები. მათ ადამიანის სული მიჰყავთ არა ცხონებისა და სამოთხისაკენ, არამედ არასწორად მიცემული ცოდნით უქმნიან იმის საფუძველს, რომ დაექვემდებაროს სულიერ კვდომას და ამ გზით ჯოჯოხეთისთვის ამზადებენ.

ითვლება თუ არა კაცის კვლის ცოდვად, როდესაც ადამიანი იძულებული ხდება, თავდაცვის მიზნით, აღმართოს ხელი ადამიანზე? სჩადიან თუ არა მკვლელობის ცოდვას ჯალათები? რა საეკლესიო სასჯელს იმსახურებს ადამიანი, რომელიც მკვლელობის უმძიმესი ცოდვის მონანიებას გადაწყვეტს? — მეექვსე მცნებასთან დაკავშირებულ ამ და სხვა საკითხებზე „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.

■

ტაძრად

შორენა მერკვილაძე

ტაძრად მიყვანება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა — ასე ეწოდება თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთს, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია ძველი სტილით — 21 ნოემბერს, ხოლო ახალი სტილით — 4 დეკემბერს აღნიშნავს.

როგორც საღმრთო გადმოცემიდანაა ცნობილი, წმინდა მარიამის მშობლებმა — მართალმა იოაკიმემ და ანამ, რომლებიც ხანდაზმულობის ასაკამდე უშვილონი იყვნენ, ღმერთს აღთქმა მისცეს, რომ თუ შვილი მიეცემოდათ, მას ღმერთს შესწირავდნენ. უფალმა მათი ვედრება შეისმინა და მისცა მათ შვილი, რომელსაც უწოდეს მარიამი.

როდესაც მარიამი სამი წლის შეიქნა, მშობლებმა შემოსეს და ახლობლებისა და ნათესავების თანხლებით იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. ტაძრად მიყვანამდე, იოაკიმესა და ანას, რომლებსაც ხელთ ეპყრათ ღვთისგან ბოძებული ერთადერთი ასული, წინ, ხელში ანთებული სანთლებით მიუძღოდათ ქალწულთა დასი და გარს ეხვეოდა უამრავი ადამიანი. წმინდა თეოფილაქტე ბულგარიელი აღწერს: „...არა მარტო მიწიერი იერუსალიმის მცხოვრებნი შეიკრიბნენ, არამედ ზეციურის მკვიდრნიც — შეიკრიბნენ წმიდა ანგელოზნიც, რათა ეხილათ დიდებული სანახაობა — ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდა მარიამისა და გაკვირვებულიყო ამის მხილველი იერუსალიმი“.

ამგვარი პატივითა და დიდებით, არა მარტო კაცთაგან, არამედ ანგელოზთაგანაც, მიაცილეს უბიწო ყრმა ღვთის ეკლესიაში. მასთან შესახვედრად ტაძრიდან გალობით გამოვიდნენ ღვთისმსახურები, რომლებსაც წინ უძღოდათ მღვდელმთავარი ზაქარია.

ტაძარში შესასვლელად თხუთმეტსაფეხურიანი კიბის ავლა იყო საჭირო. ნეტარი იერონიმე წერს: „მღვდელნი და ლევიტელნი ტაძარში ღვთისმსახურებისთვის შესვლისას ყოველ საფეხურზე გარკვეული თანმიმდევრობით თითო ფსალმუნს გალობდნენ. მშობლებმა მარიამი პირველ საფეხურზე დააყენეს და მან ღვთის უხილავი ძალით ატაცებულმა, სხვისი დახმარების გარეშე, უცებ აირბი-

მიყვანება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა

ნა თხუთმეტივე საფეხური და უმაღლეს საფეხურზე შეჩერდა. ჯერ კიდევ ყრმობის ასაკიდან უფალი ავლენდა მარიამში თავის ძალმოსილებას და ამით ამოწმებდა იმ დიდ და განსაკუთრებულ მადლზე, რომელიც მოელოდა მარადქალწულ მარიამს, ოდეს იგი ზრდასრულ ასაკს მიაღწევდა".

მღვდელმთავარმა ზაქარიამ ყრმა მარიამი პირდაპირ წმიდათაწმიდაში შეიყვანა, სადაც არათუ ქალები, თვით მღვდელმთავარი წელიწადში ერთხელ, ხანგრძლივი მარხვისა და ლოცვის შემდეგ შედიოდა, რათა საკუთარი და ხალხის ცოდვები სამსხვერპლო ცხოველის სისხლის პკურებით განეწმინდა. მაგრამ წმინდა მამების განმარტებით, მარიამის წმიდათაწმიდაში შეყვანა სულიწმიდის კარნახით მოხდა. ამას მოწმობს წმინდა ეკლესია თავის საგალობლებით: „წმიდათა წმიდაში, წმიდა უბიწო, სულიწმიდით შეიყვანება!"

ეკლესიური სწავლებით, ღვთისმშობელი წმიდათაწმიდაში შევიდა, როგორც აღთქმის კიდობანი, რომელიც კაცობრიობის მხსნელის — ქრისტეს დედის წინასახეს წარმოადგენდა: მოსეს მიერ აგებული მოძრავი ტაძრის წმიდათაწმიდაში შეტანილი იქნა სჯულის კიდობანი, აღთქმის ფიცრით, აარონის კვერთხით და ტაკუკი (მომცრო ზომის ოქროს ჭურჭელი) მანანით (ზეციური პურით). წმიდათაწმიდაში მარიამის შესვლისას ებრაელთა ეს უძვირფასესი სიწმინდეები იქ უკვე აღარ იყო, რადგან ღვთის რჩეულმა ერმა იგი თავისი ცოდვების გამო დაკარგა. მაგრამ ყოვლადწმინდა მარიამის წმიდათაწმიდაში შესვლით ყველაფერი შეივსო, რადგან ღვთისმეტყველთა განმარტებით, ღვთისმშობელი ის ტაკუკია, რომელმაც ზეციური პური დაიტია. იგი აარონის კვერთხია, რომელიც უსხმელი ტოტისგან, ბერწი მშობლებისაგან აღმოცენდა („ძველ აღთქმაში" ცნობილია აარონის კვერთხის აყვავების ამბავი); დაბოლოს, იგია სჯულის კიდობანი, რომელზეც დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „აღდეგ უფალო, განსასუენებლად შენდა, შენ და კიდობანი სიწმიდისა შენისა" (ფს. 131, 8).

წმინდა კირილე ალექსანდრიელისა და წმინდა გრიგოლ ნოსელის მოწმობით, სხვა ყრმა ქალწულთ, რომლებიც ტაძარში იზრდებოდნენ, წესისამებრ სალოცავ ადგილს ტაძარსა და საკურთხეველს შორის მიუჩენდნენ. მღვდელმთავართა მკაცრი აკრძალვით, ვერც ერთი ქალწული ვერ ჰბედავდა წმიდათაწმიდასთან მიახლოებასაც კი. ხოლო ყოვლადწმინდა ქალწულს მისი ტაძრად მიყვანებისთანავე ჰქონდა უფლება, ნებისმიერ დროს შესულიყო წმიდათაწმიდაში და იქ ელოცა. მღვდელმთავარმა ზაქარიამ ეს ღვთის შთაგონებით დაუშვა. წმინდა თეოფილაქტე ბულგარიელის განმარტებით: „მღვდელმთავარი ზაქარია იმჟამად იყო ღვთივ განბრძნობილი და ღვთით განჭვრიტა, რომ ყრმა იგი იყო ჭურჭელი მადლისა სულიწმიდისა და ყრმა ესე თავად ზაქარიაზე მეტად იყო ღირსი ღვთის სახის ხილვისა. მოაგონდა სჯულიდან, რომ კიდობნისთვის სწორედ წმიდათა წმიდა იყო განკუთვნილი და განჭვრიტა, რომ კიდობანი, მარადქალწულის წინასახე უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ, უყოყმანოდ, სჯულის აკრძალვის მიუხედავად, ზაქარიას შეჰყავს ქალწული მარიამი წმიდათა წმიდაში და ასე, ყოვლადწმიდა ქალწული იკავებს ადგილს, დაფარულს მამათგან და მიუწვდომელს თვით მღვდელმსახურთათვის, სადაც წელიწადში ერთხელ შეეძლო შესვლა მღვდელმთავარსაც კი. და ეს ყოველივე ღვთის საიდუმლო განგებით აღესრულა, რათა მარადქალწული მარიამი, უწინარეს უბიწო ჩასახვისა, თავისუფალი ყოფილიყო იმ მძიმე აკრძალვისაგან, რომელიც ცოდვით დაცემულ კაცობრიობას დაუწესდა, რამეთუ ყოვლადწმიდა მარიამი ანგელოზებზე აღმატებული იყო და მასში არა მარტოოდენ სჯული, არამედ სრულყოფილი მადლი მოქმედებდა".

ეკლესიის მამათა ღვთისმეტყველებით, ყოვლადწმინდა მარიამი „ახალი აღთქმის" კიდობნად იწოდება, რადგან მუცლით ატარებდა ქვეყნიერების გამომხსნელს — მაცხოვარს. თუკი ევას შეცოდებით ცოდვა დამკვიდრდა ამქვეყნად, ღვთისმშობლის მეოხებით კურთხევა მოგვენიჭა. ყოვლადწმინდა ქალწულმა დაუტეველი დაიტია და ის, რომელსაც ცანი ვერ იტევენ, რომელმაც აღხოცა შეცოდებანი კაცთანი და ჯვარს ეცვა ჩვენთვის.

მარადქალწულმა მარიამმა თორმეტი წელი დაყო ტაძარში. მისი ტაძარში ყოფნა განსაკუთრებული სისპეტაკითა და სიწმინდით გამოირჩეოდა. საეკლესიო საგალობლებში არის მოწმობა იმის შესახებ, რომ წმინდა ქალწულს ანგელოზები ეცხადებოდნენ და ზეციურ საკვებს მიუძღვნიდნენ. მარიამი იზრდებოდა კეთილმსახურ ქალწულთა წრეში, კითხულობდა საღვთო წიგნებს, ხშირად იყო დაკავებული ლოცვით და ღვთის სიყვარულით სულდგმულობდა.

იერუსალიმის ტაძარში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიყვანების მოსახსენებლად, წმინდა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უძველესი დროიდან დააწესა საზეიმო დღესასწაული. პირველ ცნობას ამ დღესასწაულის აღსრულების შესახებ პალესტინელ ქრისტიანთა გადმოცემებში ვხვდებით.

■

«არგენტინელ-ესპანელი» «ელ-ალემანი»

იყო თუ არა ალფრედო დი სტეფანო ფეხბურთის მეფეზე დიდი ფეხბურთელი?

ალექსი რეხვიაშვილი

ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივარი ალფრედო დი სტეფანოს მსოფლიოს ყველა დროის უდიდეს ოსტატად მიიჩნევს, თუმცა მადრიდის „რეალის“ ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავისადმი ამგვარი დამოკიდებულება პელეს ქომაგთა უდიდეს არმიას მკრეხელობად მიაჩნია. რომელი უფრო დიდი ფეხბურთელი იყო – პელე, დი სტეფანო თუ მარადონა – ამაზე კამათი შორს წაგვიყვანდა. ერთის თქმა კი ნამდვილად შეგვიძლია: „სამეფო კლუბის“ 50-60-იანი წლების ლიდერი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ფეხბურთის განვითარებაში.

ალფრედო დი სტეფანო არ მიეკუთვნება ვარსკვლავთა იმ კატეგორიას, რომელიც ერთ რომელიმე ტურნირში ან საფეხბურთო სეზონში ავლენს საკუთარ შესაძლებლობებს, ხოლო სხვა დროს არასტაბილური თამაშით გამოირჩევა. არგენტინელი დიდოსტატი წლების მანძილზე სამაგალითოდ ასპარეზობდა და თავდაუზოგავად ცდილობდა თავისი ფენომენალური ინდივიდუალური მონაცემების გამოყენებას გუნდის საერთო წარმატებისთვის. „ხშირად, მაშინაც კი, როდესაც მაღალი ტემპერატურა მქონდა, მწვრთნელებს ვარწმუნებდი, რომ ჩემი მოედანზე გასვლა აუცილებელი იყო. ფეხბურთი დიდებული თამაშია და თუ სახელოვანი კლუბის ღირსებასაც იცავ, მაშინ ნებისმიერ მატჩში მონაწილეობა პრივილეგიად მიგაჩნია. ასეთივე პრივილეგიაა შენთვის ის მომენტი, როდესაც გუნდს სწირავ ყველაფერს, რაც კი გაქვს“, – ამბობს დი სტეფანო, რომელიც ამჟამად ესპანეთის მოქალაქეა. გარდა ამისა, მას მადრიდის „რეალში“ ერთ-ერთი საპასუხისმგებლო პოსტი უკავია.

მსოფლიო ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავი ბუენოს-აირესის გარეუბან ბარაკასში დაიბადა. იგი ტყავის ბურთის ფლობის პირველ საიდუმლოებებსაც ქალაქის ქუჩებში ეზირა. ალფრედო ჯერ კიდევ ბავშვობაში, თანატოლებთან პაექრობისას ავლენდა დიდ გამძლეობასა და შეუპოვრობას, რამაც მის საფეხბურთო კარიერაში უდიდესი როლი ითამაშა.

დი სტეფანოს ბაბუა არგენტინაში კატალონიიდან (კუნძული ტირენის ზღვაში, ეკუთვნის იტალიას) ჩასულა. „რეალის“ მომავალი სუპერფორვარდის მამა ერთ დროს „რივერ პლეიტის“ ღირსებას იცავდა. სპორტული კარიერა მან მას შემდეგ დაასრულა, რაც არგენტინაში ფეხბურთი სპორტის პროფესიონალურ სახეობად ჩამოყალიბდა. დი სტეფანო-უფროსისთვის ფეხბურთი ყოველთვის გართობა იყო და არა პროფესია, რომლის საშუალებითაც ოჯახი უნდა ერჩინა. ამიტომ იგი არცთუ ისე აღტაცებული გახლდათ ვაჟიშვილების – ალფრედოსა და ტულიოს – გადაწყვეტილებით, რომლებიც ახალგაზრდულ გუნდებში თამაშობდნენ და დიდ ფეხბურთელობაზე ოცნებობდნენ. დონ დი სტეფანოს შეხედულება მხოლოდ მას შემდეგ შეუცვლია, რაც 1944 წლის 18 აგვისტოს „ელ ალემანს“ („გერმანელი“ – ქერა თმის გამო სწორედ ასე მოიხსენიებდნენ თანატოლები ალფრედოს) „რივერ პლეიტში“ მარჯვენა განაპირა ფორვარდის პოზიციაზე დაუწყია თამაში.

ახალგაზრდა ალფრედოს საფეხბურთო კერპი „ინდეპენდიენტეს“ პარაგვაიელი ცენტრალური თავდამსხმელი, არსენიო ერიკო გახლდათ, ამიტომ „ელ ალემანი“ თავადაც ცენტრფორვარდობაზე ოცნებობდა, თუმცა იგი სხვა პოზიციებზე თამაშსაც საუცხოოდ ართმევდა თავს. აღსანიშნავია, რომ ამ თვისებით დი სტეფანო ყოველთვის გამოირჩეოდა. იგი არასოდეს თაკილობდა მცველებისა და ნახევარმცველების დახმარებას და ე.წ. შავი სამუშაოს შესრულებას. „როგორც ცენტრფორვარდი, სულ ვმოძრაობ, – ამბობდა ალფრედო, – წინ, უკან თუ ფლანგებზე. ვცდილობ, ერთ პოზიციაზე არ გავიყინო, რათა მცველებმა ჩემი გაკონტროლება ვერ შეძლონ. ამავე დროს არ მსურს, რომ სხვა თავდამსხმელებს ხელს ვუშლიდე. ხშირად ვიხევ უკან მცველთა დასახმარებლად. საერთოდ, დაცვაში თამაში თავდამსხმელებმა თავიანთ ერთ-ერთ მოვალეობად უნდა მიიჩნიონ. როდესაც მეტოქე გიტევს, შენ ფაქტობრივად *(იგულისხმება თავდამსხმელი. – ავტ.)* უსაქმოდ რჩები. რა უნდა გააკეთო ამ დროს? ისევ შენს პოზიციაზე უნდა დარჩე და თვალი ადევნო თუ როგორ უჭირთ მცველებს? მაგრამ თუ დაცვა მეტოქის შეჩერებას ვერ შეძლებს, ფორვარდის წინაშე დასახული ამოცანაც ხომ უფრო გართულდება – ამ შემთხვევაში მან უფრო მეტი გოლის გატანაზე უნდა იზრუნოს! ამიტომ ცხადია, რომ შენ უკან უნდა დაიხიო და მცველებს მიეხმარო, რაც თავადაც გაგიიოლებს თამაშს“.

ერთხანს ალფრედო დი სტეფანო ივჯარის წესით „ურაკანშიც“ თამაშობდა, მაგრამ მალე „რივერ პლეიტში“ დაბრუნდა, სადაც ადოლფო პედერნერის ადგილი დაიკავა. ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც „რივერ პლეიტის“ თავდასხმის ხაზს კარგად ორგანიზებული და შეთანხმებული თამაშის გამო „ლა მაკინას“ (მანქანა) უწოდებდნენ. ალფრედომ კი, თავისი ფენომენალური მონაცემები ეროვნულ ნაკრებშიც ჩინებულად გამოავლინა, როდესაც 1947 წელს არგენტინელებმა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში გაიმარჯვეს.

1949 წელს არგენტინაში პროფესიონალმა ფეხბურთელებმა გაფიცვა მოაწყვეს, რის გამოც „რივერ პლეიტის“ ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, რომ გუნდის შემადგენლობა მოყვარული მოთამაშეებით შეევსო. არაერთი ცნობილი ოსტატი კოლუმბიაში გადაბარგდა. იქ მათ „იატაკქვეშა“ ლიგაში დაიწყეს ასპარეზობა, რომელსაც ფიფა არ ცნობდა. ამ ფეხბურთელთა რიცხვში აღმოჩნდა

დი სტეფანოც. ალფრედო ბოგოტას „მილონარიოსის“ ღირსებას იცავდა და მალე კლუბის ქომაგთა უსაყვარლეს პერსონად იქცა.

როდესაც კოლუმბია ხელმეორედ გაწევრდა ფიფაში, „მილონარიოსი“ მსოფლიო ტურნეში გაემგზავრა და „რეალის“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ამხანაგურ ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა. სწორედ მაშინ შენიშნა „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობამ ალფრედო და კოლუმბიურ გუნდს მის სანაცვლოდ იმაზე მეტი თანხა შესთავაზა, რის გაღებასაც არგენტინელ ვარსკვლავში უფრო ადრე „ბარსელონა“ აპირებდა (კატალონიელები ფორვარდის ყიდვას ჯერ კიდევ მაშინ აპირებდნენ, როდესაც იგი „რივერ პლეიტის“ ღირსებას იცავდა).

„ბარსასა“ და „რეალს“ შორის არსებული ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გამძაფრდა. ესპანეთის საფეხბურთო სასამართლომ კი გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმადაც, დი სტეფანოს ერთი სეზონი „რეალში“ უნდა გაეტარებინა, ხოლო მეორე – „ბარსელონაში“. ყველასათვის მოულოდნელად ალფრედომ „სამეფო კლუბში“ უფერულად დაიწყო სეზონი, რის გამოც კატალონიელებს თავიანთ გუნდში მისი ხილვის სურვილი დაეკარგათ და არგენტინელი საბოლოოდ „რეალის“ კუთვნილებად იქცა. ამ მოვლენებიდან არ გასულა დიდი ხანი და სამხრეთამერიკელმა ფორვარდმა „ბარსას“ კარში ჰეთ-თრიკი შეასრულა (იმ შეხვედრაში დედაქალაქელებმა თავიანთ „დაუძინებელ მტერს“ ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს). ასე დაიწყო ელ ალემანის ლეგენდარული აღმასვლა საფეხბურთო მწვერვალისაკენ.

პირველ ორ სეზონში დი სტეფანო „რეალთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო მომდევნო ხუთი სეზონის განმავლობაში მან ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. არგენტინელ ვარსკვლავს ევროტურნირის ყოველ ფინალურ შეხვედრაში გაჰქონდა გოლები, 1960 წელს ფრანკფურტის „აინტრახტთან“ გამართულ დასკვნით მატჩში კი, მან ჰეთ-თრიკი შეასრულა. „არასოდეს მესმოდა მათი, ვინც არ ცდილობდა და გუნდის დასახმარებლად ყველაფერს არ აკეთებდა, – ამბობს დი სტეფანო, – საშინელებად სულაც არ მიმაჩნია ის, რომ ხშირად მცველებისა და ნახევარმცველების დაზღვევა მიწევს. ჩვენ ფეხბურთელები ვართ და თერთმეტივე პოზიციაზე თამაში უნდა შეგვეძლოს. თუმცა ყველაზე დიდ სიამოვნებას მაინც გოლების გატანა მანიჭებს“.

ალფრედო „ტოტალური ფეხბურთის“ პრინციპებს ჯერ კიდევ მაშინ აღიარებდა, როდესაც ეს ტერმინი მოგონილიც არ იყო. არგენტინელი ფორვარდი მოედანზე დიდი სისწრაფით გადაადგილდებოდა და მიზნის მისაღწევად მტკიცედ მიიწევდა. მას შეეძლო ბურთთან ერთად საკუთარი საჯარიმოს მისადგომებიდან დაძრულიყო, თვალის დახამხამებაში გაევლო მთელი მოედანი და მეტოქის კართან საგოლე სიტუაცია შეექმნა, „როდესაც დი სტეფანო მოედანზე გამოდიოდა, იგი ფაქტობრივად ორი მოთამაშის სამუშაოს ასრულებდა, თანაც ნებისმიერ პოზიციაზე“, – უთქვამს ერთხელ ალფრედოს თანაგუნდელს „სამეფო კლუბში“, მიგელ მუნიოსს. ■

შევამ საკუთარი გოლების „ჰიტ-აღლუმი“ შეადგინა

გაზეთ „კორიერე დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ანდრეი შევჩენკომ განაცხადა, რომ მისთვის გამარჯვების მომტანი გოლების

გატანაა მთავარი. „თუ ისეთ გოლს გავიტან, რომელიც ჩემს გუნდს სამ ქულას მოუტანს, მას მნიშვნელოვნად მივიჩნევ, სხვა გოლები ჩემთვის მეორეხარისხოვანია. ცხადია, კარგად მახსოვს ჩემ მიერ შესრულებული ზუსტი დარტყმები „ინტერთან“ მატჩში. განსაკუთრებით იმ გოლს გამოვყოფდი, რომელმაც „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა. მაგრამ ჩემი გოლების „ჰიტ-აღლუმში“, „კიევოს“ კარში გატანილ გოლსა და ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში, „იუვენტუსის“ კარში დარტყმულ პენალტს გამოვყოფდი, რომლის წყალობითაც ყველაზე პრესტიჟული ევროთასი მოვიპოვეთ“, – ამბობს უკრაინელი ფორვარდი. შევა თავის ყველაზე ლამაზ გოლსაც ასახელებს, რომელიც ორი წლის წინ, ასევე „იუვენტუსის“ კარში გაიტანა: „ყველაფერი დიდებულად მოხდა – „ბებერი ქალბატონის“ ორი მცველი მოვატყუე და კუთხეში ზუსტად დავარტყი“. ცოტა ხნის წინ, ანდრეიმ სერია A-ში თავისი მე-100 გოლი გაიტანა. თუ ის იტალიის ჩემპიონატში მეტოქეთა კარის აღებას კიდევ 14-ჯერ შეძლებს (რაც სავსებით რეალურია, იმიტომ რომ უკანასკნელ მატჩებში შევა ერთი გოლით აღარ იფარგლება და წყვილ-წყვილს ითვლის), მაშინ „მილანის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ფორვარდის – მარკო ვან ბასტენის მიღწევას გააუჯობესებს. ■

ნამიბიის გუნდი პორნოპროდუქციამ დაღუპა

მომავალი ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირში, ნამიბიის ქალთა საფეხბურთო ეროვნულმა ნაკრებმა სამხრეთაფრიკელებთან ანგარიშით 0:13 წააგო. ასეთი შედეგი ფეხბურთისთვის საკმაოდ იშვიათია, მაგრამ ნამიბიის გუნდის ქომაგთათვის უფრო გამაოგნებელი აღმოჩნდა მიზეზი, რომელმაც სამხრეთაფრიკელებს ესოდენ გამანადგურებელი მარცხი განაცდევინა: როგორც გაირკვა, ნამიბიელთა სამარცხვინო წაგება გუნდის მოთამაშეთა მიერ პორნოგრაფიული ფილმებით დიდ დაინტერესებას გამოუწვევია – გოგონებს მატჩის წინაღამეს, სასტუმროში მთელი ღამე პორნოპროდუქციის ყურებაში გაუტარებიათ... განმეორებითი შეხ-

ვედრის წინ, რომელიც ნამიბიაში გაიმართა, მასპინძელი გუნდის წევრებს მწვრთნელებმა ტელევიზორის ყურება საერთოდ აუკრძალეს, თუმცა, მათ არც ამ ხერხმა უშველა. ნამიბიელებმა ერთი გოლის გატანა კი მოახერხეს, მაგრამ საკუთარი კარიდან კვლავ 13-ჯერ მოუხდათ ბურთის გამოტანა. ■

ფიფამ პრეტენდენტთა ვინაობა გამოაქვეყნა

ორიოდე დღის წინ, ფიფამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდების სამი პრეტენდენტი დაასახელა. ესენი არიან: ზინედინ ზიდანი, რონალდო და ტიერი ანრი. გარდა ამისა, უმთავრესმა საერთაშორისო-საფეხბურთო ორგანიზაციამ სუსტი სქესის იმ წარმომადგენელთა ვინაობაც გამოამზეურა, რომლებსაც ასევე აქვთ საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზის მოპოვების შანსი. ტიტულისთვის ერთმანეთს კონკურენციას ამერიკელი მია ჰემი, გერმანელი ბირგიტ პრინცი და შვედი ხანა ლუნგბერგი გაუწევენ. დაჯილდოების ცერემონია 15 დეკემბერს გაიმართება. ■

ალმეიდა მიდის, რივალდო კი – გაუშვეს

მილანის „ინტერის“ ნახევარმცველი, მათიას ალმეიდა წლევანდელი წლის ბოლოს, საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებს. „კლუბთან ჩემი კონტრაქტი ივლისში ამოიწურება, მაგრამ დიდი სპორტიდან წასვლას იანვარშივე ვგეგმავ“, – ამბობს არგენტინელი, რომელიც თავის გადაწყვეტილებას შემდეგნაირად ხსნის: „იტალიური ფეხბურთი მეტისმეტად ბინძურია, მისი „განწმენდა“ შეუძლებელია, ამიტომ მირჩევნია, ამ სამყაროს განვერიდო“.

ამ დროს კი „მილანმა“ გაავრცელა ინფორმაცია ბრაზილიელ რივალდოსთან კონტრაქტის შეწყვეტაზე. რივალდო ახლა თავისუფალი აგენტის სტატუსით მოძებნის ახალ გუნდს. მისი თქმით, ძალიან მოხარული იქნება, თუ ლონდონის „ჩელსიში“ მოუძებნიან ადგილს. „აბრამოვიჩმა შექმნა NBA-ს „ოლ სტარის“ მსგავსი გუნდი, რომელიც საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს. მოხარული ვიქნები მათთან თანამშრომლობით“ – აღიარა რივალდომ. ■

შირერი მწვრთნელობას აპირებს

ცნობილი ინგლისელი ფორვარდი, ალან შირერი უახლოეს მომავალში მწვრთნელის ლიცენზიას მიიღებს. 33 წლის ფეხბურთელი უკვე ხუთი თვეა, რაც უეფას სპეციალურ კურსებზე სწავლობს, რომლის დამთავრების შემდეგ, მწვრთნელის „ბ“ კატეგორიის ლიცენზიის მფლობელი გახდება. თუმცა, ამგვარი სერტიფიკატი მას პრემიერლიგის გუნდის თავკაცის პოსტზე მუშაობის უფლებას არ აძლევს. ამიტომ ალანი იძულებულია, კიდევ აიმაღლოს კვალიფიკაცია. „დიახ, მწვრთნელის კურსებზე ვსწავლობ, იმიტომ, რომ მალე კარიერას დავასრულებ. ვერ გეტყვით, ჩემგან როგორი მწვრთნელი დადგება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რათა წარმატებას მივაღწიო“, – აცხადებს შირერი, რომელიც კარიერას მომავალი სეზონის შემდეგ დაასრულებს. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა


1989 წელი, აპრილი...

სამეფო სისხლი ძარღვებში, სტალინური რეპრესიები

და თავისუფლებისადმი მიძღვნილი ფილმები

„ნუცას სკოლა“, „კარდაკარ“, „არდადეგები“, „მიხა“, „გზა მშვიდობისა, ჯაყო!“, „დიდი მწვანე ველი“, „გზა“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ — ამ ფილმებით იცნობს საზოგადოება კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს. მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ბატონი მერაბი ისეთი სახელოვანი წინაპრების შთამომავალია, როგორებიც იყვნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, მერაბ ჯორჯაძე, ანა ბაგრატიონი... წინასწარ შევთანხმდით, რომ საუბრის თემა ამჯერად, მისი გენეალოგია იქნებოდა, თუმცა, ბუნებრივია, ვერც მის შემოქმედებას და ვერც ჩვენს ქვეყანაში დღეს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ავარიდეთ თავი.

ემა ტუხიაშვილი

— ბატონო მერაბ, თუ შეიძლება, თქვენი გვარის წარმომავლობით დავიწყოთ.

— გვარი „კოკოჩაშვილი“ სახელისგან — „ქაქუჩასგან“ წამოვიდა. სწორედ ამ სახელით ცნობილი, ერთ-ერთი ჩემი წინაპარი, XVIII საუკუნის შუა პერიოდში, იმერეთის მეფესთან დაახლოებული პირი გახლდათ. ახალციხეში ყოფნისას, ერთი კათოლიკე ქალი შეჰყვარებია ქაქუჩას, რომელსაც იმერეთში უკვე ჰყავდა ცოლ-შვილი. ცოლს გაუგია ეს ამბავი და როდესაც ქაქუჩა ოჯახში დაბრუნებულა, სულ კეტები ურტყამთ მისთვის და ისე გაუგდიათ. ქაქუჩა ახალციხეში დაბრუნებულა და ის კათოლიკე ქალი შეურთავს ცოლად. სწორედ იქ დაიბადა კოკოჩაშვილების გვარი. პირველ ეტაპზე, კოკოჩაშვილების გვარში ვაჭრები და მეწარმეები ჭარბობდნენ; მოგვიანებით, მოსამართლეები, მეცნიერები და ექიმები გამოჩნდნენ. მამაჩემი კი მუსიკოსი გახლდათ და 1937 წელს, რეპრესიებს შეეწირა.

— ცნობილია, რომ თქვენ ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალი ბრძანდებით. სახელდობრ რომელი ხაზით ენათესაურებით ჩვენს გამოჩენილ წინაპარს?

— ალექსანდრეს ვაჟს — დავითს, ბევრი შვილი ჰყავდა და ერთ-ერთი მათგანი — ნინო ჭავჭავაძე ბებიაჩემი გახლდათ. დავითს დაც ჰყავდა — ნინო, რომელიც ალექსანდრე გრიბოედოვის მეუღლე იყო. სისხლი მანათესავებს აგრეთვე ბაგრატიონების გვართანაც, რადგან დავით ჭავჭავაძის მეუღლე ანა ბაგრატიონი თვით გიორგი მეთორმეტის შვილიშვილი გახლდათ. ბებიაჩემი ჯერ დაბადებულიც არ ყოფილა, როდესაც დედამისი — ანა ბაგრატიონი მის ოჯახთან ერთად, შამილმა გაიტაცა. გადმოცემით ვიცი, რომ ერთი შვილი ანას ტყვეობაში დაეღუპა: ლეკებს ბავშვი ცხენიდან გადმოუვარდათ და მდევრები რომ არ დასწეოდნენ, გზა განაგრძეს. თვითონ ანა ცხენზე ჰყოლიათ მიბმული. მდევრებს შორის კი ანას მეუღლე, დავით ჭავჭავაძე იყო, რომელმაც თავისი მკვდარი შვილი, მიწაზე დაგდებული იპოვა...

— მამათქვენის გადასახლების მიზეზი რა გახდა?

— მამა ვიოლინოზე უკრავდა, ასწავლიდა კონსერვატორიაში და ამავე დროს, რუსთაველის თეატრის, მოგვიანებით კი — მარჯანიშვილის თეატრის ორკესტრის წევრი გახლდათ. დედაც და მამაც, ძალიან ახლო მეგობრები გახლდნენ ისეთი ადამიანებისა, როგორებიც ბრძანდებოდნენ უშანგი ჩხეიძე, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი სრულიად აპოლიტიკური ადამიანი იყო, ის მაინც დააპატიმრეს და გადასახლებიდან აღარ დაბრუნებულა. მაშინ მე მხოლოდ ორი წლის ვიყავი და მამა არც კი მახსოვს. წლების განმავლობაში, დედა მიმალავდა, რომ მამა რეპრესირებული იყო, მე კი ეს ყოველთვის ვიცოდი და არ ვუმხელდი დედას... მოგვიანებით, როდესაც მამაჩემის დოკუმენტები მივიღეთ, გაირკვა, რომ ის დაპატიმრებიდან სულ მოკლე ხანში — 1938 წელს, ფილტვების ანთებით გარდაცვლილა. თუმცა, მე ამაში დღემდე მეპარება ეჭვი და ვფიქრობ, რომ მისი სიკვდილის მიზეზი ტყვია იყო.

— დედამ როდის გაგიმხილათ, რომ მამათქვენი „ხალხის მტერი“ იყო?

— ასე, თორმეტი წლის ვიქნებოდი; მე და დედა სუფრასთან ვისხედით და ვსადილობდით. ომი უკვე დასრულებული იყო, როდესაც დედამ მამაზე საუბარი დაიწყო, მახსოვს, როგორ წამომივიდა ღაპაღუპით ცრემლები...

— მამის გადასახლებას, თქვენთვის არ შეუქმნია დაბრკოლებები?

— მანამდე, სანამ რეაბილიტაცია არ მოხდა, მქონდა ინსტიტუტთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები. თუმცა, ჩემთვის არასოდეს უკადრებიათ, რომ „ქვეყნის მტრის“ შვილი ვიყავი. როდესაც მოსკოვში ВГИК-ში (კინემატოგრაფიის ინსტიტუტში) ვაბარებდი და საკმაოდ მაღალი ნიშნები მივიღე, აღმოვაჩინე, რომ ჩარიცხულთა სიებში არ ვიყავი. დეკანატში ამ ამბის გასარკვევად მივედი და მიპასუხეს, რომ დამატებით კიდევ ერთი კომისია უნდა გამევლო. ამ, დამატებით კომისიაში, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, უცხო პირებიც ისხდნენ. ეს კომისია ჩემი მშობლების, კერძოდ კი, მამის საქმიანობით დაინტერესდა. მაშინ, როდესაც ვუპასუხე, რომ მამაჩემი მუსიკოსი იყო, ისინი რაღაც დოკუმენტებში იყურებოდნენ. სერგეი გერასიმოვსა და მიხაილ რომს (*გამოჩენილი საბჭოთა*

კინორეჟისორები და ВГИК-ის შემოქმედებითი სახელოსნოების ხელმძღვანელები. — ავტ.) ჩემს პასუხზე გაეღიმათ და ნება დამრთეს, რომ გავსულიყავი. მეორე დღეს კი, ჩემი გვარი სიაში აღმოვაჩინე... მამის გამო პრობლემები არც მანამდე, სკოლაში სწავლისას შემქმნია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს კლასში ბევრი ცნობილი ადამიანის შვილი სწავლობდა, რომელსაც სკოლაში დაცვა დაჰყვებოდა.

— იქნებ, გაგვიმხილოთ თქვენი „დაცვიანი“ კლასელებისა ვინაობა?

— მათი დასახელებისგან თავს შეიკავებ, რადგან ძალიან კარგი ბიჭები იყვნენ და ახლაც არიან (ჩვენ დღემდე ვმეგობრობთ) და ყოველთვის რცხვენოდათ დაცვით სიარულის. მოგეხსენებათ, რომ ომის პერიოდში უკიდურესი გაჭირვება და შიმშილი იყო. სკოლაში ისეთ პატარა ფუნთუშებს გვირიგებდნენ, რომ დღევანდელი ფუნთუშის მეექვსედი ზომისა ძლივს იქნებოდა. ის ბიჭები კი, ვისაც ჩვენზე უკეთესი პირობები ჰქონდათ, საკუთარ წილ ფუნთუშებსაც ჩვენ — გაჭირვებულ თანაკლასელებს გვირიგებდნენ. რა დასამალია და, უმამოდ დარჩენილებს ძალზე გვიჭირდა. დედა ორ ადგილას მუშაობდა და შინ გვიან ბრუნდებოდა. ღამე მარტო დარჩენის მეშინოდა. სკივრში ვიპოვე ბიძაჩემის ნაქონი ხმალი და დამბაჩა, რომელიც ბოლშევიკებმა ვერ აღმოაჩინეს. სწორედ ამ ხმლითა და დამბაჩით მომარჯვებული ვიძინებდი უშიშრად.



გურამ ბათიაშვილსა და სოსო კორინთელთან ერთად იერუსალიმში (2001 წ.)

— სკოლაში არ ანცობდით?

— მათემატიკაში სუსტი ვიყავი, ამიტომ დილაობით სკოლაში ხშირად ვიწერდი სხვისგან დავალებებს. სწორედ ამით ვიყავი ერთ დილას დაკავებული, როდესაც ჩემმა კლასელმა, ახლა კი რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ლევან ჯანდიერმა *(თბილისის ყოფილი მთავარი არქიტექტორი. — ავტ.)*, ისარგებლა ჩემი მოუცლელობით, ორივე ფეხსაცმელი გამხადა და ბუხრის თავზე შემიყარა. ჩემთვის იმწუთას დავალებების გადაწერა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ ხელი არ შემიშლია მისთვის. ბუხარი საკმაოდ მაღალი იყო და ფეხსაცმელი რომ ვერ ჩამოვიღე, გამოვეკიდე ლევანს და გაბრაზებულმა, რკინის სახაზავი ვესროლე. კიდევ კარგი, რომ სახაზავი მიზანს ასცდა და საკლასო ოთახის კარში ჩაესო. ამ დროს კი, კარი გაიღო და ჩვენი სკოლის დირექტორი ჯაჯუ ჯორჯიკია გამოჩნდა. ჯაჯუს ხელები კი არა, ტორები ჰქონდა. მაშინვე გავიფიქრე, რომ ნამდვილად არ ამცდებოდა მისი ტორი. მან კი შემომხედა და მითხრა (ჯაჯუ კარგად იცნობდა მამაჩემს): რამდენჯერ უნდა გითხრა — თავი დაანებე მაგ ჯანდიერებს, ბაგრატიონებს, ეთამაშე ჩარკვიანსო... ჩარკვიანის მამა მაშინ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი გახლდათ.

— წელან ბრძანეთ — ბიძაჩემის ხმალი და დამბაჩა ვიპოვეო...

— ბიძაჩემი მერაბ ჯორჯაძე უშუალო მონაწილე იყო იმ ამბოხებისთვის მზადებისა, რომელიც 1924 წელს უნდა მომხდარიყო. მერაბ ჯორჯაძე თუშეთის ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული და იმ დილით, როდესაც დახვრეტას უპირებდნენ, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა დაიხსნა და ბიძაჩემიც მას გაჰყვა უცხოეთში. საფრანგეთში მერაბ ჯორჯაძემ დაამთავრა სამეფო სამხედრო აკადემია, მაგრამ არ მიიღო მოქალაქეობა იმ მიზეზით, რომ იმედი ჰქონდა კვლავ საქართველოში დაბრუნებისა და ამბობდა — ქართველი ვარ და არა ფრანგიო. სწორედ მოქალაქეობის არქონა გახდა იმის მიზეზი, რომ ბიძაჩემი საფრანგეთის ჯარში არ მიიღეს, მაშინ, როდესაც მისი ჯგუფელი — თავადი ამილახვარი გენერალიც გახდა და საფრანგეთის გმირადაც აღიარეს. ამ მიზეზით, მერაბ ჯორჯაძე ესპანეთში გადავიდა, სადაც მაშინ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ბიძაჩემი აბსოლუტიზმის ანუ ესპანეთის მეფის მხარეს იბრძოდა. როგორც ხედავთ, მეფე ახლაც წამყვანი ფიგურაა ესპანეთში. ასე რომ, ბიძაჩემს ტყუილად არ უბრძოლია *(იცინის)*. შემდეგ ბიძაჩემი გადადის ბელგიაში, სადაც ცოლად ირთავს ოლგა შჩერბატოვას, რომელიც ქმრის დაუძლურების შემდეგ, გერმანიის ფაშიზმის მიმართ წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდა. ერთ დღეს, როცა ის მოტოციკლზე ამხედრებული დავალების შესასრულებლად მიემგზავრებოდა, დაჭრეს... მაგრამ ახლაც ცოცხალია — 93 წლისაა და ბელგიაში ცხოვრობს. ბიცოლაჩემთან დღემდე მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს და სწორედ ის მიყვება ხოლმე ბიძაჩემის შესახებ. თურმე მერაბ ჯორჯაძე ძალიან მამაცი კაცი ყოფილა და ყოველთვის ჯიქურ მიდიოდა ფრონტის წინა ხაზზე. ოლგა ხშირად უქებდა თურმე გამბედაობას, რაზეც ბიძაჩემი პასუხობდა: Я не смелый — я близорукий!.. ის მართლაც, ახლომხედველი იყო...

— მშობლები მუსიკოსები გყავდათ. როგორც ვიცი, თქვენი ქალიშვილებიც მუსიკოსები

ნინო ჭავჭავაძე შვილებთან — ივლიტა და მერაბ ჯორჯაძეებთან ერთად

არიან, თქვენ თუ უკრავთ რაიმე ინსტრუმენტზე?

— ბავშვობაში ვიოლინოზე დაკვრას ვსწავლობდი, მაგრამ ხელი მოვიტეხე და შემდეგ მოვიმიზეზე, რომ ხელი ვეღარ სწვდებოდა ვიოლინოს, რისი წყალობითაც დაკვრას თავი დავანებე. ჩემს მუსიკალურ მონაცემებთან დაკავშირებით, ერთ სასაცილო ამბავს მოგიყვებით. ძალიან მეზარებოდა მუსიკაში მეცადინეობა. ქვეყანა ომობდა, მე კი ქუჩაში ვიოლინოთი ხელში დავდიოდი. ჩემი სიზარმაცის გამო კლასში ჩავრჩი... ოპერის თეატრში კონცერტი ტარდებოდა, სადაც მუსიკალური ათწლედის მოსწავლეებს უნდა დაგვეკრა. მუსიკის პედაგოგმა კარგი ბავშვები შუაში დააყენა, მე კი ნაპირში მომიჩინა ადგილი. ამ დროს ოჯახში დიდი მზადებაა: Мерабчик играет в опере!.. და მთელი სანათესავო ემზადება კონცერტზე დასასწრებად. როდესაც ოპერის სცენის ფარდა გაიხსნა, მხოლოდ ჩემი ხელი ჩანდა... საერთოდ მიმაჩნია, რომ მუსიკაზე უფრო დიდი ხელოვნება არ არსებობს. ყოველთვის ვცდილობ, ჩემი ფილმები მუსიკალურ პრინციპზე იყოს აგებული. ეს არის ხელოვნება, რომელსაც არაფრის ახსნა-განმარტება არ სჭირდება — მუსიკა გულით, ემოციით და გრძნობით უნდა აღიქვა.

— **როგორც ვიცი, თქვენი მეუღლეც სახელოვანი წინაპრების შთამომავალია...**

— ჩემი მეუღლე უშანგი ჩხეიძის დისშვილი გახლავთ. ბატონი უშანგი კი ჩემი მშობლების მეგობარი იყო. როდესაც ბიძაჩემი უცხოეთში გაიქცა, ჩემს ნათესავებს შეეშინდათ, რომ ბოლშევიკები ბინას წაართმევდნენ და ახლობლებს სთხოვდნენ, მოსულიყვნენ და დასახლებულიყვნენ ბიძაჩემის სახლში. ასე გავხდით ჩვენ და ბატონი უშანგი მეზობლები, სადაც საერთო დერეფანი გვქონდა და ჩვენი კარი არასდროს იკეტებოდა... მეუღლე ჩემზე ექვსი წლით უმცროსი გახლავთ; ბავშვობაში ასაკში სხვაობა ძალზე შესამჩნევია, ამიტომ ყურადღებასაც არ ვაქცევდი. შემდეგ, როცა გაიზარდა...

— **ვიცი, რომ ბელგიელი სიძე გყავთ. როგორ ეგუებით ქართველი კაცი, უცხოელ სიძეს?**

— ნეტავ, ყველა ქართველი მისნაირი იყოს. ნიჭიერი, თბილი და კომუნიკაბელური ადამიანია, ძალიან უყვარს ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილი და ამისთვის დიდად ვაფასებ. კომპიუტერის სპეციალისტი გახლავთ და ამავე დროს, ფოტოხელოვნებითაა დაკავებული. თბილისში ყოფნისას, ხშირად იღებს ფოტოებს, რომელსაც შემდეგ, ბელგიაში საკუთარ გამოფენებზე ჰფენს.

— **შვილიშვილს ხშირად სტუმრობთ ხოლმე?**

— იმის საშუალება ნამდვილად არა გვაქვს, რომ ყველამ ერთად ვიაროთ ერთი ქვეყნიდან მეორეში, მაგრამ არსებობს სპეციალური სამსახურები, რომლის მეშვეობითაც ჩემი შვილიშვილი მარტო ჩამოჰყავთ ბებიასთან და ბაბუასთან, საქართველოში. კატო სამი წლისაა და დეკემბერში ველოდებით, რომ გვესტუმრება. ძალიან გონიერი ბავშვია და მინდა, ერთი პატარა ამბავი მოგიყვეთ მასთან დაკავშირებით. დაახლოებით ერთი წლის წინ, როდესაც ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ჯარები ერაყში შევიდნენ, კატოს და მის მეგობრებს საბავშვო ბაღში მასწავლებლებმა დაურიგეს სათამაშო დოლები და სთხოვეს, დაეკრათ და ეყვირათ: „ძირს ბუში! ძირს ომი!“ ამის გამო ბავშვს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ის ომში იყო ნამყოფი. ახლა, როდესაც კატო თბილისში უნდა ჩამოსულიყო, სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა ხავერდოვანი რევოლუცია, ამიტომ ჩემი შვილი ძალიან ღელავდა და ბავშვის გამოგზავნა ცოტა ხნით გადაიდო. კატოს კი უთხრეს, რომ თბილისში ომია. კატო თურმე ძალიან აღშფოთდა და განაცხადა: მე მამაცი ვარ, ხომ გახსოვთ, ომში რომ ვიყავი, მომეცით „ბარაბანი“ და წავალ თბილისშიო.

— **ბატონო მერაბ, არ შემიძლია, არ გკითხოთ აზრი საქართველოში ახლახან განვითარებულ მოვლენებზე. რას ფიქრობთ ყოველივე ამაზე?**

— მინდა გითხრათ, რომ არ მიყვარს პოლიტიკა, მეტიც, მე იგი ხელსაც კი მიშლის. მიმაჩნია, რომ ხელოვანი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური დისციპლინისგან. ყველა ჩემი ფილმი პიროვნების თავისუფლებას ეძღვნება. ამგვარად, არ შემეძლო, გულგრილი ვყოფილიყავი, გნებავთ, ცხრა აპრილის მოვლენების და გნებავთ, „ვარდების რევოლუციის“ მიმართ. მართალია, ამ აქციებზეც, ისევე, როგორც მაშინ, ოპერატორი მახლდა, მაგრამ მცირე ფიქსაციის გარდა, ვერაფრის გადაღება ვერ მოვახერხეთ. ზოგან აკრედიტაცია იყო საჭირო, ზოგან სხვა რაღაცამ შეგვიშალა ხელი... თუმცა, ჩემს სტუდენტებსაც მივეცი დავალება, გადაეღოთ მიმდინარე მოვლენები და სწორედ ახლა ვაპირებ მათი ნამუშევრების ნახვას.

— **ეი. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ფილმს არ გადაიღებთ?**

— მე მაქვს ერთი ახალგაზრდა ქალის სცენარი, რომელიც მართალია, არ ეხმაურება ამ მოვლენებს, მაგრამ ქართველი კაცის ბუნებას ასახავს; კომედიური ჟანრისაა... ახლახან დავასრულე მუშაობა ფილმზე, რომელიც აკა მორჩილაძის მოთხრობის მიხედვით გადავიღე, სახელწოდებით — „ვარიაცია ოტელოს თემაზე“. ამ ფილმს მაყურებელი სულ მალე, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით იხილავს.

კოლეგებთან — ლანა ღოღობერიძესა და ელდარ შენგელაიასთან ერთად

თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48)

ავთანდილმა ვიღაცის ტელეფონის ნომერი რამდენჯერმე უშედეგოდ აკრიბა, შემდეგ ყურმილი გამეტებით დაახეთქა და სამასწავლებლოში ბოლთის ცემას მოჰყვა. ცოტა ხანში ყურმილი ისევ აიღო. ამჯერად ზარი ნომრის პირველსავე აკრებაზე გავიდა.

— გამარჯობა, ამირან! — ჩასძახა მან ყურმილში. — ავთო ვარ, რეხვიაშვილი. მიცანი, ხომ?.. ამირან, იქნებ, დღეს ერთმანეთი როგორმე გვენახა... კი, სასწრაფოა... არა, ტელეფონში ვერ გეტყვი... შენთან?.. სახლში?.. უხერხული ხომ არ იქნება?.. კარგი, სამზე ბოლო გაკვეთილს ვამთავრებ და მაშინვე წამოვალ...

როგორც კი ავთანდილმა ყურმილი დადო და საკონტროლო წერის რვეულები პორტფელში შეინახა, სამასწავლებლოში ქეთი გამყრელიძეც შემოგოგმანდა.

— გამარჯობათ, ბატონო ავთო. — კეკლუცად მიესალმა ის ავთანდილს. — რა ქნეს ჩემმა ავაზაკებმა, დაწერეს საკონტროლო?

— აბა, სხვა რა გზა ჰქონდათ? — მშვიდად უპასუხა ავთანდილმა.

— ნაწერები როდის უნდა გაასწოროთ?

— ალბათ, ამაღამ. — ისევ მშვიდად მიუგო ავთანდილმა. — რატომ მეკითხები?

— არა, ისე... — ისევ კეკლუცად გაუღიმა ქეთიმ. — უბრალოდ, ჩემი შვილის ნაწერი მაინტერესებდა...

— წაკითხვა გინდა? — პორტფელი სასწრაფოდ გახსნა ავთანდილმა.

— არა, რას ბრძანებთ? — ბოლო წუთს თითქოს უკან დაიხია ქეთიმ. — უბრალოდ მინდოდა, გამეგო, როგორ დაწერა.

— მაგას, ჩემო ქეთი, ხვალ დილით მოგახსენებ. — პორტფელი ხმაურით დაკეტა ავთანდილმა. — ან კი რა განერვიულებს?.. ხომ იცი, შენი გოგონა ბეჯითი მოსწავლეა, ცოტას მეც წავაშველებ ხელს და...

— ძალიან დამავალებთ, ბატონო ავთო... — უმალ სახე გაებადრა ქეთის. — ხომ იცით, ვალში არ დაგრჩებით... ჰო, მართლა, ნეტავ, ჩვენმა შეყვარებულმა გვრიტებმა რაღა ქნეს?.. დაწერეს რამე? — ირონიულად გაეღიმა მას ბოლოს.

— მაინც, ვის გულისხმობთ? — ჩაეძია ავთანდილი.

— ჩოხელს და ჩადუნელს. არ მითხრათ ახლა, მაგათი „შური-მურის“ ამბავი არ გამიგიაო... უკვე მთელი სკოლა მათზე ჭორაობს...

— ჰო-ო... — წამით ჩაფიქრდა ავთანდილი. — ისე, პრინციპში, ვერაფერს დაუწუნებ, მართლაც მშვენიერი წყვილია... შენ რას იტყვი?

— ისემც ცხვირ-პირი დაუმშვენდეთ! — გაღიზიანდა ქეთი და თან, საგანგებოდ შეღებილი თვალები ბოროტად მოწკურა. — რა დროს მაგათი დაწყვილება და სიყვარულობაა?

— კარგი რა, ჩემო ქეთუსია... — ხმაში შემპარავი ნოტები გაურია ავთანდილმა, — შენ რა, არ იყავი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის?.. გაიხსენე აბა ერთი, მაშინ სისხლი როგორ სხვანაირად გიდუღდა?

— რატომ მაშინ? — კეკლუცად გაიღიმა ქეთიმ და თან, წითლად შეღებილი ტუჩები ვნებიანად დაბუშტა. — მე სისხლი ახლაც საკმაოდ მიდუღს...

— მაშინ, მით უმეტეს, უნდა გაუგო ამ ბავშვებს, ჩემო კარგო... — დაანამუსა ქეთი ავთანდილმა.

— რა არის, იცით, ბატონო ავთო?.. — ტუჩაბზუებით დაიწყო ქეთიმ. — ლუკას საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, ძალიან საყვარელი ბიჭია, მაგრამ ეს გვანცა კი... ალბათ, არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მომკალით და არ მომწონს ეგ გოგო... თვალებს ახლავე უშნოდ აცეცებს...

— ოღონდ, ეგ არ მითხრა, ჩემო ქეთი... — უმალვე გააწყვეტინა ავთანდილმა. — რა-რა და მაგ ბავშვს მართლაც არაჩვეულებრივი თვალები აქვს... საკმარისია, შემომხედოს, რომ მაშინვე პირზე ლექსის სტრიქონები მადგება: „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გავხარ ზღვას...“ სხვათა შორის, ბებიამისის თვალები აქვს, დედის დედის... ახალგაზრდობაში მართლა მაგარი ქალი იყო...

— ჩოხელის ბებიას საიდანღა იცნობთ? — სასწრაფოდ ყურები ცქვიტა ქეთიმ.

— ჩემი ძველი მეგობრის ცოლია. მე და გვანცას ბაბუა უნივერსიტეტში ერთ დროს ვსწავლობდით. ის — აღმოსავლეთმცოდნეობაზე, მე — ფილოლოგიურზე... გამოცდების დროს შემთხვევით გავიცანით ერთმანეთი და ისე უცბად დავმეგობრდით, რომ მშობლებს ბინაც მაშინვე ერთად ვაქირავებინეთ — ორივე რაიონიდან ვიყავით ჩამოსული... მერე ორივეს თბილისელი გოგოებიც შეგვიყვარდა და...

— გასაგებია... — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე ჰკითხა: ბატონო ავთო, მაშინ, ალბათ, ისიც გეცოდინებათ, ეს გოგო თავისი სკოლიდან რატომ წამოვიდა? დირექტორმა კი მითხრა, იმ სკოლაში ძალიან სერიოზული პრობლემები ჰქონდაო, მაგრამ არაფერი დამიკონკრეტა...

— ჰო-ო... — სათვალე მოიხსნა და თვალები გამეტებით მოისრისა ავთანდილმა. — მეტს, ალბათ, მეც ვერაფერს გეტყვი, ჩემო ქეთი...

— კარგით, რა, ბატონო ავთო, — მაინც არ მოეშვა ქეთი, — ბოლოს და ბოლოს, კლასის დამრიგებელი ვარ და ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეზე ხომ ყველაფერი უნდა ვიცოდე?.. იქნებ, რა უჭირს ბავშვს? იქნებ, სულ ტყუილად ავითვალწუნე და რამე ისეთი პრობლემა აქვს, რომ სწორედ ჩემი მხარში დგომა დაეხმარება?..

— არ ვიცი... არ ვიცი... — თავი დამნაშავესავით დახარა ავთანდილმა. — არა მგონია, გვანცასა და მისი ოჯახის პრობლემის გადაწყვეტა ვინმემ შეძლოს...

— ასეთი, მაინც რა პრობლემაა? — ისევ ჩაეძია ქეთი და თან, თვალები მომნუსხველად აუჟუჟუნა.

— კარგი, გეტყვი... — როგორც იქნა, დანებდა ავთანდილი. — ოღონდ, იცოდე, ყველაფერი ჩვენ შორის უნდა დარჩეს... ეს ამბავი ამ სკოლაში მარტო დირექტორმა და მე ვიცით...

— სული ნუ ამომხადეთ რა, ბატონო ავთო! — გააწყვეტინა ქეთიმ. — ასეთი რა სჭირს ამ გოგოს?

— დედა ჰყავს სულიერად ავადმყოფი... — ბორძიკით დაიწყო ავთანდილმა.

— რას მეუბნებით? — სახეზე მოჩვენებითი შეშფოთება დაეტყო ქეთის, თუმცა ცნობისმოყვარეობით ანთებულმა თვალებმა მაინც გასცა. — არ მიკვირდა?..

— მაინც, რა გიკვირდა? — შეშფოთდა ავთანდილი და გულში ინანა კიდეც, გვანცას საიდუმლო ამ სულელ ქალს როგორ გავანდეო.

— რა და... არ შეგიმჩნევიათ, ხანდახან როგორი ბოროტი გამოხედვა აქვს?.. თითქოს, მთელი მსოფლიო სძულსო...

— არა. — ხმა გაიმკაცრა ავთანდილმა. — მე პირადად, გვანცასთვის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია, თუმცა, ასეც რომ იყოს, მერე რა?.. განა ჩვენ კი არასდროს არავისთვის შეგვიხედავს ასე?..

— ალბათ — კი, მაგრამ... — მაინც თავისას ამტკიცებდა ქეთი. — ნეტავ, მაგათ გვარს სიგიჟე შთამომავლობით ხომ არ მოსდგამს?

— არა, რას ამბობ?! — ახლა კი მართლა შეწუხდა ავთანდილი. — საწყალი ანა, გვანცას დედა, ცხრა აპრილის ღამეს მოიწამლა და ყველაფერი იქიდან დაიწყო... ქეთი, ხომ გესმის, რომ ეს ამბავი არავინ არ უნდა გაიგოს?! — კიდევ ერთხელ დაანამუსა კოლეგა.

— დიახ, დიახ, ბატონო ავთო. — მაშინვე დაეთანხმა ქეთი. — პირობას გაძლევთ, რომ ამ ამბავს ჩემგან ნამდვილად ვერავინ გაიგებს...

— მჯერა, ჩემი კარგო... — დამნაშავესავით გაეღიმა ავთანდილს. — და იმის იმედიც მაქვს, რომ ამის შემდეგ გვანცას უფრო ლმობიერად მოეპყრობი და, შეძლებისდაგვარად, გაუგებ კიდეც...

ზუსტად სამ საათზე ავთანდილ რეხვიაშვილმა ანთაძეების კარზე მორიდებით დააკაკუნა. კარი ლამარამ გაუღო და მაშინვე თაფლად დაიღვარა:

— მობრძანდი, ჩემო ავთო, — სტუმარს ის სასტუმრო ოთახში შეუძღვა. — არა გრცხვენია?.. ასე უნდა დაივიწყო ძველი მეგობრები?.. ახლავე ამირანს დავუძახებ... ხომ იცი, დღე და ღამე წიგნებში იქექება...

— ისევ დაიწყე შენებური? — თავს წამოადგათ უცბად ამირანი, რომელიც ავთანდილს გულმხურვალედ გადაეხვია. — როგორა ხარ, ჩემო ავთო?.. ხომ ხარ ლომივით?.. ასე უნდა, შე კაცო?.. დაგვიძველდა პურმარილი... მაგრამ არა უშავს... აგერ ახლავე გაგვიშლის სუფრას ლამარა და...

— არა, არა, ჩემო ამირან!.. — იუარა ავთანდილმა და სასწრაფოდ პორტფელი გახსნა. — ტელეფონშიც ხომ გითხარი, მხოლოდ რამდენიმე წუთით შემოვირბენ-მეთქი...

— თუ კაცი ხარ, ცოტა ხანს გადადე ეგ ჩანთა გვერდზე! — ხელში ეცა მას ამირანი და პორტფელი თითქმის ძალით ჩამოართვა. — საქმე მოიცდის... იცი, ლამარამ რა ხაჭაპურები გამოგვიცხო და რა ბაჟე მოგვიმზადა?.. თითებს ჩაიკვნეტ... „პადვალში“ კიდევ ჩემი ძმის დაწურული ღვინო მაქვს გადანახული... წვეთი წყალი არა აქვს გარეული... ახლავე ამოვარბენინებ... კარგად ჩავუსხდეთ და პატარა ჭიქებით ნელ-ნელა შევუყვეთ...

ავთანდილ რეხვიაშვილს უარი არ გაუვიდა, ამიტომ ცოტა ხანში მეგობრები უკვე სუფრას უსხდნენ და ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდნენ.

— მოდი, ახლა, ჩემო ავთო, ჩვენს მომავალს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს გაუმარჯოთ! — მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად ასწია ჭიქა ამირანმა და მეგობარს მიუჭახუნა.

— გაუმარჯოთ, ჩემო ამირან... სხვათა შორის, დღეს შენთან სწორედ შენი შვილიშვილის გამო მოვედი... — მომენტი იხელთა ავთანდილმა.

— რას მეუბნები? — ღვინით სავსე ჭიქა ხელში შეაცივდა ამირანს. — ძალიან ხომ არ გაგაბრაზა მაგ ყურუმსაღმა?.. რამე ისეთი ხომ არ ჩაიდინა, რომ...

— ისეთი არაფერი...

— ასეთი?..

— აცალე ადამიანს ლაპარაკი! — გააჩუმა იმწუთას ოთახში ცხელ-ცხელი ხაჭაპურებიანი თეფშით შემოსულმა ლამარამ და სასწრაფოდ მაგიდას მიუჯდა. — შენ შემოგევლე, ავთო, გვითხარი, რა მოხდა?.. არაფერი დაგვიმალო, გეხვეწები...

— ისეთი არაფერი, ჩემო ლამარა... უბრალოდ, გვანცას დღეს საკონტროლო ვაწერინე და...

— მერე? — გულზე ხელი იტაცა ლამარამ. — ვერ დაწერა?

— არ დაწერა.

— როგორ თუ არ დაწერა? — გაოცება ვერ დამალა ამირანმა. — გუშინ რომ მითხრა, ყველა თემა კარგად ვიციო?

— სასკოლო თემები, იცოცხლე, გადაღეჭილი აქვს, მაგრამ გვანცამ თავისუფალი თემა აირჩია და მოდი, თვითონ ნახე, საკონტროლო რვეულში რა ჩამიწერა... — ამ სიტყვების შემდეგ ავთანდილი ფეხზე წამოდგა, ტახტზე მიგდებული საკუთარი პორტფელიდან გვანცას საკონტროლოს რვეული ამოიღო და ამირანს გაუწოდა.

ლამარა რვეულს პირველი დაეძგერა, მაგრამ ამირანმა დაასწრო და ცოლს კარისკენ მსუბუქად უბიძგა:

— გადი და ჩემი ოთახიდან სათვალე გამომიტანე, წავიკითხო ერთი, ახლა რაღა მაკვარანცხობა მოიგონა მაგ მაიმუნმა გოგომ.

უკმაყოფილო ლამარა ოთახიდან ბუზღუნით გავარდა და წამში სათვალით შეიაღარებული დაბრუნდა. ამირანმა სათვალე მაშინვე ცხვირის წვერზე დაიკოსა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, თავისუფალია ის ადამიანი, ვისაც არაფერს აძალებენ და, მით უმეტეს, არ აიძულებენ; ვინც თავის არჩევანში დამოუკიდებელია, ანუ თავის უფალია... თავისუფლება არჩევანის თავისუფლებასაც გულისხმობს... ვიყენებ რა ამ უფლებას, ვირჩევ დუმილს და ამ რვეულში მეტს არაფერს ვწერ...“

ამირანი წუთით შეჩერდა, სათვალე მოიხსნა, შემდეგ ისევ გაიკეთა და სტრიქონებს თვალი ხელახლა გადაავლო.

— უყურე შენ?! — კმაყოფილებით ჩაეღიმა ულვაშებში, — მაინც რამ მოაფიქრებინა ამის დაწერა?

— შენი დასკვნები ახლა არავის აინტერესებს! — ეცა მას ლამარა. — წაიკითხე, მერე რაღას წერს?

— მეტს არაფერს, ჩემო ლამარა... სულ ეს არის... — სათვალე მოიხსნა ამირანმა და გვერდზე გადადო...

— მომეცი აქ! — მაშინვე რვეულს ეცა ლამარა, გადაშალა და სახტად დარჩა: — სულ გაგიჟდა ეს გოგო?.. ახლა რაღა ეშველება ამ საქმეს?.. ამ სისულელეში ნიშანს ვინ დაუწერს?

— ამაში — ნამდვილად არავინ, ჩემო ლამარა. — უპასუხა ავთანდილმა, — მაგრამ აქ იმიტომ მოვედი, რომ საქმეს ერთად ვუშველოთ და გვანცას რამე უფრო ჭკვიანური დავაწერინოთ...

— შენ რას გვირჩევდი, ჩემო ავთო? — ჰკითხა ამირანმა.

— მოდი ასე მოვიქცეთ: მე თქვენ ამ რვეულს დაგიტოვებთ. გვანცას კი უთხარით, რომ აიღოს ზუსტად ასეთი ახალი რვეული, ყველა წინა საკონტროლო გადაწეროს, მე მარტო ნიშნების გამოსაყვანი ადგილი დამიტოვოს. ბოლოს, დღევანდელი საკონტროლოც ჩააწიკწიკოს და ხვალ დილით, გაკვეთილების დაწყებამდე, სკოლაში მომიტანოს. დანარჩენს მე მივხედავ... აბა, ბავშვს ნიშნებს ხომ არ გავუფუჭებთ?..

— შენ შემოგევლე, ჩემო ავთო!.. შენ რომ არა, ხომ დავიღუპებოდით?.. — ავიშვიშდა ლამარა. — მოვიდეს ერთი, სულ გვერდები უნდა ავუჭრელო! არ მომსპო თავისი სისულელეებით?!.

— არა უშავს, ჩემო კარგო. — დაამშვიდა ლამარა ავთანდილმა. — ჯერ ძალიან პატარა და მაქსიმალისტია. ცოტა

გაიზრდება, ცხოვრებას უკეთ გაიცნობს და ეგეც დადინჯდება... არ გახსოვს?.. მაგის ტოლები რომ ვიყავით, ჩვენც როგორ გვიქროდა თავში?.. ახლა ისიც გაითვალისწინე, რა დროა, ... ჰოდა, მოეძალა ბავშვს ორიგინალობის სურვილი და რა ვუყოთ?..

— რა გითხრა, იცი, ჩემო ავთო?.. — გააწყვეტინა უცბად ამირანმა. — მე მგონი, ძალიან საინტერესო მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე...

— რა მოვლენასთან, კაცო, ხომ არ გადაირიე?!. — აკივლდა ლამარა. — აქაც არ დამიწყო ახლა მეცნიერული გამოკვლევები...

— გაჩუმდი, ქალო! — ხელით ანიშნა ამირანმა ცოლს.

— არა, ახლა შენ გაჩუმდი! იცოდე! მოვა თუ არა ის სულელი გოგო, დასვამ და ყველაფერს ისე დააწერინებ, როგორც ავთომ გვირჩია... თითქოს, ისე პრობლემები გვაკლდეს, რომ მაგან ახალ-ახალი არ დაგვიმატოს... უკვე ავთოც შევაღონეთ — ავთანდილისკენ იბრუნა პირი ლამარამ. — რას ვერჩით ამ პატიოსან კაცს? მის სკოლაში იმიტომ ხომ არ გადავაყვანინეთ, რომ იქაც რაღაც შარში გახვეულიყო?.. იცოდე, რომ მობრძანდება, ძალიან მკაცრად უნდა დაელაპარაკო!..

— კარგი ჰო! — ხელის აწევით გააჩუმა ამირანმა ცოლი. — ნუ დაიქოქე! მოვიდეს ჯერ ბავშვი და დაველაპარაკები, აბა, რას ვიზამ?.. ახლა კი ისევ სუფრას მივუსხდეთ, თორემ გაცივდა ყველაფერი...

— არა, არა!.. — იუარა ავთანდილმა, — უკვე ჩემი წასვლის დროა, მეტს ვეღარ დავრჩები...

— ოჰ-ოჰ! — კვლავ შეაჩერა ამირანმა მეგობარი. — ასე უცბად ვერ გაგიშვებ...

გაკვეთილების შემდეგ გვანცა და ლუკა გვანცას სახლისკენ გზას ფეხით გაუყვნენ.

— რაღაც მინდა, გკითხო... — კარგა ხნის დუმილის შემდეგ დაიწყო ლუკამ.

— მერე რაღას უცდი, მკითხე! — შეაგულიანა გვანცამ.

— საკონტროლოს რვეულიდან ფურცლები რატომ ამოხიე?

გვანცამ მის გვერდით მომავალ ლუკას დახვეწილ პროფილს გვერდულად გახედა და გაეღიმა:

— რა იყო?.. რვეული ხომ არ დაგენანა?..

— ჩვენს პირობებში რვეულიც დასანანია... მაგრამ მე მაინც, მისი შიგთავსი უფრო დამენანა... ასეთი რა დაწერე, ან მერე რამ წამოგიარა, რომ ყველაფერი ამოგლიჯე და გადაყარე?

— ვინ გითხრა, რომ გადავყარე? — გაეღიმა გვანცას. — ჩანთაში მაქვს. გინდა, წაგაკითხო?

— რომ გითხრა, არ მინდა-მეთქი, დამიჯერებ? — გაეღიმა ლუკასაც. მართლა, მერე რაღა ჩაწერე? ქართულის მასწავლებელს ხომ არ მისწერე ბარათი?

— დაახლოებით...

— წამაკითხებ?

— ბარათს — ვერა... თავისუფალ თემას — კი... წამო, სადმე ჩამოვსხდეთ და წაგაკითხებ... ოღონდ, იცოდე, მერე შენებური შეგონებები არ დამიწყო, კარგი?

— კარგი...

ამასობაში ახალგაზრდები უკვე პირველ საშუალო სკოლას მიუახლოვდნენ და ლუკამ მაშინვე სკოლის ეზოში მდგარი გრძელი სკამისკენ გაიწია.

— ოღონდ, აქ არა! — იუარა გვანცამ. — ეს ჩემი ყოფილი სკოლაა.

— იყოს, მერე... ჩემ გვერდით ყოფნის ხომ არ გერიდება?

— არა, რას ამბობ?.. უბრალოდ, აქედან სკანდალით წამოვედი და არ მინდა, ახლა ვინმე ნაცნობს გადავეყარო...

— რომელი სკანდალით?.. ჩემთვის რომ ამაზე არაფერი გითქვამს?

— შენ რა?.. მართლა ხომ არ დაიჯერე, რომ უკვე ყველა ჩემი საიდუმლო იცი? — ხმაში გაღიზიანება დაეტყო გვანცას.

— არა, რას ამბობ? — შეცბა ლუკა. — მე ეგ ნამდვილად არ მიგულისხმია... უბრალოდ, დედაშენის ამბავიც კი მომიყევი და სკოლიდან წამოსვლა რაღა ბედენაა?

— მე შენ დედაჩემის ავად გახდომის ამბავი კი არ მოგიყევი, მხოლოდ შედეგი გაგაცანი... ეს იყო და ეს! — კიდევ უფრო გაღიზიანდა გვანცა.

— კარგი, კარგი, არ გეკამათები... — გვანცას დაშოშმინება სცადა ლუკამ. — მოდი, მაშინ ალექსანდრეს ბაღში დავსხდეთ და იქ ვილაპარაკოთ... უფრო სწორად, იქ წავიკითხოთ შენი ნაწერი...

— რა არის, იცი? — გულზე ჩანთა ორივე ხელით ისე მიიხუტა გვანცამ, თითქოს, ვიღაცა წართმევას უპირებდა. — რატომღაც, ამის გაკეთების სურვილი გამიქრა... სხვა დროს იყოს, კარგი?..

— კარგი... — მაშინვე დაეთანხმა ლუკა.

— ახლა კი სახლში წავალ...

— როგორც გინდა, მაგრამ მე შენი წყენინება ნამდვილად არ მინდოდა...

— მერე ვინ გითხრა, რომ რამე მეწყინა?

— თქმა რად მინდა? ისედაც ყველაფერი სახეზე გაწერია.

— მართლა? — ამოიოხრა გვანცამ. — იცი, ასეთ დროს ბებიაჩემი რას მეუბნება ხოლმე?

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე? — მხრები აიჩეჩა ლუკამ.

— ყველაფერი სახეზე გაწერია, გადაშლილი წიგნივით ხარ, ამიტომ, ვისაც მოუნდება, ის წაგიკითხავსო...

— მართალი უთქვამს. — გაეღიმა ლუკას. — ჩემი რჩევა კიდევ ის იქნება, რომ...

— ჰა, ახლა!.. — გააწყვეტინა გვანცამ. — შენც ბებიაჩემივით ნუ გაუტიე!

— წამო, წამო, სახლამდე მიგაცილებ, თორემ შეიძლება, მართლა ვიჩხუბოთ. — მკლავში ხელი ნაზად წაავლო გვანცას ლუკამ.

— ნუ წუხდები, უშენოდაც არ დავიკარგები... — ხელი გააშვებინა გვანცამ, მაგრამ მერე უცბად სახე გაუნათდა და ისე განაგრძო: თუმცა, არა, გამაცილე! დანარჩენს კი გზაში მოვიფიქრებ...

— მაინც, რას მოიფიქრებ? — დაინტერესდა ლუკა.

— გამაცილე და გაიგებ.

როგორც კი გვანცას სახლს გაუსწორდნენ, ლუკამ დამშვიდობება დააპირა, მაგრამ გვანცა იმწამსვე ხელში ჩააფრინდა და სადარბაზოში თითქმის ძალით შეიყვანა.

— რას შვრები, — გადაუჩურჩულა გვანცას სადარბაზოში შესვლის შემდეგ ლუკამ. — ვერ დაინახე, მთელი შენი სამეზობლო აივნებზე სარეცხივით რომ იყო გამოფენილი?..

— ერთი მაგათიც! — შეუკურთხა საკუთარ მეზობლებს გვანცამ. — წამო, ჩვენთან ამოდი, ბაბუაჩემმა ხომ დაგპატიჟა?

— არა, რას ამბობ?! — მაშინვე უკან დაიხია ლუკამ. — დაპატიჟებით კი დამპატიჟა, მაგრამ მაინცდამაინც, დღევანდელ დღეზე კი არ შემთანხმებია...

— აბა, რომელზე შეგითანხმდა?

— კონკრეტულ დღეზე ნამდვილად არაფერი უთქვამს... უბრალოდ, როცა მოიცლიო...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი... ეტყვი, რომ დღეს მოიცალე.

— გაგიჟდი, გოგო?.. რეებს იგონებ? — თვალებით მიუალერსა ლუკამ გვანცას.

— გაგიჟება შენ ჩემი ბებრების უნდა ნახო, ერთად რომ დაგვინახავენ! — მხიარულად გადაიკისკისა გვანცამ და კიბეს აუყვა. — აბა, თუ ბიჭი ხარ, დამეწიე!

ლუკამ კიბეზე კისრისტეხით ამავალ გვანცას ერთი კი ახედა და მაშინვე უკან გამოეკიდა...

ის იყო, ამირანმა ავთანდილი სუფრასთან რის ვაი-ვაგლახით მიაბრუნა, რომ შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო და ვიღაც შემოვარდა.

— მობრძანდა ქალბატონი! — მაშინვე დინჯი შემოიყარა ლამარამ. — ახლავე ვაჩვენებ სეირს!

— ლამარა! — შეაჩერა ცოლი ამირანმა. — ახლა არც იფიქრო!..

ამასობაში, სასტუმრო ოთახის კარ-

ში აქოშინებული გვანცა გამოჩნდა, შემდეგ მას უკან ლუკაც მოჰყვა და ორივე ადგილზე გაშეშდა. გვანცამ მაგიდასთან მსხდომთ თვალი გაოცებით მოავლო და ბოლოს მასწავლებელზე მზერა ისე შეაჩერა, თითქოს ეკითხებოდა, – აქ როგორ მოხვდიო?..

– გვანცა, რას ჰგავს შენი საქციელი?! – დასჭექა უცბად ლამარამ და ქმარს თვალებით ისე დაუწყო ბურღვა, აქაოდა, შენც თქვი რამეო... ამირანმა კი ჯერ ულვაშებში ჩაიცინა, შემდეგ ლუკას თვალიც ჩაუკრა და დაიწყო:

– აი, გვანცას მეგობარიც გვესტუმრა... მობრძანდი, ყმაწვილო, დაბრძანდი... მიხარია, რომ პატივი დამდე... გვანცა, – გადახედა მან შემდეგ შვილიშვილს. – მაგ კარში რას გახიდულხარ?.. შემოუშვი სტუმარი, თორემ გაშრა ყელი და ეგაა, ხომ ასეა, ჩემო ავთო? – მიუბრუნდა ბოლოს ავთანდილს და ჭიქა მიუჭახუნა: წელან ვიღაც-ვიღაცებმა შეგვაწყვეტინეს და მოდი, ახლა მაინც დავაბოლოვოთ ეს სადღეგრძელო და ამ ლამაზი გოგობიჭის სახელით, ჩვენს მომავალ თაობას გაუმარჯოს!

– გაუმარჯოს! – დაუდასტურა ავთანდილმა და შემდეგ ლუკას და გვანცას გადახედა: გაგიმარჯოთ, ბავშვებო, აბა, თქვენ იცით!

ავთანდილმა ღვინო ოდნავ მოსვა, ჭიქა მაგიდაზე დადგა და წამოდგა:

– ახლა კი მართლა წავედი, ჩემო ამირან, თორემ რვეულების გასწორებას ვეღარ მოვასწრებ. – მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მან გვანცას.

– რა გაეწყობა... – ფეხზე წამოდგა ამირანიც. – რაკი არ იშლი, გაგაცილებ და მერე მე და ლუკა გავაგრძელებთ, აბა, ამ ვაზის ცრემლებს ხომ ვერ დავაძმარებ?..

ამირანმა და ლამარამ ავთანდილი კარამდე მიაცილეს, მათ გვანცაც მიჰყვა, თუმცა წამში ისევ უკან შებრუნდა და ლუკას ორად მოკეცილი რვეულის რამდენიმე ფურცელი ჯიბეში ჩაუტენა.

– რას აკეთებ?.. – შეცბა ლუკა – ეს რა ფურცლებია?

– ჩემი საკონტროლოა, ხვალამდე შემინახე...

– აბა, ახლა კი ჩვენ მოვილხინოთ! – თავზე წაადგა მათ ამირანი და წამსვე მეორე ბრძანებაც გასცა: კაცები სუფრასთან, ქალები კი – „კუხნაში“!.. სუფრას რამე შემოუმატეთ!

საბოლოოდ გაცოფებული ლამარა სამზარეულოში ბუზღუნ-ბუზღუნით გავიდა, გვანცა კი სუფრას არხეინად მიუჯდა და ლუკასაც ანიშნა, დაჯექიო.

– შენ რა?.. ვერ გაიგე, რა გითხარი?!. – მაგიდას მუშტი მსუბუქად დაჰკრა ქვეშ-ქვეშ მოღიმარმა ამირანმა და ისიც მაგიდას მიუჯდა.

– კარგი რა... – შეეპასუხა გვანცა. – მე რომ ახლა სამზარეულოში გავიდე, იქ თეფში აღარ დარჩება მთელი... აცალე ბებიაჩემს, აზრზე მოვიდეს და ხიდზე გავიდეს!

– ისევ დაიწყე შენებური ჩიქორთული? – თითი გაბრაზებით დაუქნია ამირანმა. – რამდენჯერ უნდა გითხრა, ქართულს ნუ ამახინჯებ-მეთქი?!.

– აბა, აბა, „კუხნა“, „ლუსტრა“ და „პადვალი“ ხომ უდახვეწილესი ქართული სიტყვებია, აი?!. – გამოაჯავრა გვანცამ ბაბუას, შემდეგ მხიარულად გადაიკისკისა და თან, ლუკას ისე გადახედა, თითქოს, ახლაღა შეამჩნიაო: ჰო, მართლა, ეს ლუკაა, ჩემი მეგობარი...

– რას მეუბნები?.. უშენოდ კი ვერ მივხვდი, ხომ იცი?..

– რა ვიცი, აბა? სულ იმას მეუბნები, გასაგებად ილაპარაკეო და... – ისევ გადაიკისკისა გვანცამ.

– ჩემო ლუკა, – ყური აღარ ათხოვა ამირანმა გვანცას, – აქედანვე დაიმახსოვრე: ქალს ლაქლაქი არ უნდა აუკრძალო, ყოველთვის მშვიდად უნდა მოუსმინო და ყველაფერი უკუღმა გააკეთო... თუ ასე არ მოიქცევი, მწარედ ინანებ, იცოდე...

– ვეცდები, თქვენი რჩევა გავითვალისწინო, ბატონო ამირან... – მიუგო ლუკამ.

– არ გინდა, არ დაგვიწყო ახლა ბატონ-ქალბატონობით ლაპარაკი. მე „ბაბუა“ დამიძახე, ჩემს ლამარას კი – „ბებია“. იცოდე, ძალიან გაუხარდება.

– არ გაგიჟდე! – ჩუმად გადაულაპარაკა გვანცამ ლუკას. – ბებიაჩემს თავი ისევ ოცი წლის ჰგონია და მარტო ბებიას დაძახებისთვის შეგიძულებს.

– რა თქვი ჩემზე?.. რა გაუხარდებაო? – კარში გამოჩნდა უცბად ლამარა და სუფრას ცხელ-ცხელი ხაჭაპურები შემოუმატა.

– ეგ ჩვენ ვიცით. – თვალი ჩაუკრა ამირანმა გვანცას და ლუკას. – რასაც შენზე ვიტყვით, ყველაფერი კი არ უნდა გაიგო!..

– მიდი, მიდი, შენც ამათ აჰყევი და რომ გამოგირიცხავენ გვანცას სკოლიდან, ზოგიც მერე იქილიკე! – გაწიწმატდა ლამარა.

– ქალო! – უმალვე გააჩუმა ამირანმა ცოლი. – ხომ შევთანხმდით...

– ნეტავ, ვიცოდე, ვიღას უმალავ? – მაინც არ დაუთმო ლამარამ. – შენ რა?.. გგონია, ლუკას კი არ ეცოდინება, შენმა შვილიშვილმა დღეს რა გმირობა ჩაიდინა?

– მართლა ყველაფერი იცი? – მიუბრუნდა ამირანი ლუკას.

– ყველაფერი მარტო მე ვიცი. – ლუკას მაგივრად უპასუხა გვანცამ. – მაგრამ სანამ თქვენც ყველაფერს „გაგიიასნებდეთ“, ჯერ ეს მითხარი, ავთო მასწ. ამ გაუგებრობაში როგორღა მოხვდა?

– „გაგაიასნებ“ მე შენ, თუ მოგკიდე ხელი! – გაკაპასდა ლამარა. – როგორ იქცევი? შე სასიკვდილევ, რეები დაგივჯღაბნია საკონტროლო რვეულში?! რატომ გადარიე ის ღვთისნიერი კაცი?!

– შენ პატ. მასწის გადარევა მაშინ გენახა, მანამდე რაც დავწერე, ის რომ წაეკითხა. – თავისას მაინც არ იშლიდა გვანცა. – კიდევ კარგი, რომ დროზე ამოვხიე...

– რა-ა? – საკონტროლოს რვეულიდან ფურცლები ამოხიე?! ახლა კი მართლა გადავირევი!.. ამირან, ამოიღე ხმა, კაცო! – უკივლა ქმარს ლამარამ.

– აბა, სიჩუმე იყოს „შტოლში“! – ჭიქას დანა ფრთხილად მიუკაკუნა ამირანმა და ვითომც აქ არაფერიო, ლუკას ისევ მშვიდად მიუბრუნდა: ამ ჭიქით, ჩვენ გაცნობას გაუმარჯოს, ჩემო ლუკა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სუპერ ლიზინ+ - გამოვუცხადოთ დაუმორჩილებლობა ვირუსებს ! ! !

ჰერპესი. ჰერპეს ზოსტერი. ჰერპეს სიმპლექსი

ჰერპესის ინფექციისაგან სრულიად განკურნება მსოფლიოს მედიკოსთა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. როდესაც ჰერპესი კლინიკურად ვლინდება მას თან ახლავს ზოგადი სისუსტე, მადის დაქვეითება, გამონაყარი, ტემპერატურის მატება, ტანში ტეხვის შეგრძნება, აღგზნებადობა და უძილობა.

ჰერპესის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო მცენარეულ პრეპარატს "სუპერ ლიზინი+", რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხოლო ძლიერი იმუნური სისტემა დაგიცავთ ამ ვირუსისაგან.

სუპერ ლიზინი+ წარმოდგენილია აბების, კრემისა და ტუჩის საცხის სახით, რაც აადვილებს როგორც ვირუსის აქტივობის დაქვეითებას სისხლში, ასევე ადგილობრივ მკურნალობას.

სუპერ ლიზინი+ გაგიძლიერებთ იმუნურ სისტემას, დაგიცავთ ვირუსებისა და შემაწუხებელი ჰერპესისაგან.

გრეიპფრუტი

როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

„გრეიპფრუტის დიეტა" კაპსულებში გაგანთავისუფლებთ ჭარბი ცხიმებისაგან,. იგი ასევე დაიცავს უჯრედებს ახალი ცხიმებით გაჯერებისაგან და გადატვირთავს მათ კუნთებში, სადაც ხდება ცხიმების სრული წვა. ამგვარად, სხეული სრულიად თავისუფლდება დეპოზიტური ცხიმებისაგან.

ყურადღება!!!

„გრეიპფრუტის დიეტის" კაპსულები არ არის წამალი. იგი აბსოლუტურად უვნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.მისი ნატურალური ინგრედიენტები გიწყვეტავთ ჭარბი წონის პრობლემას არა ქიმიურად არამედ ბიოლოგიურად. ამგვარად, მას არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. ვინაიდან ეს კაპსულები ფაქიზად ახდენენ ორგანიზმში ტოქსინებისა და ჭარბი ცხიმების ლიკვიდირებას, თქვენ ყოველდღიურად იგრძნობთ თავს უკეთესად, ენერგიულად და მსუბუქად.

მეტიც!

გაითვალისწინეთ, რომ „გრეიპფრუტის დიეტის" კაფსულები გამოიყენება ასევე ზოგადად ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. ეს არის ნატურალური ბოჭკოებისგან დამზადებული ნუტრიცეპტიკი, რომელიც აწესრიგებს ქოლესტერინის შემცველობას ორგანიზმში, აუმჯობესებს მამაკაცებში პროსტატის ჯანმრთელობას, გაწვდით ვიტამინებს, მინერალებს და ამინო მჟავებს.

ვაშლის ძმარი კი არეგულირებს მონელებისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესს. ხოლო ორივე ერთად ხელს უწყობს მადის დაქვეითებას.

გამოკვლევების შედეგები, ჩატარებული 200 კაცის მონაწილეობით, რომლებიც პასუხობდნენ ქვემოდ მოყვანილ ორ პირობას მაინც:

- ისინი ვერ ახერხებდნენ გახდომას და წონის შენარჩუნებას
- ისინი ვერ ახერხებდნენ დიეტის დაცვას
- ისინი ვერ ახერხებდნენ ზედმეტი სანტიმეტრების მოცილებას წელიდან და მუცლიდან.

გამოკვლევებმა აჩვენეს:

„გრეიპფრუტის დიეტის" კურსის შეწყვეტა არ იწვევს წონის ახალ ზრდას. თუ შენარჩუნებული იქნა კვების რეჟიმი, წონა სტაბილური რჩება.

ზედმეტი კილოგრამები წარსულს ჩაბარდება.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

მის: დ.ალმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

R

ტონი ბლერი — დიდი ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი

ენტონი ჩარლზ ლინტონ ბლერი დიდი ბრიტანეთის ისტორიის უკანასკნელი 200 წლის მანძილზე ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი და II მსოფლიო ომის შემდგომ დაბადებული პირველი პრემიერი გახლავთ. ის ახალგაზრდაა და ეს ბევრ რამეზე მეტყველებს, მით უმეტეს დიდ ბრიტანეთში — მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე კონსერვატიულ ქვეყანაში. ამასთანავე, XXI საუკუნეში ფეხშედგმულ მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერებს შორის, ის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ ფიგურად მიიჩნევა.

„როკ-ენ-როლის თაობის ნაწილი"

ტონი ბლერი 1953 წლის 6 მაისს, შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში, იურისტის ოჯახში დაიბადა. ბავშვობის სამი წელი მან ავსტრალიაში გაატარა. დაამთავრა ორი კოლეჯი – ედინბურგსა და ოქსფორდში (ოქსფორდის წმ. იოანეს კოლეჯი). სტუდენტობისას წარმატებით უკრავდა გიტარაზე და ჯგუფის – Ugly Rumours-ის ვოკალისტი და გიტარისტი გახლდათ. ჯერ კიდევ სწავლისას ის ლეიბორისტული პარტიის წევრი გახდა. კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ტონი პარიზში გაემგზავრა, სადაც „ცხოვრების შეცნობის" მიზნით მთელი წელი ბარმენად მუშაობდა.

1975 წელს, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ოქსფორდში სამართლის დარგში ლექციებს კითხულობდა. მოგვიანებით, მუშაობა დაიწყო დერი ირვინის (ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ჯონ სმიტის მეგობრის) საადვოკატო კანტორაში. სხვათა შორის, იმაში, რომ ბლერმა პოლიტიკურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი, ლომის წილი უდევს დერი ირვინს. თუმცაღა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კარიერის შექმნის გადაწყვეტილება მან მხოლოდ 1983 წელს მიიღო. მაშინ ბლერმა პარლამენტში ახალშექმნილი ადგილი დაიკავა: ის წარმოადგენდა სიჯიფილდის ოლქს (ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე მეშახტეთა რეგიონი). მომავალი პრემიერი პარტიულ საქმიანობაში აქტიურად ჩაერთო, ჟურნალისტობასაც მიჰყო ხელი და 1987-88 წწ „ტაიმსში" საკუთარ სვეტსაც უძღვებოდა. მისი კარიერა წარმატებით ვთარდებოდა და 1992 წელს, ბლერი პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრიც გახდა.

აქტიური და ამბიციური პოლიტიკოსის პარტიულ იერარქიულ საფეხურზე აღმასვლა საკმაოდ სწრაფად ხდებოდა: 1994 წლის 21 ივლისს, 11-წლიანი პარტიული მოღვაწეობის შემდეგ, ტონი ბლერი ლეიბორისტული პარტიის არსებობის ისტორიის მანძილზე ყველაზე ახალგაზრდა ლიდერი გახდა. იმხანად ის 41 წლის იყო.

ახალგაზრდა ლიდერმა პარტიის მოდერნიზება მოახდინა. მან ლეიბორისტები მემარცხენე ოპოზიციონერებიდან ცენტრისტებად აქცია; ქვეყანაში პროფკავშირების რიცხვი და პარტიაში მათი წარმომადგენლების ძალაუფლება შეზღუდა; პარტიას ახალი მიზნები დაუსახა. რეფორმირებულ პარტიას „ახალი ლეიბორისტების" სახელით იხსენიებდნენ.

იმხანად უკვე 18 წელი იყო, რაც ლეიბორისტები ოპოზიციაში იმყოფებოდნენ. ბლერი პარტიას იდეალურ პოლიტიკურ ლიდერად მოევლინა და მისმა სწორად გატარებულმა პოლიტიკურმა კურსმა 1997 წლის საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტთა გამარჯვება განაპირობა. ახალმა პარლამენტმა ტონი ბლერი ხმათა უმრავლესობით აირჩია პრემიერ-მინისტრად. ბრიტანეთის სოციალ-დემოკრატებს მსგავსი გამარჯვება მთელი ასწლეულის მანძილზე არ ჰქონდათ მოპოვებული. პოპულარობით ბლერმა „რკინის ლედის" – მარგარეტ ტეტჩერსაც კი გადააჭარბა. პარლამენტართა 71%-მა ხმა მისცა ბლერს – მას ხომ შეუბღალავი რეპუტაცია ჰქონდა და გარდა ამისა, არნახულ ცვლილებებს სთავაზობდა მათ.

„მე როკ-ენ-როლის თაობის ნაწილი ვარ, – ამბობს ის. – „ბიტლები", ფერადი ტელევიზორი, აი, თაობა, რომელსაც მე ვეკუთვნი". აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალ-დემოკრატი ბლერი ჭეშმარიტი პროლეტარული წარმომავლობით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს (თუმცა, ერთი ბაბუა დოკერი ჰყავდა). აი, მამა კი, უკვე წარმატებული ადვოკატი გახლდათ. თავად ბლერი აცხადებს, რომ ის „საშუალო

მთავარ მოკავშირესთან ერთად

პროვინციული კლასის“ წარმომადგენელია.

დიპლომატიური ხაფანგებისგან თავის დაღწევის დიდოსტატი

უბრალო ბრიტანელებისა და თვით ექსპერტებისთვისაც მოულოდნელად, მან პრემიერად თავისი მოღვაწეობის საწყის ეტაპზევე საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. მისი ერთ-ერთი წარმატებული დიპლომატიური მანევრი გახლდათ ტურნე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის ისტორიული ვიზიტის შემდეგ შედგა. ჟურნალი Economist წერდა, რომ ბატონმა ბლერმა საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე თავის დაფნის გვირგვინს კიდევ არაერთი წნული შესძინა. თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ამ დაფნის გვირგვინის წნულებში მხოლოდ ის მოიაზრებოდა, რომ მან ახლო აღმოსავლეთში ვიზიტისას მისთვის დაგებული დიპლომატიური ხაფანგებისთვის თავის დაღწევა ოსტატურად შეძლო და ამ რეგიონისადმი დიდი ბრიტანეთისათვის ჩვეული ლოდინის პოზიცია დაიკავა.

სამაგიეროდ, ბლერის ვიზიტი ჩრდილოეთ ირლანდიაში სრულიად სხვაგვარად შეფასდა. ინგლისური პრესა ამ ვიზიტს პრემიერ-მინისტრის დიდ პოლიტიკურ გამარჯვებად ნათლავდა. ჟურნალისტთა აზრით, ლოსტერში პრობლემის მშვიდობიანად დასარეგულირებლად გადადგმული მართლაც რომ ქმედითუნარიანი ნაბიჯების წყალობით, პრემიერს მიეცა შანსი, ისეთ საქვეყნოდ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა გვერდით დამდგარიყო, როგორებიც არიან: ჯონ კენედი და დედა ტერეზა.

ბლერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მის მიერ გატარებული საერთაშორისო-პოლიტიკური კურსი ევროპაში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური გავლენის გაზრდას ემსახურებოდა. იმხანად, საყოველთაოდ გავრცელებული აზრი გახლდათ, რომ ევროპის ინტეგრაციის პროცესში გაერთიანებული სამეფო მუხრუჭის როლს ასრულებდა. ბლერი შეეცადა, გაექარწყლებინა ეს მოსაზრება და გაერთიანებული ევროპის ეკონომიკური საკითხების გადაჭრის პროცესში ენერგიულად ჩაერთო. მისი თქმით, ბრიტანეთს ამ პროცესებში ლიდერის პოზიცია უნდა დაეკავებინა. თუმცა, ამის განხორციელება არცთუ ისე იოლი გახლდათ — გერმანიამ და საფრანგეთმა (ეს სახელმწიფოები ევროპის სუბკონტინენტის ქვეყნების ინტეგრაციის პროცესის ძირითადი ინიციატორები იყვნენ) ეს არჩევანი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში გააკეთეს. ამ პროცესებში საკმაოდ გვიან ჩართვის მიუხედავად, ბრიტანეთის პრემიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ლიდერის პოზიციაზე საკუთარი ქვეყნის გაყვანა მაინც მოახერხა.

კონსერვატიული ქვეყნის ახალი სტილის პოლიტიკოსი

ამ რამდენიმე წლის წინ, იაპონიაში, „დიდი რვიანის“ სამიტზე ჩატარებული არაფორმალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი „ყველაზე ელეგანტურ სახელმწიფო მეთაურად“ აღიარეს. 600-მა ჟურნალისტმა და სამიტის მონაწილე 8 სახელმწიფოს ლიდერმა, გამარჯვებული ელექტრონული კენჭისყრით ერთობლივად გამოავლინეს. ბლერი იმ დღეს მართლაც შესანიშნავად გამოიყურებოდა: მას ცისფერ პერანგზე მუქი ლურჯი კოსტიუმი ემოსა და ლურჯი ჰალსტუხი ამშვენებდა. ელექტრონული კენჭისყრის მონაწილენი განსაკუთრებით მოუხიბლავს პიჯაკის ტარების ბლერისეულ მანერას: ის თურმე დროდადრო იხსნიდა პიჯაკს და როცა განსაკუთრებით დასცხებოდა, იხდიდა და მხარზე იკიდებდა.

ბლერის წინააღმდეგ ხმა მხოლოდ იტალიის იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ჯულიანო ამატომ მისცა. „დარწმუნებული არა ვარ, რომ თქვენ ჩვენ შორის ყველაზე ელეგანტური ხართ, მე კენჭისყრის შედეგების გადახედვას მოვითხოვ!“ — უხუმრია პრესკონფერენციაზე ამატოს. სხვათა შორის, ამატომ საკუთარი ხმა საფრანგეთის პრეზიდენტს, ჟაკ შირაკს მისცა, რომელსაც თავისუფალი სტილის ნაცრისფერი კოსტიუმი ემოსა და ღია ფერის პერანგს მოზრდილმარყუჟიანი ჰალსტუხი უმშვენებდა. „ყველაზე ენამოსწრებული სახელმწიფო მეთაურის“ კატეგორიაში კი, ბლერმა პირველობა აშშ-ის იმჟამინდელ პრეზიდენტს, ბილ კლინტონს დაუთმო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტონი ბლერი გახლდათ დიდი ბრიტანეთის პირველი პრემიერი, რომელსაც შვილი უშუალოდ პრემიერობის პერიოდში შეეძინა. ამან კი, ბლერის რეიტინგს არაერთი ქულა შესძინა არა მარტო მის სამშობლოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

ბლერი ყოველთვის ბევრს ლაპარაკობს, შესანიშნავი ორატორია და საკუთარი აზრისა თუ პოზიციის მსმენელამდე მიტანის ხელოვნებითაა დაჯილდოებული. ყოველთვის ცდილობს, რომ იყოს უშუალო და ხალხის პრობლემები გულთან ახლოს მიიტანოს. ეს კი, ყოველ მის გამოსვლაში,

ოჯახის გარემოცვაში

ქმედებასა თუ ჟესტში გამოსჭვივის. მაგალითად, ოჯახთან ერთად ის შვებულებას ყოველთვის ცივილიზაციისგან შორს, საფრანგეთის ერთ-ერთ ფერმაში ატარებს.

ტონი ბლერი: „სწავლა, სწავლა და სწავლა!"

პრემიერის მიერ საკუთარი მოღვაწეობის სამი პრიორიტეტული მიმართულების დასახასიათებლად წარმოთქმული ერთი ფრაზა: Education, education and education – დიდ ბრიტანეთში მართლაც რომ ფრთიან გამოთქმად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ლეიბორისტებისთვის უცხოა მარქსიზმის საფუძვლები და ვერც ტონი ბლერს ვუწოდებთ ლენინელს, საყოველთაო განათლების დონის ამაღლებას ისინი მთელი გულმოდგინებითა და ბოლშევიკური შემართებითაც კი ცდილობენ.

ახალი ათასწლეული

პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მოღვაწეობის მანძილზე, ბლერი ლიბერალურ და კონსერვატიულ შეხედულებებს ერთდროულად იზიარებდა. ლიბერალურს – განათლების, მოქალაქეთა კეთილდღეობის და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საკითხებში, ხოლო კონსერვატიულს – კანონმდებლობისა და ოჯახური ღირებულებების სფეროში.

2001 წლის 7 ივნისს, დიდ ბრიტანეთში მორიგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. მასში ტონი ბლერის ხელმძღვანელობით ლეიბორისტულმა პარტიამ კვლავ გაიმარჯვა. სხვათა შორის, პოლიტიკურ მიმომხილველთა უმრავლესობა, სწორედ მათ უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას. ამ არჩევნებში ბლერსა და მის პარტიას სხვა სერიოზული მოწინააღმდეგენი მართლაც არ ჰყავდა. პატარა პარტიებმა მრავალგვარი წინასაარჩევნო პლატფორმა წარმოადგინეს, მაგრამ ბრიტანულ პოლიტიკურ ასპარეზზე ისინი მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდნენ და მხოლოდ საკუთარი თავის დემონსტრირებას ახდენდნენ. ბოლოს და ბოლოს, ბრიტანელები „როკ-ენ-როლის პარტიას" ან „დამოუკიდებელ კანდიდატს" – მოდელ იორდანს ხომ არ აირჩევდნენ, რომელიც საკუთარი გამარჯვების შემთხვევაში, მკერდის გაზრდის ნებისმიერ მსურველს უფასო ოპერაციას ჰპირდებოდა.

ტონი ბლერი 1980 წელს დაქორწინდა. მისი მეუღლე ჩერი ბლერი (მისი ქალიშვილობის გვარია ჩერი ბუტი) იურისტია, ის ცნობილი ბრიტანელი მსახიობის, ტონი ბუტის ქალიშვილია. მათ ერთმანეთი 1970-იან წლებში პარიზში გაიცნეს. ცოლ-ქმარს ოთხი შვილი ჰყავს – სამი ვაჟი (იუენი, ნიკი და ლეო) და ქალიშვილი კეტრინი. უმცროსი ვაჟიშვილი – ლეო 2000 წლის 20 მაისსაა დაბადებული. ■

ჯეონეთი
სატელეკომუნიკაციო კომპანია

ინტერნეტ სერვისი
მომსახურება ინტერნეტ ბარათებიო - 10/20 ლარი
ინტერნეტი პაროლის და დეპოზიტის გარეშე - 8 00 50 50
მაღალი სიჩქარის ინტერნეტი ADSL ტექნოლოგიით
გამოყოფილი ხაზები (Leased Lines)

საერთაშორისო სატელეფონო კავშირი
მომსახურება სატელეფონო ბარათებით - 10/20 ლარი

უნივერსალური ბარათები - GEOCARD
ინტერნეტი + ტელეფონი - 5/10/20 ლარი

სისტემური ინტეგრაცია

ვებ ჰოსტინგი

GEONET
www.geonet.ge
ლესია უკრაინკას ქ. 3
☎ 47 00 00

ბრიტანი მერფი ჰოპულარობაზე მეოცნებე, ამბიციური მსახიობი

ჰოლივუდის ცნობილ ლამაზმანებს შორის ახალი სახელი გამოჩნდა. ამიერიდან, გვინეტ პელტროუს, რენე ზელვეგერსა და კამერონ დიასს მისთვის ანგარიშის გაწევა მოუწევთ, რამეთუ პრესისა და პროდიუსერების ყურადღება 25 წლის მის მერფისკენაა მიმართული. უკვე ყველა აღიარებს იმას, რომ ჰოლივუდელ ვარსკვლავებს ბრიტანი ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს. როგორც ამბობენ, ის საოცრად შრომისმოყვარე და ამბიციურია. მან აღიარა, რომ ოცნებობს იყოს ისეთივე პოპულარული, როგორიც მადონაა.

ბრიტანი მერფის ბიოგრაფიის გაცნობისას, ვერსად წააწყდებით ჰოლივუდის ვარსკვლავთა ცხოვრებისათვის სტანდარტულად ქცეულ ფრაზას – „მეორე დღეს მან უკვე პოპულარულმა გამოიღვიძა“. მერფი ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა ოლიმპისაკენ. კარგა ხნის მანძილზე ჰოლივუდში მას მხოლოდ ლამაზი ცხვირ-პირის მქონე გოგონად აღიქვამდნენ, ისეთად, როგორებიც ლოსანჯელესში მრავლად არიან. კინოკარიერის საწყის ეტაპზე მას უმეტესად რთული ხასიათისა და გაურკვეველი მომავლის მქონე გოგონების მეორეხარისხოვანი როლების თამაში უწევდა. მის ყოველ ახალ ნამუშევარს კრიტიკოსები მოკრძალებული ქებით ხვდებოდნენ, თუმცაღა მას არასოდეს აღიქვამდნენ სერიოზულ მსახიობად. აქტიორის შემოქმედებისადმი პრესის აგდებული დამოკიდებულება იმდენად აშკარა გახდათ, რომ რაღაც მომენტში ბრიტანის არასრულფასოვნების კომპლექსიც კი გაუჩნდა.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ბრიტანის პარტნიორებში ყოველთვის უმართლებდა. მას პარტნიორობა გაუწიეს ჰოლივუდის ისეთმა ცნობილმა ვარსკვლავებმა, როგორებიც არიან: დრიუ ბერიმორი („ძლიერი ქალი“), ალისია სილვერსტოუნი („ცნების გარეშე“), მაიკლ დუგლასი („სიტყვასაც ნუ დაძრავ“), უაინონა რაიდერი („შეწყვეტილი ცხოვრება“), ემინემი („მერვე მილი“), მაგრამ მსოფლიო რანგის ვარსკვლავების ფონზე ბრიტანი რაღაცნაირად უღიმღამოდ გამოიყურებოდა. პრესის ფურცლებზე აღნიშნავდნენ, რომ ის ნიჭიერი და იმედისმომცემი მსახიობი იყო. თუმცაღა, ამბიციური ბრიტანისათვის ეს სიტყვები ბევრს არაფერს ნიშნავდა.

და აი, ბოლოს და ბოლოს, ეკრანებზე გამოვიდა კომედია – „ახალდაქორწინებულები“, სადაც მერფიმ თავისი პირველი მთავარი როლი შეასრულა. კრიტიკოსები სურათს საკმაოდ ცივად შეხვდნენ. მათი პროგნოზით, ფილმს ჩავარდნა ელოდა. მაგრამ მოხდა სასწაული – „ახალდაქორწინებულებს“ მაყურებლის არნახული წარმატება ხვდა წილად, თავად ბრიტანი კი ამომავალ ვარსკვლავად აღიარეს. პრესა ჩიხში აღმოჩნდა (ბრიტანის აზრით კი, კრიტიკოსებს საკადრისი მიეზღოთ).

კინოასპარეზზე წარმატებას, პირად ცხოვრებაში ლამაზი რომანი მოჰყვა — „ახალდაქორწინებულების“ პარტნიორებს — ბრიტანი მერფისა და ეშტონ კეტჩერს ერთმანეთი შეუყვარდათ. მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ჟურნალები ამომავალი ვარსკვლავის შესახებ წერდნენ — მსახიობი მაღალი საზოგადოების ქრონიკების ერთ-ერთ ყველაზე სასურველ სტუმრად იქცა. ბოლოს და ბოლოს, ბრიტანის მეორეხარისხოვანი მსახიობის იმიჯთან დამშვიდობებისა და მსხვილბიუჯეტიან პროექტებში მონაწილეობის შანსი მიეცა. „უკვე 25 წლის ვარ და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვა, — გულახდილად აღიარებს მერფი. — აღარ მინდა, ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტების თამაში, აღარც მეორეხარისხოვანი როლები მხიბლავს; ისეთი ბედნიერი პერსონაჟების თამაში მსურს, როგორიც „ახალდაქორწინებულებში“ შევასრულე“.

ბრიტანი სცენაზე პირველად 9 წლის ასაკში გამოვიდა. გოგონას ხშირად იღებდნენ სარეკლამო რგოლებში. მოგვიანებით, მან ტელესერიალში ნაკლებშესამჩნევი როლი შეასრულა. ამას კი მოჰყვა საკმაოდ მძიმე და ხანგრძლივი აღმასვლა ოლიმპისაკენ — თავდაპირველად, მსახიობს მხოლოდ დამოუკიდებელი სტუდიების მცირებიუჯეტიან ფილმებში იღებდნენ, შემდეგ კინოკომპანიებმა — „XX საუკუნე, ფოქსმა“ და „მეტრო გოლდენ მაიერმაც“ მიიწვიეს.

ამ ზაფხულს, ეკრანებზე გამოვიდა ფილმი — „გოგონები“, სადაც ბრიტანიმ კვლავ მთავარი როლი შეასრულა. სურათის გამოსვლამდე კრიტიკოსები წერდნენ, რომ პრემიერის შემდეგ მსახიობი კიდევ უფრო განიმტკიცებდა ჰოლივუდის ვარსკვლავის პოზიციას. ამჯერად მათი ვარაუდი გამართლდა — მაყურებელმა თბილად მიიღო ფილმი და ბრიტანის მიერ სურათში შექმნილი სახითაც აღფრთოვანებული დარჩა.

აქვე გთავაზობთ ერთ-ერთ ცნობილ ჟურნალში გამოქვეყნებული ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.

— „გოგონებში“ შენ ძიძის როლს ასრულებ. ოდესმე გიმუშავია ძიძად?

— დიახ. 12 წლის ვიყავი, როცა მთელი ზაფხული ძიძად ვიმუშავე. დედაჩემს ძალზე ლამაზი ცისფერი თვალები აქვს. მეც მინდოდა, რომ სწორედ ასეთი ფერის თვალები მქონოდა. ჩვენს მეზობლად მცხოვრებ 3 ბავშვს ვუვლიდი — საათში 2,75 დოლარს მიხდიდნენ. 250 დოლარი მოვაგროვე და ცისფერი ლინზები შევიძინე. სულ სამიოდეჯერ მეკეთა — ლინზები ჩემთვის საკმაოდ დიდი იყო და სულ მივარდებოდა.

— „მერვე მილში“, ემინემთან ერთად, საკმაოდ თამამ სასიყვარულო სცენაში მოგიწია თამაში. რა გრძნობა გქონდა ამ სცენის გადაღებისას?

— მარშალი, უფრო სწორად ემინემი ყველაზე ტაქტიანი და საოცრად პროფესიონალური პარტნიორი აღმოჩნდა მათ შორის, ვისთანაც კი ოდესმე მსგავს სცენაში მითამაშია. ეს სცენა გადაღებების დაწყებისთანავე გადავიღეთ, ე.ი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ერთმანეთს წესიერად არც კი ვიცნობდით. მე ძალიან ვღელავდი, ემინემი კი მაწყნარებდა და ნებისმიერი ხერხით ჩემს გამხნევებას ცდილობდა.

— რას გვეტყვი ეშტონ კეტჩერზე, რომელიც შენი პარტნიორია არა მარტო ფილმში, არამედ ცხოვრებაშიც?

— ეშტონი უბრალოდ ტალანტი კი არა, აღორძინების ეპოქის ადამიანია, იმიტომ, რომ მას ნებისმიერ სფეროში მოღვაწეობა ხელეწიფება.

— საინტერესოა, „ახალდაქორწინებულების“ გადაღებამდე თუ იცნობდი მას?

— საქმეც სწორედ ისაა, რომ არა. მისი არც ერთი სერიალი არ მქონდა ნანახი, მათ შორის ძალზე გახმაურებულებიც კი, როცა როლზე დამამტკიცეს, კასეტების გამქირავებელი პუნქტიდან მხოლოდ მაშინ გამოვიტანე ფილმი — „ძმაო, სად არის ჩემი მანქანა?“, სადაც ეშტონი მთავარ როლს ასრულებდა. იმ მომენტისათვის, ალბათ ჩემ გარდა მთელი მსოფლიო იცნობდა ეშტონ კეტჩერს. შემდეგ, სერიალშიც ვნახე მისი თამაში, სადაც ჩემს მეგობარ დრიუ ბერიმორთან ერთად მონაწილეობდა. სწორედ მაშინ გავიფიქრე, რომ ის მშვენიერი ყმაწვილი გახლდათ.

— როდის შეგიყვარდათ ეშტონი?

— „ახალდაქორწინებულების“ გადაღების დასრულებიდან ათი თვის შემდეგ. გადაღებების დროს, მის მიმართ არავითარი გრძნობა არ გამჩენია. უბრალოდ ვმუშაობდით და მეტი არაფერი. იმხანად მას სერიოზული რომანი ჰქონდა, მე კი, არავისთან ვაპირებდი შეხვედრას, რადგან შეყვარებულთან განშორების შემდეგ, საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ვიყავი გონს მოსული. თავდაპირველად, ჩვენ დავმეგობრდით: ეშტონმა ჩემი პესიმისტური განწყობის გაქარვება მოახერხა და მამაკაცების ნდობაც დამიბრუნა.

— ნებისმიერი ქალივით ალბათ შენც ოცნებობ ლამაზ ქორწილზე. თანაც, ამ საქმეში ექსპერტადაც გამოდგები — „ახალდაქორწინებულებში“ ხომ ცერემონიის ნებისმიერი წვრილმანი საკუთარ თავზე გამოსცადე. შენი აზრით, როგორი უნდა იყოს იდეალური ქორწილი?

— „ახალდაქორწინებულებში“ გამართული ქორწილი, სამუდამოდ დარჩება ჩემს პირველ ქორწილად, ეშტონი კი — ჩემს პირველ ქმრად. მართალია, ნეფე-დედოფლის როლს ჩვენ მხოლოდ ვთამაშობდით, მაგრამ იმ დღეს კეტჩერი ცდილობდა, „ქორწილამდე“ არ ვნახე, თითქოს მე ნამდვილი პატარძალი ვიყავი. „ჯვრისწერისას“ კი, იმდენად გვსიამოვნებდა გვერდიგვერდ დგომა, რომ ბედნიერებისაგან ვდნებოდით. გამოგიტყდებით, საგრიმიოროში ნამდვილი ისტერიკა დამეწყო, რადგან მინდოდა, რომ დედაჩემი იმ წუთებში ჩემ გვერდით ყოფილიყო. არასოდეს იცი წინასწარ, როგორ აგეწყობა ცხოვრება — ხომ შეიძლება, ეს ერთადერთი ქორწილი აღმოჩნდეს ჩემს ცხოვრებაში?!

— ამჟამად ყურადღების ცენტრში ხარ მოქცეული, შენ შესახებ ბევრს ჭორაობენ. იქნებ გვითხრა, პრესაში გამოქვეყნებული სტატიებიდან ყველაზე მეტად რომელმა დაგწყვიტა გული?

— შარშან, ერთ-ერთმა გაზეთმა დაწერა, რომ სასიყვარულო თავგადასავლებისას წინდაუხედაობით გამოვირჩევი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ ჭორის მონელება ძალზე გამიჭირდა.

— თუნდაც დაჟინებული მოითხოვნის შემთხვევაშიც, საკუთარ გარეგნობაში რის შეცვლაზე არ დათანხმდებოდი რეჟისორს?

— საკუთარ სხეულზე რადიკალური ექსპერიმენტების ჩატარების სასტიკად წინააღმდეგი ვარ — არავითარი ოპერაცია მკერდის გასადიდებლად ან მსგავსი სისულელეები. აი, როლისთვის წონაში მომატებაზე კი თანახმა ვარ. ჯენის ჯოპლინის როლის შესრულების ძალზე დიდი სურვილი მაქვს, მისი გულისთვის სიამოვნებითაც კი მოვიმატებდი წონაში.

— ხომ არ გაქვს იმის სურვილი, რომ თაყვანისმცემლებსა და ჟურნალისტებს რამეში გამოუტყდე?

— დიდი ხნის წინ ჩემთვის რომ ეკითხათ: „გოგონა, ვინ გინდა, რომ გამოხვიდე?“ — ვუპასუხებდი: „მსურს, რომ მადონა გავხდე!“ ძალიან მრცხვენია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ყოველთვის პოპულარობაზე ვოცნებობდი.

ეკოლოგია უპირველეს ყოვლისა!

აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში მოქმედი ავტორიტეტული ეკოლოგიური ორგანიზაციის – World Resources Institute-ის (WRI) ვარაუდით, უახლოეს მომავალში, ავტომობილების ტოქსიკურობის საერთაშორისო სტანდარტების გამკაცრებაა მოსალოდნელი. მაგალითად, ევროპელმა ავტომწარმოებლებმა იკისრეს ვალდებულება, 2008 წლამდე, 1995 წლის მაჩვენებელთან შედარებით 25%-ით შეამცირონ ატმოსფეროში ამოფრქვეული ე.წ. სასათბურე აირების ოდენობა. იაპონია 2010 წლამდე, ანალოგიური მაჩვენებლის 23%-ამდე აყვანას აპირებს. რაც შეეხება აშშ-ს – იქ ეკოლოგიურ საკითხებზე ცალკეული შტატები ზრუნავენ, მათ შორის გამოირჩევა კალიფორნია, ხოლო ერთიანი ფედერალური პროგრამა შემუშავებული არაა. WRI-ის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ყველაზე უკეთ აღნიშნული სტანდარტების მისაღწევად იაპონელი ავტომწარმოებლები

არიან მომზადებულნი. მაგალითად, კორპორაცია „ტოიოტა“ საკმაოდ შედეგიანად ახორციელებს ექსპერიმენტებს, როგორც წყალბადის ტექნოლოგიების შემუშავების საქმეში, ასევე ე.წ. ჰიბრიდული ძრავების (ტრადიციულისა და ელექტროამძრავიანის შერწყმა) სფეროში. ჰიბრიდული ავტომანქანა – Toyota Prius უკვე სერიულ წარმოებაშია. ამის შედეგად, იაპონურ ავტოგიგანტს საუკეთესო შანსები აქვს, 2015 წლისათვის, 15%-ით გაზარდოს საკუთარი მოგება. კომერციული მოგების პერსპექტივა აქვს აგრეთვე „დაიმლერ კრაისლერსაც“, რომელიც აქტიურობას იჩენს საწყალბადო ტექნოლოგიების შემუშავების მხრივ. WRI-ის სპეციალისტთა თქმით, 2015 წლისთვის, ყველა ავტომწარმოებელს მოუწევს გამონაბოლქვის გაწმენდის სისტემების მოდერნიზება, რასაც სოლიდური სახსრები სჭირდება. მაგალითად, დღეს უკვე, კონცერნი „ბე-ემ-ვე“ ამ პროგრამის განსახორციელებლად თითოეულ ავტომობილზე – 650, „დაიმლერ კრაისლერი“ – 450, „ფოლკსვაგენი“ კი – 195 დოლარს ხარჯავს. ■

BMW-ს სპორტული ჯუჯე „შემახეხებისთვის“

BMW M3 CSL განსაკუთრებული ავტომობილია. მისი კონსტრუქტორები მიზნად ისახავდნენ, ზეჩქაროსნული მანქანა შეემუშავებინათ და თითოეული ახლებური გადაწყვეტა სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას დაუმორჩილეს. განსაკუთრებული ყურადღება, ძარასათვის მასალის შერჩევას ეთმობოდა: სინთეტიკური მასალების გამოყენებ-

ის წყალობით, სერიული BMW M3-თან შედარებით, ახალი მარკის მანქანის მასა 110 კგ-ით შემცირდა და 1445-კილოგრამიან ნიშნულზე დაფიქსირდა. კონსტრუქტორებმა ძრავაზეც საფუძვლიანად იმუშავეს: მისი სიმძლავრე 360 ცხ.ძ-მდეა აყვანილი, რაც 17 ერთეულით აღემატება M3-ის ჩვეულებრივი აგრეგატის მაჩვენებელს. მანქანა 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი; გადაცემათა გადართვის დრო სულ 0,08 წმ-ს შეადგენს. M3 CSL-ის მაქსიმალური სიჩქარე 280 კმ/სთ-ა, ის 100 კმ/სთ-ს 4,9 წმ-ში ავითარებს. ნიშანდობლივია, რომ ამ მანქანის შესაძენად შეკვეთის გაფორმება მხოლოდ ავტომრბოლელის ლიცენზიის მქონე პირებს შეუძლიათ. რაც შეეხება „უბრალო მოკვდავთ“ – მათთვის სიჩქარის ელექტროშემზღუდავით აღჭურვილი ვარიანტია გათვალისწინებული; ასეთი მოდიფიკაცია მაქსიმალურად, 250 კმ/სთ-ს ავითარებს. ახალი სპორტული კუპეს ფასი 85.000 ევროდან იწყება. ■

Peugeot-ს ეკონომიური ჯუჯე

ფრანგულმა ავტოგიგანტმა 406-ე მოდელის ბაზაზე შექმნილი კუპე განაახლა. ამის შედეგად, მანქანა უფრო მოხდენილი გახდა: ცხვირმა მეტი აგრესიულობა შეიძინა, შეიცვალა ბამპერის კონფიგურაცია და მაშუქების ფორმა. სხვა მხრივ, „პეჟოს“ იერი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა. ახალი 406-ის მთავარ ღირსებას, ძრავათა ფართო სპექტრი წარმოადგენს. მათ შორისაა, დიზელის აგტრეგატი, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში ფაქტობრივად, გაკოტრებისგან იხსნა კომპანია. მაშინ „პეჟოს“ მანქანების რეალიზაცია მკვეთრად დაეცა და ინჟინრებმა და დიზაინერებმა გაბედული ნაბიჯი გადადგეს – ერთ-ერთმა პირველებმა, ელეგანტური ავტომობილი დიზელის ძრავათი აღჭურვეს. ხერხმა გაჭრა: „პეჟომ“ უწინდელი პოპულარობა დაიბრუნა. ამის შემდგომ, ანალოგიურ გზას დაადგნენ სხვა ავტომწარმოებლებიც, მათ შორის BMW (კუპე 330 Cd) და Mercedes (CLK 270 CDI). სადღეისოდ, Peugeot 406 Coupe-ს მომხმარებელთა 60% ამჯობინებს დიზელისძრავიან ვერსიას, რომლის სამუშაო მოცულობა 2,2 ლ, სიმძლავრე 133 ცხ.ძ., მაქსიმალური სიჩქარე კი, 200 კმ/სთ-ია. ამასთანავე, ეს მოდელი ყოველ 100 კმ-ზე 6,4 ლ საწვავს ხარჯავს და უმკაცრესი ეკოლოგიური ნორმის – Euro 3-ის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ■

ძველი წიგნი და მწერლის გულისტკივილი

ახალი ნაცვრა

ხათუნა ჯავახიშვილი



„ლოთი საზოგადოებისათვის გაწეული დამამშვიდებელი სიკეთის გამაღვიძებელი მოქნილებით შეიძლება შეედაროს მხოლოდ ლევ ტოლსტოის, ერლომს და ბეთჰოვენს... ადამიანი ჩნდება იმისათვის, რომ არ შეიძლება, ის არ გაჩენილიყო. ის ჩნდება ისეთი, მარტო შემორტყმული თავისი მსგავსი ათასებით და როგორც ყველა სხვას, მასაც აქვს თავისი დამოუკიდებელი სამყარო, რომელიც არის მისთვის ძირითადი, რომელშიც იმალება სიკეთე, გაჭირვება და რომელმაც უნდა მიაღწიოს სრულ გამოყოფას შედარებითი გაჭირვებიდან, შურიდან, რაც ასეთი სოციალური დაყოფის პირობებში საკმაოდ ძნელია. ამას მხოლოდ ერთეულები გრძნობენ და მათში არის ერლომი. იყვნენ ბეთჰოვენი და ტოლსტოი...“ — წერდა გურამ რჩეულიშვილი.

ბატონი ერლომ ახვლედიანი კი, მოკრძალებით იმართლებს თავს იმით, რომ ამ ორ ბუმბერაზს შორის იგი აღმოჩნდა, როგორც პატიმარი, რომელიც გილიოტინაზე აჰყავთ...

ერლომ ახვლედიანს მისმა ნათლულმა, ზურაბ ჟვანიამ „დილის გაზეთთან“ თანამშრომლობა ურჩია. პარალელურად, ბატონმა ზურაბმა გაზეთის რედაქტორს — მანანა კარტოზიასაც უთხრა, რომ მისი გამოცემის ტენდენციებიდან გამომდინარე, მასთან კარგად უნდა იგრძნონ თავი ისეთმა ავტორებმა, როგორიცაა ერლომ ახვლედიანი. ბატონი ერლომი მანანა კარტოზიას ესტუმრა და უკვე შვიდი წელია, ამ გაზეთთან თანამშრომლობს. ამ წლების მანძილზე გაზეთში გამოქვეყნებული მისი პუბლიცისტური ნაშრომები დღეს, პაატა ნაცვლიშვილის რედაქტორობითა და მანანა კარტოზიას გამოცემით გამოვიდა წიგნად, რომელსაც ეწოდება — „ძველი და ახალი წიგნი“.

როგორც ქალბატონმა მანანამ აღნიშნა, ბატონმა ერლომმა თავისი სათქმელის გამოხატვის ფორმას პუბლიცისტიკაში მოღვაწეობით მიაგნო: *„მწერლობისთვის უფრო გულდადინჯებული შრომაა საჭირო და ამისთვის უკვე ველარ იცლის, რადგან ოჯახში კაციც და ქალიც თვითონ არის. როგორც აქტიურ მოქალაქეს კი, პუბლიცისტიკაში ადეკვატური რეაქციები აქვს ხოლმე“.*

ბატონი ერლომი დიდხანს ეჭვობდა, საჭირო იყო თუ არა წიგნის გამოცემა, საინტერესო იქნებოდა თუ არა ის მკითხველისთვის, მაგრამ წიგნი გამოვიდა — კიდევ ერთი ახალი ქართული წიგნი!..

„ასეთი ტიპის, სულიერებით სავსე წიგნებს ღირსი მამები, ნეტარნი და წმინდანები წერდნენ“; „ის იდეალები, რომელზეც ერლომი წერს, რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავრცელდეს“; „მისი პუბლიკაციები აღსავსეა ჰუმანიზმითა და ქრისტიანობით“ — ასეთი ფრაზები ისმოდა „წიგნის სახლში“, სადაც ერლომ ახვლედიანის წიგნის პრეზენტაცია შედგა.

„ერლომ ახვლედიანს მხოლოდ მისი სტატიებით ვიცნობდი და ჩემში „ერთსისხლიანობის“ შეგრძნებას იწვევდა — ისეთს, როგორიც არის მაუგლისა და ცხოველებს შორის... დღეს მე მეფუტკრე ვარ და თქვენთან თაფლი მომაქვს...“ — ამ სიტყვებით მიმართა მწერალს მისმა თაყვანისმცემელმა მკითხველმა — კაცმა, რომელიც შემთხვევით მოხვდა მისი წიგნის პრეზენტაციაზე. იმ დღეს, მას ერლომ ახვლედიანის გაცნობისა და მასთან „ცოცხლად“ შეხვედრის ოცნება აუსრულდა.

იქვე იმყოფებოდა მწერლის თხზულებების ბელგიელი მთარგმნელი — ინგრიდ დეხრავე, რომელიც მეოთხე წელია, საქართველოში ცხოვრობს და საკმაოდ კარგად ლაპარაკობს ქართულად. მან მეგობრის რჩევით, ერლომ ახვლედიანის „ვანო და ნიკო“ წაიკითხა, რამაც, მისი თქმით, ახალი უზარმაზარი სამყარო გადაუშალა. მოწონება იმდენად დიდი იყო, რომ ქართული წიგნის პირველი ნიდერლანდული თარგმანი გამოიცა. ■

ტესტი ერუდიციაზე

1. რას ეძახდა სოკრატე სილამაზეს?

ა) გულებთან ომს;
ბ) დროებით ტირანიას;
გ) ადამიანთა მოდგმის სისუსტეს.

2. ომის შემდეგ საქართველოში ჩამოსულმა ფრანკლინ რუზველტის ცოლშვილმა სად გადაუხადა ამერიკის პრეზიდენტს პანაშვიდი?

ა) სვეტიცხოველში;
ბ) სიონში;
გ) გელათში.

3. „ელისაბედ მეორე, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის დედოფალი“ — ამ სიტყვებში რომელს მიიჩნევენ უმართებულოდ შოტლანდიელები?

ა) „მეორე“;
ბ) „ჩრდილოეთ“;
გ) „დიდი“.

4. „ფორმულა-1“-ის პილოტები გადმოსვლისას თავიანთ სპორტულ მანქანებში აუცილებლად...

ა) ხსნიან საჭეს;
ბ) იხსნიან ჩაფხუტს;
გ) ხსნიან ბორბალს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

კოლინ ფარელი: „მე და ანჯელინა მხოლოდ კოლეგები ვართ“

მსახიობი კოლინ ფარელი უარყოფს ჭორებს იმის თაობაზე, რომ მას და ანჯელინა ჯოლის „განსაკუთრებული ურთიერთობები“ აქვთ. ხმები მას შემდეგ გავრცელდა, რაც კოლინი და ანჯელინა ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბში კოცნის მომენტში დააფიქსირეს. „ჩვენ, როგორც კოლეგები, ისე წავედით იქ ერთად. რა არის საოცარი იმაში, რომ თანამშრომლები კლუბში ერთად წავიდნენ და თითო კოქტეილი გადაკრან?“

სხვათა შორის, გასულ კვირას კოლინმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ წყვილის სავარაუდო რომანზე ყოველგვარი მითქმა-მოთქმა აღეკვეთა. მან თავისი ახალი (მცირებიუჯეტიანი) ფილმის – Intermission-ის პრემიერის „აღნიშვნა“ უქმე დღეს, შუადღეზე დაიწყო და ორშაბათს, დილის 7 საათზე დასრულა. როცა მამაკაცი ქეიფობს, მას ქალებისთვის არ სცხელა... ■

ჟიზელ მიუნდჰენი სუპერმოდელის კარიერას გააგრძელებს

ბრაზილიელი ტოპმოდელი, ბოლოს და ბოლოს, კვლავ გამოჩნდება პოდიუმზე. საქმე ის გახლავთ, რომ თავისი კარიერის მწვერვალზე მყოფმა ლამაზმანმა უცაბედად დაკარგა ინტერესი მოდის სამყაროს მიმართ და პრაქტიკულად შეწყვიტა ჩვენებებში მონაწილეობა. მიმდინარე წლის განმავლობაში, ჟიზელი პოზირებდა სააგენტო Victoria Secret-ისთვის, რომელთანაც, როგორც ამბობენ, 15-მილიონიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. მან ასევე, კუინ ლატიფასა და ჯიმი ფელონთან ერთად „ტაქსის“ რიმეიქში მიიღო მონაწილეობა. „ჟიზელს ფული ნაკლებად იზიდავს, – ამბობს მისი აგენტი ბრუნო ჯამანიე, – მისი სურვილია, ნაკლებად ცნობილ ფოტოგრაფებთან იმუშაოს, რომლებიც მის გარეგნობას ახლებურად დაინახავენ. ის ხომ ქამელეონია“. ვინ იცის, იქნებ, ჟიზელმა შესვენების შემდეგ, უწინდელზე მეტ პოპულარობასაც კი მიაღწიოს. ■

ნიკ კლუნის კონგრესმენობა სურს

ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ ჯორჯ კლუნი ფილმში – „ჯაშუშთა ბავშვები-3 – თამაში დასრულებულია“ ძალზე მოკლე ეპიზოდში გამოჩნდა აშშ-ის პრეზიდენტის როლში. ბევრს მიაჩნია, რომ ის რეალურ ცხოვრებაშიც შეიძლება, „მიუჩოჩდეს“ კაპიტოლიუმს. არა, თავად კლუნის ჯერ არ გადაუწყვეტია აშშ-ის კონგრესის არჩევნებში მონაწილეობა. სამაგიეროდ, მისი 67 წლის მამა – ნიკ კლუნი, რომელიც ადრე ცინცინატის შტატის ტელევიზიაში „ახალი ამბების“ წამყვანი იყო და ახლა, გაზეთს – „ცინცინატი პოსტს“ ხელმძღვანელობს, კენტუკის შტატიდან კონგრესმენად კენჭის ყრას აპირებს. აღსანიშნავია, რომ ამ პერსპექტივას მიესალმება 70 წლის კენ ლუკასი, რომელიც უკვე სამჯერ იყო არჩეული კონგრესის წევრად კენტუკიდან. ნიკ კლუნი კი, ამ მიზნით, შვებულებაში გასვლასა და ცოლთან ერთად იმ ოლქში მოგზაურობას გეგმავს, საიდანაც საკუთარი კანდიდატურა უნდა წამოაყენოს. ცხადია, წინასაარჩევნო ვოიაჟი გაცილებით შედეგიანი იქნება, თუ ის ვაჟიშვილსაც იახლებს, რომელიც ნამდვილად შესძენდა თაყვანისმცემლებს, განსაკუთრებით – სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის. ■

სტელა მაკარტნი მუსიკალურ კარიერაზე ოცნებობს

31 წლის ბრიტანელი დიზაინერი და ლეგენდარული „ბითლზის“, პოლ მაკარტნის ქალიშვილი სტელა მაკარტნი არ გამორიცხავს, რომ ეცდება, პოპვარსკვლავი გახდეს. „მე არშემდგარი მუსიკოსი ვარ, – განაცხადა ამას წინათ People News-თან ინტერვიუში სტელამ. – ჩემთვის სიმღერა ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობაა: მუსიკის თანხლებით გავიზარდე და ვიცი, რომ სიმღერის ნიჭი მაქვს“. სტელას თქმით, ბავშვობაში ეგონა, რომ მამის დიდების გამო, მას ვერავინ იტანდა. „ჩვეულებრივ ადამიანებს შეხვედრისას არ მიმართავენ სიტყვებით – „გამარჯობა, მამა როგორ არის?“ – რაღაც დროის შემდეგ, ეს ხომ გამაღიზიანებელი ხდება და შენც პასუხობ – „გმადლობ, კარგად, თქვენი?“ ეს იმდენად გამაღიზიანებელია, რომ შესაძლოა, ძალზე აგრესიულიც კი გახდე... ახლა უკვე ისეთი ცუდი აღარა ვარ, იმიტომ, რომ იმედი მაქვს, იმის მიხედვით მცემენ პატივს, თუ თავად რას ვაკეთებ“. ■

როდა ჭალი ცვალსუნრ ეაეჯ...

დღეს ჩვენში ბევრი დაუსაქმებელი ქალია, რომელიც სამსახურს ეძებს. ბევრი ჩივის, რომ რატომღაც არ უმართლებს და შესაფერის ადგილს ვერ პოულობს. შეიძლება, მათი წარუმატებლობა, არა უიღბლობის, არამედ იმის შედეგია, რომ არ იციან, როგორ მოახდინონ სასურველი შთაბეჭდილება საქარაუდო ხელმძღვანელზე, როგორ უნდა ეჭიროთ თავი ან რა არ უნდა გააკეთონ, რომ გასაუბრების შემდეგ ოფისიდან უარით არ გამოისტუმრონ.

როცა ქალი სამსახურში მოსაწყობად დაწესებულების ხელმძღვანელთან შეხვედრას აპირებს, პირველ რიგში, ტანსაცმლის შერჩევაზე ზრუნვას იწყებს და სწორადაც იქცევა: ტანისამოსი ხომ ადამიანის შესახებ უამრავ ინფორმაციას „ამჟღავნებს“. მას კი, ვისაც ქალი თხოვნით მიმართავს, თანამოსაუბრეზე პირველი შთაბეჭდილება სწორედ მისი გარეგნული იმიჯის მიხედვით ექმნება.

იმიჯკონსულტანტების საერთაშორისო ასოციაციამ 10 ყველაზე ტიპური შეცდომა გამოავლინა, რომელსაც სამსახურის მაძიებელი ქალები უშვებენ ხოლმე. მათი დაკვირვების შედეგი უთუოდ გამოადგება ბევრ თქვენგანს, ამ რჩევების გათვალისწინების შემთხვევაში კი, ადვილი შესაძლებელია, ნანატრი სამსახურიც ძალზე ადვილად იშოვოთ.

მაშ ასე, რა არის დაუშვებელი მომავალ შეფთან გასაუბრებაზე მიმსვლელი ქალისთვის?

1) მეტისმეტად გრძელი და მკვეთრი ლაქით დაფარული ფრჩხილები; მეორე უკიდურესობა — მოუვლელი და ჭუჭყიანი ფრჩხილებია;

2) სამკაულების სიჭარბე, ძალზე დიდი საყურე და სამაჯურები, ერთდროულად რამდენიმე საყურე;

3) მეტისმეტად ღია ფერის ფეხსაცმელი;

4) ზაფხულშიც კი — შიშველი ფეხებით მისვლა;

5) შორტი და საზაფხულო შარვალი;

6) ძველი პიჯაკი და გაცრეცილი პერანგი;

7) ტყავის ქურთუკი (სხვათა შორის, ეს მამაკაცებსაც ეხება); საერთოდაც, უმჯობესია, ტყავი ამ დღეს არ გაიკაროთ, გამონაკლისად მხოლოდ საათის სამაჯური და ჩანთა გამოდგება;

8) ბაფთები და ზიზილ-პიპილოები;

9) სხვადასხვა ლოგოთი დამშვენებული ჩანთა;

10) წითელი ფერის: პორტფელი, ჩანთა, ფეხსაცმელი, პერანგი და ა.შ.

იმიჯკონსულტანტების ასოციაციის პრეზიდენტის, ანა ვილდერმატის განცხადებით, პირველი გასაუბრების დროს, მაქსიმალურად მკაცრად და კონსერვატიულად უნდა გამოიყურებოდეთ. ტანსაცმელი და აქსესუარები რუხი და ცისფერი ტონალობისა უნდა იყოს. ყავისფერი, ყოველდღიურ საქმიან კოსტიუმთან ასოცირდება და ამიტომ გასაუბრებაზე მისი ჩაცმა მიზანშეწონილი არ არის. შავი ფერი სამგლოვიარო განწყობას უწყობს ხელს, მწვანე კი სახიფათოა: მისი ტონალობა განათებისდა მიხედვით იცვლება და მოსალოდნელისგან სრულიად განსხვავებული ეფექტი შეიძლება მოახდინოს.

რა თქმა უნდა, თქვენი გარეგნობა და ტანსაცმლის სტილი, გასაუბრებისას, წარმატებისა და სამსახურში მოწყობის გარანტიად ვერ იქცევა, მაგრამ მისი მნიშვნელობა ყველასათვის ნათელია. ■

ჯიანსანრიცეჯის ცუუანდრეჯოდ

თუ წვნიანი დაგიმლაშდათ!

თუ წვნიანი დაგიმლაშდათ, წყალი არავითარ შემთხვევაში არ ჩაუმატოთ — ამით მხოლოდ იმას მიაღწევთ, რომ კერძს გემოს დაუკარგავთ. არსებობს მეთოდი, რომლის საშუალებითაც ქათმის ან საქონლის ხორცისაგან დამზადებულ, დამლაშებულ წვნიანს სასურველ გემოს დაუბრუნებთ — წვნიანში ჩაუმატეთ ბრინჯის, კარტოფილის ან მაკარონის დამატებითი ულუფა.

ჭურჭელმა ბზინვარება რომ არ დაკარგოს



● ალუმინის ჭურჭელში დიდხანს არ უნდა გააჩეროთ ადუღებული რძე, თევზი, კარტოფილიანი და პომიდვრიანი კერძები. ალუმინის ქვაბში არ შეიძლება აგრეთვე ცხელი მარილწყლის ან ძმრის ჩასხმა: მჟავა ალუმინთან რეაქციაში შედის და ჭურჭელს შლის.

● მინის ჭურჭელმა ბზინვარება რომ არ დაკარგოს, გარეცხეთ მარილიანი ან ძმრიანი წყლით, შემდეგ გადაავლეთ თბილი წყალი და ტილოთი გაამშრალეთ.

● ფაიფურის ჭურჭელს ლაქა ადვილად რომ მოსცილდეს, წყალში ნიშადურის სპირტი ჩაუმატეთ და ისე გარეცხეთ. თეთრი ფაიფურის ჭურჭელს პირვანდელი სიქათქათე დაუბრუნდება, თუ მას საჭმლის სოდით ან მარილისა და ძმრის ნაზავით გახეხავთ. ■

ჭაბორგნილი ადამიანების მოსწრებული ჭაბუკობანები

სოკრატე და მისი მეუღლე

ფილოსოფოს სოკრატეს მეუღლე ანჩხლი ქალი იყო. ერთხელ ძლზე გაუბრაზდა ქმარს და თავზე წყალი გადასხა.

— ეს სავსებით ბუნებრივია: ჭექა-ქუხილის შემდეგ, ყოველთვის წვიმა მოდის ხოლმე, — ჩაილაპარაკა ფილოსოფოსმა.

გაცნობა

სახელგანთქმული გერმანელი დირიჟორი ჰანს ფონ ბიულოფი კონცერტზე მიიჩქაროდა. ერთმა ახალგაზრდამ გზა გადაუჭრა. დირიჟორმა თავი ვერ შეიმაგრა და ახალგაზრდას ფეხზე დააბიჯა.

— აქლემი! — წამოიძახა ახალგაზრდამ.

— მე კი დირიჟორი ბიულოფი გახლავართ.

დიოგენი და ალექსანდრე მაკედონელი

ერთხელ ალექსანდრე მაკედონელი სახელგანთქმულ ფილოსოფოს დიოგენს ეწვია. დიოგენი მაშინ დიდ კასრში ცხოვრობდა.

— შემიძლია, რაიმე სიკეთე გაგიწიოთ? — ჰკითხა დიდმა სარდალმა.

— რასაკვირველია! იქნებ, გვერდზე გაიწიოთ — მზეს მიფარავთ... — მიუგო ფილოსოფოსმა.

როსინი და ახალგაზრდა მუსიკოსი

როსინი ახალგაზრდა კომპოზიტორის პარტიტურას გაეცნო და თქვა:

— ნამდვილი საოცრებაა: სრულიად ახალგაზრდა მუსიკოსია, მელოდიები კი ასეთი ძველი აქვს.

მასპინძლობა

ალექსანდრე დიუმა რუსეთში მოგზაურობისას თბილისსაც ეწვია. ერთმა წიგნით მოვაჭრემ საკუთარ მაღაზიაში მიიპატიჟა. თავაზიანმა მასპინძელმა საპატიო სტუმრის მოსვლამდე, მის საამებლად, წიგნის ყველა თარო დიუმას ნაწარმოებებით აავსო.

— დანარჩენი ავტორების წიგნები სადღაა? — ჰკითხა გაკვირვებულმა ფრანგმა მწერალმა.

— ასე თუ ისე... გაიყიდა. — ენა დაება წიგნით მოვაჭრეს.

რეკლამა

როდესაც გამოჩენილი გერმანელი მწერალი ლიონ ფოიჰტვანგერი პირველად ჩავიდა ნიუ-იორკში, ბროდვეის ნაირფერად აბრდღვიალებულმა რეკლამებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და სინანულით ამოიოხრა: რა მომხიბლავი იქნება ეს სანახაობა მათთვის, ვისაც წაკითხვა არ შეუძლიათო.

ანექდოტები

***

გვიან ღამით, საგზაო პოლიციის პატრულმა ნასვამი მამაკაცი გააჩერა.

— საით მიიჩქარით ასე გვიან?

— ლექციაზე.

— ასე გვიან ვინ ატარებს ლექციას?

— ჩემი ცოლი.

***

ცოლ-ქმარი ტელევიზორს უყურებს. სერიალს უჩვენებენ. ცოლი ქმარს ეუბნება:

— ნახე, როგორ უყვარს!

— მართლა? იცი, ამაში რამდენს უხდიან?..

***

კლიენტი ოფიციანტს მიმართავს:

— ეს რა ქათამია? ცარიელი ძვალი და ტყავია!

— ბუმბულიც გნებავთ?

***

საღამოს ქმარი სარკის წინ ტრიალებს — პირი გაიპარსა, ოდეკოლონი იპკურა, კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოიპრანჭა და ცოლს ეკითხება:

— ძვირფასო, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, თუ ამაღამ კლუბში დავრჩები?

— წადი, რქებით ხომ არ გიჭერ?!

***

ორი ნარკომანი საუბრობს:

— იცი, ქალაქში მგონი, ტოქსიკომანებისთვის სპეციალური მაღაზია გაიხსნა.

— შეუძლებელია!

— მართალს გეუბნები. ვყიდულობ „მომენტს“, ისინი კი პარკსაც მაძლევენ.

***

ბიჭი ქუჩაში ორ გოგონას აჩერებს და ეკითხება:

— გოგოებო, მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი.

— შენნაირი მახინჯის გაცნობა სულაც არ გვსურს.

— გოგოებო, ყველი არ გინდათ?

— არა.

— სულ არ გინდათ?

— თავი დაგვანებე, რა, არ გვინდა!

— ერთი პატარა ნაჭერიც არ გინდათ?

— მოგვწყდი, რა, თავიდან!

— უცნაურია: ასეთი მსუქანი ვირთხები ხართ და ყველი არ გინდათ.

***

პროგრამისტი ქუჩაში გოგონას აჩერებს:

— გოგონი, თქვენ „ი-მეილი“ გაქვთ?

— არა. რატომ მეკითხებით?

— სამწუხაროა. ერთმანეთს გავიცნობდით.

***

— ეჰ, უნდა დამეჯერებინა მამაჩემისთვის, ბავშვობაში ჭკუას რომ მარიგებდა. ეჰ, უნდა დამეჯერებინა. მე კი, სულელი, არ ვუსმენდი.

— რას გეუბნებოდათ ამისთანას?

— კაცმა არ იცის: ხომ გითხარით — არ ვუსმენდიმეთქი.

***

— რატომ ხარ ასეთი გასავათებული?

— მთელი ღამე მესიზმრებოდა, რომ ჰარამხანაში ვიყავი.

***

კაცი ფსიქიატრის კაბინეტში შევიდა და ცხვირის ნესტოების თამბაქოთი ამოტენა დაიწყო.

— ზუსტად იქ მოხვდით, სადაც საჭიროა, — ეუბნება ფსიქიატრი.

— რა, ასანთი გაქვთ?

ტკბილი ალტერნატივა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

რაც ტკბილია, ყველაფერი შაქარი არ არის

კვებითი დანამატების განსაკუთრებულ კლასს წარმოადგენს დამატკბობლები. ის ტკბილია, მაგრამ შაქრებს არ მიეკუთვნება – მისგან ქიმიური ფორმულით განსხვავდება. დამატკბობლებს შორის განასხვავებენ **შაქრის შემცვლელებს** (ქსილიტი, სორბიტი, მანიტი), რომელიც ისეთივე ტკბილია, როგორიც ჩვეულებრივი შაქარი და **ინტენსიურ დამატკბობლებს** (ასპარტამი, სახარინი, სუკრალოზა, ციკლამატი). ეს უკანასკნელნი შაქართან შედარებით ასჯერ უფრო ტკბილია. პირველად გაჩნდა სახარინი, რომელიც XIX საუკუნეში იქნა სინთეზირებული და დღემდე, ნაყინების, კრემების და საჩაროზე კერძების მოსამზადებელ ერთ-ერთ ინგრედიენტად გამოიყენება. ყველა დამატკბობელი არ არის ხელოვნური. მაგალითად, სტევიოზიდს მცენარე სტევიიდან გამოყოფენ.

როგორც წესი, დამატკბობლის 1 აბი 1 ჩ/კ შაქრის ტოლფასია, მაგრამ აბის შემადგენლობაში რომ ინტენსიური დამატკბობელი შედიოდეს, ვერასოდეს შევძლებდით მის მიღებას. ამ ნივთიერებებს იმდენად ტკბილი გემო აქვს, რომ მათი საჭირო რაოდენობა დანის წვერზეც მოთავსდება. იმისათვის, რომ აბს ფორმა და მოცულობა მისცენ, მას ნეიტრალური ნივთიერებებით, მაგალითად, სახამებლით ავსებენ.

არავითარი ჯალორიები

დამატკბობლების მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ის არ შეიცავს ადვილად ათვისებად ნახშირწყლებს. ყველა ნახშირწყალი ორგანიზმში დაშლისას გამოყოფს კალორიებს. მაგალითად, 1 გ შაქარი იძლევა 4 კკალ-ს. თუ 2 კოვზი შაქრის ფხვნილით ან ორი კვნიტი შაქრით დამტკბარ ჩაის მიირთმევთ, თქვენ საშუალოდ 10 გ შაქარს ანუ 40 კკალ-ს ღებულობთ. ინტენსიური დამატკბობლები საერთოდ არ შეიცავს კალორიებს, შაქრის შემცვლელები კი, საშუალოდ 1 გ-ზე 2,4 კკალ-მდე გამოყოფს. თუმცა, ეს პროცესი გაცილებით უფრო ნელა მიდის, ვიდრე შაქრის ათვისების პროცესი, რომლის დროსაც შაქარი სისხლში მთლიანად შეიწოვება.

დამატკბობლების გამოყენებით ამზადებენ დაბალკალორიულ პროდუქტებს: სორბიტიან კანფეტებს, საკონდიტორო ნაწარმს, ნაყინს, ლიმონათს... სასმელებში, რომელსაც აქვს აღნიშვნა light, შაქრის მაგივრად შაქრის შემცვლელები გამოიყენება. ხოლო ეტიკეტზე აღნიშნული – 0 kkal ნიშნავს, რომ შაქარი შეცვლილია ინტენსიური დამატკბობლებით.

ვინ იყენებს შაქრის შემცვლელებს

ამ ნივთიერებებს იყენებენ ისინი, ვინც ჭარბ წონას ებრძვიან. ჩვეულებრივი შაქრის ხელოვნურით შეცვლა, საშუალებას აძლევს მათ, წონაშიც დაიკლონ და არც ტკბილეულზე თქვან უარი. შაქრის შემცვლელების მომხმარებლები შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებიც არიან. ამ დაავადების დროს, ორგანიზმი ვერ ითვისებს ბუნებრივ შაქარს და ის სისხლში გროვდება. ამიტომ საჭიროა რაციონიდან მისი ამოღება.

დაბოლოს, მათ, ვისაც კბილებთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, შეუძლიათ შაქრის შემცვლელების გამოყენებით ებრძოლონ კარიესს, რადგან ეს ნივთიერებები კარიესს არ იწვევს.

დამატკბობლები აბების ან ხსნარის სახით გამოდის. მათი გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ სასმლის, არამედ საკვების დასატკბობადაც. ამგვარად დამტკბარი კერძი გემრიელიცაა და არც ჯანმრთელობას ვნებს, ოღონდ დასაშვებ დღიურ დოზას არ უნდა გადააჭარბოთ. ასეთ შემთხვევაში, ზოგიერთი დამატკბობელი ფაღარათს იწვევს. ყურადღებით უნდა გაეცნოთ ეტიკეტზე მითითებულ ინსტრუქციას.

დამატკბობელთა გამოყენების კიდევ ერთი სფერაა წამლების „გაგემრიელება“. ბევრი პაციენტი უარს ამბობს წამლების მიღებაზე მათი უსიამოვნო გემოს გამო. დამატკბობლები კი, აბებსა თუ მიქსტურებს სასიამოვნო გემოს სძენს.

მურაბებისა და ნამცხვრების მომზადებისას, უმჯობესია, თავი აარიდოთ დამატკბობლებს. მისი მხოლოდ თვალის ზომით გამოიყენება ძნელია, ზოგი მათგანი კი მაღალ ტემპერატურაზე იშლება კიდეც. რაც მთავარია, შაქარი მურაბებში მაკონსერვირებელ როლს ასრულებს – მის გარეშე მურაბა არ შესქელდება და კომპოტს დაემსგავსება.

თეთრი სიკვდილი თუ ტკბილი ცხოვრება

ბევრს მიაჩნია, რომ შაქარი ერთ-ერთი ყველაზე მავნე პროდუქტია. სპეციალისტები კი ამტკიცებენ, რომ ჯანსაღი ორგანიზმისთვის ბუნებრივი შაქარი აუცილებელია. მოზრდილი ადამიანისთვის შაქრის ფიზიოლოგიური საჭირო დოზა 55-65 გ-ია. იგულისხმება ყველანაირი სახით მიღებული შაქარი: ჩაის, ყავის, ნაყინის, ლიმონათის, წვენებისა თუ ნამცხვრის სახით. ასეთი რაოდენობა ენერგიით ავსებს ორგანიზმს. შაქარი და ტკბილეული ზრდის გონებრივი მუშაობის ეფექტურობას, ასტიმულირებს სიხარულის ჰორმონთა გამომუშავებას, ამიტომ დეპრესიის ერთგვარ წამალსაც წარმოადგენს. თუ სიმსუქნე არ გაწუხებთ და არც დიაბეტი გაქვთ, შაქრის შემცვლელთა გამოყენება არ ღირს. ბავშვებისთვის დამატკბობლები საერთოდ იკრძალება. თუ ბავშვი ჯანმრთელია და ნორმალურად ვითარდება, ნუ დაუშლით მას ტკბილეულის მიღებას. ■

ვარჯიში ზარმაცებისთვის

ვისაც დილის ვარჯიში ეზარება, სულ რომ არ მოდუნდეს უმოძრაობისა და ჰიპოდინამიისგან, საწოლშივე უნდა ივარჯიშოს.

● თავდაპირველად, საჭიროა კარგად გაიჭიმოთ (შეიძლება, საბნის გადაუხდელადაც, ოღონდ, ბალიში მოიშორეთ). შემდეგ გაშალეთ ფეხები ისე, რომ თითის წვერებით საწოლის ბოლოს შეეხოთ; ხელები თავქვეშ ამოიდეთ; დაიძაბეთ და მოდუნდით; გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

● ისევ იწექით ზურგზე, ხელები ტანის გასწვრივ მოათავსეთ; მუხლში ოდნავ მოხრილი მარჯვენა ფეხი ნელ-ნელა ასწიეთ და დაუშვით გაჭიმული მარცხენა ფეხის მიღმა; დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. იგივე გაიმეორეთ მარცხენა ფეხით. ეს ვარჯიში შეასრულეთ 6-8-ჯერ.

● შემდეგ დაწექით მუცელზე. წელში გადაიხარეთ ისე, რომ ფეხები, მხრები და თავი ასწიოთ; ხელები ამ დროს ტანზე უნდა გქონდეთ მიკრული; დაიძაბეთ და მოდუნდით; გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

მოძრაობათა ეს აუცილებელი მინიმუმი სრულიად გამოგაფხიზლებთ და ენერგიას შესძენს ღამით მოდუნებულ კუნთებს. ■

გულის „აქილევსის ქუსლი“



მეცნიერებმა გამოიკვლიეს – თუ რატომ ხდება მკერდში მსუბუქი დარტყმაც კი, ადამიანისათვის ზოგჯერ მომაკვდინებელი.

სიკვდილის მიზეზი გახლავთ მდგომარეობა, რომელსაც „გულის თრთოლა“ ეწოდება, რადგან საბოლოო გაჩერებამდე გული ვიბრირებას იწყებს. ეს მდგომარეობა ჯერ კიდევ 150 წლის წინ აღწერეს, მაგრამ მისი ჭეშმარიტი მიზეზი სულ ცოტა ხნით ადრე – სიკვდილის 128 შემთხვევის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომელთაგან 67, ბეისბოლის თამაშის დროს განვითარდა, დანარჩენი კი – ჰოკეისა და ამერიკული ფეხბურთის თამაშისას. 5 ბავშვი გარდაიცვალა მშობლების ცემის შედეგად, 6 – ისეთი თამაშის დროს, რომელიც მეგობრებთან კრივის ორთაბრძოლის იმიტაციას წარმოადგენდა. ერთ შემთხვევაში, სიკვდილის მიზეზად მოხვედრილი თოვლის გუნდა იქცა; მეორე შემთხვევა განვითარდა სლოკინის დროს თავში წამორტყმის გამო. ხანგრძლივი დროის განმავლობაში სიკვდილის ასეთ უეცარ შემთხვევებს რაღაც მაგიურ მოვლენებს მიაწერდნენ, მაგრამ ყველაფერი გაცილებით მარტივი აღმოჩნდა.

გულის ყოველი შეკუმშვა გულის კუნთის იონური დამუხტვის შედეგად ვითარდება. შეკუმშვა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც მთელი პარკუჭი დამუხტულია. თუ შეკუმშვა ნაადრევად განვითარდება, პროცესი ქაოსურ ხასიათს მიიღებს და დაიწყება „გულის თრთოლა“. ასეთი ნაადრევი შეკუმშვა შეიძლება მოხდეს გულის არეში დარტყმის შემთხვევაში.

ღორზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ „გულის თრთოლის“ განვითარებისათვის, გულის არეში დარტყმა უნდა მოხდეს განსაზღვრულ მომენტში, განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრული სიჩქარით. „მთრთოლავი გულის“ მდგომარეობის განვითარების ალბათობა შეესაბამება ადამიანისთვის თავში აგურის დაცემის ალბათობას. თუმცა მსხვერპლის გადარჩენა შესაძლებელია დეფიბრატორის გამოყენებით, მაგრამ გარშემომყოფნი არც კი ფიქრობენ რეანიმაციულ ღონისძიებებზე, რადგან ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ბურთის მოხვედრა სასიკვდილო შეიძლება აღმოჩნდეს. ■

დნმ გაყალბებისგან დაგვიცავს



ამერიკის ხელისუფლება განაგრძობს სამკურნალო პრეპარატების ფალსიფიცირების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამების შემუშავებას. სულ მალე, წამლების გაყალბების თავიდან ასაცილებლად იგივე თანხა დაიხარჯება, რაც დღეს თავად პრეპარატების შექმნასა და წარმოებაზე იხარჯება.

ამერიკის წამლებისა და კვების პროდუქტების სამმართველოს უფროსის თქმით, ამჟამად წამლების გაყალბებისაგან დაცვის სამი ძირითადი მიმართულება განიხილება. ერთ-ერთია შტრიხკოდების გამოყენება, რომელიც თავად აბებზე უნდა გამოისახოს (ამისათვის ურთულესი ხელსაწყოები იქნება საჭირო, რომლის შეძენა მხოლოდ დიდ ფარმაცევტულ კონცერნებს შეეძლებათ); ასევე გამოიყენებენ მრავალშრიან დამცავ ჰოლოგრამებს; დაბოლოს, სამკურნალო პრეპარატების სტრუქტურაში უნდა გაკეთდეს სპეციალური ნიშნული დნმ-ის საფუძველზე, რომელშიც კოდირებული იქნება მწარმოებელი ფირმის დასახელება, სამკურნალო პრეპარატის სახელი და პარტიის ნომერი.

რაღა თქმა უნდა, მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენება მკვეთრად შეამცირებს გაყალბებული პრეპარატების რაოდენობას, მაგრამ საინტერესოა, რა ეღირება წამალი? ■

„შეაშინეთ“ გრიპი

თუ ცემინება დაგაწყებინათ და ძვლებშიც „გამტვრევთ“, ადვილი შესაძლებელია, რომ გრიპი გეწყებათ. სასწრაფოდ მოამზადეთ ასეთი სამკურნალო საშუალება:

1 ს/კ თაფლი, 1 ს/კ ასკილი, 1 ს/კ ჟოლოს მურაბა შეურიეთ ერთმანეთს, დაასხით 100 მლ მდულარე წყალი, დადგით 15 წთ-ით და სვით ნახევარი ჭიქა 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.



გრიპის „შეშინება“ სხვაგვარადაც შეგიძლიათ. ოღონდ, კარგი იქნება, თუ ამ ნაყენს წინასწარ – მანამდე მოამზადებთ, სანამ გრიპის ნიშნები დაგეწყებათ: ნახევარი ლიმონი წვრილად დაჭერით და დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 7 კბილი ნიორი. ნარევი მოათავსეთ ნახევარლიტრიან ქილაში, დაასხით ცივი წყალი, დაახურეთ თავსახური და შედგით მაცივარში 4 დღით. მიიღეთ თითო ს/კ (ბავშვებისთვის – თითო ჩ/კ) დღეში ერთხელ, დილით, მშიერ კუჭზე, საუზმემდე 20 წთ-ით ადრე.

გრიპის საწინააღმდეგოდ კარგი საშუალებაა, წვრილ სახეხზე გახეხილი ნივრისა და ნატურალური თაფლის ნარევი, პროპორციით 1:1. იგი უნდა მიიღოთ ძილის წინ, 1 ს/კ. დააყოლეთ თბილი, ანადუღარი წყალი. წამლის მიღება საჭიროა გრიპის ან გაცივების პირველი ნიშნების გაჩენისთანავე, აგრეთვე – ეპიდემიის დროს, პროფილაქტიკის მიზნით. ■

სხვადასხვა

ბევრ ქვეყანაში ინიექციები უსაფრთხო როდია

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში ინიექციათა 75%, უკვე გამოყენებული შპრიცებით, ნემსებითა და სხვა არასტერილური ინსტრუმენტებით კეთდება, რაც მკვეთრად ზრდის ინფექციათა გავრცელების რისკს. შპრიცების რეუტილიზაცია ყველაზე მეტადაა გავრცელებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში და წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში.

ასეთი ინიექციები B და C ჰეპატიტების, შიდსის, აბსცესის, მალარიისა და ჰემორაგიული ცხელების გავრცელების მთავარი მიზეზია. აღსანიშნავია ისიც, რომ განვითარებად ქვეყნებში ერთ ადამიანზე ყოველწლიურად სამი ინიექცია მაინც მოდის. ამ ქვეყნების მედიკოსები პაციენტებს ხშირად უსაფუძვლოდ უნიშნავენ ისეთი პრეპარატების ინიექციებს, როგორებიცაა ანტიბიოტიკები და ვიტამინები, მაშინ, როცა ამ პრეპარატების აბების სახით მიღება უფრო მიზანშეწონილია. შიდსით დასნებოვნების ალბათობა წამლის ინიექციით შეყვანისას პაკისტანში 24%-ია, ინდოეთში – 19%, ხოლო ბურკინა-ფასოში – 52%.

ბისეპტოლი პირველ ადგილზე უკვე აღარ არის

ამერიკის კოლორადოს შტატის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ საშარდე გზების გაურთულებელი ინფექციების მკურნალობისას, ნაწლავის ჩხირი საკმაოდ ხშირად არ ექვემდებარება ბისეპტოლით მკურნალობას.

ბაქტერიების ამ პრეპარატისადმი მდგრადობა შემთხვევათა 20%-ში აღინიშნება. ნაწლავის ჩხირის ბისეპტოლისადმი მდგრადობა სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაგვარადაა გავრცელებული. ბისეპტოლი დღეისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს შარდგამომყოფი სისტემის პათოლოგიათა სამკურნალო უპირველეს პრეპარატად.

რასიზმი ჯარდიოლოგიაში

კარდიოქირურგიული დახმარების ერთნაირი ხელმისაწვდომობის პირობებში კარდიოლოგებმა გულის სისხლძარღვთა რევასკულირიზაციის (აღდგენის) ოპერაციის რეკომენდაცია აფროამერიკელთა 27%-სა და თეთრკანიან ამერიკელთა 50%-ს მისცეს. საუბარია იმ ავადმყოფებზე, რომელთაც კორონარული ანგიოგრაფია (გულის მკვებავი სისხლძარღვების გამოკვლევა) ჩაუტარდათ.

შექმნილი მდგომარეობა შესაძლოა აიხსნას იმით, რომ აფროამერიკელები, თეთრკანიანებთან შედარებით, მეტ სიფრთხილეს იჩენენ ოპერაციული ჩარევის მიმართ.

თუმცა დისკრიმინაციის ფაქტის გამოსარიცხად მაინც ჩატარდება დამატებითი გამოკვლევები აფროამერიკელთა ოპერაციისადმი დამოკიდებულების შესასწავლად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როდესაც აფროამერიკელ პაციენტებს არა აქვთ სამედიცინო დაზღვევა, ამიტომ მატერიალური მოსაზრებებიც მხედველობაში მისაღებია. ■

ასტროლოგიური პროგნოზი

კვირის (8 – 14 დეკემბერი)

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: თუ ამ კვირაში ერთდროულად რამდენიმე საქმეს მოჰკიდებთ ხელს, ვერც ერთს ვერ მიიყვანთ ბოლომდე. მაგრამ თუ ერთ საქმეზე შეძლებთ კონცენტრირებას, წარმატება გარანტირებული გექნებათ.

მამაკაცი: უქმად ნუ გაფლანგავთ დროს. უარი თქვით ამბიციებზე, გამოიჩინეთ თავმდაბლობა და უარს ნუ იტყვით წინადადებაზე, თუნდაც ის თქვენთვის შეუფერებლად მოგეჩვენოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: თქვენი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. კარგი იქნება, თუ შეიძენთ ავეჯს, მანქანას, ბინას – მოკლედ, ფულს კუპიურების სახით ნუ შეინახავთ.

მამაკაცი: კატეგორიულად გეკრძალებათ ალკოჰოლის მიღება: შესაძლოა, ნასვამ მდგომარეობაში გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვათ და ეს ძალზე ძვირადაც დაგიჯდეთ.

მეწყლული – 21/I-19/II

ქალი: თუ თეატრალურ სამყაროს მიეკუთვნებით ან მხატვარი ბრძანდებით, შემოქმედებით ზენიტში აღმოჩნდებით. ასე რომ, თამამად დალაშქრეთ მწვერვალები და წარმატება არ დააყოვნებს.

მამაკაცი: რატომ ცდილობთ, მუდამ სხვებს გადააბრალოთ თქვენი წარუმატებლობა? ჯობს, მარცხის მიზეზი საკუთარ თავში ეძიოთ, ახლობლების მიმართ კი, უფრო გულისხმიერი იყოთ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ადამიანებთან ურთიერთობისას, გამჭრიახობა გამოიჩინეთ. გადაწყვეტილების მიღებისას კი, ნუ აჩქარდებით – ყველაფერს, რაც თქვენ გარშემო ხდება, უცხო თვალით შეხედეთ და გააანალიზეთ, როგორ გამოიყურებით თავად ამ გარემოში?

მამაკაცი: ქალებისთვის საინტერესო სამიზნედ იქცევით. მაგრამ ფრთხილად – თქვენთან დაკავშირებით მათ კონკრეტული მიზნები ამოძრავებთ. ეცადეთ, ჩასწვდეთ მათ განზრახვებს და ამის შესაბამისად იმოქმედოთ.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: კვირის დასაწყისში შექმნილი უსიამოვნო განწყობა მალე გაგივლით და კვლავ ცხოვრების ხალისი დაგიბრუნდებათ. ამაში კი, მეგობრებთან ერთად გატარებული დრო შეგიწყობთ ხელს.

მამაკაცი: წარმატება ელის ყველა თქვენს პროექტს, ამიტომ ამ კვირაში, აქტიურობისკენ მოგიწოდებთ. მაგრამ კარგად აწონ-დაწონეთ თქვენ მიერ წარმოთქმული თითოეული სიტყვა, განსაკუთრებით – საქმიან პარტნიორებთან საუბრისას.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ამაოდ მიიჩნევთ საკუთარ თავს უიღბლო ადამიანად. ამაში მალე დარწმუნდებით: მოულოდნელად, ისეთ წინადადებას მიიღებთ, რომ თავი სიზმარში გეგონებათ. მოემზადეთ სასიამოვნო სიურპრიზისათვის.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ ყოველგვარი აგრესიისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ თავს ისეთ ზიანს მოუტანთ, რომლის გამოსწორებასაც წლების მანძილზე ვერ შეძლებთ.

მარჩხები – 22/V-21/VI

ქალი: პირად ცხოვრებაში ცვლილებები გელით. გამოიჩინეთ მეტი ინიციატივა მამაკაცებთან ურთიერთობისას. სამსახურშიც თამამად გამოხატეთ თქვენი პოზიცია – თქვენ ხომ მოაზროვნე ადამიანი ხართ.

მამაკაცი: თქვენს საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზრდება, თუმცა, საკუთრივ რისი წყალობით – ამას მომავალი გიჩვენებთ.

კიბრჩხები – 22/VI-22/VII

ქალი: ამ კვირაში გირჩევთ, შეიძინოთ საოჯახო ნივთები და სამკურნალო მცენარეები. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. გაითვალისწინებთ, რომ ბევრი თქვენი ოცნების ახდენა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

მამაკაცი: ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მხოლოდ მეგობრების რჩევით. კომპეტენტური ადამიანების მოსაზრებასაც დაუგდეთ ყური და ამის შემდეგ მოჰკიდეთ ხელი საქმეს.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ყურადღებით მოუსმინეთ თქვენს პარტნიორს. წარმოიდგინეთ საკუთარი თავი მის მდგომარეობაში და ეცადეთ, გაუგოთ მას. ახალი ნაცნობები თქვენს ცხოვრებაში შემოჭრას ცდილობენ; ნუ მისცემთ მათ ამის უფლებას.

მამაკაცი: ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში წარმატებას გპირდებიან. იაქტიურეთ და გაბედულად იმოქმედეთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოებთან.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ამ კვირაში არ გირჩევთ საქმიანი შეხვედრების გამართვას. უმჯობესია, დროის უმეტესი ნაწილი ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ და საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ.

მამაკაცი: სიმშვიდე შეინარჩუნეთ ოჯახშსა და სამსახურში. ეცადეთ, გადაწყვეტილების მიღებამდე, კარგად აწონ-დაწონოთ ყველაფერი, რადგან ამ კვირაში, შეცდომის დაშვების დიდი შანსი გაქვთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ხელსაყრელი კვირაა კომერციული ოპერაციების ჩასატარებლად. გამოიჩინეთ შრომისმოყვარეობა და სამსახურში წარმატებებს უეჭველად მიაღწევთ. პირადი ცხოვრებისთვის მხოლოდ უქმე დღეებში მოიცლით.

მამაკაცი: თავიდან უნდა აიცილოთ კონფლიქტური სიტუაციები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდ გაუგებრობაში გახვევა არ აგცდებათ. ვარსკვლავები გაჭრამდე ასჯერ გაზომვას გირჩევენ და კარგი იქნება, თუ მათ დაუჯერებთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. ზედმეტად ნუ ენდობით ახალგაცნობილ ადამიანებს. თავი შეიკავეთ ჭორაობისგან.

მამაკაცი: თუ არ გინდათ, პირად ცხოვრებაში იმედგაცრუება განიცადოთ, მაქსიმალურად შეიკავეთ თავი ფუჭი დაპირებებისგან. მოუფრთხილდით საყვარელ ადამიანს და თავს ბედნიერად იგრძნობთ.



სახოტბო ლექსი
ბალეტ „ჟიზელის“ ავტორი
დანაუეი მუსლიმანი მოსამართ.
ურწმუნო მოციქული
„მშრალი ფოთოლის“ ავტორი
„აირზენას“ ახალი თვითმფ. მარკა
„ექიმი ტ და მისი პაციენტები“ (მსახიობი)
ეკეთრი მეცნიერულად ვულკანის მეზობელი
პირველი ქალი
მუსიკალ. ნაწარმ. განმეორებ. ფორმით
ცელქი, მოუსვენარი
უმაღლესი სპოროვანი მცენარე
კლდეზე მიკაჭვული ტიტანი
წამლის სააფთიაქო ერთეული
ერითროციტების დალექვის რეაქცია
ესპანელი ინფანტების ხატვის მოყვარული
პატარა მოთხრობა
პერიოდ. გამოცემ. ერთობლ. არსტერეო
რუსი პროლეტარი მწერალი
ინგლის. თავდამსხ.
ფა, ... ლა!
ბერძნული ანბანის მეორე ასო
მსახიობი და კუნფუს ოსტატი
ფრანგული ექსვალუტა
ფილმი სელმა ჰაიეკის მონაწილ.
შიგაწვის ძრავას გერმანელი გამომგონ.
საჭადრაკო ფიგურა
ნიდერლანდელი მოაზროვნე
მის გარეშე შამპანურს ვერ მიირთმევ
მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონი F-1-ში
მუსაბგერ. გამოსახ.
„უან კრისტოფი“ (ფრანგი მწერალი)
შხამიანი მცენარე
ხვიარა მცენარე
სასწორის თეფში
სპირტ. სასმელი
„სტრიპტიზი“ (მსახიობი)
სამი წერტ. კამათელზე
სისხლის მიმოქცევის დარღვევა ტვინში
ნახევრად მაიმუნი
ფრინველი, სიბრძნის სიმბოლო
გამარჯვების ბერძნული ქალღმერთი
ШЕАДГИНА РАМАЗ АЛАНИАМ



53-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა; 4-ა.

შორენა ყარყარაშვილის საესტრადო დებიუტი

ახლახან დასრულდა მაია ყარყარაშვილის დის, ახალგაზრდა მომღერლის, შორენა ყარყარაშვილის პირველი კლიპის გადაღება, რომლის რეჟისურაც ასევე ახალგაზრდა რეჟისორებს – დაჩი დარჩიასა და ბასა ხარაზს ეკუთვნით. სიმღერის – „ღამდება“ – მუსიკის ავტორია მიშა ზაქარეიშვილი, ტექსტი კი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის. გადაღებები ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თბილისის სხვადასხვა უბანში მიმდინარეობდა. კლიპში გამოყენებული კოსტიუმების დიზაინერია ავთო ცქვიტინიძე, რომლის ფანტაზიის შედეგად, მომღერლის კაბა ქინძისთავებით „შეკრული“ ქსოვილებისგან შედგებოდა.

კლიპის პრეზენტაცია სავარაუდოდ, წლის დამლევს გაიმართება. ■

„საუნდის“ „დიდოუ ნანა“... ჩინურად

ახლახან, ჯგუფმა „საუნდმა“ დაასრულა გუჩი მეტრეველთან დუეტის ჩაწერა. სიმღერის ტექსტი თავად გუჩის, ხოლო მუსიკა – ცნობილ რუს კომპოზიტორს ალექსეი ბრავკოვს ეკუთვნის. მუსიკის ავტორს აღნიშნული დუეტი იმდენად მოეწონა, რომ ბიჭებს შეჰპირდა – უახლოეს მომავალში სპეციალურად თქვენთვის ორ ახალ სიმღერას დავწერო.

ამჟამად, „საუნდი“ ახალ ინგლისურენოვან სიმღერაზე მუშაობს, რომლის მუსიკაც თავად ჯგუფის წევრებს, ხოლო ტექსტი მარინა ასლანიშვილს ეკუთვნის. სიმღერის სახელწოდებაა „შენთვის ვლოცულობ“. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „საუნდის“ მიერ ადრე შესრულებული სიმღერა – „დიდოუ ნანა“ – შემთხვევით ჩინეთში, ერთ-ერთ ღამის კლუბში აჟღერებულა: ჩინელებს ისე მოეწონათ მეგრული „ნანა“, რომ ერთ-ერთმა მათგანმა სმენით აღქმის მიხედვით მიახლოებულად გამეორებული ტექსტით შეასრულა ეს სიმღერა და მასზე კლიპიც კი გადაიღო, რომლის CD-ვერსიაც რამდენიმე დღის წინ, ჯგუფის წევრებმა საჩუქრად მიიღეს. ■

დათო ხუჯაძის არშემდგარი ალბომი

მოსკოვიდან სპეციალური მოწვევით ჩამოსულია ქართველი მომღერალი დიანა ღურწკაია, რომელიც დათო ხუჯაძესთან დუეტს წერს. სიმღერა რუსულენოვანია, მისი მუსიკაც და ტექსტიც თავად დათოს ეკუთვნის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მომღერალ ხუჯაძისა და საპროდიუსერო კომპანია „5 ლაინს პროდაქშენის“ ერთობლივი პროექტის ერთ-ერთი ნაწილი უკვე დასრულებულია: ჩაწერილია დათოს ახალი ალბომი და ახლა, გამოსაცემად მისი პოლიგრაფიული ნაწილი მზადდება. მომღერლის ახალ სიმღერაზე – „მელოდე“ – ანიმაციური კლიპიცაა გადაღებული, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ტელეწამყვანი თეა გვასალია ასრულებს. კლიპის პრეზენტაცია არჩევნების შემდეგ უნდა შემდგარიყო, როცა გაირკვეოდა, გახდებოდა თუ არა დათო ხუჯაძე საქართველოს პარლამენტის წევრი. ახლა კი, ისევე, როგორც დათოს დეპუტატობა, გაურკვეველია, თუ როდის გაიმართება კლიპის პრემიერა. ■

„ვი აი პის“ ჯიდევ ერთი ფესტივალი

რამდენიმე დღის წინ, კომპანია „5 ლაინს პროდაქშენის“ გოგონათა ჯგუფი – „ვი აი პი“ ბელორუსიიდან დაბრუნდა. ისინი ქალაქ მოგილევში იმყოფებოდნენ, სადაც ვლადიმირ მულავინის სახელობის მე-8 საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. ქართველი გოგონები ამ მუსიკალური დათვალიერების სპეციალური პრიზით დაჯილდოვდნენ, ამასთანავე მიიღეს მიწვევები სხვადასხვა ქვეყნიდან. იქვე, ფესტივალის ფარგლებში შედგა საესტრადო სიმღერების ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსიც, რომელშიც „ვი აი პის“ ერთ-ერთმა სოლისტმა – ნათია წასიძემ მიიღო მონაწილეობა. ამ კონკურსის სამივე საპრიზო ადგილი ბელორუსმა მომღერლებმა დაიკავეს. თუმცა, ქართველმა გოგონამაც ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა. ■

მოამზადა ნათია ქივიძემ

ვინ ხართ – მეოცნებე თუ რეალისტი?

გაინტერესებთ, როგორი ხართ სინამდვილეში – რეალისტი, მიწაზე მყარად მდგარი ადამიანი თუ ღრუბლებში მოფარფატე მეოცნებე? ამაზე პასუხს ჩვენი ტესტით შეიტყობთ.

1) როგორ იქცევით, როცა ახალ ჟურნალს იღებთ ხელში?

ა) ათვალიერებთ – 0;

ბ) იწყებთ კითხვას პირველივე გვერდიდან – 5.

2) რას მოიმოქმედებთ, როცა ნერვიულობთ?

ა) სუფრას მიუჯდებით და ჩვეულებრივზე მეტს მიირთმევთ – 0;

ბ) მოიცდით, ვიდრე სიმშვიდეს არ მოიპოვებთ – 5.

3) შეგიძლიათ თუ არა, ჭამის ან ბანაობის დროს იფიქროთ საქმეზე?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 5.

4) ინახავთ თუ არა ძველ წერილებს და გაზეთებიდან ამოჭრილ საინტერესო სტატიებს?

ა) იშვიათად – 5;

ბ) ყოველთვის – 0.

5. გაინტერესებთ თუ არა ფსიქოლოგია?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 5.

6) გიყვართ თუ არა მანქანით გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა?

ა) დიახ – 5;

ბ) არა – 0.

7) შეგიძლიათ თუ არა იფიქროთ სიკვდილზე?

ა) დიახ – 5;

ბ) არა – 0.

8) გიყვართ თუ არა ძილის წინ ოცნება?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 5.

9) გიყვართ თუ არა სასიყვარულო რომანების კითხვა?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 5.

10) უზიარებთ თუ არა მეგობრებს თქვენს განცდებს?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 5.

11) გიყვართ თუ არა განმარტოება?

ა) დიახ – 5;

ბ) არა – 0.

12) გაგჩენიათ თუ არა სხვა დროში ან სხვა ქვეყანაში ცხოვრების სურვილი?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 5.

13) მიგაჩნიათ თუ არა, რომ ხასიათის თავისებურებები ადამიანს მემკვიდრეობით გადაცემა?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 5.

დაანჯამეთ ქულები

0-20: სინამდვილეს ისე გაურბიხართ, როგორც სირაქლემა, რომელიც საშიშროების მოახლოებისას, თავს ქვიშაში რგავს. ცდილობთ, არ დაინახოთ მკაცრი რეალობა, არადა, ეს ყოველთვის არ გარგებთ. მეოცნებეობა კარგია, მაგრამ არა ისეთი დოზით, როგორიც თქვენ გახასიათებთ. ეცადეთ, თვალი გაუსწოროთ სინამდვილეს და დაინახავთ, რომ ცხოვრებაში ორიენტირების პოვნა უფრო გაგიადვილდებათ და უსიამოვნებებსაც ადვილად აარიდებთ თავს.

25-45: მეოცნებე ხართ, მაგრამ ეს არასოდეს გიშლით ხელს, რომ ცხოვრებას გაუსწოროთ თვალი და ყოველდღიურ პრობლემებსაც გაუმკლავდეთ. ოცნებისა და რეალობის ურთიერთშერწყმის საუცხოო უნარი გაქვთ.

50-65: მეტისმეტად პრაგმატულად უყურებთ ყველაფერს, ოცნება რა არის, საერთოდ არ იცით. ცოტაოდენი რომანტიზმი და დროდადრო, აუხდენელ რამეზე ფიქრი არ გაწყენდათ. ცხოვრება მკაცრია, მაგრამ მეოცნებე ადამიანებს ზოგჯერ უადვილდებათ წინააღმდეგობების გადალახვა.

გჯერათ თუ არა საკუთარი შესაძლებლობების?

1) ხშირად გიპყრობთ თუ არა დაღლილობის გრძნობა?

ა) დიახ – 1;

ბ) იშვიათად – 0.

2) ხშირად ხომ არ ეჭვობთ — დაკეტეთ თუ არა შინდან გასვლისას, ბინის კარი ან გამორთეთ თუ არა უთო?

ა) დიახ, ხშირად – 1;

ბ) არასოდეს – 0.

3) გჩვევიათ თუ არა მოწყენა კონკრეტული მიზეზის გარეშე?

ა) კი, შესაძლებელია – 1;

ბ) არა – 0.

4) გაშინებთ თუ არა ტელეფონის მოულოდნელი ზარი?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

5) ხშირად გესიზმრებათ თუ არა სიზმრები?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 1.

6) ჩვეულებრივ, როგორ იღებთ გადაწყვეტილებებს?

ა) ძალიან სწრაფად – 0;

ბ) ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ – 1.

7) როგორ მოიქცევით, თუ სტუმრად მისული, საკუთარ ტანსაცმელზე დიდ ლაქას აღმოაჩენთ?

ა) მაშინვე დაბრუნდებით შინ – 1;

ბ) არ შეიმჩნევთ – 0.

8) გიყვართ თუ არა ახალი ადამიანების გაცნობა?

ა) დიახ, ძალიან – 0;

ბ) არა – 1.

9) სხვა ქალაქში გამგზავრებამდე, გიპყრობთ თუ არა შიში ან ეჭვი?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

10) გაუღვიძებიხართ თუ არა ღამით შიშის გრძნობას?

ა) დიახ – 1;

ბ) არასოდეს – 0.

11) თუ გქონიათ ოდესმე, უკაცრიელ კუნძულზე რამდენიმე თვით გამგზავრების სურვილი?

ა) დიახ, ხშირად – 0;

ბ) არასოდეს – 1.

12) უმეტესად, როგორ იქცევით ექსტრემალურ სიტუაციაში?

ა) როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ – 0;

ბ) ისე, რომ უკეთ გამოჩნდეთ სხვების თვალში – 1.

14) გიყვართ თუ არა კინოში სიარული?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 1.

დაანჯამეთ ქულები

0-4: *იმდენად თავდავჯერებული ხართ, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ტესტის შეკითხვებს გულწრფელად არ უპასუხეთ.*

5-8: *ძალიან გინდათ, რომ საკუთარ თავში დავჯერებული იყოთ, მაგრამ რაღაც მუდამ ხელს გიშლით. იყავით უფრო გაბედული, იწამეთ საკუთარი ძალებისა და ყველაფერს შეძლებთ.*

9-14: *მოულოდნელი სიტუაციები იმდენად გაშფოთებთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ლატარიაში დიდ თანხას მოიგებთ, შიში გიპყრობთ. თქვენ შეგიძლიათ გადაეჩვიოთ ამას – მთავარია, საკუთარი თავის რწმენა გქონდეთ.*

„სიმფსონებში" ტონი ბლეარის დებიუტი შედგა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი პოპულარული მულტიპლიკაციური სერიალის, „სიმფსონების" დებიუტანტი გახდა. ბლერმა, რომელიც მისივე თქმით, „სიმფსონების" დიდი თაყვანისმცემელია, თავისი ანიმაციური ორეულის ის ეპიზოდი გაახმოვანა, სადაც სიმფსონების ოჯახი დიდ ბრიტანეთში დასასვენებლად მიემგზავრება.

ბრიტანელი პრემიერ-მინისტრის ანიმაციური პერსონაჟის მონაწილეობით გადაღებული ეპიზოდი იმით იწყება, რომ Mini Cooper-ი, რომლითაც სიმფსონების ოჯახი მგზავრობს, ბუკინგემის სასახლის გალავანს შეასკდება. ამ სერიაში, რომლის სახელწოდებაა – The Regina Monologues – ასევე ჩნდებიან ჰარი პოტერის ავტორის, ჯოან როულინგისა და მსახიობ იენ მაკელენის ანიმაციური ორეულები. ეპიზოდი ბლერის მონაწილეობით ჯერჯერობით, მხოლოდ აშშ-ის მაყურებელმა იხილა, დიდ ბრიტანეთში კი, მას 2004 წლის იანვარში უჩვენებენ.

„სიმფსონების" დიალოგების ჩაწერაში სხვადასხვა დროს, მრავალ ცნობილ ადამიანს მიუღია მონაწილეობა, მათ შორის, აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს ბილ კლინტონს და მსახიობ ელიზაბეტ ტეილორს. ■

შინ მოხვედრის მცდელობისას მოზარდი საჯვამეში გაიჭედა

ამერიკელმა მოზარდმა, რომელსაც სახლის გასაღები თან არ აღმოაჩნდა, საკვამურის მეშვეობით – ანუ „სანტა-კლაუსის მეთოდით" სცადა შინ შეღწევა. მაგრამ ეს მცდელობა სავალალოდ დასრულდა: ბიჭი 30 სმ დიამეტრის მილში საკმაოდ ღრმად რომ შეძვრა, იქიდან გამოძრომა ვეღარ მოახერხა. ხვრელის დიამეტრი თანდათან ვიწროვდებოდა და იმ ადგილას, სადაც 20 სმ-ს აღწევდა, ბიჭი გაიჭედა. იძულებითი ტყვეობიდან ის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა იხსნეს – საკვამურში თოკი ჩაუშვეს და ბიჭი ნელ-ნელა ამოიყვანეს. ■

ფინელმა გოგონამ ავტომობილში 6 კვირა დაყო

ფინეთში ერთ-ერთმა უმუშევარმა მოქალაქემ ავტომობილში 6 კვირა იმისათვის გაატარა, რომ ახალი ავტომანქანა მიეღო. სარეკლამო აქციის პირობის თანახმად, რომელსაც ახალი რადიოსადგური ატარებდა, პრიზი მას ერგებოდა, ვინც უფრო დიდხანს გაძლებდა ავტომობილში. აქცია ფინეთის ყველა ქალაქში ერთდროულად დაიწყო. დადგენილი წესების თანახმად, მის 29 მონაწილეს, ყოველ ორ საათში, სავაჭრო ცენტრებში განთავსებული ავტომობილებიდან მხოლოდ ორი წუთით გადმოსვლის უფლება ჰქონდა. ავტომობილში ყველაზე დიდხანს – 52 დღე და 15 საათი – 24 წლის ახალგაზრდა გოგომ კატრი მანიმ გაძლო. ავტომანქანაში ამდენი ხნის განმავლობაში მყოფ კატრის ძლიერ გაუჭირდა ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნება. ■

ისრაელში ჰუსეინი და ბინ ლადენი ეითად „დაჯავეს"

უსამა ბინ ლადენისა და სადამ ჰუსეინის დაკავებას სპეცსამსახურები ვერაფრით ახერხებენ, მაგრამ ისრაელის საბაჟოს მოხელეებმა ამ ხარვეზის თავისებურად გამოსწორება გადაწყვიტეს და წარმატებასაც მიაღწიეს: მათ ხსენებულ პირთა 450 სათამაშო ორეულის – თოჯინის კონფისკაცია მოახდინეს.

სათამაშოები აღმოაჩინეს ისრაელში ჩინეთიდან შემოსულ გემზე, რომელმაც ჰაიფის პორტში გაიარა საბაჟო შემოწმება. ტვირთი ეკუთვნოდა ისრაელში მცხოვრებ არაბს, რომელსაც, მისივე თქმით, ამ თოჯინებით ებრაელებისა და არაბების განცვიფრება სურდა. ბინ ლადენის (400 ცალი) და ჰუსეინის (მხოლოდ 50) სათამაშო, ელემენტებზე მუშაობს და ელექტრონული შიგთავსის წყალობით, სიმღერა, ცეკვა და იარაღის ჟღარუნიც კი შეუძლია. სათამაშო „ტერორისტების" „დაპატიმრების" საფუძვლად მებაჟეებმა გამოიყენეს კანონი, რომელიც კრძალავს წამქეზებლობას. ისრაელის ხელისუფლების აზრით, სათამაშოებმა „შესაძლოა, ექსტრემისტული განწყობის ზრდას შეუწყოს ხელი". ■

ფოტოკოლიაჟები

639/44

N24(58) 27/XI-10/XII.2003

ოჯახის მეუღლიანი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თ.

თუ პატარა გაგვიცივდა

როგორ ავიმაღლოთ იმუნიტეტი

ჰერპესი

მთავარი თემა
სახსრების დაავადებები

პარკინსონის დაავადება

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის